

„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, რო-
გორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონე-
ბის და სარჩოს მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც
წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა
უცოდინარს სიზმარშიც არ მოეჩვენება..“

(ილია)

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემიის
მ თ ა მ ბ ე**

**В Е С Т Н И К
АКАДЕМИИ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ**

**NEWSLETTERS
OF
ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA**

№18

თბილისი - TBILISI - ТБИЛИСИ
2019

რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო საბჭო:

ნათელა ვასაძე - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, ზურაბ ხონელიძე - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ავთანდილ ასათიანი - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, ლიუდმილა ბეჭენარუ - იასის უნივერსიტეტის პროფესორი (რუმინეთი), სერგეი ბოგდანოვი - სანკტ-პეტერბურგის გეორგინის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი (რუსეთი), რაფაელ გუსმან-ტირო - გრანადის უნივერსიტეტის პროფესორი (ესპანეთი), დენ დევიდსონი - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი (აშშ), იან კე - გუანჯოუს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ჩინეთი), ვენტა კოცერე - ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, ირენა კუდლინსკა - ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი (პოლონეთი), კლაუდია ლასორსა - რომის უნივერსიტეტის (la sapience) ემერიტუს - პროფესორი (იტალია), როინ მეტრეველი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სვეტლანა ტერ-მინასოვა - მოსკოვის მ.ლომოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, რუსეთის პედაგოგთა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი.

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ასათიანი - მთავარი რედაქტორი, ნათელა მალლაკელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე, მარინე აროშიძე, რევაზ ბალანჩიგაძე, იმერ ბასილაძე, ლუბა ბიბლეიშვილი, როზა გაბეჩავა, ლია მენთეშვილი, ნათელა მოსიაშვილი, ლამარა ქადაგიძე, ინდირა ძაგანია.

Scientifically Reviewed and Referenced Periodical Journal 'Moambe of the Georgian Academy of Education Sciences~is issued by the decision of the Georgian Academy of Education Sciences

Editorial Board:

Natela Vasadze – Head of the Editorial Board, Honored president of the Georgian Academy of Education Sciences, Zurab Khonelidze - President of the Georgian Academy of Education Sciences, Avtandil Asatiani – Co-president of the Georgian Academy of Education Sciences, Ludmila Bezenaru – Professor at IAS University (Romania), Sergey Bogdanov – Rector of St. Petersburg Gertsen University (Russia), Rafael Gusman-Tirado – Professor at Granada University (Spain), Dan Davidson – President of the American Councils for International Education (USA), Yan Ke – Professor at Guanjo University (China), Claudia Lasorsa – Emeritus Professor at Rome University (La Sapienza) (Italy), Roin Metreveli – Vice-president of the Science Academy of Georgia, Svetlana Ter-Minasova – Honored President of Moscow Lomonosov State University, President of Russia's United Association of Teachers.

Editors:

Avtandil Asatiani – editor in chief, Natela Maghlakelidze – deputy editor in chief, Marine Aroshidze, Revaz Balanchivadze, Lia Menteshashvili, Natela Mosiasvili, Imer Basilaishvili, Luba Bibileishvili, Roza Gabechava, Lamara Kadagidze, Indira Dzagania.

Рецензируемый и реферируемый периодический журнал «Вестник Академии образовательных наук Грузии» издается по решению Академии образовательных наук Грузии.

Редакционный совет:

Васадзе Натела - председатель редакционного совета, почетный президент Академии образовательных наук Грузии, Зураб Хонелидзе – президент Академии образовательных наук Грузии, Автандил Асатиани – сопрезидент Академии образовательных наук Грузии, Людмила Беженару –профессор Яссского университета (Румыния), Сергей Богданов – ректор Герценского государственного педагогического университета (Россия), Рафаэль Гусман-Тирадо – профессор Гранадского университета (Испания), Дэн Дэвидсон – президент американского совета международного образования, Ян Кэ – профессор университета Гуанчжоу (Китай), Вента Коцере – директор Латвийской Академической библиотеки, Ирэна Кудлинска – профессор университета экономики (Польша), Клаудия Ласорса –эмиритус профессор (la sapience) Римского университета, Роин Метревели – вице-президент Академии наук Грузии, Светлана Тер-Минасова – заслуженный профессор Московского государственного университета им. Ломоносова, президент объединенного совета педагогов России.

Редакционная коллегия:

Аvtandil Asatiani - Главный редактор, Натела Маглакелидзе - заместитель главного редактора, Марина Арошидзе, Реваз Баланчивадзе, Имер Басилашвили, Любa Бибилиешвили, Роза Габечава, Ламара Кадагидзе, Лия Ментешашвили, Натела Мосиашвили, Индира Дзагания.

ზოგადი პედაგოგიკა

იმპრ ბასილაძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ითერ ღვინერია,
თბილისის ოვანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

იან ამოს კომენსაცის მათეტიკა და დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია

1680 წელს, კომენსკის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ, კრისტიან ვლადისლავ ნიგრინუსმა (ჩეხი სწავლული) გამოსცა მცირე ზომის საექსპერიმენტო წიგნის 100 ეგზემპლარი, სახელწოდებით „*Spicilegium didacticum*“. წიგნი შეიცავს კომენსკისეულ ერთ-ერთ ძალიან საყურადღებო ტექსტს, ეგრეთწოდებულ „მათეტიკას“. მას ეძღვნება პირველი თავი. (Winkel: 1997, გვ. 7).

კომენსკის „მათეტიკური“ კონცეფცია პირველად ვრცელდება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და შევეცდებით, რომ მოვახდინოთ მის შედარებითი ანალიზი გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ კონცეფციასთან, თუ რამდენად ეხმიანება იგი კომენსკის მიერ 400 წლის წინ შექმნილ მათეტიკის ძირითად პოსტულატებს.

მსოფლიოს უდიდესი კლასიკოსი ფილოლოგის, მიქაელ ფონ ალბრეხტის აზრით, წიგნის სათაური "Spicilegium Didacticum" უმჯობესია, არ ითარგმნოს. ამავე დროს პირდაპირი თარგმანი ტერმინისა "Spicilegium" წიმნავს "თავთავების აკრეფას (დავიწყებული მომკელების მიერ)". სათაურის მნიშვნელობა კი შეიძლება ვიხილოთ რუთის წიგნში, სადაც ვკითხულობთ : „გავალ მინდვრად და ავკრებ თავთავებს იმის კვალდაკვალ, ვისთანაც ვიპოვი წყალობას“ (Месეკოვ: 2017, გვ.113).

რეინერ ვინკელის აზრით, დღეისათვის უპასუხოდაა დარჩენილი კითხვები, თუ როდის დაწერა კომენიუსმა ეს „დიდაქტიკური კრებული“ ("თავთავების აკრეფა") და ჩაფიქრებული იყო თუ არა მისი დამოუკიდებელ ნაწარმოებად დასრულება. მკვლევართაგან ზოგი მის ცალკეულ ნაწილებში ან გადამუშავებულ პასაუებში მის „პანსოფიას“ („Pansophia“) შეიცნობს, სხვები კი ვარაუდობენ, რომ ეს კომპილატორული გამოცემაა, რომელიც წიგრინუსმა კრებულის სახით შექმნა „პამპედიადან“ („Pampaedia“), „პანსოფიადან“ („Pansophia“), ან სხვა ჯერ გამოუქვეყნებელი ხელნაწერებიდან. დარწმუნებით კი ის ვიცით, რომ „*Spicilegium didacticum*“ 1680 წელს ამსტერდამში გამოჩნდა, რომლის პირველი ნაწილი „მათეტიკას“, ხოლო მეორე ნაწილი „დიდაქტიკას“ ეხება. 1893 წელს პროფესორმა იან კვაკალამ ამ ნაბეჭდის ერთი ეგზემპლარი სანკტ პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა. 1895 წელს მან ლათინური ტექსტი ჩეხეთში, ბოჰემიის როზენბერგში, ხელახალი ნაბეჭდის სახით გამოაქვეყნა. 1896 წელს იან ვაცლავ ნოვაკმა, კომენიუსის პრაღელმა მკვლევარმა, შექმნა ჩეხური თარგმანი, რომელიც გამოქვეყნდა პრაღაში. 1907 წელს კარლ თეოდორ ლიონმა კომენიუსის ჩანაწერების მიხედვით სამნაწილიანი კრებულის მე-3 ნაწილის სახით გამოაქვეყნა „პედაგოგიური კრებული“ გერმანულ ენაზე (გვ. 71-96), სათაურით „იოჰ. ამოს კომენიუსის პედაგოგიური ჩანაწერები“ (Winkel: 1997, გვ.7).

პროფესორი რეინერ ვინკელი განიხილავს რა „მათეტიკას“, როგორც დიდაქტიკურ კრებულს, თავის მოსაზრებებს აფუძნებს „მათეტიკაში“ მოცემულ სამ ძირითად ტერმინზე: 1. ცნება მათეტიკა; 2. ცნება სწავლა; და 3. ცნება გრძნობები (Winkel: 1997, გვ.8)... „ცნება მათეტიკა“

ბერძნული ზმნიდან იღებს სათავეს: mathein ან manthanein. ზმნის ორივე ფორმა ნიშნავს სწავლას და ეს მათი საწყისი (ინფინიტური) ფორმებია. ბერძნული ენისთვის, ისე როგორც სლავური ენების უმეტესობისთვის ზმნისთვის ორი საწყისი ფორმის ქონაა დამახასიათებელი: საწყისი ახლანდელი (manthanein) და საწყისი წარსული (mathein). პირველად დასახელებული ზმნა გულისხმობს სწორხაზოვან, დურაციულ, თანმიმდევრულ მოქმედებას, მეორე კი - მიზანზე ორიენტირებულ, სწრაფ შემეცნებას; თუმცა ორივე ზმნა ნიშნავს სწავლას განათლების მიღებისთვის. შესაბამისად, მათეტიკა არის თეორია სწავლის შესახებ და არა დასწავლის თეორია. მათეტიკა გულისხმობს მოსწავლის თვალსაწირიდან დანახული საგაკვეთილო პროცესების ახსნა-განმარტებას მოცემულ დროსა და სივრცეში (Winkel: 1997, გვ. 8).

იან ამოს კომენსკის მათეტიკის მიხედვით „სწავლა“ არის რაიმე (საგნის) ცოდნის ძიება, ან მცდელობა, თუ როგორ უნდა შევიმეცნოთ ესა თუ ის საგანი (Spicilegium Didactigum:1680, გვ. 1). ცოდნა ეს არის საგნის გონებით ფლობა, გონებაში საგნის დაჭერა (Spicilegium Didactigum:1680, გვ. 1). კომენსკის მიაჩნია, რომ საგნის გონებით ფლობა - სწავლა, მისი გონებაში შენახვა-დაჭერა ხორციელდება სამ საფეხურად: 1. ცოდნა იმისა, რომ საგანი არსებობს; 2. ცოდნა იმისა, თუ რა წარმოადგენს საგნის არსი, რისგან შედგება ის; 3. ცოდნა იმისა, თუ რა დანიშნულება აქვს საგანს, რაში გამოიყენება იგი (Spicilegium Didactigum:1680, გვ. 1). ცოდნის ამ სამი საფეხურით მიიღწევა შემეცნება, გაგება და გამოყენება (Месъков: 2017, გვ.114). პირველს კომენსკი შემჩნევას, ანუ უბრალოდ ცოდნას (შემეცნებას), უწოდებს. მეორე ეს არის გონითი აღქმა - გააზრება(გაგება). ხოლო მესამეა მისი გამოყენება - მოხმარება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გამოყენების უნარი (Spicilegium Didactigum:1680, გვ. 1).

კომენსკის საგნის ცოდნა მოსწავლის მიერ დადგენილი მიზნის ძიებისა და მიღწევის პროცესად მიაჩნია. იგი სწავლის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საგნის გამოყენების (შემეცნებითი) უნარების განვითარებას. ევრისტიკული ცოდნა, მისი აზრით, იწვევს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო-შემოქმედებით პროცესში, ისეთი ამოცანების ამოხსნას, რომელთა შესრულების გზები და საშუალებები წინასწარ უცნობია. იზრდება მოსწავლის მოტივაცია, ხდება ცოდნის აქტუალიზაცია. მოსწავლეს უჩნდება რაღაცის პოვნის, ძიების სურვილი. ისახავენ სწავლის მიზნებს და სწავლა უფრო სახალისო ხდება. იწყებს ძიებას შესასწავლ საგანში და საკუთარ გონებაში, რაც ხელს უწყობს საგნის სიღრმისეულ შესწავლას. მოსწავლეს უჩნდება სურვილი, რომ ისწავლოს სისტემატურად და აქტიურად იყოს ჩართული სწავლის პროცესში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომენსკი აკეთებს შეგონებას:

- „რომ იცოდე ისწავლე; სწრაფად რომ გაიგო-სწრაფად ისწავლე; ბევრი რომ იცოდე-ისწავლე ბევრი; სწორად რომ იცოდე, სწორად ისწავლე;
- სწავლისას შეისწავლე ღრმად, რომ შენზე შეიძლებოდეს ითქვას, რომ არა იმდენად სწავლობდი, რამდენადაც შეისწავლე და დაისწავლე, ანუ იცი. ჯობია, რომ თქვენ გინოდონ ჭკვიანი, გამოცდილი, ბრძენი, ვიდრე – ბევრის მსწავლელი. ეს აშკარა ხელობაში, სადაც ყურადღებას აქცევენ არა იმას, თუ ვინ რამდენი იცხოვრა ოსტატთან, ან რამდენი ხნის განმავლობაში შეუძლია მას მისი ნაკეთობის შესახებ მსჯელობა, არამედ იმას, თუ რა ნაკეთობას ქმნის თავად.
- ღრმად რომ ისწავლო, ისწავლე სიყვარულით. იშვიათად ხდება, რომ მონდომებით გაკეთებული საქმე უშედეგო აღმოჩნდეს.
- თუ რაიმე არ იცი, იჩქარე მისი გაგება: ან თავად იფიქრე, ან სხვებიდან, ან დაკვირვებისგან - თუ ეს შესაძლებელია, ეს ხერხი საუკეთესოა(Коменский: 2016 გვ.2).

რაინერ ვინკელი განიხილავს რა კრიტიკულად კომენსკის „მათეტიკას“, სწავლის ცნებას ორმაგ დატვირთვას აძლევს: „1. სწავლა ნიშნავს, ეძიებდე მაშინ, როცა მოსწავლისგან

დაშვებულია ღიაობა, მერყეობა, სიახლის ძიებისკენ სწრაფვა. მასწავლებლის მხრიდან გაუმართლებელია მერყეობა და თავდაჯერების ხარისხის დაქვეითება. პირიქით, რაც უფრო მყარად დგას აღმზრდელი თავის დოქტრინასთან, მოძრაობის მეტ გასაქანს აძლევს იგი აღსაზრდელს. იმ მოსაზრებაში, რომ სკოლაში, როგორც ადამიანის სულის სახელოსნოში, განათლება, მორალი და ლეთისმოსაობა გადამწყვეტი ფაქტორებია, მასწავლებელს ყოველდღიურად არ უნდა შეჰქონდეს ეჭვი. ვინც ახალ მინაზე დგამს ფეხს, თავდაპირველად იმედები საკუთარ თავზე უნდა დაამყაროს, მობილიზება გაუკეთოს საკუთარ (ცნობიერების) ძალებს, კრიტიკულად განეწყოს სხვა გავლენებისა და დაპირებებისადმი. თუმცა სწავლის, იგივე აღმოჩენების, პროცესში მნიშვნელოვანია, რომ რადიკალურად კი არ გაემიჯნო უცხო მოძღვრებას, არამედ შეძლო საკუთარი შეხედულებების სხვების შეხედულებებთან დაბალანსება: „ვინაიდან ჩვენ არ შეგვწევს უნარი, ყველაფერი აზრობრივად და ცნობიერად შევისწავლოთ და განვსჭვრიტოთ, იძულებული ვართ მანამდე სხვათა დასკვნებით დავიმშვიდოთ თავი, თადარიგი დავიჭიროთ, რომ სხვების დასკვნების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება ფრთხილი და მოზომილი იყოს“; 2. სწავლა გულისხმობს, საკუთარ თავთან და სხვების მიმართ დამყარებულ ნდობაში აღმოვაჩინოთ სიახლეები (Winkel:1997, გვ.9).

დიდი პედაგოგი გამოყოფს სწავლის სამ საშუალებას: გრძნობებით (სენსიტიური) აღქმა, გონება, რწმენა. გრძნობები – სწორი, გონება – ჯანსაღი, რწმენა – წინდახედული (თადარიგიანი) (Fino: 2017, გვ.4-5). საგანს ვიმეცნებთ და აღვიქვამთ გრძნობით. იგი გვჭირდება ნათელი საგნების უშუალო აღქმისათვის (Spicilegium Didactigum:1680, გვ.4-5).

ამრიგად, კომენსკის დიდაქტიკა - მათეტიკის ფუძემდებლური პირობებია:

- წინსვლითი მოძრაობა: მარტივიდან რთულისაკენ;
- ჭეშმარიტების დამოუკიდებელი ძიება, ზრდასრულის უფლებამოსილებისაგან დამოუკიდებლობა, ანუ ეტიმოლოგიური გაგებით – "აუტოპსია";
- დამოუკიდებელი საქმიანობა - "აუტოპრაქსია", რომელიც მოითხოვს მოსწავლეებისაგან "დაუღალავი ძიებას, აღმოჩენებს, დისკუსიებს, საქმიანობას, გამეორებას ყველაფერისა, რაც მოევლინება მათ ინტელექტს, მეხსიერებას, ენას და ხელს;
- მასწავლებელი კი კმაყოფილდება დამკვირვებლის როლით, რომელიც თვალყურს ადევნებს, რაც ხდება და ზრუნავს, რომ ყველაფერი სრულდებოდეს შესაბამისად.

კომენსკიმ განუცხადა რა პროტესტი სქოლასტიკურ სკოლას, გარკვეულწილად გაიზიარა ბეკონ ვერულამელის შეხედულებანი. ბეკონის მიხედვით, „მთელი ჩვენი ცოდნა წარმოადგენს მოვლენებს შორის მიზეზობრივი დამოკიდებულების ცოდნას. კომენსკი თითქმის იზიარებს ამ აზრს. ის ამბობს: „რისიმე ცოდნა ნიშნავს საგნის შესწავლას მისი მიზეზების საფუძველზე“ (კომენსკი:1949, გვ.181). თუ ჩვენ გვსურს, რომ მოსწავლემ გარკვეულად და ადვილად შეითვისოს საგანი, თეორემები უნდა მტკიცდებოდეს არა მსჯელობით ან პიპოთეზებით, არამედ თვით საგანთა უშუალო განხილვით. რაც სწავლას გახდის სასიამოვნოს და მომზადება გზა ნამდვილი საფუძვლიანი განათლებისაკენ (კომენსკი:1949, გვ.181).

ეს არის საგანთა გაგების უნარზე დამყარებული სწავლება-სწავლა. იგი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. „ახალგაზრდას - წერს კომენსკი - თავში კი არ უნდა ჩავუტენოთ ავტორებიდან ამოკრეფილი სიტყვები, ფრაზების, გამოთქმებისა და აზრების ნარევი, არამედ განვუვითაროთ მას საგანთა გაგების უნარი, რათა ეს უნარი გახდეს წყარო, საიდანაც ცოდნის ნაკადული გადმოედინება“ (კომენსკი:1949, გვ.96-107).

კომენსკი სწავლის უნარის გვირგვინად საიმედოდ, სწრაფად და სასიამოვნოდ სწავლას თვლის. საიმედოდ იმიტომ, სწავლის ნაყოფი ცოდნა არ უნდა უტოვებდეს ადგილს შეცდომებს, ყველაფერი მტკიცედ და საიმედოდ უნდა იქნას შენახული მეხსირებაში, ბევრი დროის

დაუხარჯავად, სასიამოვნოდ, სიძულვილის გარეშე, ნების წინააღმდეგ წაუსვლელად, ისწავლო არა ტვირთის შეგრძნებით, არამედ სიხარულით (*Spicilegium Didacticum* :1680, გვ. 3). კომენსკი მიიჩნევს, რომ მივაღწიოთ მოსწავლეთა ჩართვას სწავლის პროცესში, მასწავლებლის მიერ წარმართული სასწავლო მუშაობა, მიცემული დავალება უნდა იყოს საინტერესო. ის უნდა შეიცავდეს პრობლემას, რომელიც უნდა შეესატყვისებოდეს სასწავლო პროგრამას და მოსწავლეს უჩენდეს კითხვის დასმისა და ანალიზის სურვილს.

კომენსკი მიიჩნევს, რომ ეს არის რამოდენიმე და ზოგადი დარიგებები მათეტიკაში და ის, ვინც დაიცავს მათს, ადვილად შეაღწევს საგნების შინაგან არსები. თუ ვინმეს სურს ამ ტიპის უფრო ზუსტი და დეტალური ინფორმაცია, მიმართოს ავტორის დიდ დიდაქტიკას, სადაც ის აღმოაჩენს მათეტიკისა და დიდაქტიკის მკას, დაგროვებულს, როგორც მოსავალს, ერთ ბელელში - აქ ჩვენ არაფერზე არ ვზრუნავდით, გარდა თავთავების შერჩევისა (Коменский : 2016, გვ.16).

შუა საუკუნეების ევროპაში ბავშვობა, როგორც ასეთი, იგნორირებული იყო. 6-7 წლამდე ინდივიდები ითვლებოდნენ უსუსურ ჩვილებად, ხოლო შემდეგ, პატარა, მინიატურულ მოზრდილებად. მათ სათანადო აცმევდნენ და სათანადო ცოდნა-ჩვევებს აზიარებდნენ. მაღალი შობადობისა და სიკვდილიანობის დემოგრაფიულ სიტუაციაში ბავშვობა მიჩნეული იყო სწრაფად წარმავალ და ნაკლებლირებულ პერიოდად. ვითარება შეიცვალა XVII საუკუნიდან. პატარა ბავშვი უკვე განიხილებოდა, როგორც ოჯახის მნიშვნელოვანი წევრი. ბავშვებისადმი გულგრილობა შეიცვალა მათდამი განსაკუთრებული ყურადღებით, განებივრებითაც კი. მაგრამ XVIII საუკუნეში, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, ბავშვისადმი, როგორც მშვენიერი სათამაშოსადმი, დამოკიდებულება შეცვალა რაციონალური აღზრდის კონცეფციამ. ის დამყარებული იყო მკაცრი დისციპლინის პრინციპზე ოჯახსა და სასწავლო დაწესებულებაში. სკოლა თანდათან გადაიქცა უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელიც ემსახურებოდა მომავალი კვალიფიციური მუშაკებისა და სამაგალითო მოქალაქეების ორგანიზებულ მომზადებას. გადახალისდა ბავშვობის კონცეფციაც. ადამიანის ცხოვრების ეს ხანა გახანგრძლივდა და მასში გამოიყო ყრმობისა და ჭაბუკობის პერიოდი. ტექნიკურმა პროგრესმა და საზოგადოებრივმა ცვლილებებმა XIX საუკუნეში საგრძნობლად გაზარდა მოთხოვნები ბავშვის მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების კუთხით. ბავშვობის პერიოდის მნიშვნელობამ კიდევ უფრო იმატა (იმედაქ:2014, გვ.359).

იან ამოს კომენსკიმ განჭვრიტა საზოგადოების განვითარების სამომავლო პერსპექტივები, ასეთი სათაური „მათეტიკა“ ღრმა გააზრებას ემსახურება: მოსავლის აღების შემდეგ სათუთად შეგროვებული დარჩენილი თავთავები გვევლინება მომავალი ახალი მოსავლის სიმბოლოდ. იგი დროს უძლებს, ხოლო შემეცნების ახალი ციკლი ნიადაგ განსაზღვრავს დარიგებების შინაარსს მომავალი თაობებისათვის. კომენსკი თავის მათეტიკით დაეხმარა მომავალ თაობებს ნელ-ნელა გაევლოთ ეკლიანი გზა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. სწორედ ამ ეკლიან გზაზე მეოცე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა დიუის, კერძენშტაინერის, პიაუეს, თორნდაიკის, ერიქსონის, ბრუნერის, ვიგოტსკის, უზნაძის თეორიები, რომლებიც ცდილობენ, რომ სწავლების პროცესში შეამსუბუქონ მოსწავლის მდგომარეობა, შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო გარემო, სასწავლო მასალა მოარგონ მოსწავლის განვითარების დონეს.

მოგეხსენებათ, რომ გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე ცნობილია არა მარტო თავისი განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიით. ზოგადი ფსიქოლოგიის გარდა, იგი ნაყოფიერად მუშაობდა პედაგოგიკაში და ითვლება ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ფუძემდებლად საქრთველოში.

დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის როლი პედაგოგიკაში ძალიან დიდია. მისი შეხედულებით, პიროვნება არის აქტიური არსება, რომელიც ექვემდებარება აღზრდას. პედაგოგის ძირითადი დანიშნულება აღზრდაში მდგომარეობს, რაც თავისთავად გულისხმობს სრულყოფილებისკენ სწრაფვას. დ. უზნაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის ფენომენის სწორად გაებას. ბავშვი არ უნდა ჩავთვალოთ პატარა მოზრდილად. აღზრდის პროცესში არ უნდა მოხდეს მოვლენების დაჩქარება. ბავშვს არ უნდა მოვთხოვოთ მოზარდისთვის დამახასიათებელი ქცევები.

ბავშვობის ასაკში ქცევის წამყვანი და მთავარი ფორმაა თამაში. ამიტომ სკოლაში შესვლისას და სწავლის დაწყებისას ბავშვის ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად ეფექტურია თამაშის გამოყენება, ანუ სწავლის წარმართვა თამაშით.

სასკოლო ასაკში განვითარება უკვე სწავლის ქცევას მიჰყავს. სწავლასა და თამაშს შორის მსგავსება სწორედ ამაშია - ორივე ფსიქოფიზიკური ძალების განვითარებაზეა მიმართული. მაშასადამე, „სწავლის პროცესში ამ ძალების აქტივობას დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობა აქვს და მის მოტივაციურ საფუძველს, თამაშის მსგავსად, ფუნქციონალური მოთხოვნილებები ქმნიან. ისინი ხომ სუბიექტის ძალების ამოქმედებას და ამდენად განვითარებას იწვევენ. მაგრამ სწავლა თამაში არ არის, ის ქცევის დამოუკიდებელი ფორმაა. უზნაძე მიუთითებს სწავლის ისეთ თავისებურებაზე, რაც მას არსებითად განასხვავებს თამაშისაგან. თუ თამაშის დროს ბავშვი თვითონ ირჩევს თავისი ფუნქციონალური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ საგანს, სწავლის დროს შებრუნებული ვითარებაა - ბავშვი არ ირჩევს იმას, თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს. ამას უფროსები განსაზღვრავენ მრავალი თაობის ისტორიული და კულტურული გამოცდილების საფუძველზე. ბუნებრივია, რომ ბავშვს დამოუკიდებლად არ შეუძლია ამ მასალის მოპოვება და შეთვისება. „სწავლა ქცევის ისეთი ფორმაა, რომელშიც სამოქმედოდ განწყობილ ინტელექტუალურ ძალებს მათვის აუცილებელი საგანი გარედან, და ამდენად იძულებით ეძლევა“. სწორედ ეს გარემოება განასხვავებს სწავლას თამაშისაგან და აახლოებს მას შრომასთან. ამრიგად, უზნაძის მიხედვით, სწავლა ისეთი ქცევაა, რომელსაც როგორც თამაშის, ისე შრომის ნიშნები აქვს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის. იგი ქცევის თავისებური ფორმა“ (იმედაძე: 2014, გვ. 381-382).

სწავლასთან დაკავშირებით უზნაძე მრავალ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავს. უზნაძის პედაგოგიური კონცეფციის მიხედვით „სასწავლო მასალა, ერთი მხრივ, „მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისთვის უნდა იყოს შესატყვისი; მეორე მხრივ, საკმარისად უნდა იყოს მას დაშორებული: ნინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. რომ იგი სავსებით განვითარების აქტუალური დონის შესატყვისი ყოფილიყო, როგორ შეძლებდა იგი ნინსვლისა და უფრო მაღალ დონეზე ამაღლების პირობად გამხდარიყო. სასწავლო მასალა, მაშასადამე, ყოველთვის ისეთია, რომ მონაფის განვითარების აქტუალურ დონეზე მაღალია“, მაგრამ ვინაიდან განვითარებისთვის მისი აქტუალურ დონესთან გარკვეული შესაბამისობაც უნდა იყოს დაცული, საჭირო ხდება მასწავლებლის ჩარევა, რომელიც ისე აწოდებს მასალას მოწაფეს, რომ მისთვის მისაწვდომი შეიქმნეს. საზოგადოდ, უზნაძის პოზიცია განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთგვარი კომპრომისი ორ დაპირისპირებულ შეხედულებას შორის - ერთი მომნიფების ბუნებრივ პროცესზე აკეთებს აქცენტს (პიაუე), ხოლო მეორისთვის განმსაზღვრელია სწავლების სოციალურად ორგანიზებული პროცესი (პრუნერი, ვიგოტსკი) (იმედაძე: 2014, გვ. 382). უზნაძე საუბრობს განვითარების „ბუნებრივ გზაზე“, რომელიც, თავისთავად, არასაკმარისია და მოითხოვს შევსებას სწავლების პროცესით.

მისი შეხედულებით, „ნებისმიერი ბავშვი არის უნიკალური თავისი არსით და მის ინდივიდუალობას კი პედაგოგი უნდა ჩაწვდეს. ამის გარეშე სწავლის პროცესი სათანადო შედეგს ვერ გამოიღებს. დ. უზნაძემ შეისწავლა ის წინააღმდეგობა, რომელიც თან ახლავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს და მას უწოდებს „აღმზრდის ძირითად ტრაგედიას“. იგი აღმოცენდება მაშინ, როცა პედაგოგი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლის ინდივიდუალობას, მის სურვილებს და მხოლოდ საკუთარი მოტივებითა და შეხედულებებით ხელმძღვანელობს. „ის, რაც აღმზრდელის აზრით კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისათვის ხშირად წვალებად ითვლება“-წერს დიმიტრი უზნაძე. სასწავლო პროცესი უნდა იყოს ორიენტირებული იმაზე, რომ მოსწავლეს პიროვნებით ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება ე.წ. „ცოდნია წყურვილში“ გადაეზარდოს. პედაგოგმა ამისთვის უნდა შექმნას მოსწავლის განწყობა, მოსწავლეს მოარგოს სასწავლო მასალა, შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული გარემო, რამეთუ ბავშვის განვითარება მის ინტერესებზე და სურვილებზეა დამოკიდებული.

ამრიგად, იან ამოს კომენსკის მიერ მათეტიკაში გამოთქმული მოსაზრებები სწავლის პროცესთან დაკავშირებით და დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია თითქმის ემთხვევა ერთმანეთს და თანხმობაში მოდის ურთიერთთან. ორივე კონცეფციის ამოსავალი კრედო მდგომარეობს შემდგომში:

- სწორად დაგეგმილი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შედეგად ბავშვი ყალიბდება სრულფასოვან პიროვნებად, რომელმაც იცის, თუ რა სურს ცხოვრებაში;
- ბავშვი რეალურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, სწორად გეგმავს საკუთარ მომავალს და წარმატებაც გარანტირებული აქვს;
- სასწავლო მასალა შესაფერისი უნდა იყოს მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის. მეორე მხრივ, იგი დაშორებულიც უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელი იქნება;
- მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს.

ამრიგად, ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში უნდა ვისაუბროთ იან ამოს კომენსკისა და დიმიტრი უზნაძის მიერ დასმულ ამ ყოველდღიურ პრობლემებზე და სირთულეებზე სასწავლო პროცესში (რომელიც დღესაც გრძელდება-ი.ბ.), რათა დავძლიოთ ისინი და გამოჩნდება გზა მომავლისა, რეალურად როგორი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. ადრე თუ გვიან აღორძინდება ცოდნის სამყარო, რომელშიც კვლავ გამეფდება ჰარმონია და ჰუმანიზმი. სწავლა მაშინ იქნება სასიამოვნო და ლამაზი, როდესაც ის შემეცნების სხვადასხვა ფორმის ღრუბლებით მოიფინება. მხოლოდ ამ დროს აღიბეჭდება მოსწავლის შემეცნებაში ძიების, დაკვირვების და აღმოჩნის სურვილი. მოსწავლის სულში დაისადგურებს მზე და მისცემს მის პიროვნებას გაბრნყინების საშუალებას. სწორედ სწავლის მრავალფეროვნება გვიღვიძებს მოტივაციას და სწავლას უფრო მიმზიდველს ხდის. მოსწავლის გონებაში ჩნდება დრო, როდესაც მას შინაგანი მოტივის(ცეცხლის) კონცენტრირება სჭირდება, რათა სწავლის მნიშვნელობა გაიგოს.

საკვანძო სიტყვები: მათეტიკური კონცეფცია; ცოდნის საფეხურები: შემეცნება-შეჩნევა, გაგება-გონითი აღქმა, გამოყენება-მოხმარება; წინსვლთი მოძრაობა; ჭეშმარიტების დამოუკიდებელი ძიება; დამოუკიდებელი საქმიანობა; აღმზრდის ტრაგედია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Winkel, Rainer: Theorie und Praxis der Schule. Oder: Schulreform konkret – im Haus des Lebens und Lernens. Baltmannsweiler: Schneider Verlag Hohengehren 1997.
2. Meskov V. S., Sabanina N. R., THE MATHEMATICS OF JAN AMOS COMENIUS: LEARNING – THEORY OF COGNITION, УДК 16:1(091) ББК 74.03, Наука и Школа № 3., 2017.
3. Spicilegium Didacticum, Artium Difcendi ac Docendi Summam brevibus Preceptis exhibens. e MSStris Cl.J. A.Comenni colleElum editum, a C.V.N. Amstelodami, Typis Christophori Cunradi, 1680., <https://books.google.com>
4. Коменский Ян Амос. Матетика, т. е наука учения.,Перевод с латыни под ред. А. Л. Семенова, 26 апреля 2016, www.bim-bad.ru
5. komenski ian amos., didi didaqtika, Tbilisi, 1949.
6. imedaZe i., fsiqologii istoria, 2014.

IMERI BASILADZE

Proffesor of Akaki Tsereteli State University

ETER GVINERIA

Assoc. Professor of Tbilisi Ivane Javakhishvili State University

JOHN AMOS COMENIUS' (1592-1670) MATHEMATICS AND DIMITRI UZNADZE'S (1886-1950) PEDAGOGICAL CONCEPT

Resume

John Amos Comenius in his book "Spicilegium Didacticum" considers that reliable, fast, and enjoyable learning is a crown of ability to learn. Reliable because the learning outcome- knowledge should not leave space for mistakes, everything must be firmly and securely stored in memory, without spending a lot of time, pleasantly, without hate, without going against the will, to learn not with a sense of burden but with joy.

Uznadze discusses many important issues related to education. According to Uznadze's pedagogical concept "teaching materials, on the one hand, "should be relevant to the current level of student power development; On the other hand, it must be sufficiently away from it: Otherwise, i.e. If it had been perfectly appropriate for the current level of development, how could it become a condition of advancement and raising to a higher level.

John Amos Comenius' views on mathematics in relation to learning and Dimitri Uznadze's pedagogical concept almost coincides with each other and comes with the mutual consent.

Key words: mathematical conception, knowledge levels, cognition, comprehension, application, progressive movement, independent search for the truth, the tragedy of raising.

ლია მენთეშავილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი



ურთიერთობა როგორც პედაგოგიური პროცესი
(სკოლების მაგალითზე)

პედაგოგიური ურთიერთობა არის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სუბიექტთა ურთიერთობის ფორმა, მასწავლებლისა და მოსწავლეების პროფესიული ურთიერთობა გაკვეთილზე და მის გარეთ. მას გარკვეული პედაგოგიური ფუნქციები გააჩნია და მიზნად ისახავს სასურველი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას, ასევე პედაგოგის საქმიანობის დახვენას მოსწავლეებთან და მშობლებთან.

სკოლაში ნებისმიერი საგნის მასწავლებლის უპირველესი მოვალეობაა არა მარტო საგნის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე სწავლება, არამედ მოსწავლეებთან პედაგოგიური თვალსაზრისით სწორად წარმართული ურთიერთობის დამყარებაც. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სწორად შერჩეული პედაგოგიური ურთიერთობის სტილი მნიშვნელოვნად განაპირობებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებს.

სკოლაში არსებობს ორი მთავარი ფიგურა – მასწავლებელი და მოსწავლე. მათი ურთიერთობა გაკვეთილზე, კლასგარეშე მუშაობასა და თავისუფალ დროს გვევლინება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის მეტად მნიშვნელოვან პირობად, მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბების საშუალებად.

პედაგოგიურ საქმიანობაში კომუნიკაბელურობა პედაგოგის აუცილებელ პროფესიულ-პიროვნულ თვისებად გვევლინება. იმისათვის, რომ მასწავლებელმა სწორად წარმართონ მოსწავლეებთან ურთიერთობა, აუცილებელია ისინი ფლობდნენ გარკვეულ ინფორმაციას პედაგოგიური ურთიერთობის არსზე, სახეებზე.

ყოველი საგნის მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ურთიერთობები სხვადასხვა ასაკის ადამიანებს შორის ყოველთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია, უფროსებსა და უმცროსებს განსხვავებული შეხედულებები და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, რაც მათ შორის გაუგებრობისა თუ კონფლიქტის საფუძველი შეიძლება გახდეს.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ლიტერატურის გაცნობამ და თვით მასწავლებელთა მუშაობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლეებთან ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელია:

- ❖ მასწავლებელმა კარგად იცოდეს პედაგოგიკა, პედაგოგიური ფსიქოლოგია, ჰქონდეს პედაგოგიური ნიჭი და შემოქმედებითი მუშაობის უნარი;
- ❖ მასწავლებელს ჰქონდეს ფართო მეცნიერული განათლება, ორგანიზატორული ნიჭი, ფლობდეს პედაგოგიურ ტექნიკას;
- ❖ მასწავლებელი იყოს ობიექტური, ტაქტიკიანი;
- ❖ მასწავლებელი თავისი ზნეობრივი საქციელით, ავტორიტეტით იყოს მისაბაძი და სამაგალითო;
- ❖ მასწავლებელს ჰქონდეს პერცეპციული ნიჭი, გამოირჩეოდეს გულისხმიერებით, ბავშვების სიყვარულით, თავშეკავებულობით.

სწორად ჩამოყალიბებული ურთიერთობა მასწავლებლის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პროფესიული იარაღია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მასწავლებელს მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ანუ პედაგოგიური ურთიერთობის გარკვეული „ბარიერები“ ექმნებათ, განსაკუთრებით კი მათ ვინც იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობაში არსებული დაბრკოლებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური და კომუნიკაციური ასპექტები. თუ პირველი, ფსიქოლოგიური დაკავშირებულია პიროვნულ ფაქტორთან – კონტაქტის დამყარების არცოდნა და უუნარობა, მეორე მასწავლებლის პიროვნული თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

პედაგოგიური ურთიერთობის საშუალებები იყოფა ორ ჯგუფად – ვერბალურად (სიტყვიერი) და არავერბალურად (უესტი, მიმიკა). ამ ორი საშუალების კომპლექსურად გამოყენება უზრუნველყოფს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას. და, პირიქით, ზოგჯერ მხოლოდ ერთი სამეტყველო საშუალების გამოყენება სიძნელეებს წარმოშობს ურთიერთობაში.

ვერბალური ურთიერთობა გულისხმობას არა ემოციური მდგომარეობის გადაცემას, არამედ ინფორმაციის ზეპირ გადაცემას და ინფორმაციის გაცვლას.

ვერბალური ურთიერთობისას არ უნდა იხმაროს მასწავლებელმა ერთი და იგივე გამოთქმები, მეტყველების ფორმა უნდა იყოს მარტივი, გასაგები. ვიდრე მასწავლებელი საუბარს დაინყებს მოსწავლეებთან, აუცილებელია დაალაგოს აზრობრივად თავისი სათქმელი, მკაფიოდ გამოხატოს აზრი, შეძლებისდაგვარად ტონიც იყოს დამაჯერებელი, დამარწმუნებელი. მასწავლებლის სიტყვა უნდა იყოს შინაარსიანი, ზუსტი, ემოციური, მეტყველი და წარმოადგენდეს ვერბალური მეტყველების საუკეთესო ნიმუშს არა მარტო სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, არამედ ბავშვებთან თავისუფალ, კლასგარეშე ურთიერთობის დროს.

მეტყველების სისწრაფე დამოკიდებულია მასწავლებლის ინდივიდუალურ თვისებებზე. მონოტონური მეტყველება ინვევს მონყენილობას, აქვეითებს ყურადღებასა და ინტერესს; მასწავლებლის მეტყველება მოსწავლეს უნდა იზიდავდეს ბუნებრიობით, სამეტყველო ტემპით, სათანადო ტემპით და რიტმით.

მეტყველების კულტურის არსებითი ელემენტია მახვილის სწორად დასმა. ლიტერატურული ნორმებიდან გადახვევით მახვილის დასმა თანამოსაუბრებზე უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს. მახვილის არასწორად დასმით ხშირად იცვლება სიტყვის აზრი.

ინტონაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვერბალური მეტყველებისათვის. ინტონაცია ორი სახისაა: ლოგიკური და ემოციურ-ექსპრესიული. ლოგიკური ინტონაციის მიზანია გამოყოს ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც მეტად მნიშვნელოვანი აზრობრივი დატვირთვა აქვთ წინადადებაში. ემოციურ-ექსპრესიულ ინტონაციას შეუძლია გადმოსცეს თავისი გრძნობები, დამოკიდებულება ადამიანისადმი, მოვლენებისადმი, რომელთა შესახებაც თანამოსაუბრება გვიყვება.

ზოგიერთი მკვლევარ-მეცნიერის აზრით, ურთიერთობის ვერბალური ფორმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არავერბალური, მაგრამ კვლევებით დადასტურებულია, რომ ეს ასე არ არის. პირიქით, არავერბალური ქცევის საფუძველზე საკმაოდ კარგად იხსნება პიროვნების შინაგანი სამყარო.

ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ინფორმაციის გადაცემაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება მიმიკას – სახის კუნთების მოძრაობას, სახისას, რომელსაც ტყუილად არ უწოდებენ სულის სარკეს.

გამოკვლევებით დადასტურებულია ისიც, რომ მასწავლებლის უემოციო, არაფრის-მთქმელი გამომეტყველების სახეზე ინფორმაციის თითქმის 10-15 პროცენტი იკარგება. მიმიკის მთავარი დამახასიათებელია დინამიკურობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადი ემოციური მდგომარეობის – უესტის მიმიკურ გამოსახვაში (სიხარული, გულისწყრომა, გაოცება, შიში, ტანჯვა და ზიზღი) კოორდინირებულია სახის კუნთების ყველა მოძრაობა.

უესტი დიალოგის კუთვნილებაა. ის გამოხატავს გრძნობებს, რომელიც აუცილებელია ადამიანთა ურთიერთობაში. ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემებით, გარკვეული ინფორმაციის 7 პროცენტი ურთიერთობაში გადმოიცემა და გასაგები ხდება სიტყვებით (ვერბალურად), 38 პროცენტი – ინტონაციით და 55 პროცენტი – სახის გამომეტყველებით (უესტი, პოზი).

უესტი უნდა იყოს თავშეკავებული. აუცილებელია იგი აძლიერებდეს საუბრისას ძირითად აზრს ან გრძნობებს. ფუნქციების მიხედვით უესტები იყოფა საჩვენებელ, სიმბოლურ, ექსპრესიულ, ფსიქოლოგიურ უესტებად. უესტში, ისევე როგორც მიმიკაში, მთავარია ბუნებრიობა, უესტიკულაციას არ უნდა ახასიათებდეს უხეში გამოხედვა.

მიმიკასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ვიზუალური კონტაქტი, რომელიც ურთიერთობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილია. ვიზუალური კონტაქტი გარკვეულ განწყობაზე მიუთითებს ურთიერთობისას. შეიძლება ითქვას, რომ თუ მასწავლებელი ნაკლებ

ყურადღებას აქცევს მოსწავლეს, ის ამას გრძნობს უარყოფითი ვიზუალური კონტაქტის მიხედვით და მაშინ მოზარდს უჩნდება საფუძველი იფიქროს, ცუდად ეპყრობა მასწავლებელი, ასევე მასწავლებლის მხრიდან დადებითი დამოკიდებულების შემთხვევაში. მოსწავლე ვიზუალური კონტაქტის საშუალებით ყველაფერს კარგად ხვდება.

ადსანიშნავია ისიც, რომ თვალების მეშვეობით გადაიცემა ყველაზე ზუსტი სიგნალები ადამიანის მდგომარეობის შესახებ, რადგან თვალის გუგების გაფართოება ან დავიწროება ცნობიერების კონტროლს არ ემორჩილება. გასათვალისწინებელია, რომ მზერა მიმართული უნდა იყოს მოსწავლეზე და არა კედლებსა და ფანჯრებზე (ზოგჯერ ასეც ხდება), საჭიროა მასწავლებელს თვალთახედვის არეში ჰყავდეს ყველა ის მოსწავლე, ვისთანაც კი ურთიერთობა აქვს. პედაგოგიური პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეებს შესწევთ იმის უნარი, თანამოსაუბრე მასწავლებლის სახეზე სწორად შენიშნონ ემოციები, გრძნობები. ამიტომაც საჭირო არ არის მასწავლებელმა სახეზე მძაფრად გამოხატოს გრძნობები, მაგრამ არც დამალვაა აუცილებელი.

პედაგოგიკის თეორიაში ცნობილია მრავალი მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებული პედაგოგიური ურთიერთობის რამდენიმე კლასიფიკაცია. მაგალითად, ვ.ა. კან-კალიკის მიხედვით ცნობილია პედაგოგიური ურთიერთობის ხუთი სახე: ა) ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობით გატაცების საფუძველზე აღმოცენებული ურთიერთობა; ბ) მეგობრული განწყობილების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა; გ) დისტანციური ურთიერთობა; დ) დაშინებისათვის გამიზნული ურთიერთობა; ე) პირფერობაზე დამყარებული ურთიერთობა.

ქართველმა მეცნიერებმაც შემოგვთავაზეს თავიანთი შეხედულებები პედაგოგიურ ურთიერთობაზე. შ. ამონაშვილმა, მ. დოლონაძემ და სხვებმა ჩამოყალიბეს პედაგოგიური ურთიერთობის სამი სტილი – ჰუმანურ-დემოკრატიული, ავტორიტარულ-იმპერატიული და ლიბერალური.

ჩვენ მიერ დასახელებული სამივე სტილი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ჰუმანურ-დემოკრატიული სტილისათვის დამახასიათებელია მასწავლებლის სიახლოვე და თანამშრომლობა მოსწავლეებთან. აღნიშნულ სტილს არ ახასიათებს მასწავლებლის მიერ გაცემული მკაცრი ბრძანებების შესრულება, ზედმეტი კონტროლი და მუქარა. ჰუმანურ-დემოკრატიული სტილისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ავტორიტარულ-იმპერატიული სტილი, რომელიც ზოგჯერ კონფლიქტს იწვევს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ის გარკვეულად ზღუდავს მოსწავლეებში დამოუკიდებლობისა და შემოქმედებითი საქმიანობის გამოვლენის უნარს. „ავტორიტარული სტილი საშუალო და უფროს კლასებში პედაგოგსა და მოსწავლეს შორის სერიოზული კონფლიქტის მიზეზიც შეიძლება გახდეს, რადგანაც ეს სტილი, არსებითად, ხელს შეუწყობს „აღზრდის ტრაგედიის“ (დ. უზნაძე) წარმოშობას, თუმცა ავტოკრატ პედაგოგს, როგორც წესი, ეჭვადაც არ მოსდის ეს“ (მალაზონია, 2001:74).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ აქ განხილული ურთიერთობის ორივე სტილი ერთმანეთისაგან განსხვავებულია, საპირისპირო ხასიათისაა, მასწავლებელს მაინც შეუძლია გამოიყენოს ზოგჯერ დასახული მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება განხილული ორი სტილისგან განსხვავებულ მესამე სტილს – ლიბერალურს, სასწავლო-აღმზრდებულობით მუშაობაში სიკეთის მომტანი არ არის. ის ხელს უწყობს პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობის უარყოფას, უდისციპლინობისა და თვითდინების დამკვიდრებას, სტიქიურობას და სკოლაში პედაგოგიური საქმიანობის მთლიანად მოშლას.

იმისათვის, რომ გაგვერკვია რა ხდება სკოლებში პრაქტიკულად, როგორი ურთიერთობაა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, ჩავატარეთ კვლევა. გამოკითხულ იქნა 50 მასწავლებელი და 50 მოსწავლე.

მასწავლებლებისათვის შედგენილ იქნა შემდეგი შინაარსის კითხვარი: 1) ურთიერთობის რომელ სტილს იყენებთ უფრო ხშირად მოსწავლეებთან; 2) თქვენი აზრით, რა ქმნის პრობლემებს მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობაში; 3) მასწავლებელი შეიძლება იყოს თუ არა მიზეზი მოსწავლეებთან არასწორი, არაზომიერი ურთიერთობის; 4) მასწავლებლებთან ნორმალური ურთიერთობისათვის აქვს თუ არა მნიშვნელობა მოსწავლეთა ცოდნის, განათლებისა და აღზრდილობის დონეს.

მასწავლებელთა პასუხების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: დღევანდელი თაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა თაობისაგან. ესენი ბევრად უფრო თავისუფალი, გაძედულები და თამამები არიან. მათთან ურთიერთობაში საკმაოდ სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რათა, ზოგჯერ სულ უბრალო შენიშვნაც კი კონფლიქტში არ გადაიზარდოს, ამიტომ თბილი, გულისხმიერი დამოკიდებულებით უფრო აღწევენ დადებით შედეგებს პედაგოგიური თვალსაზრისით. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობაში პრობლემებს ქმნის ძირითადად მოსწავლეების მხრიდან ზნეობრივად გაუმართლებელი ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენა, რაზეც პედაგოგი რეაგირებს, ეს კი მოსწავლეებში ინვეს უკმაყოფილებას. მასწავლებელთა უმრავლესობამ უარყო აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგჯერ შეიძლება მათი მიზეზით წარმოიშვას პრობლემა მოსწავლეებთან ურთიერთობაში. შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ ეს აზრი ძალიან მკაცრად იქნა გაცხადებული. პედაგოგებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ ნორმალური ურთიერთობისათვის ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ცოდნა-განათლებას და აღზრდილობას; ზრდილობიან, მოაზროვნე და განათლებულ მოსწავლეებთან ურთიერთობა უფრო ადვილია, ვიდრე საპირისპირო თვისებების მოზარდებთან.

მოსწავლეებისთვისაც შედგენილ იქნა სპეციალური კითხვარი, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო: 1) მასწავლებლებთან ურთიერთობაში გაქვთ თუ არა პრობლემები; 2) რა წარმოშობს პრობლემებს თქვენსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობაში; 3) თუ ფიქრობთ, რომ თქვენი საქციელი შეიძლება იყოს მასწავლებლებთან ურთიერთობაში პრობლემების წარმოშობის მიზეზი.

მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხების მიხედვით ნათელი გახდა, რომ ყოველდღე არა, მაგრამ მასწავლებლებთან ურთიერთობაში ზოგჯერ ჩნდება გარკვეული სიძნელეები. პედაგოგებთან ურთიერთობაში პრობლემები შეიძლება წარმოშვას მათვის თუნდაც დამსახურებულად მიცემულმა შენიშვნამ, ცოდნის შემოწმებით უკმაყოფილებამ, რადგან მოსწავლეებს ჰგონიათ, რომ იმაზე დაბალი ქულა დაუწერეს, ვიდრე ეკუთვნოდათ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოსწავლეთა აზრით, მათი ქცევა, მოქმედება არ შეიძლება იყოს მასწავლებლებთან ურთიერთობაში პრობლემების წარმოშობის მიზეზი.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დავრჩნენდით, რომ პედაგოგიური თვალსაზრისით მისაღები ურთიერთობა შეიძლება მაშინ დამყარდეს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, თუ გათვალისწინებულ იქნება: 1) მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები; 2) იმ გარემო პირობების ზეგავლენა, სადაც მოზარდებს უხდებათ ყოფნა, სადაც ხდება მათი პიროვნებად ჩამოყალიბება; 3) გლობალიზაციის, სოციალური ქსელების გავლენა მოზარდებზე; 4) მასწავლებლების მხრიდან გადაჭარბებული ემოციის გამოვლენა, რაც ზოგჯერ მოსწავლეებში გარკვეული სირთულეების წარმოშობის მიზეზი ხდება; 5) მოსწავლეთა შემოქმედებითი ნიჭი (ასეთი ნიჭის ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, მასწავლებელი მათთან ინდივიდუალურად უნდა მუშაობდეს).

როდესაც მოსწავლეებთან ურთიერთობის პრობლემებზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ძნელად აღსაზრდელ ბავშვებზე, რადგან ჩვენს რეალობაში

არსებობენ ასეთი მოზარდები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ბავშვთა ნაწილში ადრეული პერიოდიდან იწყება ქცევის ნორმებიდან გადახვევა სხვადასხვა ფორმით, უფრო ხშირად ეპიზოდურად, მაგრამ ბევრია შემთხვევა, როცა ბავშვის უდისციპლინო მოქმედება ჩვევად იქცევა, რაც გამოიხატება მის სისტემატურ უარყოფით მოქმედებაში. ბავშვთა ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან: ნერვული, თავმიშვებული, ჯიუტი, ზარმაცი ბავშვები, აგრეთვე ლოგოპათები, სე ნესუროპათები, სუსტი, სწავლაში ჩამორჩენილი მეორენდიანი ბავშვები“ (ოკუჯავა, 1991:8). ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან ურთიერთობა საკმაოდ რთულია და მათთან რომ დამყარდეს პედაგოგიური თვალსაზრისით მისაღები ურთიერთობა, მიზანშენონილია მათი მშობლების ჩართვა აღმზრდელობით მუშაობაში.

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში დაკვირვების შედეგად დავასკვნით, რომ სირთულეები ურთიერთობაში ძირითადად მოსწავლეების მხრიდან შეინიშნება, რადგან მათ ზოგჯერ უჭირთ სკოლის მოთხოვნებისადმი შეგუება, მასწავლებლის კრიტიკა ადვილად შეუძლიათ, მაგრამ თავიანთი მოვალეობა და პასუხისმგებლობა სამწუხაროდ ავიწყდებათ, რაც მნიშვნელოვანი მიზეზი ხდება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კონფლიქტის წარმოშობისა.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის არაჯანსალი ურთიერთობის წარმოშობის მიზეზების დადგენის საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს გარკვეული რეკომენდაციები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად პირველ რიგში საჭიროა მოსწავლეებთან ინდივიდუალური საუბრების ჩატარება, რაც მაღალ პედაგოგიურ ოსტატობას, სათანადო ცოდნასა და განათლებას მოითხოვს. თუ ინდივიდუალური მუშაობით სასურველ შედეგს ვერ აღწევს პედაგოგი, მაშინ აუცილებელია მშობლებს შეხვდეს, გამოკითხოს, როგორ იქცევა მათი შვილი სახლში, მშობლებს უჭირთ თუ არა ბავშვებთან ურთიერთობა, რა თვისებებს ავლენს ოჯახის სხვა წევრებთან და ყოველივე ამის გათვალისწინებით წარიმართოს სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობა შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიური ურთიერთობა, მასწავლებელი, მოსწავლე, ვერბალური, არავერბალური.

ლიტერატურა:

1. ბასილაძე იმერი, კოხრეიძე ქეთევანი, 2004: პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი.
2. ვასაძე ნათელა, 2000: პედაგოგიკა, თბილისი.
3. მალაზონია შოთა, 2001: პედაგოგიკა, თბილისი.
4. ოკუჯავა მიხეილი, 1991: ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობის გზები და საშუალებანი, თბილისი.

**LIA MENTESHASHVILI
Tbilisi Teaching University**

INTERRELATION AS PEDAGOGICAL PROBLEM

(At Schools)

Abstract

Pedagogical interrelation is a process of teaching and educational form of interrelation, professional interrelation between a teacher and pupils at the lesson and out-of-class. Means of pedagogical interrelation are divided into two groups – verbal (wordy) and not verbal (gesture, mimicry). Combined using of these two means makes progress in teachers and pupils interrelation.

Georgian scientists formed 3 styles of pedagogical interrelation – humane – democratic, authoritarian – imperative and liberal.

After research we were sure that from the pedagogical point of view between a teacher and pupils normal interrelation can be only then, if we foresee following:

- 1) Age and individual peculiarities of pupils.
- 2) Influence of those conditions, where teenagers have to be, where they are formed as persons.
- 3) Globalization, social webs influence on the teenagers.
- 4) Showing great emotions from the teachers side, sometimes becomes reason of difficulties with their pupils.
- 5) Teacher should check and give marks objectively (sometimes pupils think they were given low marks than they deserve).
- 6) Creative talent of pupils (such pupils need special attention, teacher should work with them individually).

Key words: pedagogical, interrelation, teacher, pupil, verbal, not verbal

ნატო ქობულაძე აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სპეციალური განათლება საჯარო სკოლები

სპეციალური განათლება ეფუძნება მიდგომას, რომლის ცენტრშიც მოსწავლეა თავისი შესაძლებლობებითა და საჭიროებებით და არა კონკრეტული საგანი თუ პროგრამა. ხარისხიანი განათლების მიღება მაშინ არის შესაძლებელი, როცა სწავლების მეთოდები და სტრატეგიები მოსწავლის შესაძლებლოებებსა და საჭიროებებზეა მორგებული და არა პირიქით. შესაბამისად, ის სირთულეები, რომლებსაც ბავშვი სკოლაში განიცდის, სკოლის და, ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზების, სწავლების მეთოდიკის ნაკლად განიხილება და არა მოსწავლის სისუსტედ.

ეს მიდგომა არსებითად განსხვავდება წარსულში არსებული მიდგომისგან, რომლის მიხედვითაც, სპეციალური საჭიროება ინდივიდის "ნაკლოვანებად" ითვლებოდა და პედაგოგთა მთელი ძალისხმევა ასეთი მოსწავლეების რეაბილიტაციაზე – მათი ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და უნარების "აღდგენაზე" იხარჯებოდა. მათი აზრით, ეს საშუალებას აძლევდა მოზარდს, რომ სკოლის გარემოს მორგებოდა და იმ მოთხოვნებისა თუ მიზნებისათვის ეპასუხა, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა უსახავდა. მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამგვარი მიდგომა ადამიანის უფლებების დარღვევაა და თან არაეფექტურია სასწავლო შედეგების მიღწევის თვალსაზრისითაც.

„ინკლუზიური განათლება – გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას.“ (საქართველოს კანონი ზოგადი განთლების შესახებ, <http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni>)

დღეს განათლების სისტემა ცდილობს, სკოლების ორგანიზება და სწავლების სტილი იმგვარად შეცვალოს, რომ აღიაროს მოსწავლეთა ინდივიდუალობა და მათი განსხვავებული საჭიროებები დაკმაყოფილდეს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ინდივიდუალური სასწავლო

გეგმის შემოღება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, კერძოდ, მათვის, ვისაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა არ შეუძლია. სკოლა იღებს ვალდებულებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები(ისგ). ისგ გეგმები ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით იქმნება და მათში სასწავლო მიზნები განსაზღვრულია მოსწავლეების შესაძლებლობებიდან და საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში აუცილებლად მონაწილეობს მოსწავლის მშობელი, კლასის დამრიგებელი და სხვა სპეციალისტები.


ინკლუზიური განათლების ეფექტურად დანერგვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მაღალკვალიფიციური სპეციალური მასწავლებელია. 2010 წელიდან საქართველოს განათლებისა და მიეცნიერების სამინისტროს ინიციატივით დაიწყო სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შემუშავების ხელშეწყობა. 2014 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრმა, სტანდარტზე დაყრდნობით, შეიმუშავა სატრენინგო მოდულები, რომელთა მიხედვითაც მზადდება სპეციალური მასწავლებლები. სტანდარტი არის საფუძველი უნივერსიტეტებისთვისაც, შეიმუშაონ სპეციალური მასწავლებლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა.

სტანდარტში განმარტებულია, თუ რა კომპეტენციები, პროფესიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოეთხოვება სპეციალურ მასწავლებელს. სპეციალური მასწავლებელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობაში, ასევე მისი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში. სპეციალური მასწავლებელი ახდენს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასებას, კონსულტაციას უწევს მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელსა და სხვა სპეციალისტებს, ეხმარება მათ მოზარდის ქცევის მართვაში და ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებაში.

„**სპეციალური მასწავლებელი** არის მასწავლებელი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ შეაფასოს მოსწავლის სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები; განსაზღვროს და განახორციელოს სწავლების შესაბამისი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. კონსულტაცია გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელს/ებს და სხვა სპეციალისტებს მოსწავლის სწავლასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით.“ (სპეცილაური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი-2014.)

დღეს ინკლუზიური განათლების სფეროში ბევრი სირთულეა. საკმაოდ ცოტაა სპეციალური მასწავლებელი და სხვა სპეციალისტი, რომელთაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ცოდნა და გამოცდილება აქვს. დანერგვის პროცესშია სპეციალური მასწავლებლის სტანდარტიც. მცირე რაოდენობით არის ამ სტანდარტის შესაბამისი სპეციალისტები. ყოველივე ეს ნაწილია იმ პრობლემური საკითხებისა, რომელთა გადაჭრა აუცილებლია იმისთვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა შესაძლებელი გახდეს.

წარმოგიდგენთ დღისათვის საქართველოში სპეცილური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სტატისტიკას.



2019 წლისათვის სსსმ მოსწავლეთა ფინანსური მხარდაჭერა საქართველოს საჯარო სკოლებისათვის შემდეგია:

- 1-დან 5 სსსმ მოსწავლე - 500 ლარი თვეში;
- 5-დან 10 სსსმ მოსწავლე - 1000 ლარი თვეში;
- 10-დან 15 სსსმ მოსწავლე - 1500 ლარი თვეში;
- 15 -ზე - 20 სსსმ მოსწავლე - 2000 ლარი თვეში.

1 დან 5 სსსმ მოსწავლის ჩათვლით სკოლას შეუძლია შეარჩიოს სპეციალისტები სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე და გახარჯონ საჭირო ინვენტარსა თუ განმავითარებლებზე სკოლაში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დანრეგვისათვის.

2018 სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებისათვის სპეციალური მასწავლებლის გარდა, ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა სპეციალსიტების ჩართულობა. ეს სპეციალსიტებია: ლოგოპედი, ფიზიკოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, პერსონალური ასისტენტი.

დღეისათვის იმერეთის რეგიონში ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია 300-მდე სკოლა, სადაც სპეციალისტების რაოდენობა მერყეობს 1-დან 4-მდე, სსსმ მოსწავლეთა რაოდენობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. ტენდენცია მზარდია, 2019-2020 სასწავლო წლისათვის 1 კლასში ჩარიცხვისა და საგანმანათლებლო საჭიროებების დადგენის მიზნით იმერეთის რგიონში შემოვიდა მომართვიანობა და შეფასდა 70 სსსმ მოსწავლე, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან საგანმანათლებლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობითა და შესაბამისი სპეციალისტებით.

საქვანძო სიტყვები: სპეციალური განათლება, ინკლუზიური განათლება, სპეციალური მასწავლებელი, სტანდარტი, საგანმანათლებლო საჭიროებები, ხარისხიანი განათლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “ვისწავლოთ ერთად”-ინკლუზიური განათლება, თბილისი, 2014.
2. სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი- 2014 წ.
http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf
3. ინკლუზიური განათლება-www.mes.gov.ge/content.php?id=289&lang=geo
4. www.inclusion.ge

NATO KOBULADZE
Associate Professor
Ac.Tserteli State University

SPECIAL EDUCATION IN PUBLIC SCHOOLS

Abstract

Special education is based on the approach, at the center of which is a student of his own abilities and needs, not a specific subject or program. Quality education can be achieved when teaching methods and strategies are tailored to the student's capabilities and needs, and not vice versa. Consequently, the difficulties that the child is experiencing at school will be considered a blemish of school and general educational system and teaching methodology, and not as a student's weakness.

One of the most important factors in effective implementation of inclusive education is the highly qualified specialty teacher. Since 2010 the Ministry of Education and Science has initiated the development of professional standards for the special teacher. Since 2014, the National Center for Teacher Professional Development has developed training modules based on the standards that are prepared by special teachers. The standard is the foundation for universities, to develop special teacher's undergraduate and graduate programs.

Key words: special education, inclusive education, specialty teacher, standard educational needs, quality education.

КОНСТАНТИН РАМИШВИЛИ
почетный профессор университета Ильи

ТЕХНОЛОГИЯ РЕШЕНИЯ УЧЕБНЫХ ЗАДАЧ

Ключевые слова: современная дидактика в поиске новых технологий обучения; учебная задача как основная единица педагогического процесса; этапы освоения технологии решения учебных задач; классификация педагогических ситуаций и учебных задач; технологические процедуры решения учебных задач.

Современная дидактика, как важнейшая отрасль педагогики, не только изучает и раскрывает теоретические основы организации процесса обучения, но и осуществляет поиск и разработку новых технологий, методик и систем обучения. Как результат - появление разнообразных моделей обучения и разноплановых образовательных технологий

В мировом образовательном пространстве получили распространение традиционная модель обучения (Ж. Мажо, Ж. Капель, Ч. Финн и др); рационалистическая модель образования (П. Блум, Р. Ганье, Б. Скинер и др.); феноменологическая модель образования (А. Маслоу, К. Роджерс, А. Коме и др); неинституциональная модель образования (П. Гудман, Дж. Холт, Л. Бернар и др.); модель развивающего обучения (В. Давыдов, Д. Эльконин и др.).

Активно применяются в образовательной практике информационные, социальные, коммуникативные и другие виды технологий. Любая из них, как проект действий субъектов образовательной среды, строится на какой-то теоретической основе (концепции, подходе). Своеобразие технологического подхода состоит в том, что он дает не только описательную или теоретическую, но и конструктивную, предписывающую схему организуемого процесса обучения.

Знакомство с исследованиями в сфере образовательных технологий (В. Беспалько, В. Гузеев, М. Кларин, Г. Селевко, В. Чернилевский и др.), показывает, что современное понимание

образовательной технологии включает поиски способов оптимального повышения педагогических результатов путем анализа, отбора, конструирования и контроля всех компонентов и взаимосвязей управления процессом обучения [4].

Отметим, что применение системного подхода к образовательным технологиям неоднозначно: одни педагоги видят в образовательной технологии средство дифференциации обучения, другие привлекают в них возможность повышения эффективности обучения, снижение затрат учебного времени, использование надежных технологий в целях подведения всех учащихся к единственному, заранее запланированному уровню обучения требуемыми знаниями, новыками, уменьями.

Образовательной технологии определенным образом противостоит педагогическая теория. Но как справедливо отмечает В. Пятин, равенства здесь нет. Педагогическая теория носит более общий характер, содержит обоснование. Образовательная же технология всегда конкретна, инструментирована [7]. Сегодня трудно представить учебные заведения, где бы не нашли свое применение, такие образовательные технологии как технология проблемного обучения, технология модульного обучения, технология концентрированного обучения, технология уровневой дифференциации, технология индивидуального обучения и многие другие.

Н. Бордовская и А. Реан считают, что структурно-логические или заданные технологии обучения представляют собой поэтапную организацию постановки дидактических задач, выбора способов их решения, диагностики и оценки полученных результатов [1].

Логика структурирования дидактических задач может быть разной: от простого к сложному, от теоретического к практическому и наоборот [2].

Не следует забывать, что педагогическая система динамична, непрерывно изменяются все ее элементы и связи между ними. Отсюда возникновение совокупности условий и обстоятельств, в которых педагог обнаруживает необходимость осуществления новых педагогических воздействий и делает это.

В педагогической системе можно выделить взаимосвязанную цель педагогических ситуаций, в которых возникают педагогические задачи. Как правило, отмечают видные дидакты (Л. Спирина, Л. Кондрашова, Н. Кузьмина, В. Поташник и др.), в даже в простых педагогических ситуациях содержится несколько учебно-воспитательных задач. Отсюда делается вывод: под учебно-воспитательной задачей подразумевается педагогическая ситуация. Педагогическая задача возникает тогда, считает Л. Спирина [6], когда возможно не одно решение, требуется нахождение предпочтительного способа достижения желаемого результата.

Сегодня большинство ученых в сфере образования рассматривают образовательный процесс как определенную последовательность решения учебных задач. Такой подход к осмыслению образовательного процесса позволяет четко представить пути решения множества педагогических проблем.

Согласно выводам ученых-педагогов (В. Сластенин, И. Исаев, А. Мищенко, Е. Шиянов и др.) учебная задача должна удовлетворять следующим условиям:

- обладать всем осуществленными признаками учебного процесса;
- являться общей при реализации любых педагогических целей;
- наблюдаваться при выделении путем абстрагирования в любом реальном процессе [3].

Поскольку педагогическая деятельность в рамках любой образовательной системы имеет задачную структуру, т.е. может быть представлена как взаимосвязанная последовательность решения бесчисленного множества задач разного уровня сложности, а учащиеся, в свою очередь, включены в их решения, так как взаимодействуют с педагогами, то и с этой точки зрения единицей образовательного процесса является педагогическая ситуация, характеризующаяся взаимодействием педагогов с учащимися с определенной целью: Таким образом, движение образовательного процесса, его «моменты» должны прослеживаться при переходе от решения одной задачи к другой.

Из вышеуказанного следует вывод: успешность педагогической деятельности учителя напрямую зависит от его умения решать педагогические ситуации и учебные задачи. Овладение технологией решения учебных задач - важнейший аспект профессионального мастерства педагога.

Для успешного решения учебных задач педагогу необходимо освоить следующий алгоритм, который включает в себя последовательный ряд этапов:

- первый этап - знакомство с сущностью учебных задач;
- второй этап - классификация учебных задач;
- третий этап - обработка технологической процедуры решения учебных задач;
- четвертый этап - использование известных схем решения учебных задач [6].

На первом этапе учитель учится выделять педагогическую задачу в учебном процессе. На втором этапе он пытается определить тип конкретной ситуации (задачи). Следующий этап предполагает отработку учителем последовательности технологических процедур решения учебной задачи. Четвертый этап служит совершенствованию умений, необходимых для адекватного решения учебных задач.

Далее приводится основная информация, необходимая для самостоятельного изучения технологии решения учебных задач. Эти сведения являются содержательной базой технологии и распределены в соответствии с этапами ее освоения педагогом.

Для того, чтобы овладеть технологией решения педагогических ситуаций и задач, необходимо разобраться с их классификацией и выделить их основные типы. Для этого стоит использовать основания, предложенные В. Сластениным. В дидактических целях педагогические ситуации подразделяются:

- по месту возникновения (ситуации в семье, в школе, во внешкольных учреждениях);
- по сущности педагогического процесса (ситуации дидактические, учебно-воспитательные);
- по взаимодействующим в ситуациях субъектам и объектам воспитания («учитель-класс», «родители-дети», «учитель-ученик»);
- по заложенным в ситуации воспитательным перспективам (стратегические, тактические, оперативные).

В соответствии с характером анализируемых ситуаций В. Сластениным классифицируются и учебные задачи:

- задачи, выполняющие функцию формирования методологии и овладения теоретическими знаниями;
- задачи, выполняющие функцию формирования профессионально-педагогических умений;
- задачи, выполняющие функцию овладения практическими знаниями, нормами, правилами и спецификой учебно-воспитательной техники (инструментовки);
- задачи, выполняющие функцию оперативного мышления [5].

Приведенная здесь классификация педагогических задач, конечно не исчерпывает всех возможных подходов, однако и в таком виде она дает достаточное представление о многообразии и полифункциональности ситуативных задач в педагогике.

В отношении педагогической ситуации с описанием принятых педагогом решений следует придерживаться следующей схеме:

Первый блок. Анализ поставленной задачи.

содержание: Диагностика объекта воспитания. Целеполагание. проблемность задачи.

Второй блок. Анализ программирования педагогических действий.

Содержание: Выбор способов решения задачи. Программирование действий обучающихся.

Программирование педагогической информации.

Третий блок: Анализ педагогических действий.

Содержание: Действия педагога. Действия обучающихся. Оценка педагогических действий.

Четвертый блок. Диагностика профессионального развития педагога.

Содержание: Нравственные качества педагога. Интеллектуальные качества педагога. Задачи профессионального совершенствования [7].

Анализ педагогических ситуаций и учебных задач с успешной деятельностью педагога дает положительные примеры решения учебно-воспитательных проблем.

Итак: педагогическая ситуация, соотнесенная с целью деятельности и условиями ее осуществления, и есть учебная задача. Овладение технологией решения учебных задач включает знакомство педагога с сущностью педагогических ситуаций, видами ситуаций и задач, технологическими процедурами решения их, а также практическим использованием данной технологии.

საკვანძო სიტყვები: образовательные технологии, педагогический процесс, учебные цели, педагогическая ситуация, этапы освоения, технологическое решение.

Л и т е р а т у р а:

1. Бордовская Н.В., Реан А.А. Педагогика. м., 2009.
2. Кондрашова Л.В. Сборник педагогических задач. м., 1987.
3. Монахов В.М. Теоретические основы проектирования и конструирования учебного процесса. Волгоград, 1995.
4. Селевко Г.К. Современные образовательные технологии. м., 1998.
5. Сластенин В.А. Педагогика. м., 1997.
6. Спирин Л.Ф. Теория и технология решения педагогических задач. м., 1997.
7. Технология решения частных педагогических задач. Астрахань, 1999.

კონსტანტინე რამიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო
პროფესორი

სასწავლო ამოცანების გადაწყვეტის ტექნოლოგია

რეზიუმე

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროს კვლევებისას ავტორი აანალიზებს სასწავლო პროცესის ტექნოლოგიის არსეს, სასწავლო ამოცანას განიხილავს როგორც პედაგოგიური პროცესის ძირითად ერთეულს, კლასიფიკაციას უკეთებს პედაგოგიურ სიტუაციებსა და სასწავლო ამოცანებს, გამოყოფს სასწავლო ამოცანების ათვისების ეტაპებს და მათ ტექნოლოგიურ გადაწყვეტას.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო ტექნოლოგია, პედაგოგიური პროცესი, სასწავლო ამოცანა, პედაგოგიური სიტუაცია, ათვისების ეტაპები, ტექნოლოგიური გადაწყვეტა.

KONSTANTINE RAMISHVILI
Emiritus Professor at Ilia State University

TECHNOLOGY OF DECISIONS OF EDUCATIONAL TASKS

Summary

Basing on achievements of psycho-pedagogical science investigation in the field of educational technology, the author discusses the analysis of essence, considers educational task as main unit of pedagogical process, classifies pedagogical situations and educational tasks, and distinguishes stages mastering technological decisions of educational tasks.

Key words: education technology, pedagogical process, academic goals, pedagogical situation, acquisition phases, technological solution.

**დავით გახაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

**გივი ეზიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ -პროფესორი**

მასნავლებლის გამოქმადებითი საქმიანობა და მისი განვითარება

სამეცნიერო კვლევებში მასნავლებლის პროფესიული საქმიანობა ცალსახად არის მიჩნეული შემოქმედებით საქმიანობად და იგი განიხილება, როგორც საკმაოდ რთული შრომა. მისი სირთულე გამოიხატება კომპონენტთა მრავალფეროვნებაში, ასევე ამ კომპონენტებსა და გარე სამყაროს შორის ურთიერთყავშირში. მასნავლებლის საქმიანობა პირდაპირ კავშირშია შემოქმედებასთან. პრაქტიკულად, თითოეული გაკვეთილის ჩატარებისას სასწავლო მასალის შინაარსშიც და სწავლების მეთოდიკაშიც რაღაც იცვლება. ყველა გაკვეთილი ყოველ ჯერზე გამოდის ახალი.

მასნავლებელი ხდება თავისი საქმის ოსტატი, პროფესიონალი იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ითვისებს და ავითარებს პედაგოგიურ საქმიანობას, ეუფლება პედაგოგიურ კაპიტალს, აღიარებს პედაგოგიურ ფასეულობებს. შემოქმედებითი პიროვნების თვისებებია რისკებისადმი მზადყოფნა, დამოუკიდებელი აზროვნება, იმპულსურობა, შემეცნებითობა, კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებლობა, წარმოსახვისა და აზროვნების სიმამაცე. აღნიშნული თვისებები ნამდვილად ასახავენ თავისუფალ, დამოუკიდებელ და აქტიურ პიროვნებას.

თანამედროვე ლიტერატურაში „შემოქმედებითი პიროვნება“ არის პიროვნების ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცე, მაღალი დონის მიმართულება შემოქმედებისაკენ, სამოტივაციო და შემოქმედებითი აქტიურობა, რომელიც ვლინდება მაღალი შემოქმედებითი უნარის მქონე ორგანულ ერთიანობაში, და რომლის საშუალებითაც მიიღწევა, სოციალურად და პროგრესულად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი შედეგები ერთი ან რამოდენიმე სახის საქმიანობაში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პიროვნული მიდგომა პიროვნების ფორმირების თავისებურებების მიმართ. პიროვნული მიდგომა ითვალისწინებს, რომ ამის განხორციელება შეუძლია მხოლოდ იმ პედაგოგს, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი პიროვნება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია აღსაზრდელში დაინახოს პიროვნება, გაუგოს მას და შევიდეს მასთან დიალოგში და მოახდინოს ინტელექტუალური, ემოციური და სოციალური ფასეულობების გაცვლა. ამ ყველაფრის წყალობით იგი ეხმარება აღსაზრდელის პიროვნებას და ავითარებს საკუთარ თავს, როგორც პიროვნებას.

შემოქმედებითი საქმიანობა მასნავლებლისაგან მოითხოვს საკმაოდ მაღალი დონის აქტიურობას, საკუთარი ქცევის მართვის უნარს სპეციალურად დასახული პედაგოგიური ამოცანების შესაბამისად. თვითრეგულირება ასახავს მასნავლებლის ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორებიცაა ინიციატიურობა, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა. ყველა სხვა შემოქმედებითი საქმიანობა ადგილს უთმობს პედაგოგიურ შემოქმედებას, იმიტომ რომ პედაგოგიური საქმიანობის პროცესში ხდება პიროვნების „ფორმირება“ და „ჩამოყალიბება“.

პროფესიული და პედაგოგიური კულტურის პიროვნული და შემოქმედებითი კომპონენტი ხსნის მისი დაუფლებისა და განსახიერების მექანიზმს, როგორც შემოქმედებით აქტის. პედაგოგის მიერ პედაგოგიური ფასეულობების შეძენა შემოქმედებით დონეზე ხდება.

პედაგოგიური კულტურის ფასეულობების დაუფლებისას პიროვნებას შეუძლია მათი გარდაქმნა და ინტერპეტაცია, რაც განისაზღვრება, როგორც მასწავლებლის პიროვნული თავისებურებებით, ისე მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ხასიათით.

აშკარაა, რომ პედაგოგიური კულტურა წარმოადგენს პიროვნების პედაგოგიური უნარის რეალიზაციას და შემოქმედებით სფეროს. პედაგოგიურ ფასეულობებში პიროვნება სუბიექტურს ხდის საკუთარ ძალებს და შუამდგომლობს ზნეობრივი, ესთეტური, სამართლებრივი და სხვა ურთიერთობების მითვისების პროცესს. ანუ პიროვნება მოქმედებს სხვაზე, თავის თავს წარმოაჩენს შემოქმედებითად, განსაზღვრავს საკუთარ განვითარებას და საქმიანობას.

მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში შემოქმედებისათვის მომზადების ამოცანების გადაჭრის ეფექტურობის განმსაზღვრელი პირობებია შემეცნებითი პროცესის ელემენტების სრულყოფილების უზრუნველყოფა, მათი შესაბამისობა სტუდენტთა პროფესიულ-მეთოდოლოგიურ, პროფესიულ და კვლევით საქმიანობასთან. მასწავლებლის პროფესიული და მეთოდოლოგიური მომზადება მისი შემოქმედებითი საქმიანობისათვის გულისხმობს ამ მიდგომების წამყვანი და დამატებითი იდეების რეალიზებას:

- მოსწავლეთა აქტიურობისა და დამოუკიდებლობის პრიორიტეტული განვითარება სტუდენტთა დამოუკიდებელი სამუშაოს მეთოდების გამოყენებით;

- მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის ადეკვატური სასწავლო საქმიანობის ორგანიზება შესაბამისი სასწავლო მასალისა და საორგანიზაციო ფორმის შერჩევის ხარჯზე;

- სამოტივაციო სფეროს განვითარება, რომელიც განსაზღვრავს მომავალი მასწავლებლის პიროვნების პროფესიულ და შემოქმედებით მიმართულებას.

ამ იდეების განხორციელების ძირითადი პირობებია იმ სასწავლო დაწესებულებების სისტემების შემუშავება, რომელთა საშუალებით სტუდენტები ერთვებიან პროდუქტულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რომელიც არის მასწავლებლის შემოქმდებითი პროფესიული საქმიანობის მოდელი და უზრუნველყოფს სწავლების დიფერენციაციას და ინდივიდუალიზმს.

მასწავლებლის შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი წარმოადგენს სისტემურ, ინტეგრირებულ პიროვნულ განათლებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ინტელექტუალური, სამოტივაციო, ემოციური, პროფესიული თვისებების ერთობლიობას. ასეთი განათლება იქმნება და ვითარდება სუბიექტისა და ადამიანის საქმიანობის სპეციფიური შემოქმედებითი ფორმების ურთიერთქმედებით. გარდა ამისა, პედაგოგის შემოქმედებითი ინდივიდუალობა გამოვლინდება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უნიკალური, ორიგინალური გზით, რაც გულისხმობს პედაგოგის პიროვნების გარდაქმნას და მისი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას. კატეგორია „პოტენციალი“ შედის ზოგადსამეცნიერო ცნებათა რიცხვში, რომელთა მეთოდოლოგიური მნიშვნელობა მეტად მნიშვნელოვანია პედაგოგიკისათვის. პოტენციალის პედაგოგიური ფუნქციის რეალიზება ხდება პიროვნების შემოქმდებით საქმიანობაში, რაც ხდება საკუთარი ცხოველმოქმედების შემოქმედებითი გარდაქმნის საფუძველი. ტერმინი „შემოქმედებითი პოტენციალი“ ხშირად განსაზღვრავს ცნებებს „შემოქმედებითი პიროვნება“, „კრეატიული პიროვნება“ „ნიჭი“. ამავე დროს ამ თვისებებს მრავალი მკვლევარი განიხილავს, როგორც ერთ მთლიანს.

მასწავლებლის პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალი წარმოადგენს შემოქმედებითი საქმიანობის აუცილებელ წინაპირობას, ის ხელს უწყობს პიროვნებას წარმოაჩინოს საკუთარი თავი არა მხოლოდ სიტუაციის გარკვევის მიხედვით, არამედ ურთიერთსაწინააღმდეგო, მდგომარეობისა და ცხოვრების წესის გარდაქმნის მიხედვით.

პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის განსაზღვრა შემდეგნაირადაა შესაძლებელი: ეს არის პიროვნული უნარის სისტემა, რომლის დახმარებით ახალი პირობების შესაბამისად

ოპტიმალურად იცვლება ქმედებები, ასევე ცოდნა, უნარ-ჩვევები, რწმენა, რაც განსაზღვრავს საქმიანობის შედეგს (სიახლეს, ორიგინალურობას, სუბიექტის მიდგომათა უნიკალურობას საქმიანობის განხორციელების მიმართ) და უბიძგებს პიროვნებას შემოქმდებითი თვითგანვითარებისაკენ.

პედაგოგის შემოქმედებითი პოტენციალის სტრუქტურა განიხილება, როგორც შემდეგი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა:

-საკუთარი პოტენციალი (ინდივიდუალური ფსიქიკური პროცესები, უნარი);

-მოტივაცია (რწმენა, სოციალურ-ფსიქოლოგიური შეხედულება ინდივიდის არსებით ძალებზე - მოთხოვნები, ფასეული ორიენტაცია, მოტივები);

-კოგნიტური უნარი (მისი შეძენა ხდება განათლების შედეგად. შემეცნებითი საქმიანობის გამოცდილება, ცოდნის, უნარ-ჩვევების, თვითაქტუალიზაციის ხერხების სოციალიზაციის პროცესში ჩართულობა).

შესაბამისად, პედაგოგის შემეცნებითი პოტენციალი მოიცავს არა მხოლოდ პიროვნების ბუნებრივ რესურსებსა და რეზერვებს, არამედ იმ რესურსებსაც, რომელთა ფორმირებაც ინდივიდისათვის სოციალიზაციისა და უწყვეტი განათლების შედეგად ხდება.

პედაგოგის შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი შეიძლება მცირე ან დიდი დოზით გამოვლინდეს და, შესაბამისად, ასახოს მისი ფორმირების სხვადასხვა ეტაპები:

I ეტაპი ასახავს ინტერესს, პიროვნების პროფესიულ-პედაგოგიურ საქმიანობაზე მკვეთრად გამოხატული მიმართულებით. თუმცა პედაგოგის შემოქმედებას ამ დონეზე ჯერ კიდევ ჩამოყალიბების დონეზეა, აღნიშნული ეტაპი აღსანიშნავია იმით, რომ პედაგოგის მიერ უკვე ხდება განსაზღვრული ცოდნის დაგროვება, რაც წარმოადგენს საკუთარი საქმიანობისა და პიროვნების შემდგომი სრულყოფის საფუძველს.

II ეტაპი ასახავს მიმბაძველობითი აქტივობის განვითარებას და დაკავშირებულია შემოქმედებითი დონის ამაღლებასთან, პროფესიული მეთოდების, საშუალებების, ხერხების ინტენსიურ შემოქმედებით დაუფლებასთან. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი ხდება საქმიანობის განხორციელება და დაგროვილი ცოდნის პედაგოგიური ზემოქმედების საშუალებებისა და ნაცნობი მეთოდების გამოყენება. ამიტომ აღნიშნულ ეტაპზე პედაგოგის საქმიანობას შეიძლება ვუწოდოთ შემოქმედებითი მიმბაძველობა.

III ეტაპი - ამ დროს მიბაძვითი ელემენტების თანდათანობითი შემცირებით, მაგრამ ამავე დროს, საინიციატოვო ქმედებებისა და შეთანხმებების გაზრდით ხდება პედაგოგის შემოქმედების დახვენა. აღნიშნულ ეტაპზე პედაგოგის საქმიანობა ასახავს პედაგოგიური ტექნოლოგიების ცოდნას, პრაქტიკაში ახალი ელემენტების გამოყენებას. ეს კი პედაგოგის საქმიანობას იდეალურს ხდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ეტაპი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პიროვნების პირველი მნიშვნელოვანი მიღწევების ეტაპი.

IV ეტაპი - ასახავს გადასვლას მიმბაძველობიდან დამოუკიდებელ შემოქმედებაზე. პედაგოგის საქმიანობას თან ახლავს პედაგოგის ნიმუშის იდენტიფიკაციისაგან განთავისუფლება, მიმბაძველობითი ქმედებების მკვეთრი შემცირება, ხოლო შემოქმედებითი ქმედებების ზრდა. იგი ასახავს მაღალ, მყარ, შემოქმედებით პროფესიულობას, რაც გულისხმობს საკუთარი პროგრამებისა და პედაგოგიური მეთოდების შემუშავებას, ახალ იდეებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პედაგოგმა მოიპოვა დამოუკიდებელი შემოქმედებითი „მე“.

V ეტაპი - ასახავს პიროვნების მაღალ პროფესიულ-შემოქმედებით აქტივობას, მოღვაწეობის ინდივიდუალური შემოქმედებითი სტილის არსებობას, ეს ხელს უწყობს შემოქმედებითი ჯგუფების შექმნას, მოაზროვნე და შემოქმედებითი თაობის აღზრდას, რომელიც შეძლებს საკუთარი ყოფის არასტანდარტული ამოცანების გადაჭრას

შემოქმედებით ინდივიდუალობას გამოცდილებისა და ოსტატობის გარეშე არ გააჩნია საყრდენი და რეალიზების საშუალებები. იგი შეიძლება ჩაქრეს თვითდაუკმაყოფილებლობის გავლენის ქვეშ. ამის შედეგია დაბალი თვითშეფასება, პედაგოგიური „მე“-ს და პედაგოგიური „მე-კონცეფცია“-ს შორის დამოკიდებულება. იწყება თვითრეალიზაციისათვის სხვა დარგის ძიება.

ამგვარად, იმისათვის, რომ მოხდეს ინდივიდუალიზმის წარმოჩენა, იგი:

-პირველ რიგში გააზრებული უნდა იყოს თვითონ პიროვნების მიერ;

-მეორე, აუცილებელია ის საშუალებები, რომელთა დახმარებით ხდება საკუთარი ინდივიდუალიზმის წარმოჩენა;

-მესამე, აუცილებელია ის პირობები, რომლებშიც შესაძლებელია ასეთი ინდივიდუალიზმის წარმოჩენა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეჯამების თვალსაზრისით შეიძლება დავასკვნათ, რომ უმაღლესი სკოლის მასწავლებლის შემოქმედებითი საქმიანობა და მისი განვითარება, იქნება ეს წარმატებული თუ წარუმატებელი, პედაგოგის პიროვნებაზეა დამოკიდებული.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტი, მასწავლებელი, კვლევა, განვითარება, უმაღლესი სკოლა, მეთოდოდლოგია, ტექნოლოგია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ., 2012; 2014;
2. ბასილაძე ი, აბზიანიძე ლ., გაკვეთილი, როგორც პედაგოგიური ფენომენი, ქუთაისი, 2009;
3. ბასილაძე ი. კოხრეიძე ქ., (2004): პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი.
4. განვითარებისა და სწავლის თეორიები №1, თბ., 2008;
5. განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ცენტრი, თბ., 2008; 2011;
6. ეფექტიანი სწავლება-თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი(კვლევის დეპარტამენტი)
7. მასწავლებლის პროფესიული განვითარება, პედაგოგიკის საკითხები, თბ., 2013;
8. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, პრაქტიკული სახელმძღვანელო ტრენირებისათვის, თბ., 2012;
9. რობერტ ჯ.მარზანო „კლასის მართვა“, კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის. 2009 წ.
10. ჯინჯიხაძე გ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, „უნივერსალი“, 2012.
11. ანдреев А.А. Педагогика высшей школы, М., 2003;
12. ედმუნდ ტ. ემერი, კაროლინ მ.ევერტსონი, „კლასის მართვა“, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისათვის.

CREATIVE WORK AND DEVELOPMENT OF A TEACHER OF HIGH SCHOOL

Abstract

In scientific researches professional work of a teacher is unambiguously considered as a creative work and is discussed as quite a difficult job. Its difficulty is expressed in the diversity of components as well as in the interaction between these components and the world. The work of a teacher is in direct connection with the creative work.

Creative work requires quite a high level activity from a teacher and the ability to manage own behavior in accordance with specially outlined pedagogical problems. In teacher's professional work determinant conditions to prepare for creative work is ensuring the elements of creative processes and their accordance with students' professional-methodological, professional and research work.

Summing up everything mentioned above, we can conclude that the personality of a teacher takes the leading role in creative work and development of a teacher of high school whether it is successful or unsuccessful.

Key words: teacher, research, development, high school, methodological, student, technology

გელა ცავავა
აკადემიური დოქტორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ასოცირებული პროფესორი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

თროველ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვა ოპუზირებულ აფხაზეთში

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია არა მხოლოდ უკანონო მავთულხლართების გავლებით ცდილობს კონტაქტის ნებისმიერი მცდელობის აღკვეთას ქართველებსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ ადამიანებს შორის, არამედ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვითაც. როგორც ცნობილია, ენა თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ მექანიზმს წარმოადგენს. შესაბამისად, ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, იდენტობის მახასიათებლების გაქრობის მცდელობაა.

1992-1993 წლების სამხედრო მოქმედებებამდე, ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე 58 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებდა, სადაც 13180 მოსწავლეს 1638 მასწავლებელი ემსახურებოდა. ომის შემდეგ სპონტანურად დაბრუნებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ, საკუთარი ინიციატივით, 31 სკოლაში მოახერხა სასწავლო პროცესის აღდგენა.

საგულისმოა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ოკუპირებული გალის რაიონის 20 სკოლა მთლიანად რუსულ სწავლებაზე გადაიყვანეს. აღნიშნულ სკოლებში, ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვა 1995 წელს დაიწყო და 2008 წლის შემდეგ ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე თანდათან 20 სკოლის ტრანსფორმირება განხორციელდა და მათ რუსული სკოლის სტატუსი მიენიჭა. დანარჩენ 11 სკოლაში კი, როგორც უკვე აღინიშნა 2015-2016 სასწავლო წლიდან, სწავლება რუსულად გადაკეთდა [1].

როგორც ზევით აღინიშნა, ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებში, ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვა 1995 წელს დაიწყო და ეტაპობრივად განხორციელდა. ოკუპირებული რაიონის ნამდვილ (ომამდელ) საზღვრებში [3] შემავალი სოფლების 11 სკოლაში ერთდროულად აკრძალეს ქართულ ენაზე სწავლება, ხოლო ოკუპირებული გალის რაიონის ე. წ. ზედა ზონის 9 სკოლაში, „პირველი კლასის პრინციპი“ (ყოველი პირველი კლასის მიერ რუსულ ენაზე დაწყება) შემოიღეს [5]. ამ უკანასკნელში, რუსულ სწავლებაზე გადასვლის პროცესი 2004-2005 წლებში დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ სურვილის მიუხედავად [4, 5] აფხაზები ოკუპირებული გალის რაიონის ე. წ. ქვედა ზონის სკოლებში სწავლების პროცესის რუსულ ენაზე გადაყვანას აქამდე ვერ ახერხებდნენ, რაშიც მათ რესურსების უკმარისობა და უსაფრთხოების მყიფე პირობები უშლიდა ხელს. 1-ლიდან მე-4 კლასის ჩათვლით ყველა საგანი მთლიანად რუსულ ენაზე ისწავლება და ქართულ ენას გამოეყოფა მხოლოდ 3 საათი. 5-7 კლასებში სწავლა ნახევრად რუსულად და ნახევრად ქართულადაა. 8-11 კლასებში საგნები მთლიანად რუსულად ისწავლება და ქართული ენას 2 საათი აქვს დათმობილი - ერთი ენას და ერთი ლიტერატურას.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო განათლების მინისტრის მოადგილემ დიმიტრი გვარამიამ სააგენტო „სპუტნიკ“-თან საუბრისას განაცხადა, რომ 2-3 წელიწადში ოკუპირებული გალის დაბალი ზონის ყველა სკოლა აფხაზურ საგანმანათლებლო სისტემაზე გადავა.

გვარამიას ინფორმაციით, პირველ ეტაპზე ცვლილებები თერთმეტივე სკოლის სასწავლო პროგრამაში შევა [1]. მიზეზად მან დაასახელა ის, რომ აქამდე ოკუპირებული გალის დაბალის ზონის სკოლებში საქართველოს განათლების სამინისტროს სასწავლო პროგრამა მოქმედებდა, ვრცელდებოდა ქართული იდეოლოგია, რაც მისი აზრით საფრთხეს უქმნის მათ „სახელმწიფოს“ და ასევე რის გამოც „ბავშვები მკაფიოდ იყვნენ ორიენტირებული განათლების საქართველოში მიღებაზე“.

ამგვარი დისკრიმინაციული პოლიტიკა მძიმე მდგომარეობაში აყენებს ოკუპირებული გალის ადგილობრივ მაცხოვრებლებს. როგორც ოკუპირებული გალის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი ნონა შონია აცხადებს, ე. წ. აფხაზური ადმინისტრაციის „გადაწყვეტილებით“, ვითარება ძალიან შეიცვალა, რამაც ხარისხიანი განათლების მიღება გაართულა და მასწავლებლებისა და მოსწავლეების უფლებები შელახა. ის აღნიშნავს, რომ საგნების იძულებით რუსულად სწავლებამ მოსწავლეების აკადემიურ ხარისხზეც ძალიან ნეგატიურად იმოქმედა „საგნების ახსნა მასწავლებლებსაც უჭირთ ენის არასრულფასოვნად ფლობის გამო და გაკვეთილის გაგება უჭირთ მოსწავლეებსაც. ამიტომ, მასწავლებლები საკუთარი სამსახურისა და სიცოცხლის ფასად ცდილობენ ბავშვებს საგნები ქართულად, ქართული წიგნებით, მალულად ასწავლონ“ [1].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ე. წ. აფხაზური კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები განათლების მშობლიურ ენაზე მიღებასთან დაკავშირებით, მეტნაკლებად უზრუნველყოფილია ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის.

აფხაზების მიერ, 2011 წელს ჩატარებული ე. წ. სტატისტიკური აღწერის მონაცემებით, ეთნიკური ქართველების რაოდენობა 46000, ხოლო სომხების 42000-ია. მოსახლეობის რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, სომხურენოვანი სკოლების რაოდენობა სამჯერ აღემატებოდა ქართულენოვანი სკოლების რაოდენობას. სომხურენოვანი სკოლების შემთხვევა აბათილებს აფხაზური და რუსული მხარის არგუმენტებს და ცხადყოფს, რომ ქართველები, ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან [2].

ფაქტია, რომ გაძლიერებულ ე. წ. რუსიფიკაციის პოლიტიკას რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე წინააღმდეგობას ვერავინ და ვერაფერი უწევს. თუმცა, ადგილზე კვალი-ფიციური განათლების ხელმისაწვდომობის არარსებობა თვისობრივად აისახება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ხარისხზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ოკუპირებული გალის ქვედა ზონის 11 სკოლაში ქართულად სწავლება ადრეც იდევნებოდა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობისა და მასწავლებლების დიდი ძალისხმევით მაინც ხერხდებოდა (ლიად თუ ფარულად) ქართული საგანმანათლებლო პროგრამების შენარჩუნება.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კი საკმაოდ ადვილია გამოვიტანოთ დასკვნები იმის შესახებ, რომ „აფხაზური მხარის“ მიზანი ოკუპირებული გალის ადგილობრივი მოსახლეობის გარუსულენოვნებაა. განსაკუთრებული საშიშროების წინაშე კი ამ მხრივ მოსწავლეები არიან.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონების სკოლებსა და საბავშვო ბალებში 2008 წლიდან მთლიანად აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება, ქართული სახელმძღვანელოების გამოყენება, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა. სასკოლო ატესტატებში მოსწავლეებს მშობლიურ ენად უწერენ არა ქართულს ან აფხაზურს, არამედ რუსულ ენას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების სურვილს ჩამოაშოროს ოკუპირებული გალის მოსახლეობა ქართულ მხარეს და ცენტრალურ ხელისუფლებას ადგილზე მოქმედების და ამ რეგიონზე გავლენის მოხდენის ბერკეტები შეუზღუდოს.

ვფიქრობთ, ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობის განათლების უფლების დაცვასა და რეალიზებაზე პასუხისმგებლობა ყველა მხარეს ეკისრება, მათ შორის რუსეთის ფედე-რაციასა და დე ფაქტო ხელისუფლებას. რადგან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს ტერიტორიის კონტროლს, მისი ვალდებულება შემოიფარგლება ძალისხმევაში, სამართლებრივი და დიპლომატიური გზების გამოყენებით გავლენა მოახდინოს უფლებათა დარღვევის აღკვეთაზე, თუმცა უცნობია რამდენად ეფექტური აღმოჩნდება ისინი და რა გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ექნებათ მათ ოკუპირებული გალის ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ვითარება არ შეიცვალა და არ მოიძებნა ეფექტიანი მექანიზმები განათლების სფეროში ქართულ და „აფხაზურ მხარეს“ შორის მოსალაპარაკებლად, სტატუს ქვოს შენარჩუნება უპირველეს ყოვლისა გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის გაუცხოვებას, მათ გარუსულენოვნებას, რაც მომავალში გაართულებს ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობას და მეორე მხარეს კიდევ უფრო მეტ საშუალებას მისცემს საკუთარი არგუმენტების ლეგიტიმაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ დე ფაქტო ხელისუფლება ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვასთან ერთად ყოველმხრივ ცდილობს გააძლიეროს აფხაზური ენის სწავლება. ამ მიზნით, გალის დაბალი ზონის სკოლებში ოკუპირებული სოხუმიდან აფხაზი პედაგოგები მოავლინეს. „რაიონულმა ადმინისტრაციამ“ აფხაზური ენის პედაგოგებს საცხოვრებელი ფართები რუსული გალში დაუქირავა.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდა აფხაზური ენის „გაძლიერებული სწავლებისა, ოკუპირებული სოხუმიდან ოკუპირებულ გალში გამოგზავნილ მასწავლებლებს ადგილობრივ სკოლებში მიმდინარე პროცესებზე თვალყურის დევნებაც ევალებათ. მათი მიზანია, მაქსიმალურად გააკონტროლონ სასკოლო პროცესი და ადგილზე „აღმოფხვრან“ ქართული ენის „უკანონოდ“ სწავლების შემთხვევები. ამასთან, დე ფაქტო ხელისუფლებამ ოკუპირებული გალის სკოლების დირექტორები შეცვლა და აფხაზი პედაგოგებით ჩაანაცვლა.

აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, ლირსების შემლახავი მოპყრობა, მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვა – ეს მცირე ჩამონათვალია იმ პრობლემებისა, რომლის წინაშე ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები ქართველი ბავშვები დგანან.

2018 წლის აპრილში საქართველოს მთავრობა ახალი სამშვიდობო ინიციატივით გამოვიდა, სახელწოდებით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისთვის“. მისი ერთერთი მიზანია ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განათლებასთან წვდომის გაუმჯობესება როგორც საქართველოში, ასევე - საზღვარგარეთ. მიუხედავად ამისა, გალელი მოსწავლეები საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მოსახვედრად სირთულეებს ისევ აწყდებიან.

2016 წლიდან საქართველოს მთავრობამ კვოტირების სისტემა შემოიღო, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი სასწავლებლები სტუდენტებს ოკუპირებული აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან განსაზღვრული ადგილების 1%-ს გამოუყოფენ. ეს არის ჩარიცხვის გამარტივებული, „1+4“ მექანიზმი, რომლის ფარგლებში ისინი ერთი წლის განმავლობაში ქართულ ენას სწავლობენ, ხოლო შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში ოთხწლიან განათლებას იღებენ.

გარდა ამისა, ამ მექანიზმის მიხედვით, პროგრამაში ჩასართავად, აფხაზმა (ასევე ოსმა) აბიტურიენტებმა მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტი თავიანთ მშობლიურ ენაზე უნდა ჩააბარონ. ეს მექანიზმი ოკუპირებული გალის ეთნიკურ ქართველებზეც ვრცელდება, მაგრამ გალელი მოსწავლეების უმრავლესობა მსგავს დონეზე აფხაზურ ენას ვერ ფლობს.

საქართველოს მოქმედ სკოლებში მოსწავლე ყველა დანარჩენმა აბიტურიენტმა უნივერსიტეტში მოსახვედრად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ოთხი სავალდებულო გამოცდა უნდა ჩააბაროს. მათ შორის გალელმა მოსწავლეებმაც, რომლებსაც ქართულად სწავლაზე მკაცრი შეზღუდვები აქვთ. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე სწავლება ოკუპირებული გალის რაიონის ყველა სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებაშია აკრძალული და შეზღუდულად ისწავლება დაწყებით და სამუალო საფეხურებზეც. მსგავსი სიტუაცია გალელებს თანამე-დროვე, ხარისხიანი განათლების მიღებას უზღუდავს.

საქართველოს ახალი ინიციატივის მიხედვით, ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ აბიტურიენტებს, რომლებსაც სწავლის გაგრძელება პირდაპირ, ოთხწლიან საბაკალავრო პროგრამაზე, 1+4 პროგრამის ნაცვლად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებით სურთ, ტესტირების გავლა რუსულ ენაზე შეეძლებათ, ხოლო მშობლიურ ენად აფხაზურ ენას ჩააბარებენ.

ოკუპირებული გალის რაიონში და მთლიანად აფხაზეთში მიმდინარე რუსიფიკაციის პრობლემაზე, მათ შორის, ბავშვთა უფლებების დარღვევაზე საპასუხოდ, ქართული მხარის ხელთ არსებული ბერკეტები მნირია და ძირითადად შემოიფარგლება საერთაშორისო პარტნიორების ინფორმირებითა და უენევის საერთაშორისო დისკუსიებში აღნიშნული თემის განხილვით. საერთაშორისო ორგანიზაციების (UNICEF, COE) პროექტები კი ითვალისწინებს ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელშეწყობას.

მართალია, საქართველოს ცენტრალური მთავრობა ახორციელებს ოკუპირებული გალის რაიონის მასწავლებლების ჩართვისა და მათი დახმარების პროგრამას, თუმცა საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში აცხადებენ, რომ არსებული ვითარება დამატებითი მექანიზმების ამოქმედებასა და უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: დე ფაქტო ხელისუფლება, განათლება, გალის რაიონი, ქართული ენა, ფუნდამენტური ადამიანის უფლებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაია, ე. აფხაზეთი ქართული ენის გარეშე. რეზონანსი. ხელმისაწვდომია: http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=28851 (1.06.2018);
2. ზურაბაშვილი, თ. მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში. პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). თბილისი. ხელმისაწვდომია: <http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/07/GRASS-ganathlebis-uphleba-galis-raionshi1.pdf> (1.06.2018);
3. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015;
4. წირდვავა ს. საგანმანათლებლო პრობლემები და ქართული სკოლების მდგომარეობის შესახებ კონფლიქტის ზონაში (გალის რაიონი), ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოს კონფლიქტურ ზონებში, თბილისი, 2006;
5. Human Rights Watch, „Living in Limbo; The Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia”, 2011;
6. Kevanishvili E. „Georgian Language Under Pressure In Abkhazia”. Radio Free Europe/Radio Liberty. N. p., 22 მარტი, 2009. Web.

**GELA TSAAVA
Ph.D. Doctor**

**Associate Professor, Georgian National University SEU
Assistant Professor, Georgian-American University**

RESTRICTING EDUCATION RIGHT IN NATIVE LANGUAGE IN OCCUPIED ABKHAZIA

Abstract

The education policy of the de-facto Abkhaz authorities since 1995 aims at introducing Russian language teaching in all schools within the original boundaries of Gali district. In their substance, developments in Gali region are similar to those taking place in Transnistria and considering the judgments of the European Court of Human Rights it is apparent that processes in Gali district aim at the Russification of Georgian language. Decisions made in the sphere of education serve to a specific political agenda rather than children's best interests or the purpose to provide best of education to them. Such interference is beyond justification and infringes the fundamental human rights of Gali population. Protection of rights of conflict affected communities and individuals, is a guarantee of peaceful cohabitation between the confronting sides. A society where human rights and dignity respected has better chances to progress and develop towards democracy, based on economic prosperity.

Keywords: De-facto Authorities, Education, Gali District, Georgian Language, Fundamental Human Rights.

სკოლაგდები აღზრდა

იმპრი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ნინო გელანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებულიპროფესორი
მარინე გერუჩაშვილი
ქუთაისის ბაგა-ბალების გაერთიანების № 31
ბაგა-ბალის აღმზრდელი

ტე ვარიკი - აღრეული განათლების კურიკულუმი

ტე ვარიკი ახალი ზელანდიის განათლებისთვის შექმნა ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების პირველი ეროვნული სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს ახალ ზელანდიაში ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ყველა სფეროში თანმიმდევრული და მაღალი ხარისხის კურიკულუმის მიწოდებას (7. გვ.9).

ახალ ზელანდიაში ბავშვთა ზრუნვისა და განათლების სამსახურების ჩამოყალიბება მოხდა ბავშვების, მშობლებისა და გაერთიანებებისა და საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დღესდღეობით ბავშვთა ადრეული განათლების ცენტრები მშობლებთნ ერთად აქტიურად არიან ჩართულნი ბავშვთა სოციალიზაციის, ზრუნვისა და განათლების პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის რომ ტევარიკმა სასწავლო გეგმა შეიმუშავა ბავშვთა ადრეულ ასაკში განათლების მიცემის ცენტრების სექტორის ინიციატივების საპასუხოდ.

ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების სფეროს თანამშრომლები, ერთობლივი სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ერთად მუშაობდნენ, რათა სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო პროგრამის ძირითად მიზნებთან (6. გვ.9).

პროგრამა შემუშავდა ახალ ზელანდიაში მეოცე საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე სასწავლო პროგრამების გამოცდილებაზე და კვლევებზე დაყრდნობით. კულევამ აჩვენა, რომ ადრეული განათლების სექტორის მრავალფეროვანი სერვისებისათვის მისაღებია პროგრამის შემუშავების ცენტრალური პრინციპები და ჩარჩო. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ბევრ შენიშვნას, რომელიც გამოიკვეთა გამოკვლევებისა და საპილოტე პროფესიული განვითარების პროგრამების შესრულებასთან ერთად. ეს არის პირველი სამეცნიერო სასწავლო გეგმა, რომელიც განვითარდა ახალ ზელანდიაში (6. გვ.9).

აღნიშნული სასწავლო პროგრამა მოიცავს ბავშვის განათლებასა და აღზრდაზე ზრუნვას დაბადებიდან სკოლის ასაკამდე. ამ ასაკის ბავშვებთან ურთიერთობა ინოვაციურია და ნათლად ასახავს სწავლის კონცეფციას, როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის პროცესს, რომელიც იწყება სიცოცხლის დასაწყისიდანვე.

„კურიკულუმი დაფუძნებულია ბავშვთა შემდგომ მისწრაფებებზე: გაიზარდოს, როგორც კომპეტენტური და თავდაჯერებული შემსწავლელი და კომუნიკატორი, ჰქონდეს ჯანსაღი გონება, სხეული და სული, რომლებიც უზრუნველყოფენ თავიანთი კუთვნილებისა და ცოდნის დაცვას, რომ საზოგადოების განვითარებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ. სასწავლო გეგმა განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს პროგრესს მოსწავლემ ადრეული ასაკის ბავშვთა სასწავლო გარემოში. პროგრამის ობიექტი, ინდივიდუალურად თითოეული ბავშვია. მისი საწყისი წერტილი არის მოსწავლე, ცოდნა, უნარ-ჩვევები და

დამოკიდებულება, რომელსაც ბავშვი იძენს გამოცდილებასთან ერთად. სასწავლო გეგმა ასევე ორიენტირებულია ადრეული ბავშვობის ასაკზე. სწავლა პირველ რიგში იწყება სახლში, თუმცა ბაგა-ბალების პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადრეული განათლების მიღებაში და მყარ საფუძველს აყალიბებენ წარმატებული მომავალისათვის“ (6, გვ. 7).

იპოვონ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები, შეძლო დროითი და სივრცითი მიმართებების დადგენა, დაამყარონ სხვადასხვა სახის სოციალური ურთიერთობები, საკუთარი აზრი დააფიქსირონ მყარად და გარკვევით; ეს მცირე ჩამონათვალია იმ ცოდნისა და უნარებისა, რომელთაც ბავშვი გამოცდილების შედეგად იძენს და რომლებიც მას ცხოვრებისეული გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება.

ეს არის ადრეული ასაკის ბავშვთა სასწავლო პროგრამა, რომელიც სპეციალურად განკუთვნილია ბავშვის დაბადების დროიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე და ის უზრუნველყოფს სწავლების შესაბამისობას სასკოლო პარამეტრებთან. ფაქტია, რომ ბავშვთა ადრეული ასაკის საგანმანათლებლო გარემო განსხვავდება სასკოლო სექტორისაგან და სწორედ ამ განსხვავების განსაკუთრებული ხასიათი და სპეციფიკაა შემუშავებული ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში. პროგრამა ხაზს უსვამს ადამიანებისა და გარემოს სოციალურ და კულტურულ შუამავლობით ხასიათს ცოდნის მიღებაში. ბავშვები სწავლობენ მოზრდილებთან და თანატოლებთან თანამშრომლობით, სხვების მიერ მართვად პროცესებში მონაწილეობისა და დაკვირვების გზით, აგრეთვე ინდივიდუალური კვლევისა და ასახვის მეშვეობით. ნების-მიერი სოციალური გარემო, რომელსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ბავშვი, იქნება ეს სახლი, ბაგა-ბალი, სკოლა თუ რაიმე სხვა, ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვის ფსიქოლოგიის სწორად ჩამოყალიბებაზე (6, გვ. 10).

დოკუმენტის მიზანი და სტრუქტურა

„ამ დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც ქმნის საფუძველს ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სერვისებში დაინერგოს სწავლების შესაბამისი პრინციპები. პროგრამა აყალიბებს გარკვეულ პრინციპებსა და მიზნებს, რომლებიც ახასიათებს ბავშვთა ადრეულ განათლებას და უზრუნველყოფს მათ დაკავშირებას სასკოლო გარემოსთან. დოკუმენტი დაყოფილია 4 სექციად, თუმცა ის იკითხება და გამოიყენება, როგორც ერთი ინტეგრირებული მთლიანობა. უნდა ითქვას, რომ პრინციპები, შტამპები და მიზნები საერთოა ბავშვთა ყველა ადრეული ასაკისთვის. თუმცა, პრაქტიკაში ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს მომსახურებას სერვისის ტიპის მიხედვით“ (6, გვ. 10).

პირველი ნაწილი ასახავს ვაირიკის კურიკულუმს და ახალ ზელანდიაში ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების კონტექსტს. ამავე ნაწილში ასევე საუბარია კონკრეტული ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილების მნიშვნელობის შესახებ, ისეთების, როგორიცაა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები და „Tagata Pasefika (წყნარი ოკეანის კუნძულების)“, – ის ბაგა-ბალი. იგი ასევე ხაზს უსვამს ამ კურიკულუმის განვითარების პროცესს. პირველი ნაწილი აჯამებს ზემოთ აღნიშნული კურიკულუმის პრინციპებს, მიმართულებებს და მიზნებს. თუმცა, ეს საკითხი მესამე ნაწილში დაწვრილებითაა განხილული. პირველივე ნაწილი მოიცავს ბავშვთა სწავლებისა და განვითარების ფართო საფეხურების ზოგიერთ ინდიკატორს და განსაზღვრავს დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების პროცესებს და იმ გზებს, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო გეგმის პრინციპებთან (6, გვ. 11).

მეორე ნაწილი აყალიბებს კონკრეტულ აქცენტებს „ngā kōhanganga reo“ კურიკულუმში. ეს სექცია ასევე გამოიყენება მაორის ენაზე მეტყველი ბავშვების განათლების პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა სერვისებთან მიმართებაში.

მესამე ნაწილი აფართოებს პრინციპებს, მიმართულებებს და მიზნებს და აყალიბებს მათი განხორციელების ჩარჩოს. მასში აღნერილია ოთხი ძირითადი პრინციპი. კონკრეტული

მიმართულებები განმარტებულია როგორც ზოგადი თვალსაზრისით, ასევე ბავშვის ადრეული ასაკობრივი აღზრდის პრინციპების კუთხით. თითოეული მიმართულებაზე ჩამოყალიბებულია კონკრეტული მენეჯმენტი, ორგანიზაცია და პრაქტიკა. მასში ასევე საუბარია ბავშვთა მოლოდინის შესახებ ადრეული განათლების ეტაპიდან სასკოლო გარემოში გადასვლისას. თითოეული მიმართულებას ასოცირებული მიზნები აქვს, რაც, თავის მხრივ, კონკრეტული სწავლის შედეგებს აყენებს. ამავე ნაწილში განხილულია გამოცდილებაზე დამყარებული კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს იმ საჭიროებების გამოვლენას ჩვილებში, ბავშვებსა და მოზარდებში, რომლებიც სწავლის პროცესში წარმატებულ უკუგებას უზრუნველყოფს. ეს მაგალითები მიზნად ისახავს დისკურსის ხელშეწყობას და პროგრამების შემუშავებას, რომლებიც აშკარად უკავშირდება სასწავლო პროგრამების პრინციპებს, მიმართულებებს და მიზნებს. თითოეული მიზნისათვის განკუთვნილი ორაზროვანი კითხვების მაგალითები საკითხის შემდგომი განხილვის საფუძველია. დამხმარე რესურსები ხელს უწყობს დაგეგმვის, განვითარების, განხორციელებისა და შეფასების პროცესებს(6, გვ. 11).

მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია, რომ პროგრამის თითოეულ მიმართულება აქვს არსებითი უნარები, შეესაბამებოდეს ახალი ზელანდიის სასკოლო გეგმებს სწავლების ყველა სფეროსთან მიმართებაში.

ვაირიკის კონცეფცია ახალ ზელანდიაში ბავშვობის ადრეული ასაკის განათლების მრავალფეროვნებას აღიარებს. სასწავლო პროგრამა აერთიანებს ზრუნვასა და განათლებას და შეიცავს სპეციფიკურად დაგეგმილ გამოცდილებებსა და სპონტანურად წარმოქმნილ ურთიერთობებს. სხვადასხვა პროგრამები, ფილოსოფიები, სტრუქტურები და გარემოები ხელს შეუწყობს ვაირიკის განმასხვავებელ მოდელს.

გამორჩეული მოდელის საფუძველია(6, გვ. 12):

- კულტურული პერსპექტივები, როგორიცაა „kohanga reo“-ში ან სხვადასხვა წყნარი ოკეანის კუნძულების ბავშვთა ადრეული ასაკობრივი აღზრდის ცენტრებში;
- სტრუქტურული განსხვავებები, როგორიცაა სენსიტიური ან სრული პროგრამა;
- ორგანიზაციული განსხვავებები, როგორიცაა საბავშვო ბალებში ან ბავშვზე ზრუნვის ცენტრებში;
- სხვადასხვა გარემო, როგორიცაა საკუთარი სახლის ან ცენტრის ორგანიზაციაზე დაფუძნებული პროგრამები;
- ფილოსოფიური აქცენტები, როგორიც არის გასართობ ცენტრებში, და რუდოლფ შტაინერის პროგრამებში;
- სხვადასხვა რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ქალაქებსა და სოფლებში;
- სიტუაციები, რომლებშიც ადგილობრივი საზოგადოება მონაწილეობს;
- პროგრამაში ბავშვთა ასაკი.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები:

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის შესაბამისი მზრუნველობისა და განათლების მიცემაზე ბევრი ბავშვთა ადრეული ასაკის ცენტრები არიან ორიენტირებული. კურიკულუმი აჩვენებს, რომ ზრუნვისა და განათლების მიცემის ფორმა აერთიანებს ბავშვთა ადრეული ასაკისათვის დამახასიათებელ ყველა პრინციპებსა და მიმართულებებს.

აქტივობები იქნება ასაკის და განვითარების შესაბამისი და საშუალებას მისცემს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს აქტიურად ჩაერთონ სწავლაში. როგორც წესი, ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების დაწესებულებაში ინდივიდუალური განვითარების გეგმა ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (IDP ან IEP) შემუშავდება ნებისმიერი ბავშვისთვის, რომლებიც საჭიროებენ აღტერნატიულ ან დამატებით რესურსებს. ინდივიდუალური განვითა-

რების გეგმა ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანი იქნება რეალისტური, სასარგებლო და ლირებული როგორც ბავშვის ისე ოჯახისათვის. პროგრამა უზრუნველყოფს ღონისძიებებს, რათა დაკავმაყოფილოს კონკრეტული მიზნები და შექმნას საჭირო რეზერვები დამოუკიდებლობისთვის. „ტე ვარიკი“ განკუთვნილია ყველა ბავშვისთვის და ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების დაკავმაყოფილებას, რადგან ბავშვები ყველა ასაკობრივ ეტაპზე იღებენ განათლებას. თითოეული ცენტრის პროგრამები მოიცავს სტრატეგიებს, რომლებიც სრულად შეიცავს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის აუცილებელ პრინციპებს(6.გვ.12).

განმასხვავებელი კონტექსტი:

არსებობს ბევრი გამორჩეული კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს ბავშვთა ზრუნვისა და განათლების განსაკუთრებულ სახეობას, თითოეული მათგანის სპეციფიკურ იდენტობასა და ორიენტირს. ამ სახელმძღვანელოში მოცემული ყველა პრინციპი, მოთხოვნილება და მიზნები რომლებიც გათვლილია თითოეული კონტექსტში.

ამ დოკუმენტში სპეციალურად გამოვლენილი ორი გამორჩეული კონტექსტია (6. გვ.13):

- მაორიული პროგრამები

- „Tagata Pasefika“ პროგრამები

მაორიულ ენაზე პროგრამის შექმნის იდეა წარმოიშვა მაორზე მეტყველი სასკოლო ასაკის ბავშვების მხარდასაჭერად და განვითარებისათვის. ეს დოკუმენტი აღიარებს იდენტიფიცირებადი მაორის ენის სპეციფიკურ როლს, და იცავს მაორის ენის დამოუკიდებლობას, მაორის ენის პედაგოგიკასა და მაორის ენის ცოდნის გადაცემას.

„Tagata Pasefika“ – წყნარი ოკეანის კუნძულებზე ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების ცენტრები: წყნარი ოკეანის კუნძულებიდან მიგრანტთა გარკვეულმა ჯგუფებმა ადრეული ასაკის ბავშვთა ცენტრები შექმნეს, რათა თავიანთი განსხვავებული კულტურები და ენები ახალ სამეზობლოში პირველ რიგში შეენარჩუნებინათ და ასევე განვითარებინათ. წყნარი ოკეანის კუნძულების კულტურის მრავალფეროვნების გამო, არც ერთი წყნარი ოკეანის კუნძულების კურიკულუმი არ არის სპეციფიური სახის. ამის მიზეზი არის ის, რომ მათ ისტორიულ კავშირებს აქვთ ენასა და კულტურას შორის, და არსებობს საერთო გეოგრაფიული მემკვიდრეობა.

მართალია, კურიკულუმი ორიენტირებულია წყნარი ოკეანის კუნძულების ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების ცენტრებზე, მაგრამ ცალკეული ეთნიკური ჯგუფები გამოთქვამენ სურვილს მათი გარემოსათვის დამახასიათებელი მოდელების გათვალისწინებას კურიკულუმის ფორმატში.

პრინციპები, ქრონიკები და მიზნები ბავშვთა ადრეული ასაკის კურსის შესახებ. ბავშვთა ადრეული ასაკის კურიკულუმის ცენტრში ოთხი მთავარი პრინციპია (6.გვ.13):

- **მოტივაცია:** ადრეულ ბავშვობაში სასწავლო პროგრამა ხელს უწყობს ბავშვის სწავლას, აღზრდას და განვითარებას.
- **ჰოლისტიკური განვითარება:** ადრეული ასაკის ბავშვთა სასწავლო გეგმა ასახავს ჰოლისტიკური გზით ბავშვებსათვის განათლების გადაცემას.
- **ოჯახი და საზოგადოება:** ოჯახისა და საზოგადოების ფართო სამყარო ადრეული ასაკის ბავშვთა სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია.
- **ურთიერთობები:** ბავშვები სწავლობენ ადამიანებთან, სიტუაციასთან და გარემოსთან ურთიერთობისა და ურთიერთქმედებისას.

სტრატეგიები და მიზნები (6.გვ.13)

სტრატეგიები და მიზნები წარმოიქმნება ოთხი პრინციპით. ტე-ვარიკის ჩამოყალიბების საყრდენს 4 პრინციპი და 5 სტრატეგია წაროდგენს. პრინციპები და სტრატეგიები ერთად

ქმნიან კურიკულუმის ჩარჩოს. თითოეული მიმართულებას აქვს რამდენიმე მიზანი. სწავლის შედეგები შემუშავებულია თითოეული მიზნისათვის, ისე, რომ ტე-ვარიკი ხდება ყველა ბავშვის განვითარებისათვის ინტეგრირებული საფუძველი.

სტრატეგია 1 კეთილდღეობა: ბავშვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა დაცულია და უზრუნველყოფილი. სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები იმყოფებიან გარემოში, სადაც ხდება მათი ჯანმრთელობის ხელშეწყობა; მათ ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნვა;
- დაცვა ყოველგვარი საფრთხისაგან.

სტრატეგია 2 მიკუთვნებულობა: ბავშვები და მათი ოჯახი გრძნობენ კონკრეტულ გარემოსთან მიკუთვნებულობას. სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები და მათი მშობლები იმყოფებიან გარემოში, სადაც კავშირი ოჯახებსა და გარემომცველ სამყაროს შორის არის დამოწმებული და გაფართოებული; მათ იციან, რომ აქვთ საკუთარი ადგილი ამ სამყაროში; ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს ჩვეულებითა და რეგულარული ღონისძიებებით გარშემორტყმულნი; მათ იციან მისაღები ქცევის საზღვრები და ნორმები.

სტრატეგია 3 წვლილი: სწავლის შესაძლებლობები თანაბარია და თითოეული ბავშვის წვლილი ფასდება. სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები იმყოფებიან გარემოში, სადაც არსებობს თანაბარი შესაძლებლობები სწავლისა სქესის, უნარის, ასაკის, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად; ისინი აღიქმებიან როგორც ინდივიდები; ხდება სხვებთან ერთად სწავლის წახალისება.

სტრატეგია 4 კომუნიკაცია: ხდება საკუთარი და სხვა კულტურის, ენებისა და სიმბოლოების პოპულარიზაცია და დაცვა. სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები იმყოფებიან გარემოში, სადაც ხდება მათი არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება; ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების მრავალფეროვანი სპექტრის შექმნა; საკუთარი და სხვა კულტურის ისტორიებისა და სიმბოლოების შესწავლა; გზებისა და საშუალებების აღმოჩენა, რომელიც უზრუნველყოფს მათ შემოქმედებითობას და ექსპრესიულობას.

სტრატეგია 5 კვლევა: ბავშვი სწავლობს გარემოს აქტიური შესწავლით. სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები იმყოფებიან გარემოში, სადაც ხდება სპონტანური და გეგმიური თამაშების შემეცნებითი ხასიათის დადასტურება; მოიპოვებენ თავიანთი სხეულისა და გრძნობის ორგანოების ნდობას და კონტროლს; აღწევენ თვითდაჯერბულობას; სწავლობენ სტრატეგიებს აქტიური ძიების, აზროვნებისა და დაკვირვებისათვის; ქმნიან საკუთარ მოქმედ თეორიებს ბუნებრივი, სოციალური, ფიზიკური და მატერიალური სამყაროს აღქმისათვის.

ტე ვარიკის კურიკულუმი არსი:

- ადრეული ასაკის კურიკულუმი, სპეციალურად შექმნილი ბავშვებისთვის დაბადებიდან სკოლაში შესვლამდე.
- კურიკულუმი ხაზს უსვამს სოციალურ კულტურულ სწავლების მედიაციას, ორმხრივ და პასუხისმგებლიან კავშირებს ბავშვებსა და ხალხს, ადგილებსა და ნივთბს შორის.
- ბავშვები სწავლობენ კოლაბორაციით მოზარდებთან და თნატოლებთან, მონაწილეობით და დაკვირვებით სხვებზე, ასევე ინდივიდუალური ძიებით და ფიქრით.
- ეს არის კურიკულუმი ბავშვების ზრუნვისათვის და განათლებისათვის ახალ ზელანდიაში.

- ყველა ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ განავითაროს ცოდნა და გაგება კულტურული მემკვიდრეობების.
 - ეს არის კურიკულუმი, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთ სწავლებას.
 - ზრუნვა და განათლება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის წარმოდგენილია სხვადასხვა გვარად ადრეული ასაკის სერვისებში.
- საკვანძო სიტყვები:** კურიკულუმი, სტრატეგია, კომუნიკაცია, ბავშვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კლერ მაკლაქლანი, მერლინ ფლიერი, სუზან ედვარდსი, ადრეული ბავშვობის კურიკულუმი (მეორე გამოცემა), დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება, კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, თარგმნა ილიას უნივერსიტეტმა, 2015.
2. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, თბილისი, 2010.
3. ადრეული ბავშვობის წიგნიერება და რაოდენობრივი წარმოდგენები: კარგი პრაქტიკის დამკვიდრება - მ. ფლიერი და ბ. რაბანი, ადრეული ბავშვობა ავსტრალია: კანბერა, 2007.
4. მ.ფლიერი და ბ. რაბანი, ცნებების ფორმირების კულტურულისტორიული ანალიზი ადრეული ბავშვობის პერიოდის საგანმანათლებლო გარემოში: ბავშვის და უფროსის კონცეპტუალური ცნობიერება? ევროპის ბავშვის ადრეული განათლების კვლევის ჟურნალი 14 (2), 2006.
5. ი. ბასილაძე, ი. ბალანჩივაძე, მ. ბერუჩიშვილი, ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვადასხვა ასპექტები, ქუთაისი, 2018.
6. Te Whàriki, He Whàriki Màtauranga mò ngà Mokopuna o Aotearoa Early Childhood Curriculum, Ministry of Education, Learning Media Wellington, New Zealand, 1996.

IMERI BASILADZE
Professor at Akaki Tsereteli State University

NINO GELENIDZE
Associate Professor at Akaki Tsereteli State University

MANONI BERUCHASHVILI
Kutaisi nursery Union № 31
Educator at nursery

TE WHARIKI - EARLY EDUCATION CURRICULUM

Resume

The curriculum provides a consistent and high quality curriculum in all areas of children's early age education in New Zealand. The curriculum emphasizes the mediation of social cultural learning, bilateral and responsible relationships between children and people, places and communities. According to curriculum, children learn in collaboration with adults and peers, under participation and observation, as well as individual searches and thinking. This is a curriculum for children's care and education in New Zealand. Every child is given an opportunity to develop knowledge and understanding of cultural heritage. Important attention is given to children with special needs and care, education for children with special needs is represented in the early age services for different sessions.

Key words: curriculum, strategy, communication, child's health and wellbeing.

იმარი პასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ნინო გელაციძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებულიპროფესორი
განონი გერუჩაშვილი
ქუთაისის ბაგა-ბალების გაერთიანების № 31
ბაგა-ბალის აღმზრდელი

**ადრეული ასაკის პავშვთა მოვლა და განათლების საპითხისათვის
ახალ ზელაციაში**

ტე ვარიკმა ახალი ზელანდიის განათლებისთვის შექმნა ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების პირველი ეროვნული სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს ახალ ზელანდიაში ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ყველა სფეროში თანმიმდევრული და მაღალი ხარისხის კურიკულუმის მიწოდებას.

პროგრამა შემუშავდა ახალ ზელანდიაში მეოცე საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე სასწავლო პროგრამების გამოცდილებაზე და კვლევებზე დაყრდნობით. კვლევამ აჩვენა, რომ ადრეული განათლების სექტორის მრავალფეროვანი სერვისებისათვის მისაღებია პროგრამის შემუშავების ცენტრალური პრინციპები და ჩარჩო. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ბევრ შენიშვნას, რომელიც გამოიკვეთა გამოკვლევებისა და საპილოტე პროფესიული განვითარების პროგრამების შესრულებასთან ერთად. ეს არის პირველი სამეცნიერო სასწავლო გეგმა, რომელიც განვითარდა ახალ ზელანდიაში(6.გვ.9).

აღნიშნული სასწავლო პროგრამა მოიცავს ბავშვის განათლებასა და აღზრდაზე ზრუნვას დაბადებიდან სკოლის ასაკამდე. ამ ასაკის ბავშვებთან ურთიერთობა ინოვაციურია და ნათლად ასახავს სწავლის კონცეფციას, როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის პროცესს, რომელიც იწყება სიცოცხლის დასაწყისიდანვე.

დოკუმენტში ჩამოყალიბებული სასწავლო გეგმა ახდენს ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების სერვისების დემონსტრირებას, რომელიც შეიქმნა მეოცე საუკუნის განმავლობაში ახალ ზელანდიაში ბავშვების, მშობლებისა და საზოგადოების განსაკუთრებულ საჭიროებებზე დაყრდნობით. ახალი საჭიროების გაჩენამ ძველი სტრუქტურები ჩაანაცვლა ახალით. შეიქმნა ახალი სერვისები. ადრეული ასაკის ბავშვთა მოვლისა და განათლების პროგრამა ახალ ზელანდიაში მოიცავს წლებს ბავშვის დაბადებიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე (6.გვ.13).

განათლების სერვისის როლი ბავშვის ადრეული ასაკში:

ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ცენტრის შექმნის მიზანი იყო უმწეო ბავშვებისთვის დახმარების განევა. ოჯახები და ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების ცენტრები ერთობლივად ჩაერთვნენ ბავშვთა სოციალიზაციის და სწავლის სფეროში. ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ცენტრები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ სწავლის შესაძლებლობები შეზღუდული არ იყოს სქესის, ეთნიკურობის ან ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ბავშვები იზრდებიან ერთზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის მქონე საზოგადოებაში (6.გვ.14).

კავშირები ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების სერვისებს შორის:

ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების სერვისები და ორგანიზაციები ერთობლივად მუშაობდნენ საერთო პრინციპებისა და ერთიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით. ყველა მონაწილეობა ბავშვთა სწავლებისა და განვითარების სასწავლო გეგმის როლის განსაზღვრასა და შემუშავებაში. ტე-ვარიკის საგანმანათლებლო კურიკულუმის გამოხატავს საერთო

აზრს, თუ რას აკეთებს კურიკულუმი ადრეულ ბავშვობაში, სხვა სასწავლო პროგრამებიდან განსხვავებით. გაძლიერებულია კავშირები სხვადასხვა ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სამსახურებს შორის, რაც ხელს უწყობს ერთმანეთის განსხვავებებისა და მსგავსების შეფასებას. სასწავლო გეგმა ცდილობს მოიცვას და აღნიშნოს ეს მრავალფეროვნება, ასევე განსაზღვროს საერთო პრინციპები, მიმართულებები და მიზნები ბავშვთა სწავლისა და განვითარებისათვის, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სერვისებს აქვთ მუშაობის უფლება(6.გვ.15).

ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების სამსახურის განსაკუთრებული მახასიათებელი:

ახალ ზელანდიაში ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ბევრი სამსახური არსებობს, როგორც ეროვნული ორგანიზაციის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ფილოსოფიურ რეგლამენტსა და მიმართულებას. თითოეული ორგანიზაციას კონკრეტული მიდგომები გააჩნია სასწავლო პროგრამასთან მიმართებაში. არსებობს ასევე ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ისეთი სერვისები, რომლებიც ინდივიდუალურ ცენტრებად არიან განთავსებულნი. მთავარი პროგრამები, რომელთა უმრავლესობაც საოჯახო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ფუნქციონირებს, წარმოადგენს ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების მრავალფეროვნების ერთ-ერთ მაგალითს. ეს პროგრამები უზრუნველყოფს სერვისს, რომელიც პირდაპირ ასახავს სახლისა და ადრეულ ასაკში ბავშვთა ზრუნვასა და განათლებას შორის კავშირების მნიშვნელობას.

ოჯახსა და ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების ცენტრებს შორის კავშირები:

ტე ვარიკის აზრით, მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში ოჯახსა და ბავშვთა განათლების ცენტრებს შორის ახლო კავშირი. ვინაიდან გარემო ქმნის შესაძლებლობას სწავლისათვის. ტე ვარიკს მიაჩნია, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უნდა განხორციელდეს და დაინერგოს პროგრამები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ოჯახის მნიშვნელობაზე. პროგრამებში უნდა აისახოს ოჯახის როლი ბავშვთა აქტივობაში, შეფასებაში, რაც ოჯახის მიმართ გარკვეული მიდგომების ჩამოყალიბების საფუძველია. ამრიგად, ტე-ვარიკი აერთიანებს სწავლის, აღზრდისა და განათლების განუყოფელ ელემენტებს კურიკულუმში (6.გვ.15).

კულტურული მრავალფეროვნების ზრდა:

ახალ ზელანდიაში მრავალი ემიგრანტი ცხოვრობს და, როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, ისინი მულტიკულტურული მემკვიდრეობით ხასიათდებიან. ამიტომ ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების კურიკულუმი მხარს უჭერს ყველა ბავშვის კულტურულ იდენტობას, ადასტურებს და აღნიშნავს კულტურულ განსხვავებებს და მიზნად ისახავს ბავშვების დადებითი ცნობიერების ამაღლებას საკუთარი და სხვა კულტურების შესახებ.

ტე ვარიკის მოთხოვნით ადრეული ასაკის პროგრამები და რესურსები შესაბამისი უნდა იყოს სხვადასხვა კულტურისა და მემკვიდრეობისთვის. რადგან მას მიაჩნია, რომ ადრეულ ბავშვობაში სასწავლო პროგრამა აქტიურად უწყობს ხელს რასიზმისა და სხვადასხვა რწმენა-ცრურწმენების გავრცელებას(5. გვ.232-233).

გამუდმებით ცვლადი საზოგადოება:

ტე ვარიკი მიიჩნევს, რომ ახალი ზელანდია მსოფლიო ტექნოლოგიური რევოლუციის ნაწილია. ამიტომ ცვლილება ყოველდღიური ცხოვრების თავისებურებაა. ამგვარი ცვლილებების შესამსუბუქებლად სასწავლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს იმ უნარების განვითარება, რომელიც ბავშვებს სიცოცხლის განმავლობაში სჭირდებათ.

ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების კურიკულუმის კონტექსტი:

ტე ვარიკი ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების კურიკულუმის განვითარების კონტექსტს აღწერს ბრონფენბरენერის „ადამიანის განვითარების ეკოლოგიის“ მიხედვით.

- პირველ დონეზე არის მოსწავლე და მისი უშუალო გარემო. სხვა დონეებს აქვთ ძლიერი გავლენა ბავშვის კეთილდღეობაზე და სწავლის უნარზე.
- მეორე დონე შეიცავს ძირითად პარამეტრებს მოსწავლეების გარემო პირობებიდან: ბავშვის საკუთარი სახლი, მომსახურება ან გარემოში, ან სახლის ფარგლებს გარეთ, და ამ გარემოებებს შორის ურთიერთობები.
- მესამე დონე, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვთა გამოცდილების ხარისხზე, მოიცავს სამყაროს, მუშაობას სამეზობლოში, მასმედიას და არაფირმალურ სოციალურ ქსელებს. ასევე მოიცავს პირობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვთა ცხოვრებაზე.
- ამავდროულად არსებობს, შემდგომი ეროვნული დონე - ქვეყნის მრნამსი, ბავშვთა ზრუნვისა და განათლების ღირებულებისა და ბავშვთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“(6.გვ.16).

ტე ვარიკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პირველ ორ დონეს. მისი აზრით, პირველი ორი დონე - მოსწავლე და სასწავლო გარემო - მჭიდროდაა დაკავშირებული სასწავლო პროგრამასთან. ბავშვი სწავლობს ისეთ გარემოში, სადაც მოზარდები ბავშვებს და ერთმანეთს ელაპარაკებიან. სწავლობს იმ გარემოში სადაც აზრის გამოტანა დაკვირვებაზე შეუძლია. სწავლა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღიქვამენ და ეგუებიან ბავშვები თავიანთ გარემოს. ბავშვისა და მათი გარემოცვის ამგვარი გაცვლის კიდევ ერთი ასპექტია იმ სოციალური ერთობის გავლენა, რომლებსაც ბავშვები ეკუთვნიან. თითოეული სოციუმი, რომელიც ბავშვებს ეკუთვნის, თავის სპეციფიკურ კურიკულუმს ითხოვს:

- მოსწავლეთა საზოგადოება-გამოწვევები და ცვლილებები;
- ბავშვის საზოგადოება-ინდივიდუალური საჭიროებები და უფლებები;
- ახალი ზელანდიის თანამეგობრობა- ერის ენების ცოდნის შენახვა, როგორც კულტურული იარაღის გამოყენება: ხელოვნება, ცეკვა, მათემატიკა, მუსიკა, კითხვა, მეცნიერება და ტექნოლოგია.

სწავლების დონეები (6.გვ.20):

პირველი დონე: მოსწავლე სწავლობს გარემოში; სწავლა ეხმაურება გამოწვევებს და ცვლელებებს; შეისწავლიან ენას და კულტურულ იარაღებს; ინდივიდუალური საჭიროებების და უფლებების დაცვა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განვითარება; საპასუხო ურთიერთობები.

მეორე დონე: შეუფერხებელი სასწავლო გარემო და ურთიერთობები; სახლი და ოჯახი; ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების პარამეტრები და მათში მცხოვრები ადამიანები.

მესამე დონე: მოზრდილთა გარემო. ყველა მოზარდის პროფესიონალიზმი; პროფესიული მხარდაჭერა; კოლეგიალური განვითარება და შემდგომი სწავლის შესაძლებლობები; ნათე-საური ქსელები; მეგობრობის ქსელები.

მეოთხე დონე: ერის რწმენა და ფასეულობები.

მზრუნველობა და განათლება ჩვილობისას და მოზარდობისას

დაბადებიდან 8 წლამდე ასაკის ბავშვების განვითარების საჭიროებები და შესაძლებლობები, განსხვავდება მათი ცხოვრების შემდგომი საფეხურებისგან. ამ ასაკის ბავშვთა განათლების კურიკულუმი არსებითად განსხვავებულია მოზარდ ბავშვთა სასწავლო პროგრამისგან. რადგან ადრეული ასაკის ბავშვთა კურსები ხაზგასმით აღწერს ურთიერთშეთანხმებულ და მგრძნობიარე ურთიერთობებს, როგორც მოზრდილებთან, ისე თანატოლებთან, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვთა განვითარებისა და შესაძლებლობების შეცვლა. ტე-ვარიკი დაბადებიდან სკოლში შესვლის ასაკამდე განსაზღვრავს სამ ფართო ასაკობრივ ჯგუფს. ამავე დროს, იგი აღიარებს, რომ არსებობს ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომის მნიშვნელო-

ვანი პერსპექტივები. ჩვილებსა და მოზარდებს აქვთ განსხვავებული და გამორჩეული საჭიროებები და თვისებები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტე ვარიკს მიაჩნია, რომ პროგრამა უნდა იყოს მოქნილი იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ ინდივიდუალური ბავშვების განსხვავებული საჭიროებები და მახასიათებლები.

ასაკობრივი კატეგორიები (6.გვ.20-21)

როგორც აღვნიშნეთ, ტე-ვარიკი დაბადებიდან სკოლში შესვლის ასაკამდე განსაზღვრავს სამ ფართო ასაკობრივ ჯგუფს:

- ჩვილობა-დაბადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში;
- ახალფეხადგმული ბავშვი- ერთი წლიდან - სამ წლამდე;
- მოზარდი ბავშვი-ორიდან - ნახევარი წლით ადრე სკოლაში შესვლამდე.

ჩვილობა

ადრეულ თვეებში, ჩვილები სრულიად დამოკიდებული არიან სხვებზე. მათ ესაჭიროებათ გაუაზრებელ სამყაროში მოსალოდნელი მოვლენების საჭიროებების გაცნობა. იმისათვის, რომ აითვისონ და ისწავლონ, ჩვილებმა უნდა შექმნან ინტიმური, მგრძნობიარე და სანდო ურთიერთობა მინიმუმ ერთი სხვა პირთან. ჩვილებს შეუძლიათ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ რამდენიმე ადამიანთან, მაგრამ არა ბევრთან. საკუთარი იდენტურობის განმტკიცება და მათ-თვის აუცილებელი თვითშეფასების განცდა აუცილებელია, რომ ურთიერთობისას იყვნენ გაცილებით თავდაჯერებულნი, ჩვილებმა უნდა იგრძნონ ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება, როგორც მინიმუმ ერთ ადამიანთან. ტე ვარიკი გამოყოფს ჩვილების შემდეგ განსაკუთრებულ მახასიათებლებს:

- ზრდისა და განვითარების ცვლილებები უფრო სწრაფია, ვიდრე ნებისმიერი სხვა პერიოდის განმავლობაში.
- ჩვილები ძალიან დაუცველნი არიან. ისინი მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მთლიანად დამოკიდებული არიან უფროსებზე, და იშვიათად შეუძლიათ გაუმკლავდნენ დისკომფორტს ან სტრესს.
- ჩვილებს აქვთ გადაუდებელი საჭიროებები, რომლებიც დაუყოვნებლივ ითხოვენ ყურადღებას.
- ახალშობილებს სჭირდებათ უსაფრთხოება იმის შესახებ, რომ მათი ემოციური და ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილება მოხდება პროგნოზირებადი გზებით.
- ჩვილობისას შეინიშნება ჯანმრთელობის და კეთილდღეობის სწრაფი მერყეობა.

ძირითადი მოთხოვნები ჩვილების სასწავლო გეგმებში (6.გვ.22):

ჩვილების მოვლა სპეციალურ დამოკიდებულებას საჭიროებს. ეს არ არის, არც 3-4 წლის ბავშვთა პროგრამა და არც ძიძობაზე შეთანხმება. ჩვილ ბავშვთა ზრუნვის პროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- ერთი - ერთში ურთიერთქმედება. (მომვლელები უნდა ხელმძღვანელობდნენ ბავშვთა მოთხოვნილებებიდან გამომდინარე);
- ზრდასრული, რომელიც მუდმივად პასუხისმგებელია თითოეულ ჩვილზე;
- უფრო მეტი დაკომპლექტებული კონტიგენტი, ვიდრე მოზარდობისას;
- კომუნიკაციებული, მოსიყვარულე და ფიზიკურად პასუხისმგებლი უფროსები, რომლებსაც შეუძლიათ ჩვილ ბავშვთა საჭიროების დაკმაყოფილება;
- ინდივიდუალური პროგრამები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ჩვილთა საკუთარი ქმედება;
- პროგნოზირებადი და მშვიდი გარემო, რომელიც აშენებს ნდობას და მოლოდინს ხეს;

- პარტნიორობას მშობლებსა და სხვა ზრდასრულ პიროვნებებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან ჩვილებზე ზრუნვის პროგრამაში.

ახლად ფეხადგმული ბავშვი:

ამ პერიოდში ბავშვის განვითარება და ქცევის ჩამოყალიბება ყველაზე უფრო რთულად მიმდინარეობს, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფში. ახლად ფეხადგმული ბავშვები იბრძვიან განავითარონ თავდაჯერებულობის გრძნობა და გახდნენ დამოუკიდებლები მოზრდილებისგან, მაგრამ ითხოვენ გარკვეულ ემოციურ მხარდაჭერას. ახლად ფეხადგმული ბავშვი სწრაფად იძენს ფიზიკური, სოციალურ, მსჯელობის და ენის ცოდნის უნარს. მაგრამ ეს უნარები ჯერ კიდევ ბევრ პრაქტიკას საჭიროებს. ბავშვები ამ დროს მიღრეკილნი არიან საკუთარი სამყაროს და კომფორტის შექმნისკენ, ამიტომ ხშირია კონფლიქტი მშობლებთან და აღმზრდელებთან.

ახლად ფეხადგმული ბავშვთა განსაკუთრებული მახასიათებლები:

- ახლად ფეხადგმული ბავშვები არიან ენერგიულები და მოძრაობები ბევრს.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები ამყარებენ კონტროლს თავიანთ სამყაროზე, სწავლობენ ლიმიტებს, მიზეზებს და შედეგებს.
- ახლად ფეხადგმული ბავშვების მოთხოვნილებები გაცილებით დიდია, ვიდრე მათი დაკმაყოფილების ვერბალური თუ ფიზიკური შესაძლებლობა.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები არიან აქტიურები და ცნობისმოყვარები. სურთ გახდნენ კომპეტენტურები და შეძლონ ქმედებების, საგნების და იდეების გენერირება.
- ახლად ფეხადგმული ბავშვების გრძნობები არის ძლიერი, მაგრამ არაპროგნოზირებადი.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები ისწრაფვიან შესაძლებლობების, კრეატიულობისა და აღმოჩენებისაკენ.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები არიან იმპულსურები და აქვთ თვითკონტროლის ნაკლებობა.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები კონცენტრირებულნი არიან აწმყოზე.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები ისწრაფვიან სოციალური ურთიერთქმედებისკენ და სწავლობენ სხვების მიბაძვით.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები სწავლობენ მთელი სხეულით და სწავლობენ არა თქმით, არამედ ქმედებით.

ძირითადი მოთხოვნები ახლად ფეხადგმული ბავშვების სასწავლო გეგმებში:

სპეციალურად ახლად ფეხადგმული ბავშვისთვის განკუთვნილ პროგრამებს ხშირად ახასიათებთ ტენდენცია, იყოს მოსაწყენი, უფერული და მოსაბეზრებელი, იმ შემთხვევაში, როდესაც მოლოდინი ძალიან დაბალია ან ძალიან მაღალია.

ახლად ფეხადგმული ბავშვთა საჭიროებები (6.გვ.22):

- უსაფრთხო გარემო და პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გაუმკლავდნენ გამოწვევებსა და პროგნოზირებად მოვლენებს;
- დამოუკიდებელი კვლევისა და მოძრაობის შესაძლებლობები;
- მოქნილი მიდგომა, რომელიც იტევს მათ სპონტანურობას და ახდენს მათი რეალიზებას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ თავიანთი საქმეები გააკეთონ;
- მოზარდები, რომლებიც ხელს უწყობენ ახლად ფეხადგმული ბავშვების 'შემეცნებითი უნარების და ენის განვითარებას;
- პასუხისმგებლიანი და პროგნოზირებადი მოზარდები, რომლებიც გააცნობიერებენ და იღებენ ბავშვის განვითარების ტემპს.

ამრიგად, კურიკულუმი მოიცავს ყველა ინტერაქციას, გამოცდილებას, რუტინას და ღონისძიებას, როგორც დაგეგმილს, ისე დაუგეგმავს, რომელიც ხორციელდება ბავშვის სწავლის და განვითარების მხარდასაჭერად შექმნილ გარემოში.

საკვანძო სიტყვები: ადრეული ასაკი, ჩვილობა, ბავშვის განვითარება, შემეცნებითი უნარები, ბავშვთა საჭიროებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კლერ მაკლაქლანი, მერლინ ფლიერი, სუზან ედვარდსი, ადრეული ბავშვობის კურიკულუმი (მეორე გამოცემა), დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება, კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, თარგმნა ილიას უნივერსიტეტმა, 2015.
2. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, თბილისი, 2010.
3. ადრეული ბავშვობის წიგნიერება და რაოდენობრივი წარმოდგენები: კარგი პრაქტიკის დამკვიდრება - მ. ფლიერი და ბ. რაბანი, ადრეული ბავშვობა ავსტრალია: კანბერა, 2007.
4. მ.ფლიერი და ბ. რაბანი, ცნებების ფორმირების კულტურულისტორიული ანალიზი ადრეული ბავშვობის პერიოდის საგანმანათლებლო გარემოში: ბავშვის და უფროსის კონცეპტუალური ცნობიერება? ევროპის ბავშვის ადრეული განათლების კვლევის ჟურნალი 14 (2), 2006.
5. ი. ბასილაძე, ი. ბალანჩივაძე, მ. ბერუბაშვილი, ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვადასხვა ასპექტები, ქუთაისი, 2018.
6. Te Whàriki, He Whàriki Màtauranga mò ngà Mokopuna o Aotearoa Early Childhood Curriculum, Ministry of Education, Learning Media Wellington, New Zealand, 1996.

IMERI BASILADZE

Professor at Akaki Tsereteli State University

NINO GELENIDZE

Associate Professor at Akaki Tsereteli State University

MANONI BERUCHASHVILI

Kutaisi nursery Union № 31

Educator at nursery

EARLY CHILDHOOD CARE AND EDUCATION ISSUES IN NEW ZEALAND

Resume

Early child care and education program in New Zealand includes years of age from child birth to entry into school. The training program provides the development of skills that children need during their lifetime. According to the program the student and its immediate environment are on the first level. Other levels have a strong impact on a child's welfare and learning ability. The second level contains basic parameters from pupils' environmental conditions: Child's own home, service or environment, or outside the home, and relationships between these circumstances. The third level affecting the quality of children's experience includes the world, the action in the neighborhood, mass media and informal social networks. It also includes the conditions affecting the lives of children. At the same time there is a further national level - the country's belief on child care and education value and child rights and responsibilities.

Key words: early age, infancy, child development, cognitive and receptive skills, child needs

დაცულითი სკოლა

თამარ დოგრაშვილი, გიორგი ბერძენიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორები

საგანთაშორისი კავშირების გამოყენება განვითარებელი სრულებისას დაცულით კლასებში

ჩვენ მეთოდურად გამართლებულად ვთვლით დაწყებითი კლასებში საგანთა სწავლების წარმართვას განმავითარებელი სწავლების შესაბამისად, რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყენებული იქნეს საგანთაშორისი კავშირების სხვადასხვა სახე დაწყებითი კლასების სასწავლო დისციპლინებს შორის. სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ჩვენ მიერ შემუშავებული საგანთაშორისი კავშირების ერთ სახეს, რომელიც ეფუძნება ასტრონომიის და მათემატიკის საგანთაშორისი კავშირების მქონე ამოცანების ჩართვას მათემატიკის გაკვეთილებზე, კონკრეტულად იმ სასწავლო თემების გავლის დროს, როცა განიხილება შესაბამისი საკითხები ბუნებაში ან/და იმ შინაარსის მქონე ამოცანები მათემატიკის სასწავლო კურსში. ასევე, ასტრონომიის და ქართული ენის საგანთაშორის კავშირებს, კერძოდ, ასტრონომიულ ტექსტებში გამოტოვებული ადგილების შევსებას. ამ სახით წარმართული სასწავლო პროცესი არ მოითხოვს დამატებითი საათების გამოყოფას, ხოლო მოსწავლეთა განმავითარებელი ეფექტი მაღალი აქვს, რადგან ასეთი შინაარსის ამოცანების ჩართვით ერთიან სისტემაში მოდის სასწავლო პროცესი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ სწავლებას, ახალი ცოდნის და სწავლების თანამედროვე მეთოდიკის შექმნას, რის საფუძველზეც შემუშავდება მეთოდიკური რეკომენდაციები. ასევე მიზანშეწონილად ვთვლით განმავითარებელი და საგანთაშორისი კავშირების მქონე მათემატიკური ამოცანების განხილვას კლასგარეშე, ფაკულტატიურ და მათემატიკის საგნობრივი წრეების მეცადინეობებზე დაწყებით კლასებში.

საგანთაშორისი შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანების შედგენას ვახდენთ ჩვენ მიერ შემუშავებული ორიგინალური სქემით: „განსახილავი საკითხების შესახებ თეორიული ცოდნის მიწოდება სხვა საგნიდან → საგანთაშორისი შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანა, რომლის პირობა კავშირშია სხვა საგნის თეორიდან მიღებულ ცოდნასთან → დასმული მათემატიკური ამოცანის ამოხსნა → ამოხსნილი ამოცანის პასუხის ჩაწერის შემდეგ მოსწავლეთათვის წინასწარ შედგენილი ისეთი კითხვების დასმა, რომელიც ახდენს არსებული ცოდნის გაღრმავებას“.

განმავითარებელი და საგანთაშორისი კავშირების მქონე მათემატიკურ ამოცანებს დაწყებითი კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოები თითქმის არ შეიცავენ, ამიტომ მათი შედგენა ძირითადად მასწავლებლებს უხდებათ, რისთვისაც მათ თავდაპირველად უნდა შეადგინონ მონაცემთა ბაზა. მასში მოთავსდება არსებული მეცნიერული ინფორმაცია. იგი დაკავშირებულია განსახილავ საკითხებთან, რომელთა შორისაც მყარდება საგანთაშორისი კავშირები. დაწყებით კლასებში უმრავლეს შემთხვევაში ეს დაკავშირებულია ბუნებასთან, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან, გარემომცველ სამყაროსთან, ფლორასთან, ფაუნასთან და სხვ. მაგალითად, მოსწავლებს უნდა გავაცნოთ რეალური რიცხობრივი მონაცემები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია საგანთაშორისი კავშირების მქონე ამოცანების შესადგენად. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მონაცემების ჩაწერა ცხრილის სახით, რაც ეხმარება მოსწავლეებს შემდეგში თვითონ შეადგინონ სხვადასხვა შინაარსის მათემა-

ტიკური ამოცანები. გარდა რიცხობრივი მონაცემებისა, მიზანშენონილია მოსწავლეებისათვის საჭირო თეორიული მასალის გაცნობაც. ცხადია, რომ მათთვის რთული იქნება ყველა მონაცემის დამახსოვრება და სიღრმისეული აღქმა, მაგრამ მასწავლებელმა მათთვის გასაგებად უნდა მოახდინოს აუცილებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდება. დაწყებითი კლასებისათვის შედგენილ საგანთაშორისი კავშირების მქონე მათემატიკური ამოცანების პირობებში მოყვანილი ყველა რიცხვითი მონაცემი აღებული უნდა იყოს რეალურად არსებულიდან.

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული საგანთაშორისი კავშირების დამყარების მოდელის საილუსტრაციოდ განვიხილოთ, თუ რა სახის და რა მოცულობის ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო დაწყებითი კლასებში ბუნების გაკვეთილზე, რათა შემდგომ მათემატიკის გაკვეთილზე წარმატებით ჩავრთოთ ასტრონომიული შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანები, ქართულის ენის გაკვეთილზე შევავსოთ ასტრონომიულ ტექსტებში გამოტოვებული ადგილები და სხვ. საილუსტრაციო მასალა დაეხმარება დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, შემდგომში თვითონ შეადგინონ ანალოგიური შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანები, ტექსტები გამოტოვებული ადგილებით და სხვ. რომლებსაც ჩართავენ დაწყებითი კლასების სასწავლო პროცესში კონკრეტული თემების გავლისას.

ასტრონომიული შინაარსის მქონე მასალა ეტაპობრივად უნდა მიაწოდოს ბუნების გაკვეთილზე მასწავლებელმა უმცროსკლასელებს. მასწავლებლის მიერ მიწოდებული ასტრონომიული მასალა უნდა ეხებოდეს დედამიწას, როგორც ციურ სხეულს, მთვარეს, კოსმოსს, ადამიანის მიღწევებს, რომელიც უკავშირდება კოსმოსის ათვისებას, ხელოვნურ თანამგზავრებს, ცოცხალ არსებებს და ადამიანებს კოსმოსში, კოსმოსურ რეკორდებს და სხვ. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი უმცროსკლასელებს მათთვის ასათვისებელ დონეზე გააცნობს კოსმოსის ათვისების პერსპექტივებსაც.

• დედამიწა

დედამიწა-მზის სისტემის მესამე პლანეტაა, რომელიც დასახლებულია ცოცხალი ორგანიზმებით.

დედამიწიდან მზემდე საშუალო მანძილი 150 მილიონი კილომეტრია.

დედამიწის ფორმა მიახლოებულია წრენირთან. რომლის საშუალო დიამეტრი დაახლოებით 12 800 კილომეტრია. დედამიწის უმაღლეს მწვერვალი წარმოადგენს ევერესტის მთა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 8848 მეტრია, ხოლო ყველაზე ღრმა-მარიანას ღრმულია.

დედამიწის ატმოსფერო შედგება აზოტის, ჟანგბადის, არგონის და ნახშირორჟანგისაგან. დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურა მერყეობს -89°C -დან $62,5^{\circ}\text{C}$ -მდე.

დედამიწის რელიეფი მრავალფეროვანია. მისი ზედაპირის ფართობის 70,8% მსოფლიო ოკეანეს, ხოლო დარჩენილი ნაწილი-კონტინენტებსა და კუნძულებს უკავია.

დედამიწას აქვს ერთი ბუნებრივი თანამგზავრი - მთვარე.

მოსწავლეებს მიზანშენონილია მივაწოდოთ გარკვეული ინფორმაცია ევერესტის და მარიანას ღრმულის შესახებ. მარიანას ღრმულის სიღრმე სხვადასხვა გაზომვებით სხვადასხვაა. კერძოდ, მისი სიღრმე 11023 მეტრია (სიღრმე გაზომა 1957 წელს საბჭოთა კავშირის საკვლევი გემის „გიტიაზი“ ექსპედიციამ, პირველი გაზომვა-11034 მეტრი). დაზუსტებით, რომელიც იაპონურმა ზონდმა აწარმოა 1995 წელს-მისი სიღრმე 10920 მეტრს არ აღემატება. ბოლო გაზომვით კი, რომელიც 2011 წელს ამერიკულმა ოკეანოგრაფიულმა ექსპედიციამ ჩაატარა, დაფიქსირდა 10,994 მ (± 40 მ) სიღრმე.

• მთვარე

მთვარე-დედამიწის ერთადერთი ბუნებრივი თანამგზავრია.

მეცნიერულ შრომებში „ლუნა“-დ მოიხსენიებენ (ლათინურად Luna), რაც სინათლის, ნათელის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ძველად ადამიანებისათვის მთვარე ღმერთი იყო, რომელიც ლამის მფარველად მიაჩნდათ.

მთვარის საშუალო სიშორე დედამიწიდან 384 000კმ-ია. მისი დიამეტრი 3 476 კმ-ია.

მთვარე ბნელი და ცივი, ციური სხეულია, რომელიც მზისგან არეკლილი სინათლით ანათებს, იგი მზიდან გამოსხივებული სინათლის მხოლოდ 7%-ს ირეკლავს.

პირველი ხელოვნური ობიექტი, მთვარეზე 1959 წელს დაეშვა (ხომალდი „ლუნა 2“). იმავე წელს გადაიღეს პირველი ფოტოსურათები მთვარის დედამიწისგან მოფარებულ მხარეს (ხომალდი „ლუნა 3“). 1969 წელს ამერიკელი ასტრონავტი ნილ ამსტრონგი იყო პირველი ადამიანი, რომელმიც გამოვიდა ხომალდიდან „აპოლო 11“ და მთვარეზე ფეხი დადგა.

მთვარის ფაზები. მთვარის დაბნელება მხოლოდ სავსემთვარეობისას ხდება, როცა მთვარე დედამიწის ჩრდილში მოექცევა და მზის სინათლე მას ვერ სწვდება. მთვარე თითქოს ციდან ქრება. ადამიანი მთვარის მხოლოდ ერთ მხარეს ხედავს, რადგან იგი მუდამ ერთი მხრითაა დედამიწისაკენ მოქცეული. დედამიწის ირგვლივ მთვარის ბრუნვისას მზე მის სხვადასხვა ნაწილს ანათებს. სინამდვილეში მთვარის ფორმა არ იცვლება. იგი 27,3 დღეს ანდომებს დედამიწის გარშემო შემობრუნებას. მთვარის „ფორმის ცვლილებებს“ ფაზები ეწოდება. როდესაც მზე მთვარის უკანა მხარეს ანათებს, მთვარე ცაზე თითქმის არ ჩანს. ამ მოვლენას სახალმთვარეობა ეწოდება. მომდევნო ორი კვირის მანძილზე, მთვარის დედამიწის ირგვლივ ბრუნვისას, მზის სინათლის ქვეშ მისი სულ უფრო მეტი ნაწილი ექცევა. როდესაც მთვარე დედამიწას სანახევროდ შემოუვლის, იგი მთლიანად გამოჩნდება. ამ მოვლენას სავსემთვარეობა ეწოდება. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში მთვარის დისკო ცაზე პატარავდება, რადგან მზის სინათლე მის სულ უფრო მცირე ნაწილს ხვდება. მალე მთვარე ახალ შემობრუნებას დაიწყებს. როდესაც მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნავს, დედამიწიდან მთვარის მხოლოდ მზით განათებული მხარის სხვადასხვა ნაწილები ჩანს. მთვარის ფორმა თხელი ნამგლის ფორმიდან, დისკოს ფორმამდე იმატებს, შემდეგ კი ისევ იკლებს. ძირითადად განირჩევა მთვარის ოთხი ფაზა: ახალი მთვარე, პირველი მეოთხედი, სავსე მთვარე და უკანასკნელი მეოთხედი. მთელი ეს ციკლი დედამიწის 29,5 დღე-ლამეს მოიცავს.

მთვარის ზედაპირზე საშუალო ტემპერატურა -143°C-დან -53°C-მდეა, მინიმალური ტემპერატურა -240°C, მაქსიმალური 117°C.

მთვარეს საკუთარი ნათება არ აქვს და მხოლოდ ირეკლავს მზის სინათლეს, არეკლილი სინათლის მოღწევას დედამიწამდე სჭირდება 1,28 წამი.

მთვარე ჯერჯერობით ერთადერთი ციური სხეულია, სადაც ადამიანმა ფეხი დადგა.

• კოსმოსი

• პირველი ცოცხალი არსებები კოსმოსში

ძალლები ბელკა და სტრელკა პირველი ცოცხალი არსებები იყვნენ, რომელთაც დედამიწის ორბიტაზე კოსმოსში 24 საათი გაატარეს და დედამიწაზეც მშვიდობიანად დაეშვნენ 1960 წელს. ამ დროში მათმა ხომალდმა „სპუტნიკ 5“-მა პლანეტის ირგვლივ 5 სრული წრის დარტყმა მოასწრო. პროექტის წარმატებით დასრულებიდან გარკვეული დროის შემდეგ სტრელკას 6 ლეკვი გაუჩნდა, რომელთაგანაც ერთ-ერთი უაკლინ კენედის გადასცეს საჩუქრად.

• პირველი ადამიანები კოსმოსში

1961 წლის 12 აპრილს კოსმოსური ხომალდით „ვოსტოკ-1“ საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი გაფრინდა კოსმოსში. ეს იყო სსრკ-ის მიერ შექმნილი პილოტირებული კოსმოსური ხომალდი, რომელზეც მუშაობა 1957 წელს დაიწყო. ხომალდი შედგებოდა სფეროსებური დასაშვები მოდულისგან, რომელშიც ძრავა და საწვავი იყო მოთავსებული. ატმოსფეროში შემოსვლისას კოსმონავტი კატაპულტის საშუალებით ტოვებდა ხომალდს 7 კმ სიმაღლეზე. მიწაზე პარაშუტის საშუალებით ეშვებოდა, ხოლო დასაშვები მოდული ვარდებოდა ოკეანეში.

1963 წელს საბჭოთა კოსმოსური ხომალდით „ვოსტოკ-2“ კოსმონავტი ალექსი ლეონოვი გავიდა ლია კოსმოსში. ეს ხომალდი აღჭურვილი იყო სპეციალური გასაბერი ლუკით, რომელიც ხომალდის ორბიტაზე გასვლისთანავე იბერებოდა. გაფრენიდან 90 წუთის შემდეგ, კოსმონავტმა ალექსეები ლეონოვმა ჩაიცვა სკაფანდრი და გავიდა ლია კოსმოსში. გასეირნება 20 წუთი გაგრძელდა. კაფსულაში დაბრუნებისას აღმოაჩინა, რომ სკაფანდრი გაბერილიყო და ლუქში ვეღარ ეტეოდა, ამიტომ მას ჰაერის გამოშვება დასჭირდა, რითაც გადაურჩა დაღუპვას.

• ადამიანი მთვარეზე

NASA-მ არმსტრონგი ასტრონავტად 1962 წელს შეარჩია. სპეციალური მომზადების გავლის შემდეგ 1969 წელს მას მიანდეს „აპოლო 11“-ის მისიის ხელმძღვანელობა ედვინ ალდრინთან (მთვარეზე დასაჯდომი კაფსულა „არნივის“ პილოტი) და მაიკლ კოლინთან (მმართველ ხომალდ „აპოლო 11“-ის პილოტი) ერთად. „აპოლო 11“-მა დატოვა კენედის კოსმოსური ცენტრი (ფლორიდა) 16 ივლისს 1969 წელს და 4 დღეში, 20 ივლისს დაეშვა მთვარის ზედაპირზე, ე.წ. „სიმშვიდის ზღვაზე“. ამ მოვლენას მთელი მსოფლიო პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს ტელევიზიით. მთვარეზე დასაჯდომი კაფსულიდან „არნივი“ ნილ არმსტრონგი გამოდის ხაზზე: „ჰიუსტონ, წყნარი ზღვის ბაზა. არნივი დაჯდა...“

21 ივლისს 1969 წ დილას არმსტრონგი ჩამოდის ხომალდიდან 2 საათსა 56 წუთსა და 15 წამს და პირველი დგამს ფეხს მთვარეზე. ამ დროს იძახის ისტორიულ სიტყვას: „ეს პატარა ნაბიჯი ადამიანისთვის, არის დიდი ნახტომი კაცობრიობისთვის.“

15 წუთის შემდეგ მას უერთდება ედვინ ალდრინი, რომელთან ერთადაც აღმართავს აშშ-ს სახელმწიფო დროშას. შემდეგ გააგრძელეს მთვარის გარშემო ტრიალი მესამე ასტრონავტ მაიკლ კოლინთან ერთად. ამ სამ ასტრონავტს შორის არმსტრონგი არჩეული იქნა პირველ კაცად, რომელსაც მთვარეზე უნდა გაევლო, რადგან იგი ჩვეულებრივი მოქალაქე იყო და არა სამხედრო, როგორც მისი ორივე თანაშემწე. არმსტრონგმა მთვარეზე გაატარა 2 საათი და 31 წუთი, გაიარა 250 მ. დედამიწაზე დაბრუნდნენ 24 ივლისს, თან წამოიღეს რამდენიმე ქვის ნატეხი შესასწავლად.

• ქალები კოსმოსში

მოსწავლეთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ინფორმაცია კოსმონავტი ქალების შესახებ. პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა იყო, საბჭოთა კავშირიდან, რომელიც 400 კანდიდატიდან იქნა შერჩეული და მან 1963 წლის 16-19 ივნისს 48-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. მეორე კოსმონავტი ქალი ისევ საბჭოელი იყო-სვეტლანა სავიცკაია, რომელიც კოსმოსში 1982 წლის 19 აგვისტოს გაფრინდა. მესამე კოსმონავტი ქალი იყო ამერიკელი სალი კრისტიან რაიდი, რომელიც 32 წლის ასაკში, ყველაზე ახალგაზრდა, 1983 წლის 18 ივნისს კოსმოსური ხომალდი „ჩეინჯერიდან“ გავიდა კოსმოში. შემდეგ იყვნენ: ჯუდით რეზნიკი-1984 წლის 30 აგვისტო. კეტრინ სალივანი-1984 წლის 5 ოქტომბერი. ანა ლე ფიშერი, მარგარეტ რია სედონი, შენონ ლუსედი, ბონი დანბარი, მერი ქლივი, კეტრინ თორნტონი, მარშა ივინსი, ლინდა გადვინი, ელენ შერმანი, თამარა ჯერნიგანი, მილი ჰალფორდი, რობერტა

ბონდარი კანადიდან, ნეიოკო იემოზაკი იაპონიიდან, ლიუ იანი ჩინეთიდან, ანუშა ანსარი ირანიდან. 2010 წლის 14 აპრილს კი 4 ქალბატონი ერთად იმყოფებოდა კოსმოსურ ხომალდზე.

• კოსმოსური რეკორდები

დღეისათვის, კოსმოსში ყოფნის რეკორდი 437 დღე და 18 საათს შეადგენს. ის რუსმა ასტრონავტმა ვალერი პოლიაკოვმა დაამყარა, კოსმოსში ორჯერ გაფრენით (პირველ ჯერზე 240 დღე). 330 000 000 კილომეტრი დედამიწის გარშემო 7075-ჯერ შემოფრენით დაფარა, სანამ 1995 წლის 22 მარტს დედამიწაზე წარმატებით დაეშვებოდა. ის ერთადერთ ასტრონავტად დარჩა, რომლისთვისაც კოსმოსი მეორე სახლად იქცა. ის მარტო გაფრინდა და კოსმოსში „მირის“ ორბიტულ სადგურზე საერთო ჯამში 22 თვეზე მეტი გაატარა.

ალან შეპარდი პირველი და ერთადერთი ამერიკელი ადამიანია, რომელმაც კოსმოსში მთვარეზე გოლფი ითამაშა.

იუჯინ სერნანის მიერ 1972 წელს მთვარეზე გადადგმული ნაბიჯი მასზე ადამიანის უკანასკნელი ფეხის დადგმა აღმოჩნდა. „მთვარეზეც დავბრუნდებით და შემდეგი გაჩერება მარსი იქნება“-ამბობს ასტრონავტი იუჯინ სერნანი. ის ერთ-ერთია იმ თორმეტი ასტრონავტიდან, რომელიც მთვარეზე ბოლო გაფრენაში, „აპოლო-17“-ის მისიაში მონაწილეობდა. იუჯინ სერნენი კოსმოსში სამჯერ გაფრინდა, ორჯერ იმყოფებოდა მთვარეზე. ის იყო მეორე ამერიკელი, რომელიც ლია კოსმოსში გავიდა.

• ხელოვნური თანამგზავრები

ერთ სრულ მიმოქცევას წრიულ ორბიტაზე დედამიწის ზედაპირთან ახლოს თანამგზავრი ასრულებს 1 საათს 24 წუთსა და 30 წამში, 200 კილომეტრის სიმაღლეზე-1 საათს 28 წუთსა და 30 წამში, 7000 კილომეტრის სიმაღლეზე-4 საათს 16 წუთსა და 30 წამში. 35.810 კლომეტრის სიმაღლეზე მოძრავი თანამგზავრი დღე-ლამეში ერთხელ შემოუვლის დედამიწას და ამიტომ ამ სიმაღლეზე მოძრავი თანამგზავრი ისე მოგვეჩენება, თითქოს ერთ წერტილში იყოს გაჩერებული; მისი სიჩქარე კი იქნება 3.076 მეტრი წამში.

• მათემატიკური ამოცანები კოსმოსზე

1. მსოფლიოს პირველი კოსმონავტის იური გაგარინის კოსმოსში მოგზაურობის დრო 108 წუთია. გაგარინი კოსმოსში 1961 წლის 12 აპრილს გაფრინდა კოსმოსური ხომალდით „ვოსტოკი“. ხომალდის მაქსიმალური სიჩქარე იყო 28 250 კმ/სთ. იპოვეთ ხომალდის მიერ გავლილი მანძილი.
2. დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გლობუსი დაამზადეს 1889 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის. მისი დიამეტრი 12 მეტრი და 80 სანტიმეტრია. რა მასშტაბით გამოსახავს ეს გლობუსი დედამიწას?
3. იური გაგარინი დაიბადა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე 5 წლით ადრე. რამდენი წლის იყო იური გაგარინი, როცა იგი კოსმოსში გაფრინდა?
4. დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვეს 1957 წელს. 12 წლის შემდეგ ამერიკელი ასტრონავტი ნილს ამსტრონგი პირველი ადგამს ფეხს მთვარეზე. რამდენი წლის წინ დაადგა მთვარეზე პირველად ადამიანმა ფეხი?
5. პირველმა ასტრონავტმა ნილს ამსტრონგმა მთვარეზე ფეხი დადგა 1969 წელს. ის 2012 წელს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. რამდენი წლის იყო ნილს ამსტრონგი, როცა ის მთვარეზე გაფრინდა?
6. მზის სხივი დედამიწაზე მოსვლას უნდება $8\frac{1}{3}$ წუთი. რამდენ წამში მოდის სინათლის სხივი მზიდან დედამიწამდე? რა მანძილია მზესა და დედამიწას შორის?

7. სხივი მთვარიდან დედამიწაზე მოსვლას 1,28 წამი უნდება. რა მანძილია მთვარიდან დედამიწამდე?
8. დედამიწის რადიუსი 6400 კილომეტრია. მზის რადიუსი დედამიწის რადიუსზე 109-ჯერ მეტია. იპოვეთ დედამიწისა და მზის დიამეტრები.
9. მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა 26 წლის იყო, როცა 1963 წელს 48-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. რომელ წელს დაიბადა ვალენტინა ტერეშკოვა?
10. 32 წლის სალი კრისტიან რაიდი პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი, ყველაზე ახალგაზრდა იყო, ვინც 1983 წელს კოსმოსური ხომალდი „ჩელენჯერიდან“ გავიდა ღია კოსმოსში. იყო თუ არა სალი კრისტიან რაიდი დაბადებული, როცა პირველი ცოცხალი არსებები _ძალლები ბელკა და სტრელკა _ 1960 წელს კოსმოსში გაფრინდნენ?

• ტექსტში გამოტოვებული ადგილების შევსება

1. დედამიწა-მზის სისტემის ----- პლანეტაა, რომელიც დასახლებულია ----- არგანიზმებით.

დედამიწიდან მზემდე საშუალო მანძილი ----- მილიონი კილომეტრია.

დედამიწის ფორმა მიახლოებულია -----, რომლის საშუალო დიამეტრი დაახლოებით ----- კილომეტრია. დედამიწის უმაღლეს მწვერვალი წარმოადგენს ----- მთა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან ----- მეტრზე მდებარეობს, ხოლო ყველაზე ღრმა ----- ღრმულია.

დედამიწის ატმოსფერო შედგება -----, -----, ----- და -----.

--. დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურა მერყეობს -89°C -დან $62,5^{\circ}\text{C}$ -მდე.

დედამიწის რელიეფი მრავალფეროვანია. მისი ზედაპირის ფართობის 70,8% ----- უკავია. დარჩენილი ნაწილი კი ----- და ----- უკავია.

დედამიწას აქვს ერთი ბუნებრივი თანამგზავრი -----.

2. მთვარე-დედამიწის ----- ბუნებრივი თანამგზავრია.

ძველად ადამიანები მთვარეს ----- მიიჩნევდნენ, რომელიც ----- მფარველად მიაჩნდათ.

მთვარის საშუალო სიშორე დედამიწიდან ----- კილომეტრია. მისი დიამეტრია ----- კილომეტრი.

მთვარე ბნელი და ცივი, ----- სხეულია, რომელიც მზისგან არეკლილი ----- ანათებს, იგი მზიდან გამოსხივებული სინათლის მხოლოდ ----- პროცენტს ირეკლავს.

პირველი ხელოვნური ობიექტი, რომელიც მთვარეზე ----- წელს დაეშვა (ხომალდი „ლუნა 2“). იმავე წელს გადაიღეს პირველი ფოტოსურათები მთვარის დედამიწისგან მოფარებულ მხარეს (ხომალდი „-----“). ----- წელს ამერიკელი ასტრონავტი ----- იყო პირველი ადამიანი, რომელმიც გამოვიდა ხომალდიდან „-----“ და მთვარეზე ფეხი დადგა.

მთვარის ფაზები. მთვარის დაბნელება მხოლოდ ----- ხდება, როცა მთვარე დედამიწის ჩრდილში მოქცევა და მზის სინათლე მას ვერ სწვდება.

ადამიანი მთვარის მხოლოდ ----- მხარეს ხედავს, რადგან იგი მუდამ ერთი მხრითა დედამიწისაკენ მოქცეული.

დედამიწის ირგვლივ მთვარის ბრუნვისას ----- მის სხვადასხვა ნაწილს ანათებს. მთვარე ----- დღეს ანდომებს დედამიწის გარშემო შემობრუნებას. მთვარის „ფორმაცვლილებებს“ ფაზები ეწოდება.

როდესაც მზე მთვარის უკანა მხარეს ანათებს, მთვარე ცაზე თითქმის არ ჩანს. ამ მოვლენას ----- ეწოდება. როდესაც მთვარე დედამიწას სანახევროდ შემოუვლის, იგი მთლიანად გამოჩნდება. ამ მოვლენას ----- ეწოდება.

მთვარის ფორმა თხელი ნამგლის ფორმიდან, დისკოს ფორმამდე იმატებს, შემდეგ კი ისევ იკლებს. ძირითადად განირჩევა მთვარის ოთხი ფაზა: ----- მთვარე, პირველი მეოთხედი, ----- მთვარე და უკანასკნელი მეოთხედი. მთელი ეს ციკლი დედამიწის ----- დღე-ღამეს მოიცავს.

მთვარის ზედაპირზე საშუალო ტემპერატურა -143°C-დან -53° C-მდეა, მინიმალური ტემპერატურა -240°C, მაქსიმალური 117°C.

მთვარეს საკუთარი ნათება არ აქვს და მხოლოდ ირეკლავს ----- სინათლეს, არეკლილი სინათლის მოლწევას დედამიწამდე სჭირდება ---- წამი.

მთვარე ----- ციური სხეულია ჯერჯერობით, სადაც ადამიანმა ფეხი დადგა.

ჩვენს მიერ სტატიაში წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა დაეხმარება დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ანალოგიურად თვითონ შეადგინონ და დაამყარონ საგანთაშორისი კავშირები კონკრეტული სასწავლო საგნების კონკრეტულ თემების შორის და ჩართონ სასწავლო პროცესში.

საკვანძო სიტყვები: საგანთაშორისი კავშირები, განმავითარებელი სწავლება, მათემატიკური ამოცანა, ასტრონომიული ტექსტი.

TAMAR DOGRASHVILI, GIORGI BERDZULISHVILI

Akaki Tsereteli State University

THE USE OF INTERDISCIPLINARY CONNECTION IN PRIMARY CLASSES IN DEVELOPING LEARNING PROCESS

Abstract

We believe that, it is methodically justified to teach subjects in primary classes according to development teaching, for which we consider that it is appropriate to use different types of interdisciplinary connection between educational disciplines of primary classes. In the article we will discuss one of the types of interdisciplinary connection that is developed by us, which is based on the involvement of astronomical and mathematical interdisciplinary tasks in mathematics lessons, especially in the course of the study topics, when the relevant issues are discussed in Science or/and the same content tasks in mathematics training courses. As well as the interdisciplinary connection between astronomy and the Georgian language, especially fill in missed places in astronomical texts. In this way the pedagogical process does not require allocating extra hours, and the effectiveness of the pupils is high, because involving such types of tasks the learning process comes just in full system, which facilitates the learning process that encourages pupils' active teaching, creating new methods of new knowledge and learning, based on which methodological recommendations will be developed.

The illustrative material presented in our article will help teachers of primary classes to form and establish interdisciplinary connection between concrete topics of specific subjects and involve them in the learning process.

Keywords: interdisciplinary connection, development teaching, mathematical task, astronomical text.

**გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე, ბაკურ ბაკურაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

შემთხვევათა გადარჩევის მთოლი

მათემატიკის შესწავლის დასაწყისში უმცროსკლასელები იხილავენ მხოლოდ ისეთი სახის ამოცანებს, რომლებიც ამოხსნება მათვის ადვილად ასათვისებელი ალგორითმის გამოყენებით. ამოცანის ამოხსნის ალგორითმის შერჩევისას გათვალისწინებულია უმცროსკლასელთა ასაკობრივი და ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებები. დაწყებითი კლასებისათვის ამოცანების შერჩევა ხდება თითოეული სასწავლო თემისათვის მიზანმიმართულად, სახელმძღვანელოებში ავტორებს შეაქვთ მხოლოდ ისეთი ამოცანები, რომელთა ამოხსნისთვის გამოიყენება მოსწავლეებისათვის ცნობილი ალგორითმი. ამოცანების ამოხსნისადმი ასეთი მიდგომით დაწყებით კლასებში მოსწავლეები პოულობენ ამოცანის ერთადერთ ამონახსნს. ამოცანების ამოხსნისადმი ასეთი მიდგომა დროთა განმავლობაში დაწყებითი კლასების მოსწავლეებში განამტკიცებს მცდარ აზრს, რომ ამოცანას აქვს ერთადერთი ამონახსნი. ხოლო როცა მათვის ტარდება სხვადასხვა სახის მათემატიკური შეჯიბრებები, ვიქტორინები, კონკურსები, დილა-სალამოები, მათემატიკური ოლიმპიადები და სხვ. ხშირად სასიამოვნო მოულოდნელობად იქცევა ისეთი ამოცანები, რომელთა ამოხსნის დროს ღებულობენ არა მარტო საკმაოდ ლამაზ ამონახსნებს, არამედ რამდენიმე ან უსასრულოდ ბევრ ამონახსნსაც. ასეთი ამოცანების ამოხსნა მოითხოვს არამარტო მოსწავლეთა გონიერებას და ინტუიციის უნარს, არამედ ყოველივე ამ თვისებებთან ერთად საკმაოდ მაღალი ლოგიკური აზროვნების უნარსაც, რაც დაკავშირებულია ამოცანის პირობაში მოცემული მონაცემების სრულ და ყოველმხრივ ანალიზთან, ეს პირველ რიგში მოითხოვს ამოცანის პირობაში მოცემული მონაცემების საფუძველზე ყველა შესაძლო ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტების განხილვასაც. ასეთი ამოცანების ამოხსნის შემდეგ მოსწავლეების წარმოდგენები იმის შესახებ, რომ ამოცანას მხოლოდ ერთადერთი ამონახსნი აქვს, უკვე იმსხვრევა, რადგან მოსწავლეები გაეცნენ და ამოხსნებს ისეთი ამოცანები, რომელთაც ზოგს სულაც არა აქვს ამონახსნი, ზოგს აქვს რამდენიმე ამონახსნი, ხოლო ზოგს-უამრავი ამონახსნი. ყველა შესაძლო ვარიანტების განხილვის მეთოდი, რომელიც მეთოდურ ლიტერატურაში შემთხვევათა გადარჩევის მეთოდის სახელით არის ცნობილი, ახდენს ამოცანის ამოხსნის გზის დაგრძელებას და ახანგრძლივებს ამოცანის ამოხსნის დროს, რაც მოსწავლეთა უმრავლესობას არ მოსწონს. ამიტომ, შემთხვევათა გადარჩევის მეთოდის გამოყენება უნდა მოხდეს მეთოდურად შერჩეულ ამოცანებზე გონივრულად და მიზანმიმართულად, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ამოცანის სრულყოფილ ამოხსნას და არა ისე, რომ ამ მეთოდის გამოყენებამ მხოლოდ დააგრძელოს ამოცანის ამოხსნის გზა, გაახანგრძლივოს ამოხსნის პროცესი და განმავითარებელი ეფექტი კი ნაკლები ჰქონდეს. მეთოდურად გამართლებულია, რომ პირველი ამოცანები, რომელთა განხილვა დაკავშირებული იქნება შემთხვევათა გადარჩევის უნდა ახდენდეს მოსწავლეებისათვის მეთოდის არსში სრულყოფილ გარკვევას და ამავე დროს არ უნდა შეიცავდეს ძალიან ბევრი შემთხვევის განხილვას, რადგან ასეთი ამოცანის ამოხსნის პროცესი დროში ხანგრძლივდება და მოსწავლეთათვის მოსაწყინი ხდება. მეთოდის გამოყენება უნდა მოხდეს ლაკონურად და ხელს უნყობდეს განმავითარებელ სწავლებას, ასეთი მეთოდური მიდგომა შემდგომში ხელს შეუწყობს გადარჩევის მეთოდის ეფექტურ გამოყენებას მათემატიკის შესწავლისას.

სასწავლო პროცესში კომპიუტერის ჩართვა შესაძლებლობებს იძლევა გაფართოვდეს ამოცანათა კლასი, რომელთა ამოხსნა მოითხოვს გადარჩევის მეთოდის გამოყენებას. თუ

ადამიანს შეუძლია გადაარჩიოს რამდენიმე ათეული ან ასეული შემთხვევა, კომპიუტერს წამში შეუძლია რამდენიმე მილიონი ოპერაციის ჩატარება, მაგრამ ამისათვის საჭიროა მოსწავლეებს განვუმარტოთ, რომ მათ უნდა შეძლონ სპეციალური პროგრამის დაწერა, რითაც კომპიუტერი მოახდენს შემთხვევათა გადარჩევას, რისთვისაც მათ უნდა იცოდნენ პროგრამირების ენა. სანამ ისინი კომპიუტერისათვის პროგრამას დაწერენ, მანამ მათ ბევრი უნდა ისწავლონ. მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთ, რომ შემთხვევათა გადარჩევისათვის კომპიუტერის გამოყენებით განსახილავ ამოცანათა სახეები შეზღუდულია. სასკოლო მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას უფრო მოსახერხებელია შემთხვევათა გადარჩევის მეთოდის არსში გარკვევა პრაქტიკული ამოცანების ამოხსნით.

განვიხილოთ მაგალითები, რომლებიც დაგვეხმარება სრულყოფილად და სიღმისეულად გავერკვეთ მეთოდის არსში.

ამოცანა 1. მაღაზიაში 5 სხვადასხვა წონის ერთი და იმავე სახის პროდუქტია დაფასოებული პაკეტებში, რომელთა წონებია: 1500 გრამი, 1020 გრამი, 800 გრამი, 750 გრამი და 600 გრამი. თეკლას შეუძლია მაღაზიიდან სახლში მიიტანოს არაუმეტეს 3 კილოგრამი წონის პროდუქტები. მას სურვილი აქვს იყიდოს რაც შეიძლება მეტი წონის დაფასოებული პროდუქტი. რომელი პაკეტები უნდა იყიდოს თეკლამ?

პირველ რიგში მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა განუმარტოს, რომ ყველაზე იდეალურად კარგი შემთხვევა იქნება ის, თუ თეკლა შეძლებს დაფასოებულ პროდუქტებს შორის შეარჩიოს ისეთი პაკეტები, რომელთა ჯამური წონა იქნება ზუსტად 3 კილოგრამი. ამის შემდეგ, როცა დადასტურდება, რომ ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს, მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ უნდა მოიძებნოს იდეალურთან მიახლოებული შემთხვევა. რომელია ეს შემთხვევა? დაფასოებულ პროდუქტების პაკეტებს შორის ისეთი პაკეტების შერჩევა, რომელთა საერთო წონა არ აღემატება 3 კილოგრამს (3000 გრამს) და რომელიც ყველაზე მიახლოებულია 3 კილოგრამთან, რისთვისაც საჭიროა გამოვიყენოთ შემთხვევათა გადარჩევის მეთოდი. მსჯელობას ვიწყებთ ასე: ვთქვათ, თეკლამ გადაწყვიტა, არ იყიდოს ყველაზე მძიმე პაკეტი დაფასოებულ პაკეტებს შორის. მაშინ ყველა დარჩენილი პაკეტის წონა იქნება: $1020 + 800 + 750 + 600 = 3170$ (გრამი), რაც 3 კილოგრამზე მეტია. ე.ი. თეკლამ ყველაზე მძიმე დაფასოებულ პაკეტთან ერთად არ უნდა იყიდოს კიდევ ერთი რომელიმე დაფასოებული პაკეტი. ამოცანის პირობიდან გვაქვს, რომ თეკლას აქვს სურვილი იყიდოს, რაც შეიძლება მეტი დაფასოებული პროდუქტი, ამიტომ, თუ თეკლა არ იყიდის ყველაზე მძიმე დაფასოებულ პაკეტს, მან არ უნდა იყიდოს მასთან ერთად კიდევ ერთი პაკეტი, რომელიც ყველაზე მსუბუქია სხვა პაკეტებს შორის. ე.ი. მან კიდევ არ უნდა იყიდოს პაკეტი, რომლის წონაა 600 გრამი. ამ შემთხვევაში თეკლა იყიდის დაფასოებულ პროდუქტს, რომლის საერთო წონაა: $1020 + 800 + 750 = 2570$ (გრამი) < 3 (კილოგრამი).

ამრიგად, თუ თეკლა არ იყიდის ყველაზე მძიმე დაფასოებულ პაკეტს, მაშინ მას შეუძლია მაქსიმუმ მაღაზიაში იყიდოს 2570 გრამი დაფასოებული პროდუქტი.

ახლა, ვთქვათ, თეკლამ იყიდა დაფასოებული პროდუქტის ყველაზე მიმე პაკეტი, რომლის წონაა 1500 გრამი. ამის შემდეგ თეკლას, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეუძლია იყიდოს პროდუქტის 1020 გრამიანი დაფასოებული პაკეტი, (რაც ჯამში მოგვცემს 2520 გრამს) ან იყიდოს პროდუქტის ორი დაფასოებული პაკეტი 800 გრამი და 600 გრამი (რაც ჯამში მოგვცემს 2900 გრამს), ან 750 გრამი და 600 გრამი (რაც ჯამში მოგვცემს 2850 გრამს). არის კიდევ ერთი შემთხვევა, როცა თეკლას შეუძლია იყიდოს 800 და 750 გრამიანი დაფასოებული პაკეტები, რომელიც არ გამოდგება, რადგან ამ შემთხვევაში თეკლას მიერ ნაყიდი პროდუქტების საერთო წონა იქნება:

$$1500 + 800 + 750 = 3050 \text{ (გრამი)} > 3 \text{ (კილოგრამი).}$$

ე.ი. თეკლამ უნდა იყიდოს პაკეტები წონებით: 1500 გრ, 800 გრ და 600 გრ.

ამოცანის ამოხსნის დროს ჩვენ ვისარგებლეთ პირდაპირი გადარჩევის მეთოდით, რომლის გამოყენება ამოცანათა ამოხსნის დროს ყოველთვის ვერ ხერხდება მისი სიმარტივიდან გამომდინარე. უფრო ხშირად პრაქტიკაში გამოიყენება შემთხვევათა გადარჩევის მეთოდი, რომელიც კავშირშია ამოცანათა ამოხსნის სხვა მეთოდებთან. ასეთი კომბინირებული მიდგომა ხშირად გადარჩევის შესაძლო შემთხვევების შემცირებას იწვევს და პრაქტიკული თვალსაზრისით ძალიან მოსახერხებელია.

ამოცანა 2. იპოვეთ ყველა ნატურალური სამნიშნა რიცხვი, რომლებსაც აქვთ შემდეგი ორი თვისება: მისი პირველი ციფრი ორჯერ ნაკლებია მის ბოლო ციფრზე; მოცემული რიცხვისა და იმ რიცხვის ჯამი, რომელიც მიიღება ამ რიცხვის მეორე და მესამე ციფრების ადგილების შეცვლით, უნაშთოდ იყოფა 9-ზე.

ამ შემთხვევაში შემთხვევათა გადარჩევის მეთოდის პირდაპირ გამოიყება ნიშნავდა იმას, რომ განგვეხილა ყველა სამნიშნა რიცხვი, განგვეხორციელებინა მათვის ამოცანის პირობაში მოყვანილი ოპერაცია და მათგან ამოგვერჩია ის რიცხები, რომლებიც დააკმაყოფილებდა ამოცანის ყველა პირობას. ამის შესრულება საკმაოდ დიდ დროს და ბევრი არითმეტიკული გამოთვლების ჩატარებას მოითხოვს, რომელიც მოსწავლეებისათვის ცოდნის მიღების თვალსაზრისით არაფრის მომცემი არ არის და მოსახეზრებელია, ამიტომ ჩვენ ამოცანის ამოხსნის პროცესში ამ გზას არ გამოვიყენებთ. ვისარგებლოთ ამოხსნის სხვა გზით, რომელიც შეამცირებს განსახილავი შემთხვევების რაოდენობას და ამავე დროს ექნება მოსწავლეთათვის განმავითარებელი ფუნქციაც. ამისათვის მოცემული ამოცანის ამოხსნისათვის გამოვიყენოთ ალგებრული მეთოდი და შემთხვევათა გადარჩევას მივმართოთ მას შემდეგ, რაც მოვახდენთ განსახილავი შემთხვევების რაოდენობის მკვეთრ შემცირებას.

ვთქვათ, მოცემულ სამნიშნა რიცხვში ასეულების ციფრია x , ხოლო ათეულების ციფრია y , მაშინ მისი ერთეულების ციფრი იქნება $2x$. ცხადია, რომ $2x \leq 9$, საიდანაც $x \leq 4,5$. რიცხვში პირველი ციფრი 0 არ შეიძლება რომ იყოს, ამიტომ x შეიძლება ტოლი იყოს 1, 2, 3 ან 4-ის. განვიხილოთ თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე. ჩავწეროთ ამოცანის პირობის მეორე მოთხოვნა ასე: $((100x+10y+2x)+(100x+20x+y)):9$, ანუ, $((216x+9y)+(6x+2y)):9$. აქ $216x+9y$ და $6x+2y$ -ის ცალ-ცალკე ჯამის სახით წარმოდგენა გავაკეთეთ იმისთვის, რომ $216x+9y$ იყოფა 9-ზე და მისი უკუგდებით, მივიღებთ, რომ ჩანსრილი პირობა ეკვივალენტურია პირობის: $(6x+2y):9$. ანუ, $2(3x+y):9$, რისთვისაც აუცილებელია და საკმარისი, რომ $3x+y$ გაიყოს 9-ზე. ამის შემდეგ გადავიდეს გადარჩევის მეთოდზე:

1. $x=1$, მაშინ $3+y:9$, ეს შესაძლებელია, როცა $y=6$. 2. $x=2$, მაშინ $6+y:9$, ეს შესაძლებელია, როცა $y=3$.

3. $x=3$, მაშინ $9+y:9$, ეს შესაძლებელია, როცა $y=0$, ან $y=9$. 4. $x=4$, მაშინ $12+y:9$, ეს შესაძლებელია, როცა $y=6$. ამოცანას აქვს ხუთი ამონახსნი: 162, 234, 306, 396, 468.

ამოცანა 3. ზაზას ჯიბეში რამდენიმე მონეტა აქვს. თუ ზაზა ჯიბიდან ამოიღებს ნებისმიერ 3 მონეტას, მაშინ მათში აუცილებლად იქნება 1 ლარიანი მონეტა. თუ ზაზა ჯიბიდან ამოიღებს ნებისმიერ 4 მონეტას, მაშინ მათ შორის აუცილებლად იქნება 2 ლარიანი მონეტა. ზაზამ ჯიბიდან ამოიღო 5 მონეტა. დაასახელეთ ეს მონეტები.

რადგან ჯიბიდან ამოიღებულ ნებისმიერ სამ მონეტას შორის აუცილებლად არის 1 ლარიანი მონეტა. ეს ნიშნავს, რომ სხვა ნომინალის მონეტების რაოდენობა 2-ზე მეტი არ არის. ანუ, ზაზას ყველა მონეტა ორი მონეტის გარდა 1-ლარიანია. რადგან ჯიბიდან ამოღებულ ნებისმიერ

ოთხ მონეტას შორის აუცილებლად მოიძებნება 2-ლარიანი მონეტა, ამიტომ 2-ლარიანი ნომინალისაგან განსხვავებული მონეტების რაოდენობა სამზე მეტი არ არის. ანუ ზაზას მონეტებიდან სამის გარდა ყველა მონეტა 2-ლარიანია. ამიტომ ცხადია, რომ ზაზას მიერ ჯიბიდან ამოღებული 5 მონეტიდან 3 მონეტა 1-ლარიანია, ხოლო 2 მონეტა 2-ლარიანი.

ამოცანა 4. ნატურალურ რიცხვს გამოაკლეს მისი ციფრთა ჯამი და მიიღეს 2007. რისი ტოლი შეიძლება იყოს მოცემული რიცხვი?

მარტივად დავრწმუნდებით, რომ საძიებელი რიცხვი ოთხნიშნაა. ვთქვათ, ის ტოლია $\overline{abcd} = 1000a + 100b + 10c + d$. მაშინ,

$$1000a + 100b + 10c + d - (a + b + c + d) = 999a + 99b + 9c = 9(111a + 11b + c).$$

მივიღებთ განტოლებას: $9(111a + 11b + c) = 2007$. საიდანაც, $111a + 11b + c = 223$.

შერჩევით დავრწმუნდებით, რომ $a = 2$. მაშინ, $11b + c = 1$. რადგან b და c ციფრებია, ამიტომ, $b = 0$ და $c = 1$. შევნიშნოთ, რომ d შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ციფრი. ე.ი. ჩვენი საძებნი რიცხვებია:

2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018 და 2019.

ამოცანა 5. მართკუთხედის ორი გვერდის სიგრძეთა ჯამია 7 სმ, ხოლო სამი გვერდის სიგრძეთა ჯამი 9,5 სმ. იპოვეთ მართკუთხედის პერიმეტრი.

თუ ორი მეზობელი გვერდის ჯამის სიგრძეა 7 სმ, მაშინ მართკუთხედის პერიმეტრია 14 სმ. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არ ენინაალმდეგება ამოცანის პირობას, რომ მართკუთხედის სამი გვერდის ჯამის სიგრძეა 9,5 სმ.

თუ მართკუთხედის მოპირდაპირე გვერდების სიგრძეთა ჯამია 7 სმ, მაშინ ამ გვერდების სიგრძეებია 3,5 სმ. ამ შემთხვევაში მართკუთხედის დანარჩენი გვერდების სიგრძეები შეიძლება იყოს ან 2,5 სმ ან 3 სმ.

მართლაც, $3,5 + 3,5 + 2,5 = 9,5$; $3,5 + 3 + 3 = 9,5$. ამიტომ, ამ ორ დარჩენილ შემთხვევაში მართკუთხედის პერიმეტრი იქნება:

$$(3,5 + 2,5)2 = 12 \text{ (სმ)} \text{ და } (3,5 + 3)2 = 13 \text{ (სმ)}.$$

ამოცანა 6. სათამაშო კამათელის წახნაგებს ანერია ციფრები 1-დან 6-ის ჩათვლით. კამათელი გააგორეს ორჯერ. პირველ შემთხვევაში კამათელის ოთხ გვერდით წახნაგზე დაწერილი ციფრების ჯამი 12-ის ტოლი აღმოჩნდა, მეორე შემთხვევაში კი-15. რა რიცხვია დაწერილი კამათლის იმ წახნაგს, რომლის მოპირდაპირე წახნაგზე დაწერილია 3?

სათამაშო კამათლის ყველა წახნაგზე დაწერილი ციფრების ჯამია 21. კამათლის პირველ და მეორე გაგორებისას ზედა და ქვედა წახნაგებზე დაწერილი რიცხვების ჯამია პირველ შემთხვევაში 9, მეორე შემთხვევაში 6. პირველი გაგორების შემდეგ ცხადი, რომ კამათლის მოპირდაპირე წახნაგებზეა ან 4 და 5 ან 3 და 6. ვთქვათ, კამათლის მოპირდაპირე წახნაგებზეა 4 და 5. კამათლის მეორე გაგორების შემდეგ ცხადია, რომ კამათლის მოპირდაპირე წახნაგებზე, ან 2 და 4 ან 1 და 5. მივიღეთ წინააღმდეგობა, რაც ნიშნავს, რომ 3-ის მოპირდაპირე წახნაგს კამათელზე ანერია 6.

ამოცანა 7. ამოხსენით ნატურალურ რიცხვებში განტოლებათა სისტემა

$$\begin{cases} x + y = zt, \\ z + t = xy. \end{cases}$$

განვიხილოთ შემთხვევები:

1) $x = 1$. მაშინ სისტემიდან მივიღებთ: $y = z + t$, $y = zt - 1 \Rightarrow zt - z - t - 1 = 0 \Rightarrow (z-1)(t-1) = 2$. ანუ მივიღებთ, რომ

$$z - 1 = 2 \wedge t - 1 = 1 \Rightarrow z = 3, t = 2. \vee z - 1 = 1 \wedge t - 1 = 2 \Rightarrow z = 2, t = 3 \Rightarrow y = z + t = 5.$$

ე.ი. სისტემის ამონახსნებია: $(1, 5, 2, 3)$ და $(1, 5, 3, 2)$.

2) $y = 1$. მაშინ ანალოგიურად, სისტემის ამონახსნებია: $(5, 1, 2, 3)$ და $(5, 1, 3, 2)$.

3) $z = 1$. მაშინ სისტების ამონახსნებია: $(2, 3, 1, 5)$ და $(3, 2, 1, 5)$.

4) $t = 1$. მაშინ სისტემის ამონახსნებია: $(2, 3, 5, 1)$ და $(3, 2, 5, 1)$.

5) ვთქვათ, $x, y, z, t > 1$. მაშინ $(x-1)(y-1) \geq 1$. ანუ $xy \geq x + y$. ანალოგიურად, $zt \geq z + t$. ამ უტოლობების შეკრებით მივიღებთ: $xy + zt \geq x + y + z + t$. მეორეს მხრივ, თუ შევკრიბავთ სისტემის განტოლებებს, მივიღებთ: $xy + zt = x + y + z + t$. ცხადია, რომ, ორივე უტოლობა $xy \geq x + y$ და $zt \geq z + t$ წარმოადგენს ტოლობას. ანუ $x = y = z = t = 2$. ე.ი. განტოლებათა სისტემის ამონახსნია კიდევ ერთი ოთხეული: $(2, 2, 2, 2)$.

ამოცანა 8. ოკეანეში ხუთი A, B, C, D, E კუნძული ისეა განლაგებული, რომ ზოგიერთ კუნძულებს შორის მანძილები ცნობილია: $AB = BC = CA = 3$ კმ, $CD = DE = EC = 8$ კმ და $BD = 11$ კმ. რა მანძილია A და E კუნძულებს შორის?

ამოცანის პირობიდან გამომდინარეობს, რომ A, B და C კუნძულები მდებარეობენ 3 კმ გვერდის მქონე ტოლგვერდა ABC სამკუთხედის წვეროებში. ასევე, C, D და E კუნძულებიც მდებარეობენ 8 კმ გვერდის მქონე ტოლგვერდა CDE სამკუთხედის წვეროებში.

ABC და CDE სამკუთხედებს აქვთ საერთო C წვერო. გავარკვიოთ და განვიხილოთ ყველა შესაძლო შემთხვევები როგორი მდებარეობა შეიძლება ეკავოს C წვეროს მიმართ თითოეული სამკუთხედის წვეროებს. ამოცანის პირობაში გვაქვს კიდევ ერთი მოცემულობა, კერძოდ, $BD = 11$ კმ, რაც ნიშნავს, რომ B, C და D წერტილები მდებარეობენ ერთ წრფეზე, ამასთან C წერტილი მდებარეობს B და D წერტილებს შორის, რადგან, $BD = CD + BC = 3 + 8 = 11$.

E კუნძულს შესაძლოა ეკავოს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მდებარეობა. 1. E კუნძული მდებარეობს AC წრფეზე, სადაც C წერტილი მდებარეობს A და E წერტილებს შორის. ამ შემთხვევაში: $AE = AC + CE = 3 + 8 = 11$ (კმ). 2. E კუნძული მდებარეობს C წერტილზე გავლებულ AB წრფის პარალელურ წრფეზე. აქ განიხილება ორი ქვეშემთხვევა: ა) E წერტილი მდებარეობს C წერტილის მარჯვნივ, ისე, რომ $EC = 8$ კმ; ბ) E წერტილი მდებარეობს C წერტილის მარცხნივ, ისე, რომ $EC = 8$ კმ. ა) და ბ) ქვეშემთხვევებში საძიებელი AE მანძილი მარტივად გამოითვლება კოსინუსების თეორემის საშუალებით და ა) ქვეშემთხვევაში ტოლია $\sqrt{97}$, ხოლო ბ) ქვეშემთხვევაში $\sqrt{19}$ -ის ტოლია.

საბოლოოდ, საძიებელი მანძილი შეიძლება იყოს: 11 კმ, ან $\sqrt{97}$ კმ, ან $\sqrt{19}$ კმ.

ამოცანა 9. ამოხსენით ნატურალურ რიცხვებში განტოლება:

$$\frac{1}{x} + \frac{1}{y} + \frac{1}{z} = 1.$$

ამ ამოცანის ამოხსნა პირდაპირი გადარჩევის წესით შეუძლებელია, რადგან ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში გამოიყოფა ნატურალურ რიცხვთა სამეულების უსასრულო სიმრავლე. ამიტომ სანამ დავიწყებდეთ შემთხვევათა გადარჩევას, მანამ როგორმე უნდა მოვახერხოთ, რომ შემთხვევათა რაოდენობა შევამციროთ სასრულ რიცხვამდე. შემთხვევათა გადარჩევის

პროცესის წარმართვას გაგვიმარტივებს ამოცანის პირობის უმნიშვნელო შეცვლა. კერძოდ, ზოგადობის დაურღვევლად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ საქებნი ცვლადები აკმაყოფილებენ პირობებს: $x \leq y \leq z$. ცხადია, რომ $\frac{1}{x} \geq \frac{1}{y} \geq \frac{1}{z}$. თავიდან დავუშვათ, რომ $x > 3$. მაშინ

$\frac{1}{3} > \frac{1}{x} \geq \frac{1}{y} \geq \frac{1}{z}$, საიდანაც, $\frac{1}{x} + \frac{1}{y} + \frac{1}{z} < \frac{1}{3} + \frac{1}{3} + \frac{1}{3} = 1$. რაც ენინაალმდეგება ამოცანის პირობას.

ამრიგად, x არ შეიძლება ღებულობდეს სხვა მნიშვნელობებს, გარდა 1, 2 და 3. ამოცანის პირობის უმნიშვნელო ცვლილებამ მნიშვნელოვნად შეამცირა გადარჩევათა რაოდენობა.

1. $x = 1$. მაშინ $\frac{1}{y} + \frac{1}{z} = 0$. რაც შეუძლებელია.

2. $x = 2$. მაშინ $\frac{1}{y} + \frac{1}{z} = \frac{1}{2}$. თუ $y > 4$, მაშინ $\frac{1}{4} > \frac{1}{y} \geq \frac{1}{z}$, საიდანაც, $\frac{1}{y} + \frac{1}{z} < \frac{1}{4} + \frac{1}{4} = \frac{1}{2}$. რაც

შეუძლებელია. ე.ი. y არ შეიძლება ღებულობდეს სხვა მნიშვნელობებს, გარდა 2, 3 და 4. ამ მნიშვნელობების ჩასმით დავრწმუნდებით, რომ $y = 2$ არ გამოდგება, ხოლო ორი დარჩენილი მნიშვნელობა გვაძლევს ამოცანის ორ ამონახსნს: (2, 3, 6) და (2, 4, 4).

3. $x = 3$. მაშინ $\frac{1}{y} + \frac{1}{z} = \frac{2}{3}$. თუ $y > 3$, მაშინ $\frac{1}{3} > \frac{1}{y} \geq \frac{1}{z}$, საიდანაც, $\frac{1}{y} + \frac{1}{z} < \frac{1}{3} + \frac{1}{3} = \frac{2}{3}$. რაც

შეუძლებელია. ამრიგად, y ცვლადისათვის უნდა განვიხილოთ მხოლოდ ერთი 3-ის ტოლი მნიშვნელობა, რომელიც გვაძლევს კიდევ ერთ ამონახსნს: (3, 3, 3).

ყველა შემთხვევა განხილულია მოცემული ამოცანიდან დამატებითი პირობებით $x \leq y \leq z$ მიღებული ამოცანა ამოხსნილია სრულად. მიღებულ ამოცანას აქვს სამი ამონახსნი: (2, 3, 6), (2, 4, 4) და (3, 3, 3). მოცემული ამოცანის ამონახსნებს წარმოადგენენ მიღებული სამეულების გადანაცვლების შედეგად მიღებული სამეულებიც. რადგან მოცემულ განტოლებაში ცვლადების ადგილების შეცვლით განტოლება არ იცვლება, ამიტომ მიღებული ამონახსნებიდან ყველა ამონახსნი მიიღება მიღებული ამონახსნებიდან ყველა შესაძლო გადანაცვლებით. საბოლოოდ, მოცემული განტოლების ამონახსნებია:

(2, 3, 6), (2, 6, 3), (3, 2, 6), (3, 6, 2), (6, 2, 3), (6, 3, 2), (2, 4, 4), (4, 2, 4), (4, 4, 2), (3, 3, 3).

მოსწავლეთათვის ამოცანების ამოხსნის დროს ზოგჯერ აუცილებელია აქცენტი გადატანილი იქნას ამოცანის ამოხსნის მათემატიკურ სიმკაცრეზე, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მოითხოვს დროის დანაკარგებს და ხშირად ზედმეტი გარდაქმნების და გამოთვლების ჩატარებასაც, მაგრამ ყოველივე ეს ნაკარნახევი იყოს გადაუდებელი აუცილებლობით, რომ განხილული და გადარჩეული იყოს ამოცანის პირობაში მოყვანილი მონაცემების ყველა შესაძლო შემთხვევათა გადარჩევის მეთოდით ამოცანების ამოხსნა მოითხოვს მოსწავლეთა საკმაოდ მაღალი ლოგიკური აზროვნების უნარს, რაც უკავშირდება ამოცანის პირობაში მოცემული მონაცემების სრულ და ყოველმხრივ ანალიზს და მისი ჩართვა სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ უნდა მოხდეს კონკრეტული ამოცანების ამოხსნის დროს მახვილგონივრულად. ამოცანის ამოხსნის პროცესს მასწავლებელმა უნდა დაურთოს მეთოდური მითითებები და სათანადო ახსნა-განმარტებები, რაც მოსწავლეებს დაარწმუნებს გამოყენებული მეთოდის აუცილებლობაში.

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური ამოცანა, ამოხსნის ალგორითმი, შემთხვევათა გადარჩევა, პირდაპირი გადარჩევა.

THE METHOD OF SELECTION

Abstract

In primary classes, they will discuss mathematical tasks that can be solved by the easy to assimilate algorithm for students and that has only one solution. Such kind of approach over the time strengthens the wrong ideas in primary classes, that the task has only one solution. For student it turns out to be a pleasant surprise with mathematical search tasks, by the time it is solving they get several or more solutions. This kind of task requires not only the intelligence and intuition of the students, but also a very high logical thinking skill that is related to the complete and comprehensive analysis of the data that is given in the task, it primarily requires, based on the given dates from the tasks to discuss different possible options. The method of reviewing all possible options that is known as method of selection in methodological literature is to serve to solve the task perfectly, but at the same time leads to solve the task in long way and prolongs the time of solving. Therefore, the method of selection should be used methodically targeted and have a developmental effect. The first tasks solved by using the method of selection helps students to understand the essence of the task, perfectly comprehends in the area of its use and does not contain many cases, such methodological approach promotes effective use of the selection method in mathematics.

The practical tasks of school mathematics are discussed from different parts of the mathematics that allows people, who are interested in this topic, to get methodical approaches perfectly and deeply, which are related to the use of selection method. The relevant methodological conclusions are made.

Keywords: Mathematical task, solving algorithm, selection method, direct selection

საგანთა სნავლების მათოდივა

ნათელა მაღლაკელიძე,
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ენების სნავლების მათოდთა უნიფირაცია ქართულ სკოლაში

ქართული სკოლა თავისი არსით ყოველთვის მულტილინგვალური იყო. საკმარისია, გავიხსენოთ იყალთოსა და გელათის აკადემიები, სადაც მშობლიურ ენასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა უცხო ენების სწავლებასაც – ბერძნულსა და ლათინურს. ჩვენი დიდებული ერისკაცების ცხოვრების აღწერისას ბიოგრაფები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მათ მიერ უცხო ენების მაღალ დონეზე ფლობას. უცხო ენების სწავლებას განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს და ამაზე არავინ დავობს. ”მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებს და დარჩით მარტო დედაენის ამარაო... ისნავლეთ რაც შეიძლება ღრმად და ზედმიწევნით ევროპული ენები, მაგრამ არას-დროს არ დაივიწყოთ, რომ ყოველი ევროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურ ენას და შემდეგ შეუდგება უცხო ენების შესწავლას” (ი. გოგებაშვილი: 1973, გვ.187).

დღევანდელი ქართული მულტილინგვალური სკოლა პირველ რიგში მშობლიური ენის სწავლებას გულისხმობს; უფრო მეტიც – მშობლიური ენა არის ის ენა, რომელსაც ეფუძნება მომავალი თაობის განათლება და აქედან გამომდინარე, უცხო ენების სწავლებაც. დღეს ქართული ენა ქართულ სკოლაში არა ერთ-ერთი საგანია, არამედ სხვა საგანთა სწავლების საფუძველიც.

“რას ნიშნავს უცხოური ენა? ამ კითხვას ხშირად სვამენ, მაგრამ მეორე ენა რომ პირველს (დედაენას) გულისხმობს, ეს ხშირად ავიწყდებათ” (გ.რამიშვილი: 2000, გვ.51).

სტატიის მიზანი ამჯერად სრულიადაც არ გახლავთ იმაზე საუბარი, თუ რამდენად მისაღებია ადრეული ასაკიდან ერთდროულად ორი და ზოგჯერ მეტი უცხო ენის სწავლება, რა ინოვაციური მეთოდები გამოიყენება ამ ენების სწავლებისას, რა ფუნქცია ეკისრება ენების სწავლებას პირველების აღზრდისა და განათლების საქმეში... (ეს ცალკე სტატიების თემაა). ჩვენ დღეს გვინდა ვისაუბროთ ერთ კონკრეტულ საკითხზე – რა გავლენას ახდენს უცხო ენების მეთოდიკა მშობლიური ენის მეთოდიკაზე; რამდენად მისაღებია მშობლიური/ქართული ენის სწავლებისათვის ის ახალი სტრატეგიები, რომლებიც უცხო ენების სწავლებაში გამოიყენება დღეს; რამდენად გამართლებულია ამ მეთოდების ბრმად გადმოტანა და მორგება ქართული/მშობლიური ენისათვის... დასამალი არ არის, რომ ეს მეთოდები არც თუ იშვიათად უკრიტიკოდ გადმოგვაქვს მშობლიური (ამ შემთხვევაში ქართული) ენის სწავლების პროცესში ისე, რომ არ ვითვალისწინებთ ორ ძირითად ფაქტორს: ა) მშობლიური ენის რაობასა და მნიშვნელობას პირველების ფორმირებისას და ბ) მშობლიური ენის (ქართულის) სპეციფიკასა და ლინგვისტურ თავისებურებებს.

რატომდაც ხშირად გვავიწყდება, რომ მშობლიური ენა პირველ რიგში აზროვნების ენაა და არა მხოლოდ ძირითადი სამეტყველო კომპეტენციები – კითხვა, წერა, მოსმენა და ლაპარაკი. არადა, დღეს აქცენტი მშობლიური ენის სწავლებისასაც ამ ოთხ ძირითად კომპონენტზე გახლავთ გადატანილი. არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ უცხო ენისაგან განსხვავებით მშობლიურ ენას არ სჭირდება საგანგებო შესწავლა, მას ბუნება მზამზარეულად ახვედრებს ბავშვს. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, “4-5 თუ არა, 7-8 წლის ბავშვი მაინც პრინციპულად დაუფლებულია სამშობლო ენას... ამიერიდან მისი ენის განვითარება მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას განიცდის...” (დ. უზნაძე: 2003, გვ. 591). “სკოლაში მისულმა 6 წლის ბავშვმა ეს ენა ხშირად იმაზე კარგად იცის, ვიდრე თვით

ლინგვისტიკაში გაწაფულ მასწავლებელს შეეძლება მას აუხსნას” (გ. რამიშვილი: 2000, გვ.28).

ბრმა მიმბაძველობის მიდგომის ბრალია ის, რომ ბოლო წლებში თითქმის უარი ვთქვით მშობლიური ენის გრამატიკის სწავლებაზე და იგი პრაქტიკულ გრამატიკამდე დავიყვანეთ იმ მოტივით, რომ ენის კანონების გაცნობიერება ბავშვს მშობლიურ ენაზე ლაპარაკისას საერთოდ არ სჭირდება და ეს მხოლოდ უცხო ენის შესწავლისას არის აუცილებელი. გავიხსენოთ ისევ და უზნაძის სიტყვები: “მან (საუბარია 7 წლის ბავშვზე) ლაპარაკი იცის და ლაპარაკში თავისი ენის მორფოლოგიასაც ფლობს, სინტაქსისაც და სემანტოლოგიასაც. ... მაგრამ ამის შესახებ თვითონ ბავშვმა არაფერი იცის, საჭიროა მათი ობიექტივაცია და გაცნობიერება... და აი აქ სკოლა დახმარებას უწევს: იგი გრამატიკას ასწავლის მას და ამით იგი ენობრივი განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს... მეტყველების ფორმა ცნობიერი ხდება (დ. უზნაძე: 2003, გვ. 593). მაშასადამე, როდესაც ჩვენ მშობლიური ენის გრამატიკის სწავლებაზე ვამბობთ უარს, ამით ხელს ვუშლით მეტყველების ფორმის გაცნობიერებასა და ენობრივი განვითარების ახალ საფეხურზე ბავშვის ასვლას.

უცხო ენების მეთოდოლოგიის ბრმა მიმბაძველობა კიდევ უფრო საგრძნობია წერა-კითხვის სწავლების მეთოდების შერჩევისას. წერა-კითხვის სწავლების ისტორიაში გამოყენებულ ყველა მეთოდს პირობითად სამ ჯგუფში აერთიანებენ: ა) ანალიზურ (დაღმავალ), ბ) სინთეზურ (აღმავალ) და გ) ანალიზურ-სინთეზურში (დაღმავალ-აღმავალში). “ამერიკულ” (იგივე “სიტყვათხედვის”, ანუ “მთლიან სიტყვათა”) მეთოდს ანალიზურ მეთოდთა რიგს მიაკუთვნებენ.

“ამერიკული” მეთოდი, მიუხედავად თავისი სახელწოდებისა, საფრანგეთში წარმოიქმნა. ამ მეთოდით წერა-კითხვის შესწავლისას ძირითადი საანალიზო ერთეული არის არა ასო (ან მარცვალი), არამედ სიტყვა მთლიანად. ამიტომ მას იყენებენ იმ ენებში, სადაც წარმოთქმა და წერა, ასო და ბგერა ერთმანეთს არ ემთხვევა. იმისათვის, რომ მოსწავლემ ამ ენებზე სიტყვის მართლწარმოთქმა და მართლწერა ისწავლოს, საჭიროა მთლიანი სიტყვის გრაფიკული სახის დამახსოვრება, დაზეპირება როგორც მხედველობით, ისე წარმოთქმით, მოსმენითა და წერით. დაზეპირების გარეშე ამ ენებზე მეტყველი ბავშვი სწორად ვერ წერს იმ ასოთა კომბინაციას, რომელსაც სულ სხვა ვერბალური სახე აქვს. სწორედ ამიტომაც არის ეს მეთოდი გავრცელებული ევროპასა და ამერიკაში, ამიტომაც არის აგებული ამ პრინციპით ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ბერძნული, თურქული, ესპანური... ანბანის სახელმძღვანელოები.

ქართული კი, როგორც ცნობილია, ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის ენაა, აქ იმდენი ასოა, რამდენიც ბგერა და იმდენი ბგერა, რამდენიც—ასო. სიტყვა ისევე ინერება (უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა), როგორც წარმოითქმის. სწორედ ამიტომაც ი. გოგებაშვილმა თავის “დედა ენაში” წერა-კითხვის სწავლებისას ბგერით ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს მისცა უპირატესობა, რადგანაც იგი სრულად შეესაბამება ქართულის, როგორც ფონეტიკური დაწერილობის ენის, თავისებურებასა და სპეციფიკას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდით ქართველი ბავშვები სრულიად უმტკივნეულოდ, საკმაოდ მოკლე დროში სწავლობენ წერა-კითხვას, ამას ადასტურებს ჩვენი სკოლის მრავალწლიანი გამოცდილება (შეგახსენებთ, რომ ამ მეთოდით შედგენილი ი. გოგებაშვილის “დედა ენა” 1876 წელს დაიბეჭდა და ამის შემდეგ მას ალტერნატივა ფაქტიურად არ ჰქონია). ამიტომ თითქოს არ უნდა იყოს მისი სხვა მეთოდით, განსაკუთრებით კი “ამერიკული” მეთოდით ჩანაცვლების საჭიროება; მიუხედავად ამისა, დღეს მაინც გვიხდება ამაზე საუბარი, რადგანაც მომრავლდა უცხოური ენების ბრმა მიბაძვით შედგენილი ანბანის სახელმძღვანელოები.

დღევანდელობა ამ მხრივ ძალიან ჰგავს გასული საუკუნის 20-30-იან წლებს; იმ პერიოდს, როდესაც გაუქმდა ქართველი განმანათლებლების მიერ დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით შექმნილი ეროვნული დაწყებითი სკოლა, ხოლო ახალი – საბჭოური – ჯერ

კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის (1920-1930-იანი წლების) ანბანის სახელმძღვანელოებზე ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ ი. გოგებაშვილის “დედა ენას” მაინცდამაინც აღარ სწყალობდნენ – ის მხოლოდ 1925 წლამდე გამოიცემოდა. ამ დროიდან კი უცხოურის ბრმად მიბაძვით სკოლაში მონდომებით ამკვიდრებდნენ ქართული ენისათვის შეუსაბამო და უსარგებლო მეთოდებს, მათ შორის “ამერიკულსაც”, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი უცხოური (ამდენად, ახალი და პროგრესული) იყო.

სწორედ ამის გამო (და უფრო მეტად კი იმიტომ, რომ ამ მეთოდს იმ დროისათვის მეტად მაპროვოცირებელი სახელი –“ამერიკულიც”–ერქვა), დაიწყო ამ მეთოდის დამკვიდრება ქართული წერა-კითხვის სწავლებაში. იგი მეცნიერული შესწავლისა და დასაბუთების საფუძველზე დანერგეს ქართულ სკოლაში. ჩვენ ვერ მივაკვლიერ სპეციალურ სამთავრობო დადგენილებებს ამ მეთოდის გამოყენების შესახებ, თუმცა იგი, ალბათ, აუცილებლად არსებობდა, რამდენადაც ამ მეთოდს პოპულარიზაციას უწევდნენ და იყენებდნენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში. ერთი სიტყვით, ეს იყო საბჭოთაში ამ მეთოდის “აყვავების” წლები.

20-იან წლებში ანბანის რამდენიმე სახელმძღვანელო შეიქმნა ამ მეთოდზე დაყრდნობით. ესენია: 1. 1926 წელს – ვ. ბიძიგურისა და ა. გვახარიას “პირველი წიგნი”; 2. 1927 წელს – ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის “ახალი წიგნი”; 3. 1928 წელს – ტ. ზაალიშვილის “ვისწავლოთ”; 4. 1933 წელს – პ. ჭანიშვილის “შრომა და ცოდნა”...

სახელმძღვანელოების ანალიზიდან ჩანს, რომ ვერც ერთი ავტორი ვერ ახერხებდა ამ მეთოდის “სუფთა” სახით გამოყენებას. იძულებული იყვნენ ანგარიში გაენიათ ქართული ენის ბუნებისათვის, ასევე – უკვე დამკვიდრებული ტრადიცისათვის. მოგვიანებით კი თითქმის ყველა ეს ავტორი მიუბრუნდა სწავლების ტრადიციულ გზას.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ ამ სახელმძღვანელოს არ ეწოდება “დედაენა”, რამდენადაც ავტორებს შეგნებული აქვთ, რომ მათ სახელმძღვანელოებს ი. გოგებაშვილის ამ წიგნთან არაფერი აკავშირებს, გარდა ტრდიციული “აი ია”-სი. დღეს ეს სახელმძღვანელოები არავის ახსოვს, რადგან მათ ვერ შესრულეს თავისი მთავარი ფუნქცია – წერა-კითხვა ესწავლებინათ ქართველი ბავშვისთვის. სწორედ ამიტომ იყო, რომ 40-იანი წლები-დან სკოლა მასობრივად დაუბრუნდა ჯერ ი. გოგებაშვილის “დედა ენას”, შემდეგ კი ამ წიგნის მიხედვით შედგენილ ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის “დედაენას” (1944 წ).

ჩვენ წარსულის მოხმობა მხოლოდ იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა – ზოგიერთი ის “სიახლე”, რასაც დღეს უცხო ენების მიმბაცველობით ხელალებით ვნერგავთ მშობლიური ენის სწავლებისას, ჩვენთვის კარგად დავიწყებული ძველია, რომელსაც ისტორიამ უკვე მიუჩინა თავისი ადგილი და მისი ხელახლა გამოცდა მოსწავლებზე ნამდვილად არ არის საჭირო.

საკვანძო სიტყვები: მულტილინგვალიზმი, მშობლიური ენა, უცხო ენები, ენის სწავლების მეთოდები, ამერიკული მეთოდი, დედაენა, ანბანის სახელმძღვანელოები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1973
2. გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000
3. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 2003

**NATELA MAGHLAKELIDZE,
Ilia Chavchavadze State University, Professor**

UNIFICATION OF LANGUAGE TEACHING METHODS AT GEORGIAN SCHOOL

Abstract

The previous century for Georgian school is the period of creating the newest system of multilingual education. But this is the period of fascination and overstated with foreign methods too. In the process of languages teaching isn't taken into consideration the specificity of these languages. How much is consented and justified the unification of American method in the teaching process of Georgian language? This method is used in the teaching of those languages where the pronunciation and writing don't coincide. Georgian language as it is known is mainly a phonetically alphabetical language. Here we have got the same number of sounds and letters, the word is written as it is pronounced. That's why Iakob Gogebasvili used analytically-synthetical method, this method totally corresponds to the specificity of Georgian language as phonetically written language.

Key words: Multilingual School, Native Language, Foreign Languages, Language Teaching Methods, American method, Alphabet books.

თამარ ქველაია,

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

სამუსიკო პედაგოგიკის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

განათლების ფაკულტეტის დოქტორანტი.

იმპოზიზაცია, როგორც მუსიკის ინტერაქტიული სრულების მათოდი

ბავშვის მუსიკალური აღზრდა გულისხმობს სწავლების კომპლექსური სისტემის გათვალისწინებას, სადაც სამუსიკო დისციპლინების დაუფლება ხორციელდება ასაკობრივი თავისებურებების, ნიჭისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. ნებისმიერი დარგის სწავლების მიზანია ბავშვებში ცოდნის დაუფლებისკენ მისწრაფების გაღვივება. სამუსიკო ხელოვნების დარგში აღნიშნულ მიზანს ემატება ბავშვის შემოქმედებითი უნარის გამოვლენა. დასახული ამოცანის გადაჭრა და დადებითი შედეგების მიღება აუცილებლად გულისხმობს უკვე დანერგილი და აპრობირებული მეთოდოლოგიური სისტემების გაცნობას, პრაქტიკაში დანერგვას და მუშაობის პროცესში გამოვლენილი მიღებული მეთოდის საკუთარი გამოცდილებით შევსებას.

მუსიკის სისტემური, კომპლექსური სწავლება გულისხმობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას, რომელშიც გაერთიანებულია რითმულ-მოტორული, მეტყველების, ფანტაზიის, კონცენტრაციის უნარების განვითარება, მეხსიერების გაძლიერება. ბავშვები უნდა გაეცნონ სხვადასხვა საკრავებს (იქნება ეს ხალხური თუ კლასიკური) და მათზე მუსიკალური ბერის გამოცემის ტექნოლოგიას. დაწყებით კლასებში განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ჩასაბერ საკრავებზე (იგულისხმება ე.ნ. ბლოკ-ფლეიტა), რადგანაც ამ საკრავის დაუფლება ხელს უწყობს ფილტვებისა და სასუნთქი გზების გაუმჯობესებას. გარდა აღნიშნულისა, მედიცინაში საყოველთაოდაა ცნობილი მუსიკის სწავლების დადებითი ზეგავლენა აუტისტური თვისებების მქონე ბავშვებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გაურჩიან სხვა ტიპის კომუნიკაციას, თუმცა მუსიკალური თამაშების სამუალებით ისინი ახერხებენ საკუთარი თავის და სხვათა შეცნობას. მუსიკის სისტემური სწავლება ქმნის შემოქმედებით სივრცეს. შემოქმედებითი სივრცე კი იქმნება იქ, სადაც სწავლების ფორმა ეფუძნება სათანადოდ შერჩეულ გარემოში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამყარებულ ინტერაქტიულ ურთიერთობას. ინტერაქტიული სწავლება გათვლილია ყოველი მოსწავლის სარგებელზე. ამ დროს აქცენტი კეთდება სწავლების ისეთ ფორმებზე, სადაც მოსწავლე აქტიურად ერთვება სწავლის პროცესში. აქედან გამომდინარე, ინტერაქტიული ურთიერთობის საუკეთესო საშუალება არის იმპროვიზირება. მუსიკის სწავლების ახალ სტანდარტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ზუსტად იმპროვიზირების ხელოვნებას. თუმცა პედაგოგთა მხოლოდ მცირე ნაწილს ხელენიფება პრაქტიკაში გაატაროს ეს მითითება. იმპროვიზირება - როგორც სწავლების სისტემური მეთოდი, გულისხმობს მუსიკის შექმნის ტექნოლოგიის ცოდნას. ცხადია, დაწყებითი სწავლების კლასებში ამ ხელოვნების დაუფლება ბავშვის ასაკზე და უნარზე უნდა იყოს მორგებული. ეს საკითხი მოგვარებადია. სირთულე მდგომარეობს თავად პედაგოგების სასწავლო გამოცდილებაში: კერძოდ, მუსიკის იმპროვიზირება საბჭოთა პერიოდისა და შემდგომ წლებში სამუსიკო განათლების არც ერთ რგოლში არ შეისწავლებოდა! სწავლების ახალ სტანდარტში იმპროვიზირების სწავლება აუცილებელია (და დაგვიანებულია კიდეც!), მაგრამ ვინ უნდა ასწავლოს? საჭიროა თუ არა სპეიალური თრენინგების გავლა, ევროპაში

არსებული ცნობილი პედაგოგების მეთოდების გათვალისწინება? დრო გადის, მუსიკის „შექმნისთვის“ (იმპროვიზირებისთვის) ჯერ დადებითი ძვრები არ შეინიშნება.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა პროგრამით გათვალისწინებული „იმპროვიზაცია“ დანერგოს და გამოიყენოს (ან საერთოდაც გაითავისოს, რა არის იმპროვიზაცია და როგორ შეაძლებინოს მოსწავლე „შექმნას“ მუსიკა) საყურადღებოდ მივიჩნევთ შემდეგს: საგულისხმო და მსოფლიოში აპრობირებულია გერმანელი კომპოზიტორის - კარლ ორფის ბავშვთა მუსიკალური განათლების კონცეფცია; მსოფლიოში ცნობილია საბავშვო მუსიკალური პიესების ანთოლოგიის 5-ტომეული - „Schulwerk“ - მუსიკა ბავშვებისათვის“, რომელშიც გაერთიანებულლია ორფის მიერ შეკრებილი და დამუშავებული სიმღერები და ცეკვები ორფისეული ინსტრუმენტული ანსამბლის თანხლებით. თითოეული პატარა პიესა „შულვერკიდან“ წარმოადგენს უმარტივეს პარტიტურას, რომლის შესრულება შესაძლებელია პატარა ბავშვისათვისაც კი. ბავშვები, რომლებიც რეგულარულად იმპროვიზირებენ და ქმნიან საკუთარ მუსიკას, ადვილად ადაპტირდებიან სოციუმში და მარტივად უმკლავდებიან პრობლემებს, რადგან მათი პიროვნული განვითარების მზაობა ერთმნიშვნელოვნად ძალიან მაღალია. კარლ ორფის კონცეფცია მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაშია გავრცელებული და აპრობირებული. ბოლო, V ტომში, ორფი იყენებს ევროპის ქვეყნების მუსიკალურ ფოლკლორს: ფრანგულ, დანიურ, შვედურ, ინგლისურ ენებზე. ფოლკლორის ინტერპრეტაცია - ეს არის „შულვერკის“ იდეა.

კარლ ორფის მთავარი მიზანი იყო: „ახალი სამყაროსათვის“ სმენისა და გემოვნების განვითარება; არ მოექცია ბავშვი XVIII-XIX საუკუნეების ევროპული კლასიკური მუსიკის ჩარჩოში. კარლ ორფი დარწმუნებული იყო, რომ ბავშვებს სჭირდებათ საკუთარი განსხვავებული მუსიკა. საწყის ეტაპზე სპეციალურად მუსიცირებისათვის შერჩეული მასალა შეესატყვისება მოზარდის ასაკს და ფსიქოლოგიურ მზაობას. ეს უნდა იყოს არა მხოლოდ მუსიკა, არამედ მუდმივი კავშირი სიტყვასა და მოძრაობასთან: ერთდროულად, სიმღერა და ცეკვა, ამავე დროს, სხვადასხვა ხმის იმიტაცია და ზარების რეკვა. და ეს ყველაფერი უნდა აღიქმებოდეს თამაშად. ასეთი მუსიკა მსოფლიოს ყველა ხალხშია გავრცელებული, მათ შორის - საქართველოშიც. ნებისმიერი ეროვნების ბავშვებისათვის შექმნილი მარტივი მუსიკალური მასალა, წარმოუდგენელია სიტყვისა და მოძრაობის გარეშე. სწორედ მუსიკის შექმნის ეს პრინციპი დაედო საფუძვლად „შულვერკს“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოლკლორის სწავლება და ორფ-კლასი განსხვავდება, რადგან მათი ამოცანები საპირისპიროა. ფოლკლორული, ეთნოგრაფიული ანსამბლი ცდილობს მოიძიოს ნიმუშები ერთი ქვეყნის კულტურაში, აღადგინოს მათი ყოფისათვის დამახასიათებელი დეტალები და ასახოს კონკრეტული ნიმუშების უნიკალური სპეციფიკა. კარლ ორფი, პირიქით, ეძებს სხვადასხვა კულტურის სინთეზს და ახდენს საერთო იდენტიფიცირებას. შედეგად, წარმოიქმნება ახალი კულტურულ-შემოქმედებითი ფენომენი - უნივერსალური მუსიკა.

იმისათვის, რომ მოსწავლეს ჩამოვუყალიბოთ იმპროვიზაციის უნარი, აუცილებელია განვუვითაროთ მეტრო-რიტმის შეგრძნება. რამდენად არის შესაძლებელი „მარტივიდან - რთულისაკენ“ პრინციპზე აგებული, რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოებით - რიტმის განვითარების ხელშეწყობა? რიტმის პრობლემა ძველთაგანვე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. მუსიკის ყველა ელემენტიდან არცერთს არ აღუძრავს იმდენი სამეცნიერო დავა და არ მიუცია საბაბი განყენებული და ნინააღმდეგობრივი მოსაზრებების გამოთქმისა, როგორც რიტმს. მისი განმარტება ვრცელდება „მეტაფიზიკიდან - ტექნიკურ სიზუსტემდე...“. მუსიკალური აზროვნება წესრიგს მოითხოვს. ეს წესრიგი მუსიკაში სწორედ რიტმს შემოაქვს. მელოდია უშუალო კავშირშია რიტმთან. მუსიკალურ ნაწარმოებს რიტმის გარეშე არსებობა არ

შეუძლია. რიტმის ალქმაში ბავშვს თავად მუსიკა ეხმარება, რომელიც მას ესმის. რიტმის შესწავლისთვის მნიშვნელოვანი დამხმარე ძალაა სმენა და მუსიკალური მეხსიერება, მოძრაობის ფიზიკური შეგრძნება. რიტმი მუსიკის ერთ-ერთი წამყვანი ელემენტია. რიტმის ჩამოყალიბება პედაგოგის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. რიტმი მუსიკაში მხოლოდ დროის გაზომვით კატეგორიას არ წარმოადგენს, ის ასევე ემოციურ-გამომსახველობითი, პოეტური და მხატვრულ-აზრობრივი საზრისის მატარებელიცაა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რიტმის გრძნობის წამყვანი როლი მოტორიკის განვითარებაში. რიტმის ალქმა ინვევს მრავალგვარ შეგრძნებას: ენის, თავის, ფეხისა და ხელის თითების, ხორხის, მკერდის კუნთების შეკუმშვა. ამიტომ რიტმის გრძნობის განვითარებაზე მიმართული სავარჯიშოები, ყველაფერთან ერთად, ბავშვის გამაჯანსაღებელ ფუნქციასაც ასრულებენ. „შულვერკის“ ნიმუშები იმითიცაა საინტერესო, რომ შესრულებისას სხეულის მოძრაობაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენება.

რა ინსტრუმენტები შეიძლება დაგვჭირდეს, „შულვერკი“-დან ნაწარმოებების შესასრულებლად? დრამი და პერკუსია (დოლი) - ყველა არსებული ტიპის დრამი ფართოდ გამოიყენება - მარაკასი, პანდეირა, ხის ყუთი, სამკუთხედი და ა.შ. ქსილოფონი - ეს არის აუცილებელი გარდამავალი ეტაპი დრამებსა და სხვა ინსტრუმენტებს შორის.

ჟესტების ენა: ეს არის რიტმული სათამაშო ტექნიკა, სხეულის სხვადასხვა ნაწილის (ხელის მტევნის, თითების გატკაცუნებით, ფეხების დაბაკუნებით, მუხლებზე ხელების შემოკვრით, ტაშით, სტვენით, ბერების გამოცემით და ა.შ.) დახმარებით გამოცემული ხმებით. გაკვეთილზე პრაქტიკულად ნებისმიერი ნივთი შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც მუსიკალური „ინსტრუმენტი“, ან აქტივობისთვის დამატებითი მასალა. ამდენად, რიტმის განმავითარებელი სავარჯიშო-თამაშები მხოლოდ სასწავლო ხასიათს არ ატარებენ, მათ ერთგვარი გამაჯანსაღებელი/თერაპიული ეფექტიც (ემოციური დაძაბულობის მოხსნა და კონცენტრირების უნარის განვითარება) გააჩნიათ. რიტმის გრძნობის ჩამოყალიბება იწყება ტემპის შესწავლით (სწრაფიდან ნელისკენ), შემდეგ მეტრი (ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი), მოგვიანებით რიტმული სურათი (ერთნაირი და განსხვავებული გრძლიობები). ამიტომ მუშაობა რიტმის განვითარებაზე მარტივი დავალებებით უნდა დაიწყოს.



მაგალითი: რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: მასწავლებელი ტაშით გამოხატავს რიტმულ სავარჯიშოს, მოსწავლეები აყვებიან. მასწავლებელი თანდათანობით ცვლის რიტმულ სურათს და ბავშვებიც ბაძავენ მას. მასწავლებელი რიტმულ სურათთან ერთად ცვლის ტემპს. ხან ანელებს და ხან აჩქარებს. კლასი დაყოფილია ოთხ ჯგუფად. დაფაზე გაკრული ოთხი სხვადასხვა რიტმულ - გრაფიკული სავარჯიშო, ოთხივე ჯგუფი ტაშით გამოსახავს თავის

ვარიანტს . შემდეგ, ერთი ტაქტის ინტერვალით იწყებს ჯერ პირველი ჯგუფი, უერთდება მეორე და ა.შ. ვიდრე მასნავლებელი არ ანიშნებს დასრულებას. უამრავი მეტრო-რიტმული სავარჯიშოს მოფიქრება არის შესაძლებელი და მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებლად მუდმივად უნდა ვცვალოთ ნიმუშები, რათა თავიდან ავიცილოთ მოსაპეზრებელი, რუტინული გაკვეთილები. ასეთი ტიპის სავარჯიშოები მოსწავლეებს უვითარებს საკუთარი შემოქ- მედებითი შესაძლებლობების გამოხატვის უნარს; დასაწყისში - თუნდაც ვიწრო (მხოლოდ კლასელები და პედაგოგი) წრეში და შემდგომში- მუსიკალურ-თეატრალური დადგმების და სხვა ღონისძიებების წარმართვაში ეხმარება. აქვე წარმოგიდგენთ კარლ ორფის კრებულიდან შედარებით მარტივ ნიმუშს. მის შესასრულებლად საფუძველი უნდა მომზადდეს, რაც გულისხმობს ზემოთმოყვანილი სავარჯიშოების გამოყენებით ბავშვების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

Acka Backa

Folk song

Mancos
BRAX

Acc-a Back-a so+da crack+er. Acc-a Back-a Bon.
(will you be my friend)

Acc-a Back-a so+da crack+er. Out goes you!
(out goes you)

ამგვარად, კარლ ორფის პედაგოგიურ-მეთოდური კონცეფცია არის ე.წ. „კეთებით“ სწავლების ნათელი და აპრობირებული მაგალითი, რომელიც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაშია დანერგილი. აღნიშნულ მეთოდს ფრაგმენტულად იყენებდნენ ჩვენს ქვეყანაშიც, მაგრამ სისტემური სწავლების სახით ვერ ჩამოყალიბდა, რამაც საკმაო ჩამორჩენა გამოიწვია იმპროვიზირების სწავლების დარგში. იმედია, მუსიკის საგნის ახალი სტანდარტის მიხედვით სწავლების პროცესში, გათვალისწინებული იქნება კარლ ორფის სისტემა, როგორც სკოლაში ინტერაქტიული სწავლების საინტერესო, სახალისო და ბავშვების განმავითარებელი მეთოდი.

საკვანძო სიტყვა: ინტერაქტიული სწავლება; იმპროვიზაცია; მეტრო-რიტმის განვითარება; კარლ ორფის სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუტალაძე ი. ეფექტიანი სწავლება. - თბ.; 2010.
2. ლობჟანიძე ს. ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში. - თბ.; 2016.
3. Баренбойм Л. Элементарное музыкальное воспитание по Карлу Орфу. –М., 1978.
4. Орф К. Музыка для детей. Русская версия. Том 1.-Челябинск, 2008.
5. Учебное пособие по элементарному музикериованию и движению. «Невская нота», СПб, 2008 г., 2009 г.
6. «Шульверк». Итоги и задачи, в сб.: Система дет.муз. воспитания К. Орфа, Л., 1970.
7. Элементарное муз.воспитание по системе К. Орфа. Сб. ст., М., 1978; Л с о н-т с в а О. Т., К. Орф, М., 1984.

TAMAR DZVELAIA

**Invited teacher of musical pedagogy department of Batumi art teaching university
Doctoral candidate of education faculty of Shota Rustaveli University**

IMPROVISATION AS AN INTERACTIVE METHOD OF MUSIC TEACHING

Abstract

The process of musical education of the child is based on a comprehensive system of music teaching, the purpose of which is:

- To give general musical education considering age features, talent and ability.
- To develop creativity in children, which is primarily manifested in the development of skills of improvisation-fantasy and imagination. This process helps to: a) strengthening of memory; b) development of musical year and rhythmical-motorial features; c) improvement of oral communication.
- In order to achieve the teaching process and abovementioned activity it is necessary to take into consideration national and international, repeatedly proven methods, which will be gradually filled with teacher's experience based on personal observations
- Inclusion of improvisation in the process of music learning makes it possible to introduce to children musical instruments and give them opportunity to be involved in the music play process. From this point of view, it is very important German composer Carl Orff 's well known conception of children's musical education, which is tested and popular in more than 40 countries in the world.

Keywords: Improvisation, interactive method, "Schulwerk".

შეადლის სკოლის პედაგოგიკა

ნინო ყახელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
განათლების აკადემიური დოქტორი

ნინო ჭოხაძეიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პედაგოგიკის დეპარტამენტი, ასისტენტ-პროფესორი

სტუდენტზე ორიენტირებული სცავლება

სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიური ჩართულობისთვის საჭიროა სტუდენტის მხრიდან შემდეგი თვისებების გამოვლენა: ყურადღება, ცნობისმოყვარეობა, ინტერესი, ოპტიმიზმი და სწავლებისადმი მზაობა. აღნიშნული თვისებები ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და სწრაფვას ცოდნის დაუფლებისათვის. სტუდენტი უკეთესად ითვისებს და აანალიზებს საგანს, როცა ის აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესში.

ჩნდება შეკითხვა: რა სახის სამუშაო უწყობს ხელს სტუდენტის ინტერესის გაღვივებას? სტუდენტების გამოკითხვის შედეგად გავარკვიეთ, რომ ისინი ამჯობინებენ პრაქტიკულ აქტივობებს და აქტიურად ერთვებიან წყვილურ თანამშრომლობაში. მეორეს მხრივ, სტუდენტები ნაკლებ ჩართულობას ავლენენ, როდესაც პასიურად უსმენენ მასწავლებლის ლექციას და ასრულებენ განმეორებით დავალებებს.

სტატიაში განვიხილავთ 5 ინოვაციურ სტრატეგიას:

1. კვლევაზე დაფუძნებული სწავლება
2. სწრაფ რეაგირებაზე ორიენტირებული სწავლება
3. პროექტზე დაფუძნებული სწავლება
4. ელექტრონული რესურსის ორგანიზებულად გამოყენება
5. რთულად ამოსახსნელი დავალება

სწორედ აღნიშნული სტრატეგიების გამოყენებით სტუდენტი შეძლებს ბევრი დაბრკოლების გადაღაცვას სასწავლო პროცესში. იგი თვითონ იწყებს პრობლემის აღმოჩენას, ეძებს გზებს მის გადასაჭრელად და საბოლოოდ იძენს ცოდნას არა მხოლოდ თეორიული მასალაზე დაყრდნობით, არამედ საკუთარი ლოგიკური აზროვნების საშუალებით და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება - კვლევაზე დაფუძნებული სწავლება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლო სტრატეგია, რადგანაც ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, სტუდენტი უკეთესად ითვისებს მასალას, როდესაც მას დამოუკიდებლად შეუძლია შედეგზე გასვლა. აღნიშნულ სწავლებაში გამოიყოფა 4 ეტაპი:

1. სტუდენტებს უჩინდებათ კითხვები და ცდილობენ მათ ამოსახსნას;
2. სტუდენტებს ეძლევათ დრო კონკრეტული თემის გამოსაკვლევად;
3. სტუდენტები ახდენენ მოძიებული მასალის პრეზენტაციას;
4. სტუდენტები აკეთებენ რეფლექსიას კვლევის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

როცა ვლაპარაკობთ კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის სასწავლო კვლევა, ე.ი. გამიზნული საზოგადოებრივი გამოცდილების უკვე ნაცნობი, უკვე გადაჭრილი პრობლემების შეთვისება. სტუდენტი უფრო ღრმა ცოდნას იღებს კვლევაზე დაფუძნებული სწავლებით, რადგან ის იკვლევს დასასწავლ მასალას და წარმოადგენს მიღებულ დასკვნებს. ამის საშუალება სტუდენტს არ ეძლევა ტრადიციული სწავლების დროს, რადგანაც,

თუკი მას კითხვა გაუჩნდება, მასწავლებელი აწვდის მზა პასუხს. ხოლო აღნიშნული სწავლების ფარგლებში, სტუდენტი დამოუკიდებლად ეძებს კითხვებზე პასუხს, აქცევს ინფორმაციას საჭირო ცოდნად და შესაბამისად იზრდება მისი ჩართულობა სასწავლო პროცესში. (Wolpert-Gawron, 2016).

კვლევაზე დაფუძნებული სწავლების დროს დავალების ფორმები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ისეთები, რომელთა სწრაფად შესრულება ლექციაზე ან შინ არის შესძლებელი; თუმცა დავალებათა უმეტესობა უნდა წარმოადენდეს მცირე საძიებო ამოცანებს, რომლებმაც უნდა განვლონ კვლევის პროცესის ყველა ან უმეტესი საფეხურები. რაში მდგომარეობს მასწავლებლის საქმიანობა? უნინარეს ყოვლისა ისეთი დავალებების შედგენაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ დავალების შესრულების სწორად დაგეგმვას. მასწავლებელი მოწოდებულია, კონტროლი გაუწიოს სტუდენტთა მუშაობის მსვლელობას, არასწორი მიმართულების შემთხვევაში წარმართოს იგი სწორი გზით, შეამოწმოს მუშაობის შედეგები და მოაწყოს მათი განიხლვა-ანალიზი.

სწავლების კანონზომიერება მდგომარეობს სტუდენტების მიერ შესასრულებელ დავალებათა თანდათანობითი მზარდი სირთულის ორგანიზებაში; სტუდენტთა განსხვავებული შესაძლებლობანი დამოკიდებულია მათი განვითარების დონეზე. სტუდენტებს აუცილებელია ისე ვასწავლოთ, რომ ისინი თანდათანობით დამოუკიდებლად დაეუფლონ მეცნიერულ ცოდნას, შეძლონ პრობლემების გადაჭრა, შეიძინონ შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო თვისებები.

სწრაფი რეაგირების კოდები - სწრაფ რეაგირებაზე ორიენტირებული სწავლებას ფართო გამოყენება შეიძლება მოვუძებნოთ სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე, რადგან მისი გამოყენება საკმაოდ ადვილი და მოსახერხებელია. ამ მიდგომის საშუალებით სტუდენტები თავად იძიებენ ინფორმაციას თავიანთ ციფრულ მოწყობილობაზე მათვის წინასწარ მინიჭებული კოდების სკანირებით. სალექციო გარემოში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ აღნიშნული კოდები, რათა:

1. შეამოწმონ პასუხები;
2. აირჩიონ სწორი პასუხი სასწავლო დისკუსიის დროს;
3. განავრცონ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია;
4. მოიძიონ დამატებითი მონაცემები საკვლევ მასალაზე;
5. მონაწილეობა მიიღონ ჯგუფურ აქტივობებში;
6. გამოიყენონ ვიდეო-მასალები რთული დავალებების ამოსახსნელად.

სწრაფ რეაგირებაზე ორიენტირებული სწავლების საშუალებით სტუდენტი ინფორმაციას იკვლევს სალექციო პროცესის ფარგლებში. იგი აღძრავს სტუდენტებში სწავლის მოტივაციას, შემეცნებისადმი ინტერესს, აჩვევს დამოუკიდებლად განახორციელოს ძიების პროცესი. აღნიშნული სწავლება ხელს უწყობს სტუდენტებში დამოუკიდებელი აზროვნების ფორმირებას. ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ ციფრულ რესურსზე და პასუხისმგებელი არიან საკუთარ თავის, პედაგოგის წინაშე და მათი წარმატება არ არის დამოკიდებული სხვის წარმატებაზე.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება-კვლევები ადასტურებს, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს სწავლების ეფექტურ და სასიამოვნო პროცესს. იგი აგრეთვე ხელს უწყობს სასწავლო კომპეტენციების გაღრმავებას, რადგან იძლევა თეორიული ცოდნისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების რაციონალურად შერწყმის საშუალებას. კონკრეტულად, პრობლემების სტუდენტთა მონაწილეობით გადაჭრის შესაძლებლობას. „ვიცი რისთვის მჭირდება ყველაფერი ის, რასაც ვსწავლობ და ვიცი, როგორ შემიძლია ამ ცოდნის გამოყენება“ - ეს არის ძირითადი თეზისი თანამედროვე პროექტზე დაფუძნებული სწავლებისა. (ბუსხრიკიძე ე.

„პროექტით სწავლების მეთოდის როლი სასკოლო განათლების მიზნების განხორციელებაში პროექტ-გაკვეთილის მაგალითზე“)

პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს გამოიყენება რეალური სცენები, გამოწვევები, პრობლემები, რომელიც უშუალოდ ავითარებს სტუდენტებში ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემაზე ორიენტირება, გუნდური მუშაობა და საკუთარი თავის მართვა. სტუდენტი აწყდება სირთულეს, მოცემულ ეტაპზე იგი იწყებს ამ სირთულის მიზეზის გამოვლენას და საკუთარ თავში პრობლემის გაცნობიერებას. აყალიბებს პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზებს, მიღებულ გადაწყვეტილებებს ამუშავებს და იწყებს „რეალურ სამყაროში“ ექსპერიმენტულ შემოწებას. (bie.org)

პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს აუცილებელია თანამშრომლობა და პრობლემის გადაჭრის უნარის ფლობა. იგი აფართოებს ცალკეული შემეცნებითი საგნების ვიწრო ჩარჩოებს და იძლევა მათი მიღწევის საშუალებების მთლიან სპექტრს, საიდანაც სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველს და არგებს მას საკუთარ შესაძლებლობებს. პროექტული სწავლება აძლიერებს მეცნიერების მიმართ ინტერესს და სწავლის სურვილს, რადგანაც იგი:

- ორიენტირებულია ინდივიდზე;
- იყენებს დიდაქტიკური მიდგომების დიდ სპექტრს (სწავლა კეთებით, დამოუკიდებლად სწავლა, თანამშრომლობითი სწავლება, როლური თამაში, პრობლემური სწავლება, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა და სხვა);
- სტუდენტის მონდომების დონე იზრდება მუშაობის პროცესში ინტერესის გაზრდით;
- სტუდენტს აძლევს საშუალებას ისწავლოს საკუთარ და სხვის გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- კმაყოფილებას ანიჭებს სტუდენტებს, რომლებიც ხედავენ საკუთარი შრომის შედეგს;
- აუმჯობესებს და უფრო სახალისოს აქცევს სწავლის პროცესს;
- სტუდენტს შეუძლია ტექნოლოგიური რესურსების ჩართვა სალექციო პროცესში;
- აკავშირებს სასწავლო გარემოს რეალურ სამყაროსთან და გარემომცველ საზოგადოებასთან.

პროექტით სწავლება ორიენტირებულია უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და არა ცოდნის პასიურად გადაცემაზე. იგი არ უარყოფს ტრადიციულ მეთოდებს, არამედ აძლევს სტუდენტს არჩევანის გაკეთების საშუალებას. აძლევს მას საკუთარი პიროვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას და დისციპლინათაშორისი გამოცდილებების გამთლიანებას. (GESJ: Education Science and Psychology 2014/ No. 1 (27) ISSN 1512-1801 Teachers' first conference "University and School – essential to each other", 29-30 November 2013. Materials 70.0)

ელექტრონული რესურსის ორგანიზებულად გამოყენება-ელექტრონული რესურსები წარმოადგენენ ინფორმაციის მოგროვების, შენახვის, დამუშავების, გადაცემის, წარმოდგენის მეთოდების და საშუალებების ერთობლიობას, რომლებიც აფართოებს ადამიანის ცოდნას და განავითარებს მათ შესაძლებლობებს ტექნიკური და სოციალური პროცესების მართვაში.

დღესდღეობით სულ უფრო მზარდია სასწავლო დაწესებულებების ელექტრონული რესურსებით აღჭურვის პროცესი. რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს საშუალება ეძლევა ინდივიდუალურად იმუშაოს ციფრულ მოწყობილობაზე. ზოგჯერ დავალების შესრულებაც კი ელექტრონულადაა შესაძლებელი.

ელექტრონულ სწავლებაში შეიძლება გამოყენოთ 2 ტიპი:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს მასწავლებლისა და სტუდენტის საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით
- ჰიბრიდული (დასწრებულ/დისტანციური), სწავლების მცირე ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო ძირითადი ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში სალექციო პროცესში ელექტრონული რესურსის გამოყენებისას აუცილებელია მასწავლებელმა დაიცვას ოქროს შუალედი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მათი გამოყენება უნდა იყოს დამხმარე საშუალება და არა თვითმიზანი. ლექციაზე ტექნოლოგიების გამოყენების დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:
 - მოსწავლეთა ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენცია;
 - მის ხელთ არსებული ტექნიკური ბაზა;
 - დაგეგმილი ლექციის მიზანი და პედაგოგიური სტრატეგიები;
 - ლექციის მიმდინარეობისას მასალაზე მუშაობის ტიპი (მიმდინარე, შემაჯამებელი, პროექტული და სხვ.);
 - სასწავლო მასალის თემატიკა.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით მასწავლებელი ირჩევს ელექტრონულ რესურსს (კომპიუტერულ პროგრამას/პროგრამებს), რომელსაც გამოიყენებს სწავლების პროცესში. მან უნდა შეძლოს ციფრული მოწყობილობის ორაგნიზებულად გამოყენება სხვადასხვა აქტივობების ფარგლებში. რეკომენდებულია ისეთი აპლიკაციებით სარგებლობა, რომელიც სტუდენტის აქტიური ჩართულობის საწინდარია. მაგალითად Google Docs, You Tube videos, Quizlet, Kahoot!, და Remind app. ეს თანამედროვე აპლიკაციები და ვებგვერდები საშუალებას მისცემს მასწავლებელს მიიპყროს სტუდენტის ყურადღება, გამოიყენოს თვალსაჩინო მაგალითები სხვადასხვა ვიდეო ლექციების დახმარებით, ორგანიზება გაუწიოს სტუდენტების სასწავლოს პროცესსა და ჯგუფურ ჩართულობას; უზრუნველყოს შეძენილი ცოდნის შემოწმება ონლაინ ქვიზებითა და თამაშების დახმარებით. (<https://elearnmag.acm.org>) სრული კომპიუტერიზაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებას და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას.

რთულად ამოსახსნელი დავალება - რთულად ამოსახსნელი დავალებით სტუდენტის დაინტერესება ეფუძნება თამანშრომლურ სასწავლო სტრატეგიას, რომელიც ეხმარება სტუდენტს საკუთარი სასწავლო პროცესის შექმნაში. სტუდენტები მუშაობენ ჯგუფურად და თითოეულ ჯგუფს მიეროდება კონკრეტული ინფორმაცია. მათი მოვალეობაა ინფორმაციის სრულყოფილად დასწავლა ისე, რომ შეძლონ ამ ინფორმაციის მეორე ჯგუფის სტუდენტებისთვის სწავლება. მას შემდეგ რაც ერთი ჯგუფი დაისწავლის ინფორმაციას, ჯგუფის წევრები გადანაწილდებიან მეორე ჯგუფში და პირიქით. სტუდენტები უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ ცოდნას. ამგვარად, სალექციო პროცესი ხდება აქტიური სწავლისა და სწავლების პროცესი. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას, რადგანაც ისინი აღმოჩნდებიან გამოწვევის წინაშე. მათ უჩნდებათ განცდა, რომ ახალი ინფორმაციის ობიექტურობას განსაზღვრავს არა მასწავლებლის ავტორიტეტი, არამედ სტუდენტის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომელიც გამყარებულია დამატებიცებული არგუმენტებით. აღნიშნული სტრატეგია სტუდენტს საშუალებას ეძლევს აკონტროლოს სწავლის პროცესი. (James Davis, Innovative Teaching Startegies that Improves Student Engagement, November 2017)

რთულად ამომსახსნელი, დავალებაზე დაფუძნებნული სწავლება უზრუნველყოფს შემდეგი დიდაქტიკური მიზნის მიღწევას:

- სტუდენტის მიერ თეორიული ცოდნის ათვისება;
- ათვისებული ცოდნის გაანალიზება;
- ასახსნელი მასალის მიმართ შემეცნებითი ინტერესის აღძვრა და შემეცნებითი აქტივაცია;

ამრიგად, სტატიაში აღნერილი თოთოეული სტრატეგია ემსახურება სტუდენტების დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, მათში სწავლისადმი ინტერესის აღძვრას, მასალის კვლევას, ელექტრონული რესურსების გამოყენებას სალექციო პროცესში და დასკვნის გამოტანას ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ეს ყოველივე საშუალებას აძლევს სტუდენტს დამოუკიდებლად გადაჭრას პრობლემა, თავი გაართვას გამოწვევას და წარმოადგინოს დასკვნები აუდიტორიის წინაშე. სტუდენტის აქტიური ჩართულობა კი ხელს უწყობს ცნობისმოყვარეობის, ინტერესის, სწავლისადმი სწრაფვისა და ყურადღების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, პროექტზე ორიენტირებული სწავლება, სტრატეგია, დამოუკიდებელი აზროვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ., - სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016 წ.
2. ბუსხრიკიძე ე., პროექტით სწავლების მეთოდის როლი სასკოლო განათლების მიზნების განხორციელებაში პროექტ-გაკვეთილის მაგალითზე .
3. GESJ: Education Science and Psychology 2014/ No. 1 (27) ISSN 1512-1801 Teachers' first conference "University and School – essential to each other", 29-30 November 2013. Materials 70.0
4. James Davis, Innovative Teaching Startegies that Improves Student Engagement, November 2017
5. Wolpert-Gawron, What the Heck Is Inquiry-Based Learning, 2016
6. [https://elearnmag.acm.org.\)](https://elearnmag.acm.org.)

NINO KANCHELI

Academic Doctor of Education, Akaki Tsereteli State university

NINO TCHOKONELIDZE

Assistant Professor, Pedagogical Department, Akaki Tsereteli State university

STUDENT-ORIENTED TEACHING

Abstract

The main principle of teaching process is experience based learning and social interaction. It means student-oriented approach, which evolves research-based learning. Students are actively involved in the learning and can work with their peers in collaborative groups to showcase their learning. When students are engaged with the lesson being taught, they learn more and retain more. Furthermore students, who are engaged in the work, tend to pose the questions and research and convert the information into useful knowledge. Students learn best when they construct their own meaning. Student oriented teaching triggers students' analytical and independent thinking process. That develops social, emotional and cognitive skills among students. Knowledge is important, but the ability to use it practically is a lot more important.

Keywords: Experience, social interaction, student, research.

მათემატიკური სტატისტიკის განსაზღვრა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა,
შემდეგი სახისაა: ეს არის მათემატიკის დაწეს, რომელიც შეისწავლის სტატისტიკური
მონაცემების სისტემატიზაციის, ანალიზისა და გამოყენების მეთოდებს თეორიული და
პრაქტიკული დასკვნების მიღების მიზნით. თავის მრავალ მიმართულებაში მათემატიკური
სტატისტიკა ეფუძნება ალბათობის თეორიას, რაც საშუალებას იძლევა შევაფასოთ იმ
დასკვნების სამედოობა და სიზუსტე, რომლებიც მიღებულია შეზღუდული სტატისტიკური
მასალის საფუძველზე.

ზოგიერთი მოსაზრება მათემატიკური სტატისტიკის ელემენტების სრულებისათვის

მათემატიკური სტატისტიკის განსაზღვრა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა, შემდეგი სახისაა: ეს არის მათემატიკის დაწეს, რომელიც შეისწავლის სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის, ანალიზისა და გამოყენების მეთოდებს თეორიული და პრაქტიკული დასკვნების მიღების მიზნით. თავის მრავალ მიმართულებაში მათემატიკური სტატისტიკა ეფუძნება ალბათობის თეორიას, რაც საშუალებას იძლევა შევაფასოთ იმ დასკვნების სამედოობა და სიზუსტე, რომლებიც მიღებულია შეზღუდული სტატისტიკური მასალის საფუძველზე.

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების თეორიის, მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის განვითარება არსებითად მიმდინარეობდა ორი პარალელური მიმართულებით:

1. პირველი მათგანი წარმოდგენილია იმ მეთოდებით, რომლებიც ითვალისწინებენ მონაცემთა დამუშავების შედეგად მიღებული სტატისტიკური დასკვნების ალბათური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. სხვაგვარად მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები გაიგება, როგორც ამოსავალ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების მხოლოდ ის მეთოდები, რომლებიც ეფუძნება ამ მონაცემთა ალბათურ ბუნებას.
2. მეორე მიმართულება მოიცავს საწყისი ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების ისეთი მეთოდების ფართო სიმრავლეს, რომლებიც არ ეყრდნობიან მონაცემთა ალბათურ ბუნებას, ისინი რჩებიან მათემატიკური სტატისტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, საყოველთაოდ მიღებული ჩარჩოების მიღმა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ პირველი მიმართულება განსაზღვრავს სტატისტიკის შინაარსს. კაცობრიობის განვითარების პროცესი დაფუძნებულია ადამიანის უნარზე შეამჩნიოს პერმანენტულობა (პერმანენტულობა არის ის, რაც მუდმივად უცვლელია ან გვეჩვენება უცვლელად) როგორც თავის გარშემო საგნებში, ისე ამ საგნებში მიმდინარე ცვლილებებში, რომლებსაც ჩვენ მოვლენებს ვუწუდებთ. პერმანენტულობის შენიშვნა და ინდუქტიური ქცევა ახასიათებს არა მარტო ადამიანებს, არამედ დაბალი განვითრების ორგანიზმებსაც (მაგალითად აფთრების ხროვა არასაოდეს არ დაიწყებს ლომებთან ნადავლის წართმევის ბრძოლას, თუ მათი რიცხვი 3-ჯერ მაინც არ აღემატება ლომების რაოდენობას). ხშირად ინდუქტიურ ქცევას მივყავართ კარგ შედეგებამდე, მაგრამ, ბუნებრივია, არა ყოველთვის.

ადამიანების მიერ ერთ-ერთი პირველი შენიშნული პერმანენტულობები იყო ზომები, მანძილები, წონები და ა.შ. შედარებით გვიან აზარტული თამაშების მოყვარულებებმა შენიშნეს ახალი სახის „პერმანენტულობა“; ეს იყო ე.წ. ფარდობითი სიხშირე, რომლითაც გვხვდება კონკრეტული შედეგი განმეორებით ცდებში, რომლებშიც ცალკეული ცდის შედეგის განჭვრეტა შეუძლებელია. გაცილებით გვიან იქნა შენიშნული პერმანენტულობა ადამიანის ცხოვრებისეულ მოვლენებში. მე-17 საუკუნეში ინგლისში შენიშნეს, რომ სიკვდილიანობის სიხშირე ერთი და იმავე ასაკის ცალკეულ კაცებსა და ცალკეულ ქალებში, რომლებიც ცხოვრობდნენ ერთი და იმავე პირობებში, წლიდან წლამდე მერყეობდა ძალიან ვიწრო საზღვრებში. იმის დადგენა, თუ ვინ დაიღუპება კონკრეტულად 50 წლიანი მამაკაცების მოცემული ჯგუფიდან მომავალ წელს, შეუძლებელია, მაგრამ იმის მითითება, თუ რამდენი

იქნება სიკვდილიანობის რიცხვი ამ ჯგუფში, შესაძლებელია დიდი სიზუსტით. როგორც ცნობილია, სწორედ ეს პერმანენტულობა წარმოადგენს სიცოცხლის დაზღვევის საფუძველს, რომელსაც სწავლობს ე.წ. აქტუალური (სადაზღვევო) მათემატიკა.

ხშირად სტუდენტები პირველ ლექციაზე სვამენ კითხვას: - რატომ უნდა ვისწავლოთ სტატისტიკა? ჩვენს ინფორმაციის საუკუნეში, მსოფლიო გადავსებულია სხვადასხვა სახის მონაცემებით. ჩვენი მიზანია თითოეულ მონაცემს მივცეთ თავისი შინაარსი. კომპიუტერის ერა საშუალებას გვაძლევს ერთის მრივ, მოვახდინოთ მონაცემების სწრაფი შეგროვება, გადამუშავება, დაჯამება და სწრაფი ანალიზი, ხოლო მეორეს მხრივ კი - მოვახდინოთ სულ უფრო მეტი მონაცემების მიღება და შენახვა. კომპიუტერის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მონაცემები; მაგალითად, ინფორმაცია აქციათა კოტირების შესახებ. ჩვენ სწორად უნდა გავაანალიზოთ და მივცეთ შესაბამისი ინტერპრეტაცია ყოველ მონაცემს.

სტატისტიკა გამოიყენება ადამიანის მოღვაწების თითქმის ყველა სფეროში. სტატისტიკა, გარდა ამისა, გამოიყენება გამოკვლევების შედეგების გასაანალიზებლად (მაგალითად, მკვლევარს შეიძლება აინტერესებდეს ახალი მეთოდის შედარება ძველთან) და როგორც ინსტრუმენტი სამეცნიერო კვლევებში გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც დაფუძნებულია ექსპერიმენტზე.

სტუდენტები სწავლობენ სტატისტიკას შემდეგი მიზეზების გამო:

1. სტუდენტებს, ისევე როგორც პროფესიონალ ადამიანებს, უნდა შეეძლოთ წაკითხვა და გაგება სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევების, რომლებიც ჩატარებულია შესაბამის სფეროში. ისინი უნდა იყვნენ გათვითცნობიერებული ლექსიკაში, სიმბოლოებში, ცნებებში და სტატისტიკურ პროცედურებში, რომლებიც გამოიყენებიან შესაბამის კვლევებში.
2. სტუდენტებმა და პროფესიონალმა ადამიანებმა უნდა შეძლონ ექსპერიმენტის დაპროექტება (დაგეგმვა); მათ უნდა შეძლონ მონაცემების შეგროვება, გარდა ამისა მათ უნდა შეძლონ საიმედო წინასწარმეტყველება და გონივრული პროგნოზი სამომავლო გამოყენების შესახებ მიღებული ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით.
3. სტუდენტებს და პროფესიონალ ადამიანებს აგრეთვე შეუძლიათ გამოიყენონ სტატისტიკის შესწავლისას მიღებული ცოდნა, რათა გახდნენ უკეთესი მომხმარებლები.

მაგალითად, ზოგჯერ არასწორი შერჩევა ინვევს სისტემატურ ცდომილებას, ანუ ჭეშმარიტი სურათის ჩანაცვლებას მცდარი სურათით. განვიხილოთ პოლიტიკური აზრის გამოკითხვის შემდეგი კლასიკური მაგალითი:

1936 წელს აშშ-ს გაზეთმა „Literary Digest“ -მა მოაწყო ამომრჩეველთა გამოკითხვა. არჩევნებში დემოკრატი ფრანკელინ დ. რუზველტი გამოდიოდა რესპუბლიკელი ალფრედ გ. ლანდონის წინააღმდეგ. რამდენიმე მილიონი გამოკითხულის რეაქცია იყო საფუძველი იმისა, რომ გაზეთმა გამოაცხადა, ლანდონი სარეკორდო შედეგით გაიმარჯვებსო. მოხდა სრულიად საპირისპირო, რუზველტმა მოიპოვა ამერიკის ისტორიაში დიდი გამარჯვება. გამოკვლევის მცდარი შედეგი შემდგომ კვალიფიცირებული იყო როგორც შერჩევის ჩანაცვლება. საქმე ისაა, რომ გაზეთმა შერჩევა მოაწყო თავისი ხელმომწერების სიებიდან და სატელეფონო წიგნებიდან. ამერიკის ისტორიაში დიდი დეპრესიის სახელით ცნობილი პერიოდის მკაფრ პირობებში ორივე ეს წყარო შეიცავდა იმ წარმატებული პირების დისპროპორციულ რაოდენობას, რომელთაც მოსწონდათ რესპუბლიკელთა პლატფორმა, ხოლო უკმაყოფილო უმრავლესობას, რომელიც ცალსახად რუზველტს ამჯობინებდა, არც ტელეფონები გააჩნდა და არც გაზეთზე ხელმოწერა. ეს უმრავლესობა შერჩევაში ადეკვატურად არ იყო წარმოდგენილი.

შერჩევის ჩანაცვლების თავიდან აცილება სტატისტიკის ძირითადი ამოცანაა. შერჩევა არის ობიექტთა გარკვეული ჯგუფი (წანილი) ამორჩული პოპულაციისდან. თუ შერჩევის

ობიექტები სწორადაა ამოკრებილი, მაშინ უმეტეს შემთხვევაში ისინი იქნებიან იგივე ან ანალოგიური იმ მახასიათებლებისა რაც ობიექტებს გააჩნიათ პოპულაციაში.

სტატისტიკის აღწერითი მხრიდან ნათელი ხდება, თუ ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე მხარეს ეხება ესა თუ ის ამოცანა: ეკონომიკას, დემოგრაფიას, ბიოლოგიას, მედიცინას, სოციოლოგიას და ა.შ. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ ეკონომეტრიკაზე, დემოგრაფიულ სტატისტიკაზე, ბიომეტრიაზე, ბიო-სამედიცინო სტატისტიკაზე, სტატისტიკაზე სოციალურ მეცნიერებებში და ა.შ., როგორც სტატისტიკის, ერთი შეხედვით, სხვადასხვა სფეროზე. სინამდვილეში ყოველი მათგანი წარმოადგენს მონაცემთა სხვადასხვა ბაზას, რომელთა დამუშავება და ანალიზი ხდება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით.

მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვაგვარად. ცოდნის ის სისტემა, რომელსაც სტატისტიკას უწოდებენ, იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყენება მონაცემები, ზოგჯერ იყოფა ორ ძირითად მიმართულებად. ეს ორი მიმართულებაა: 1. აღწერითი სტატისტიკა და 2. სტატისტიკური დასკვნები.

აღწერითი სტატისტიკა გულისხმობს მონაცემების შეგროვებას, ორგანიზებას, დაჯამებას და წარმოდგებას. სტატისტიკის მეორე განშტოებას უწოდებენ სტატისტიკური დასკვნების თეორიას, აქ სტატისტიკოსი ცდილობს გააკეთოს დასკვნები პოპულაციის შერჩევებიდან

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური სტატისტიკა, მონაცემი, წარმოდგენა, შერჩევა, პოპულაცია, პერმანენტულობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეიმურაზ გიორგაძე, მამული ბუჭუხიშვილი, გეომეტრია და სივრცითი აღქმა ალბათობა მონაცემთა ანალიზი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2017
2. ო. ფურთუხია, აღწერითი სტატისტიკა, ალბათობა სტატისტიკური დასკვნის თეორია, თსუ, თბილისი, 2008

MAMULI BUCHUKHISHVILI, TEIMURAZ GIORGADZE
Akaki Tsereteli State University

SOME OPINIONS ON TEACHING ELEMENTS OF MATHEMATICAL STATISTICS

Abstract

Mathematical statistics has been formed as an academic discipline based on the Probability Theory enabling us to estimate the reliance of conclusions gained on the basis of the limited statistical data. Teaching statistics considers data processing through methods ensuring statistical assumptions. Stemming on the latter, we are able to define the content of statistics. Issues of teaching statistics are related to human capacity to notice and apply permanency (permanently growing magnitudes, or seemingly non-variable magnitudes).

The article provides some cases on the properties of permanent magnitudes from the habitat of humans and organisms of comparatively low evolution. It also reviews the issues of teaching statistics regarding general and higher instruction and offers corresponding implications.

Key Words: Mathematical statistics, data, provision, selection, population, permanency.

ეკატერინე უპლება,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

სახელმწიფო როლი განათლების საპითხის სრულყოფისათვის გარღამავალი ეკონომიკის პირობები

სახელმწიფო განათლების როლი და მისი ეკონომიკაზე ზეგავლენის ხერხები იცვლება საზოგადოების სრულყოფის და ეკონომიკის განვითარების შესაბამისად. განათლების სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი და ფორმები ბევრადაა დამოკიდებული განსაზღვრულ პერიოდში მოცემული ქვეყნის მიერ შერჩეულ ეკონომიკური პოლიტიკის კურსზე და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელზე. საპაზრო მოდელის პირობებში განათლების სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი არსებითად მცირდება. აქ ძირითადად მისი როლი დაიყვანება იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ზემოქმედება მოახდინოს საპაზრო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ხოლო მეორე მხრივ – უშუალო მონაწილეობა მიიღოს იმ პროცესების ორგანიზაციასა და რეალიზაციაში, რომლებშიაც საპაზრო ურთიერთობები ან არარაციონალური, ან არსებითად შეზღუდულია.

ცნება „გარდამავალი ეკონომიკა“ როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად და ფორმირებად მაკროსისტემებში განსაზღვრავს განსახორციელებელი გარდაქმნების მიმართულებებსა და ხარისხს. გარდამავალი ეკონომიკის ცნების გამოყენება განპირობებულია იმის აუცილებლობით, რომ ერთი კონკრეტული ტერმინით აღინიშნოს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ერთობლიობა, რომელიც მიმდინარეობს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.

თანამედროვე მსოფლიოში ჯერჯერობით მხოლოდ სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების ერთადერთ სუბიექტს, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ტრანსფორმაციის პროცესის ორგანიზატორის ფუნქცია განათლების სისტემის ახლით შეცვლის საქმეში. აქედან ნათელია, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა ამ პროცესში ობიექტურად აუცილებელია, უფრო მეტიც, მას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის.

გარდამავალ პერიოდში განათლების სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობის ფორმები და მეთოდები უშულოდაა დამოკიდებული იმ მიზეზებისა და შედეგების ნაკრებზე, რომლებმაც ობიექტურად განაპირობეს ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობა. უმნიშვნელოვანეს ზოგადი ხასიათის მიზეზებს მიეკუთვნება:

1. მაკროეკონომიკური პროპორციების დაუბალანსებლობის პროცესის გაძლიერება;
2. თანამედროვე საზოგადოებაში მსხვილმასშტაბიანი სოციალური სექტორის არსებობა და განვითარება, რომლის მატერიალური უზრუნველყოფა სრულიად შეუძლებელია განათლების სისტემის გარეშე.
3. განათლების სტრუქტურაში სახელმწიფო სექტორის არსებობა.

სახელმწიფოს მონაწილეობა განათლების სფეროში ობიექტურად აუცილებელია. ამ პერიოდში მან აქტიური ზეგავლენა უნდა მოახდინოს განათლების სფეროზე და აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მასში საზოგადოების მიერ მის მიმართ დელეგირებული რწმუნებების საფუძველზე თავისი უნიკალური შესაძლებლობების წყალობით.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს განათლების სფეროში მონაწილეობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ძველი სისტემის რეფორმირების პროცესის პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია და ხელსაყრელი პირობებისა და ინსტიტუტების შექმნა ახალი სისტემის განვითარებისათვის.

ძირითადი მიზნის მიღწევა, თავის მხრივ, სახელმწიფოსაგან განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. ამ ამოცანებს მიეკუთვნება:

1. განათლების სფეროში ხელსაყრელი პირობების შექმნა კონკურენტული გარემოს წარმოქმნისა და განვითარებისათვის.
2. გარდამავალი პერიოდისათვის მემკვიდრეობით გადაცემული განათლების სფეროში არსებული კრიზისის შედეგების აღმოფხვრა და მაკროეკონომიკური წონასწორობისა და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წარმოქმნის შექმნა.

გარდამავალი ხანის პირველ ეტაპზე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მოვალეობა და მიზანია სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებას და განათლების სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება. იგი მოიცავს ან ადრე მოქმედი ძირითადი კანონის არსებით კორექტირებას, ან ახალი მოდელის მოთხოვნების შესაბამისი ძირითადი კანონების მომზადებას და მიღებას.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს კიდევ ერთი სპეციფიკური ფუნქციის აუცილებლობა დაკავშირებულია წარსულის ერთ-ერთი ნეგატიური შედეგის – ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მოთხოვნასთან და სტაბილიზაციის და ეკონომიკური ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასთან. ამ ღონისძიებების შერჩევა და თითოეული მათგანის პრიორიტეტულობა დამოკიდებულია არა მარტო ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობაზე მოცემულ მომენტში და ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოზე, არამედ სახელმწიფოს მიერ შერჩეულ განათლების განვითარების მოდელზე და გასატარებელ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

დღეისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება განთლების სფეროში მიმდინარე საკითხების სოციალური შინაარსის განსაზღვრას და მის სწორ შეფასებას. თავისთავად, ეკონომიკა და მისი განვითარება თვითმიზანი არ არის. იგი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით და კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებით. ეს უკანასკნელი მაშინ იქნება შედეგიანი, თუ მიიღწევა ცხოვრების მაღალი დონე და ხარისხი. ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმების შეფასების მთავარი კრიტერიუმია კეთილდღეობა, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მისი სოციალური ორიენტაციის არსისა და მიმართულების განსაზღვრა. სოციალურად ორიენტირებული განათლების ძირითადი ნიშნები კი სოციალური მდრადგობა და მოქალაქეების კეთილდღეობის სტაბილური ზრდაა.

დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზების შედგენის აუცილებლობა. იგი თავისი როლითა და დანიშნულებით გახდა გლობალური, სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსური პროგნოზის ერთ-ერთი ამოსავალი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზირება ნიშნავს მეცნიერების, ტექნიკის და ტექნოლოგიების განვითარების რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების განსაზღვრას უახლოესი და შორეული პერსპექტივისათვის.

გარდამავალ ეტაპზე მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია საჭიროებს აღნიშნული ეტაპისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებას. მასში უნდა აისახოს ეკონომიკური ზრდის, საბიუჯეტო პოლიტიკის, ინვაციური და ინვესტიციური სფეროებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მახასაიათებლები. აუცილებელია აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა, რომლითაც უნდა იქნეს მიღწეული ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, ინვესტიციური და სხვა სამეურნეო პროცესების ეფექტიანი რეგულირების უზრუნველყოფა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ცდილობენ დააჩქარონ თავიანთი ეკონომიკური განვითარება მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების, წარმოების მართვის ორგანიზაციის, მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა სისტემებისა და განათლების სფეროში არსებული გამოცდილების გამოყენებით. წინასწარ ვერავინ ვერ გაითვალისწინებდა და იწინასწარმეტყველებდა იმ განსაკვიფრებელ ცვლილებებს, რომლებმაც გამოიწვია მრავალი მეტად რთული და ახალი სახელმწიფოებრივი, განათლებისა და ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობა.

ჩვეულებრივ, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში განათლების რეფორმის მიზანია აამაღლოს ეკონომიკის მწარმოებლურობა და ეფექტიანობა. კერძოდ კი,

- სტიმული მისცეს ეკონომიკის უფრო სწრაფ ზრდასა და განვითარებას;
- გააუმჯობესოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობა;

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობა ადრინდელ გამოცდილებაზე დაყრდნობით თვლის, რომ აუცილებელია იმ ეკონომიკური სისტემიდან, სადაც მთავრობა წყვეტს საკითხს განათლების სფეროს შესახებ, გადასვლა ისეთ ეკონომიკურ სისტემაზე, სადაც ხორციელდება მოთხოვნა-მიწოდება სრულფასოვანი განათლების საფუძველზე. ამისათვის კი აუცილებელია ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს განათლების სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განათლების რეფორმების განხორციელების ტემპები და წარმატებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ ქვეყნებში განათლების სტაბილურობის დონეზე.

საკვანძო სიტყვები: გარდამავალი ეკონომიკა, ტრანსფორმაციის პროცესი, განათლების განვითარების მოდელი, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. მესხია, ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების მეთოდოლოგიური პრობლემები. კრებული „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები“, თბილისი, 2006.
2. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/152046>
3. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/zaqaria_qitiashvili.pdf
4. <http://www.mes.gov.ge/uploads/>

EKATERINE UKLEBA
Akaki Tsereteli State University
Doctor of Business Administration

THE ROLE OF THE STATE IN ORDER TO IMPROVE THE EDUCATION ISSUE IN THE CONDITIONS OF TRANSITIONAL ECONOMY

Abstract

Quality and forms of state participation in education are often dependent on the economic policy course and socio-economic development model selected by the given country. In the modern world, the state is the only subject of society which can perform the function of the organizer of the transformation process in the new system of education. Forms and methods of state participation in the transition period are relied upon on a set of reasons and outcomes that have objectively determined the need for state participation in the economy.

Keywords: transition economy, transformation process, model of education development, forecasting of scientific-technological progress.

პედაგოგიკის და განათლების ისტორია

აკაკი ზოიძე,

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის
აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი.

გურჯი-განათლებისა და კულტურის აღმავლობისა

ეძღვნება წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების დაარსებიდან 140 წლისთავს.

ფასდაუდებელი და განუზომელია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლი განათლების, ეროვნული კულტურის აღორძინება-აღმავლობასა და ეროვნული სულის აღზევებაში. დედასამშობლოსთან ახლად დაბრუნებულ, მრავალტანჯულ აჭარას კი საზოგადოებამ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თავისი მზრუნველი ხელი გადააფარა.

ერის სულიერმა მოძღვარმა, დიდმა ილიამ იმთავითვე ბრძნული გონებით განვირიტა, რომ რუსეთის იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ქვეყანას ყველაზე მეტად სკოლების გახსნა, ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარება, ქართველ საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივება-გაძლიერება სჭირდებოდა. იგი წერდა: „სკოლა ერს გონებითა და გულით გაღვიძებულ კაცს უმზადებს.“ იმ დროს სწორედ გონებით და გულით გაღვიძებული მამულიშვილები სჭირდებოდა საქართველოს. ამიტომაც იყო, რომ ქართველი ერის მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეები განათლებისა და კულტურის აღორძინების სამსახურში ჩადგნენ. მათთვის უპირველეს, ეროვნულ-პატრიოტულ საზრუნავს სახალხო სკოლების გახსნა, ერის გამთლიანება, მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერება, სწავლა-განათლებისადმი ინტერესის გაღვივება, ეროვნული სულის აღზევება წარმოადგენდა.

საზოგადოების დაარსების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. იგი წერს, რომ საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა დაიბადა ჯერ კიდევ 1864 წელს. დაიწყო გამოჩენილი ადამიანების შექრებები ცნობილი მოღვაწის იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონში. საზოგადოებამ გორის მაზრის სოფელ ხოველში გახსნა სკოლა. სადაც მეოთხე კლასამდე სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მეოთხე კლასში ცარიზმის მოხელეთა დაჟინებული მოთხოვნით ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლებინათ. ამიტომ სკოლამ ვერ იბარტყა და დარჩა ობლად. არცერთი სხვა სკოლა ამ წეს არ გაუხსნია და მხოლოდ სოფლის ერთს სკოლას წარმოადგენდა“.

ასევე ცნობილია „ლარიბ მონაფეთა შექმნე თბილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოება“, რომელიც საზოგადო მოღვაწემ გიორგი ერისთავმა ჩამოყალიბა. 1879 წელს ამ საზოგადოების ინიციატივით თბილისში გაიხსნა სკოლა, რომელშიც სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლას გააჩნდა პანსიონი. მოსწავლეებს ჰქონდათ უფასო კვება. სკოლას დიდ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე.

ცხადია, ერთი და ორი სკოლის გახსნა ამინდს ვერ შექმნიდა, ვერ უზრუნველყოფდა იმ ამოცანების რეალიზებას, რომლებიც ქართველ მამულიშვილებს ჰქონდათ დასახული. თუმცა მაინც წინგდადგმული ნაბიჯი იყო. ისინი იმ ქართული სახალხო სკოლების ჩანასახს წარმოადგენდნენ, რომელთაც შემდგომში ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება ხსნიდა.

„საქმის მდგომარეობამ დაგვარწმუნა, - ამბობდა იაკობი, - რომ ჩვენის მიზნის და წადილის მისალწევად კერძო წრე უძლურია, და საჭიროა ფართო საზოგადოება, ჯეროვანი წეს-დებულებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა იქნას დამტკიცებული და დაკანონებული.“

მოწინავე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეუდგნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისათვის ნიადაგის მომზადებას. დიდი დრო, ენერგია და ძალისხემევა დასჭირდა საზოგადოების წესდების შედგენას და წინასაორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და პრობლემად იქცა სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხი. საზოგადოებამ იმთავითვე სწორი კურსი აიღო და ქართველი ერის ბურჯად მშობლიური ენა გამოაცხადა, მაგრამ წესდებაში ამის დაფიქსირება სარისკოდ მიაჩნდათ. იაკობ გოგებაშვილი მოგვითხრობს: „როცა 1876 წელს მოვიწადინეთ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება, ვახტანგ თულაშვილმა თანახმად ჩემი თხოვნისა, ხარკოვიდან გამოიწერა წესდება იქაურის წერა-კითხვის კომიტეტისა. მასში არ აღმოჩნდა პარაგრაფი შესახებ იმისა, რომ დედაენაზე უნდა ენარმოებინა კომიტეტს სკოლებში მთელი სწავლება. დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ცხვედაძე და სხვები შიშობდნენ, საშიშრად რაცხდნენ ხსენებული პარაგრაფის შეტანას. ვაი თუ ამ პარაგრაფმა წესდების შეწყნარებას, მის დამტკიცებას ხელი შეუშალოსო.

მაშინ მე ყოველი ღონისძიება ვიხმარე დამეჯერებინა ჩემი თანამოღვაწენი, რომ თუ ამ პარაგრაფს არ შევიტანთ წესდებაში და არ მოვიპოვებთ ძირითადს უფლებას, ჩვენი სკოლები ქვიშაზე იქნება აგებული... ბოლოს დამეთანხმნენ და მე წესდებაში ჩავუმატე, ჩემი საკუთარი ხელით შვიტანე პარაგრაფი სწავლების მშობლიურ ენაზე წარმოების შესახებ“.

1878 წლის 20 ივნისს წესდება 126 დამფუძნებლის ხელმოწერით ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ყიფიანმა და ბესარიონ ლოლობერიძემ დასამტკიცებლად წარუდგინეს კავკასიის მეფის-ნაცვალს. დიდი ძალისხემევა დასჭირდა მის დამტკიცებას. ამ საქმეში ქართველი მოღვაწეებისათვის ქმედითი დახმარება გაუწევია ილია ჭავჭავაძის ქვისლს, გენერალ დიმიტრი სტაროსელსკის, რომელიც მაშინ კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე იყო.

1879 წლის 31 მარტს, დიდი იაკობის თქმით, მთელი წესდება მის მიერ ჩამატებული დედაენაზე სწავლების პარაგრაფით შეწყნარებულ იქნა მთავრობისაგან და კანონად დაედო წერა-კითხვის საზოგადოებას. ამ ფაქტმა, როგორც მკვლევარები წერენ, ქართველ ინტელიგენტთა შორის ენით გამოუთქმელი სიხარული გამოიწვია. ეს იყო ქართველი ინტელიგენციის გამარჯვება, რომელასც ქართველი ერის ბედ-ილბალი უნდა გადაეწყვიტა. სწორედ აღნიშნული წესდებით გახდა შესაძლებელი საზოგადოებას გაეხსნა სახალხო სკოლები, სადაც სწავლება დედაენაზე იქნებოდა დაფუძნებული. ეს იმ დროისათვის უდიდესი მონაპოვარი იყო.

კამათი გამოუწვევია იმასაც, თუ რა ეწოდებინათ საზოგადოებისათვის. გრიგოლ ორბელიანის წინადადებით ეწოდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

1879 წლის 15 მაისს, დღის 11 საათზე თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში, დიმიტრი ყიფიანის თავმჯდომარეობით გაიმართა ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა. ესწრებოდა 45 დამფუძნებელი წევრი და წევრობის მსურველი. დიმიტრი ყიფიანმა ყრილობას გააცნო წესდების დამტკიცების სრული გარემოება, ყურადღება გაამახვილა საზოგადოების წესდებაზე, მიზანზე, მომავალ გეგმებზე. აღნიშნა, რომ საზოგადოებას შეადგენს ამჟამად 126 დამაარსებელი. დღეს კი 60-მა კაცმა გამოაცხადა სურვილი და საზოგადოების ნამდვილ წევრად იქნა არჩეული.

დამფუძნებელმა ყრილობამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია უფ. დიმიტრი ყიფიანი, ხოლო გამგეობის წევრებად - ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარის მოადგილე, ანუ ამხანაგი), ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი,

ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი (მდივანი), რაფიელ ერისთავი (ხაზინადარი), იონა მეუნარგია (საქმის მნარმონბელი). ყრილობამ დაამტკიცა საზოგადოების კანდიდატები, განისაზღვრა ისიც, რომ არჩევნები გაიმართებოდა ყოველ სამ წელიწადში.

ილია ჭავჭავაძე მიესალმა საზოგადოების დაარსებას და როგორც მისებრ ჭკვიან, ბრძენ, განსწავლულ კაცს შეეფერება, მკაფიოდ, ნათლად და დამაჯერებლად განსაზღვრა მისი მიზანდასახულობა და დანიშნულება. მან გამჭრიახი გონების გასაოცარი ძალით და დიდი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით შთაპბერა სული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და მძლავრი გავლენა მოახდინა მის მთელ საქმიანობაზე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1879 წელსავე სკოლა გახსნა თბილისში. სკოლას უნარიანად ხელმძღვანელობდა, სკოლის სული და გული იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მარიამ ორბელიანი. სწორედ ამ საზოგადოების მიერ თბილისა და ქუთაისში დაფუძნდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები.

ერის სულიერი ბელადი, როგორც ზემოთ აღინიშნა, წინასწარ ჭვრეტდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა, როგორ ემოქმედა ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. მისი ბრძნული აზრით, საზოგადოებას თავისი პირველი შემწეობა იმ ადგილას უნდა აღმოჩინა, სადაც სკოლები საერთოდ არ იყო. მაგალითად, დუშეთის მაზრაში ერთი სკოლაც არ არის თურმე, აღნიშნავდა იგი. ახალქალაქის მაზრაში მარტო ორია, თიანეთში მხოლოდ ერთი და ახლად შემოერთებულ საქართველოში - სულაც არც ერთი. ამ ადგილებში უსათუოდ უნდა გაჰმართოს საზოგადოებამ სკოლები, თუნდაც საკუთარი ხარჯითაც... გარდა ამისა, საზოგადოებამ მიუცილებელ საჭიროებად უნდა სცნოს ქართულის წიგნის და სახელმძღვანელოების ბეჭდვა და გამრავლება.

დროთა განმავლობაში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დააფუძნა და თავისი მზრუნველობა-მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა საქართველოში არსებული ქართული სკოლები. კერძოდ, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, სვანეთში (სოფელ ბერის სკოლა), გურიაში (ჩოჩხათის სკოლა), სამეგრელოში (ძველი სენაკის სკოლა), კავკავში, დიდ იონეში, წინარებში, თონეთში, ყალამაშაში, ხელთუბანში, გომარეთში, გერგეთში, თელავში, ატენში, ბორჩალოში, ვარიანში, ზუგდიდში, ნავთლუღში, საგურამოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. იმდენად დიდი იყო საზოგადოების მოქმედების არეალი, რომ იგი მთელ კავკასიას მოიცავდა. აქ გახსნილ სკოლებში 1914 წლამდე მშობლიურ ენაზე განათლება მიუღია 26 763 ქართველ ახალგაზრდას. ამ დროისათვის ე. ი. 1914 წლისათვის საზოგადოებას დაარსებული ჰქონია 84 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საზოგადოების სიძველეთაცავ-მოზეუმებში აღრიცხული იყო 12-ათასამდე ძეგლი. გამოიცა 108 სახელწოდების წიგნი.

საზოგადოება ქმედით დახმარებას უწევდა რუსში, ახალგორში, კავთისხევში, მეტებში, ჯავახეთში (ხიზაბავრი, ხერთვისი, ბარალეთი), ახალციხესა და ხეთაში არსებულ საუნიყებო სკოლებს.

საზოგადოებას მხარში ედგნენ და მის მუშაობაში – რეგიონული განყოფილებებისა და სამკითხველოების გახსნაში, სახელმძღვანელოების შექმნასა და მასწავლებელთა მომზადებაში – აქტიურად იყვნენ ჩართულნი ცნობილი ქალბატონები: ანასტასია თუმანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი, მარიამ დემურია, დესპინე გელოვანი, მაჯორი უორდროპი, ელისაბედ საგინაშვილი, ნინო და მარიამ ორბელიანები, ნინო ნაკაშიძე, ქეთევან უურული და სხვები. ისინი ძალისხმევას არ იშურებდნენ საიმისოდ, რომ განათლება ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა წოდების წარმომადგენლის ვაჟებისა და გოგონებისათვის.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნით, სასწავლო- სახელმძღვანელო და სხვადასხვა დასახელების საკითხავი წიგნების გამოცემით, საღამოების, წარმოდგენების, სპორტული შეჯიბრებების გამართვით დიდი სახელი და ავტორიტეტი დაიმკვიდრა. მეტად აქტიურ, ნაყოფიერ, საჭირო და სასარგებლო საქმიანობას განაპირობებდა ის ფაქტიც, რომ საზოგადოებას სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, ერის დიდი შვილები და ჭეშმარიტი მამულიშვილები, როგორებიც გახლდნენ დიმიტრი ყიფანი (1879-1882), ივანე ბაგრატიონი-მუხრანსკი (1882-1885), ილია ჭავჭავაძე (1885-1907), გიორგი ყაზბეგი (1908-1921), იასონ ლორთქიფანიძე - (1921-1927) (ვიკიპედიის მასალის მიხედვით 1918-1922 წლებში საზოგადოებას ხელმძღვანელობდა დავით კარიჭაშვილი. (ცხადია, ეს მასალა საჭიროებს დაზუსტებას).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება კიდევ ერთ, დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა. იგი მხარში ედგა და ფინანსურ დახმარებას უწევდა იმ ნიჭიერ, ხელმოკლე ახალგაზრდებს, რომლებიც რუსეთში ან ევროპის სხვა ქვეყნებში სწავლობდნენ. ასევე ზრუნავდა და ეხმარებოდა ქართველ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს: ალექსანდრე ყაზბეგს, ეგნატე ნინოშვილს, ვაჟა-ფშაველას, იროდიონ ევდოშვილს... საყურადღებოა გერმანიდან აკაკი შანიძის მიერ ნიკო ცხვედაძის სახელზე გამოგზავნილი ბარათი, რომლითაც დახმარებას სთხოვდა იგი საზოგადოებას. ასევე ყურადღებას იპყრობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის მკვიდრის სულეიმან კაიკაციშვილის მოგონება. იგი წერს: "1914 წელს ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მიერ მე და მურად გუნთაიშვილი გაგზავნილი ვიქენით თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც ჩაგვრიცხეს შესაბამის კლასებში. ასეთი მაგალითები კი არაერთი იყო.

საზოგადოებას დამფუძნებელი, ნამდვილი და დამხმარე წევრების გარდა ჰყავდა საპატიო წევრები: პროფესორი დ. ჩუბინიშვილი, ნიკო დადიანი(მინგრელსკი), ოლდა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა და სხვები. დიდი ილიას ცხოვრების ერთგული მეგზური ოლდა გურამიშვილი თბილისში ატარებდა ლატარიას. აქედან მიღებულ თანხას კი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სწირავდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი მეცენატების _ ძმები ზუბალაშვილებისა და დავით სარაჯიშვილის _ თანადგომა საზოგადოებისადმი. მათ დიდალი თანხა შეიტანეს ბანკში საზოგადოების სახელზე. თბილისის საადგილმამულო ბანკმა კი, რომლის თავკაციც დიდი ილია გახლდათ, 11 ათასი მანეთი ჩარიცხა საზოგადოების ფონდში. ამავე რაოდენობის თანხა გაიღო ქუთაისის ბანკმაც.

ბათუმში სკოლის გახსნა იმხანად იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ საქმის მოგვარებას დიდი ილია თავად ჩაუდგა სათავეში. დიდ ერისკაცს სამჯერ მოუხდა ბათუმში ჩამოსვლა მატერიალური ბაზის მოსამზადებლად და ფინანსური სამუალებების გამოსანახად. და აი 1881 წლის 12 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, გახნას ილიაც დაესწრო და შთამბეჭდავი სიტყვაც წარმოთქვა. ამ ისტორიული მოვლენის გამო გაზეთი „დროება“ 1881 წლის მარტში წერდა: „ძლივს! როგორც იყო ძლივს გვალირსა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველი სასწავლებლის გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოგზავნილი თ. ი.გ. ჭავჭავაძე“.

საზოგადოებამ სკოლისათვის 240 მანეთად დაიქირავა სამოთახიანი სახლი ეზოთი ახმედიეს ქუჩებზე. სკოლაში მიიღეს 28 მონაფე. პირველ მასწავლებლად დაინიშნა ხალხური იდეებით გატაცებული ახალგაზრდა, პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალექსანდრე ნანეიშვილი. იგი ორი წლის შემდეგ მოსე ნათაძემ შეცვალა. 9 წლის განმავლობაში ედგა იგი აღნიშნულ სკოლას სათავეში. ნინდახედულმა, საქმისმოყვარულმა, გამჭრიახი

გონების პედაგოგმა რუდუნებითი შრომით, დიდი ძალისხევით და სიბეჯითით დიდი მოწონება დაიმსახურა.

1891 წელს ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციით ბათუმის პირველი სკოლის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა მიხეილ შარაშიძე. იგი სულმნათმა ილიამ ასე დამოძღვრა: „დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო მუსლიმებს შორის მუშაობა. გახსოვდეთ, რომ ქართველი მუსლიმანები, ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო.“

გულანთებულმა პედაგოგმა მიხეილ შარაშიძემ გაამართლა დიდი ილიას ნდობა. ბავშვებისა და საქმის სიყვარულით, უანგარო, რუდუნებითი შრომით, ტაქტით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მოსწავლეებსა და მოსახლეობას შორის.

ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების პარალელურად ბათუმის პირველ ქართულ სკოლაზე დიდად ზრუნავდნენ ქალაქის საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები: იბრაიმ-ბეგ აბაშიძე, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ექვთიმე ბერძენიშვილი, ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, ქ.შ. ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე გრიგოლ ვოლსკი, ბათუმის საკრებულოს მდივანი ივანე მესხი, ექიმი გრიგოლ ელიავა, ქეთევან შურული...

სკოლისათვის ნაკვეთი უსასყიდლოდ გამოყვეს იბრაიმ-ბეგ და ხუსეინ-ბეგ აბაშიძეებმა. ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება ფინანსურად ღარიბი იყო, ამიტომ სკოლის შენახვისა და მოვლა-პატრონობისათვის შეიქმნა სკოლის გულშემატკივართა კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძის წინადადებით დაინიშნა გრიგოლ ვოლსკი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი ადამიანები. ისინი მართავდნენ სხვადასხვა ხასიათის საქველმოქმედო ღონისძიებებს:, შეხვედრებს, თეატრალურ წარმოდგენებს, კონცერტებს, ლიტერატურულ საღამოებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, კოტე მესხი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე.... საღამო-ებიდან შემოსული თანხა ეძლეოდა ბათუმის პირველ ქართულ სკოლას.

აჭარის პირველი ქართული სკოლა ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მტკიცედ ამკვიდრებდა ახალგაზრდებში ცოდნისადმი, სწავლისადმი გულითად სიყვარულს. მან დიდი როლი შეასრულა აჭარაში განათლების სისტემის განვითარებისა და საერთოდ კუთხის კულტურულ დაწინაურებაში. იგი გახდა მაღალი ეროვნული თვითშეგნებისა და სულიერ აღორძინების უშრეტი წყარო.

უპრიანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ რეგიონში წიგნიერების ამაღლებასა და მოსახლეობის გათვითცნობიერებაში დიდი წვლილი მიუძღვის ზაქარია ჭიჭინაძეს. იგი ხშირად მოგზაურობდა აჭარის სოფლებში, ესაუბრებოდა მოსახლეობას, წიგნებს ურიგებდა, საქართველოს გმირულ წარსულს აცნობდა და მისდამი სიყვარულით მუხტავდა.

აჭარაში ახლად გახსნილ სკოლებში მუშაობის სურვილს გამოთქვამდნენ და სამუშაოდ ჩამოდიოდნენ გურიის, სამეგრელოს, იმერეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების გულანთებული პატრიოტი პედაგოგები. ცნობილი პედაგოგის, ვახტანგ მაკარაძის ცნობით 1880- 1980 წლებში საქართველოს რეგიონებიდან აჭარის მთიანეთის სკოლებში მივლინებული იყო 2200-ზე მეტი მასწავლებელი. ფასდაუდებელია მათი წვლილი. ისინი ჭმიარიტი განმანათლებლები, მამულიშვილები იყვნენ. მათ მიერ ანთებული ცოდნის ნაპერწკალი მძლავრ კოცონად აგიზგიზდა და მიწისაგან პირისა აღგავა უცოდინარობა და უწიგნურობა.

ფასდაუდებელია დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ღვანლი და ამაგი წ.კ.გ. საზოგადოების წესდების იდეური მიმართულების ჩამოყალიბებაში, საზოგადოების ორგანიზაციის დახვენაში, მატერიალური სახსრების მოზიდვაში, სკოლების გახსნასა და სახელმძღვანელოების შექმნაში, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ქსელის გაშლაში, მასწავლებელთა კად-

რების შერჩევაში, სკოლების მუშაობის კვალიფიციურ შემონმება-დახმარებაში. იგი მხარში ედგა და ქმედით დახმარებას უწევდა საზოგადოების თავმჯდომარებს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოების წინაშე წამოჭრილი ყველა ამოცანის გადაწყვეტაში.

იაკობ გოგებაშვილმა საზოგადოებას შესწირა თავისი ყველა წიგნი, გარდა სახელმძღვანელოებისა. მათი შემოსავალი მთლიანად საზოგადოების ფონდში შედიოდა. სიკვდილის წინ კი საზოგადოებას უანდერდა ყველა სახელმძღვანელო, რომელიც წელიწადში 9000 მანეთ შემოსავალს იძლეოდა. გარდა ამისა, უანდერდა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ღირებულებისა.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1927 წლამდე იარსება. საქართველოს განათლების კომისარიატის დადგენილებით საზოგადოების წიგნთსაცავი, მუზეუმი და არქივი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ქონების ნაწილი კი -საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებას და საქართველოს მწერალთა კავშირს.

ოთხი ათეული წლის მანძილზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჩვეული გულმოდგინეობით, რუდუნებით, მუხლჩაუხელად იღვნოდა ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის აღმავლობის, ეროვნული სულის აღზევებისათვის და ბრწყინვალე წარმატებებსაც აღწევდა.

1981 წელს თბილისში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ 100 წლისთავის აღსანიშნავად აღიმართა სვეტი-სტელა „ცოდნა“. იგი, როგორც პროფესორი უშანგი ობოლაძე წერდა, მუდამ იცოცხლებს როგორც სიცოცხლის ახალი ძალით აღორძინების ნათელი მაცნე, სხივმოსილი მაცნე ქართველი ხალხის, მისი კულტურის მარადიული უკვდავებისა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძეგლი ყოველი ქართველის გულშია. 140 წლის წინათ ჩაყრილმა კეთილმა თესლმა უკვდავი ნაყოფი მოგვცა. ნათქვამის ნათელსაყოფად მარტო აჭარის მაგალითიც იკმარებდა.

თუ როგორ წავიდა წინ განათლების საქმე აჭარაში, ამას ნათელს ჰქონდენ ასეთი ფაქტიც. ყოფილი საბჭოთა კავშირის 20 ავტონომიურ რესპუბლიკას შორის აჭარას პირველი ადგილი ეჭირა. აჭარის მთიანეთის სოფლებიდან არიან დოქტორები, პროფესორები, აკადემიკოსები. მარტო ერთი პატარა შუახევის მუნიციპალიტეტს 60-მდე პროფესორები ჰყავს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით უმაღლეს განათლებულთა და მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობით შუახევი საქართველოში პირველ ადგილზეა.

საკვანძო სიტყვები: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სახალხო სკოლა, მშობლიურ ენაზე სწავლა, სახელმძღვანელოები, სკოლის მატერიალური ბაზა, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, პედაგოგიური კადრები.

AKAKI ZOIDZE
Chairman of the Adjarian Republican Organization
of Iakob Gogebashvili Union of Georgia, professor.

WRITING-SPREADING SOCIETY – 140

Summary

The dissemination of Georgian literature among the Georgians has made an invaluable contribution to the development of the Georgian people, the promotion of culture and the strengthening of national spirit in the Georgian society.

The most productive and successful work of the society was also caused by the fact that he had been leading some of the prominent personalities such as Dimitri Kipiani, Ilia Chavchavadze, Giorgi Kazbegi and others.

The Society was functioning for four decades. The good seed thrown out 140 years ago gave us immortal fruit.

Key words: Literacy Dissemination Society among Georgians, public school, learning in native language, textbooks, material basis of school, library and readers' hall, pedagogy related HR.

ცოდარ ბასილაძე

საქართველოს საპატრიარქოს ნმ. ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

0. გოგებაშვილი მეობლიურ ენაზე სრულების როლისა და მნიშვნელობის შესახებ

იაკობ გოგებაშვილი იმ უკვდავ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სახელსაც დრო და უამი ვერაფერს დააკლბს. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება მისდამი სიყვარული და ინტერესი. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდ ქართველ მოღვაწეთა შორის ი. გოგებაშვილს პირველს დაუმკვიდრა ხალხმა განმანათლებლის სახელი. ეს იმიტომ, რომ იაკობის აზროვნება არ ყოფილა შემოფარგლული მხოლოდ პედაგოგიკის პრობლემებით, იგი ცდებოდა მას და ლრმად იჭრებოდა პოლიტიკისა და ფილოსოფიის სფეროში. იმ დროის საქართველოს ცხოვრებაში არ დარჩენილა არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი თუ მოვლენა, რომელსაც მისი მადლიანი კალამი არ შეხებოდეს.

იაკობი თავის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ყველაზე მეტად კ. დ. უშინსკის მოძღვრებას ემყარებოდა. განსაკუთრებით ეს ეხება დედაენის როლისა და მნიშვნელობის საკითხს. ამ საკითხში იგი თავიდან ბოლომდე იზიარებდა კ. დ. უშინსკის შეხედულებებს და ხშირად იმოწმებდა მის სიტყვებს: „სანამ ცოცხლობს ხალხის ენა ხალხის ბაგეზე, მანამ ცოცხლობს თვით ხალხიც... ნაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს იგი, მაგრამ ნაართვით ხალხს ენა და ის ვერასდროს ველარ შექმნის მას; ხალხს შეუძლია თვით ახალი სამშობლოს შექმნა, ენისა კი - არასოდეს: მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც“ (უშინსკი, 1974: 150).

კ. დ. უშინსკის ამ სიტყვების ჭეშმარიტება საგნობრივად დაადასტურა ჩვენმა ცხოვრებამ. სამოცდაათი წლის მანძილზე ყოფილი სსრ კავშირის ეთნიკური რუკიდან გაქრა ათამდე ერი და

ეთნიკური ჯგუფი. ამის ძირითადი მიზეზი იყო დედაენის დაკარგვა და რუსული ენის გათავისება, გამშობლიურება.

გამომდინარე კ. დ. უშინსკის ზემოთ აღნიშნული კონცეფციიდან, ი. გოგებაშვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დარაჯად და ქომაგად ედგა მშობელ ხალხსა და მის მარად უკვდავ ქართულ ენას, რამეთუ იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთ-ახდაა“.

თავის მრავალრიცხოვან შრომებში გოგებაშვილი თავგამოდებით იცავდა დედაენას. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სტატია „ბურჯი ეროვნებისა“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა და დღესაც ასრულებს ქართველ ახალგაზრდებში მშობლიური ენისადმი სიყვარულის გაღვიძებასა და ეროვნული გრძნობების გამომუშავებაში.

კომენსკის, უშინსკისა და კორფის მოძღვრებათა ერთგული ი. გოგებაშვილი ამოდიოდა იმ ძირითადი პრინციპებიდან, რომ მშობლიური ენა განათლების პირველი საფეხურია, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ბავშვის ნორმალური განვითარება. იაკობის აზრით, უცხო ენის შესწავლა უნდა აიგოს მშობლიური ენის საფუძვლიან ცოდნაზე. იგი ხშირად იშველიებდა ი.ა.კომენსკის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „მშობელი, რომელიც მოინდომებს თავისს შვილებს ასწავლოს უცხო ენა, ვიდრე ისინი განმტკიცდებდნენ დედა-ენის ცოდნაში, იქმს იმისთანავე საოცარს სისულელეს, როგორსაც ჩაიდენდა ადამიანი, რომელიც ჯერედ ფეხ-აუდგმელს ბალლს ცხენზედ ჯდომას დააწყებინებდა“ (გოგებაშვილი, 1990: 45). დედაენის ცხოველმყოფელ გავლენას მოკლებული ბავშვი, გვასწავლის გოგებაშვილი, ვერასოდეს განვითარდება სრულყოფილად, ვერ ისწავლის „ჯეროვან აზროვნებას“ და „ისეთივე უხეირო ჭკუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მემუსიკედ შეიქმნება ადამიანი, მესკრიპკედ დაბადებული და მეფორტებიანედ ძალად გაზრდილი“ (გოგებაშვილი, 1990: 10). უცხო ენაზე გაზრდილ ბავშვს იაკობი ადარებს იმ მერცხალს, რომელსაც მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და შოშიას სტვენას ასწავლიან. „ამ უკუღმართის გზით აღზრდილი ბავშვი, – დასძენს იგი, – ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭსა, ვერ მიეწევა, ვერ ეღირსება ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას, მეტ-ნაკლებობით გამოვა ნეკერ-ნეკერა, ქარაფშუტა პირი, უხასიათო ადამიანი და იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს თავისს სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუცია“ (გოგებაშვილი, 1990: 10).

ზემოთ გამოთქმული მოსაზრების დასასაბუთებლად იაკობი რუსი ხალხის ცხოვრებიდან იშველიებს შემდეგ მაგალითს: „...მას შემდეგ, როდესაც მაღალს წოდებაში ფრანგულის თაყვანისცემა შემცირდა და ჯეროვანი პატივი მიენიჭა რუსულ ენას და ლიტერატურას როგორც ოჯახობაში, ისე სკოლაში, - წერს იგი, - სალიტერატურო ასპარეზზედ უნიჭო სუმაროკოვების, ხერასკოვების, ტრედიაკოვსკების მაგიერ გამოვიდნენ გრიბოედოვი, გოგოლი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბელინსკი და სხვები“ (გოგებაშვილი, 1990: 30).

აი, კიდევ მეორე მაგალითი. წინათ აჭარლები და შავშელ-ერუშელები, დასძენს იაკობი, განთქმული იყვნენ თავიანთი მამაცობით და ვაჟკაცობით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი მოექცნენ ოსმალეთის უღლის ქვეშ, უღალატეს ეროვნებას და დაივიწყეს მშობლიური ენა, სავალალო შედეგები მოიმკეს. „ვისაც კი ბ-ნ ყაზბეგის მოგზაურობა წაუკითხნია, ...ეცოდინება, რომ ეხლა შავშელ-ერუშელები ყოვლად საცოდავნი, მხდალნი და წყალ-ნალებულნი არიან. წინად მათ შურის თვალით უყურებდნენ მეზობლები, ახლა კი დაბრიყვებულნი და მასხრად აგდებულნი ჰყავთ. სრულიად სხვა სურათსა ვხედავთ აჭარაში. მართალია, აჭარლებმაც სარწმუნოება შეიცვალეს, მაგრამ ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩენენ ქართველებად. და დახეთ, რა ვაჟკაცობით, გამბედაობით და მხნეობით არიან შემკულნი!“ (გოგებაშვილი. 1990: 34-35).

დიდ იაკობს გული სწყდებოდა იმის გამო, რომ მის დროს ქართული ენა უფლებააყრილი და განდევნილი იყო არა მარტო სკოლებიდან, არამედ ოჯახებიდანაც. იგი წერდა: „ქართული ენა ამ უამად ჰეგავს მშვენიერს ფოლადის სახნისა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და უანგს აჭმევინებს“ (გოგებაშვილი, 1990: 7).

ამ პირობებში ქვეყანას ესაჭიროებოდა კონკრეტული ვითარების შესაფერისი სახელმძღვანელო, რომელიც ხელს შეუწყობდა როგორც წერა-კითხვის გავრცელებას ხალხში, ისე ქვეყნის ეროვნულ აღორძინებას, განათლების გავრცელებას; სახელმძღვანელო, რომელიც ბავშვების სულსა და გულს აატოვებდა და დაანახვებდა, რომ დედასავით ტკბილი დედაენის ცოდნა არის ის გზა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სხვა ენების შესწავლაც და მსოფლიო კულტურის უდიდეს მონაპოვართა ათვისებაც. ეს დიდი საშვილიშვილო ეროვნული საქმე თავს იდო იაკობმა და, როგორც ცნობილია, სახელოვნად დააგვირგვინა. მაგრამ იმ დროს, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ი. გოგებაშვილი, იანოვსკები, კატკოვები, ლევიცკები, რუდოლფები და „ბნელეთის სხვა მოციქულნი“, როგორც იაკობი უწოდებდა მათ, ყოველნაირად ცდილობდნენ სკოლიდან განედევნათ ქართული ენა, უკიდურეს შემთხვევაში, ისე შეემცირებინათ ქართული ენისა და ლიტერატურის საათები, რომ ფაქტობრივად იგი მეორეხარისხოვან საგნად ექციათ. საბედნიეროდ გვყავდნენ ქედუხრელი მამულიშვილები, რომლებიც გაბედულად ებრძოდნენ შავრაზმელებს და, როცა საჭირო იყო, დიმიტრი ყიფიანივით თავსაც სწირავდნენ ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს. მათ შორის, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იაკობ გოგებაშვილი. მისი სახით, სკოლებიდან განდევნილ და აბუჩად აგდებულ ქართულ ენას გამოუჩნდა ერთგული ჭირისუფალი და დამცველი, რომელმაც მსოფლიო პროგრესული პედაგოგიკური აზრის მოშველიებით, არა მარტო დაასაბუთა დედაენისა და მშობლიურ ენაზე სწავლების როლი და მნიშვნელობა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში, არამედ, ამასთან ერთად, ნათლად გვიჩვენა ქართული ენის სიდიადე და ბრწყინვალება. იაკობის აზრით, „ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა... ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია“ (გოგებაშვილი, 1990: 6).

იაკობ გოგებაშვილს ენა მიაჩნდა ეროვნულობის ძირითად ნიშნად, ერის სულიერი ცხოვრების მატიანედ, იმ მთავარ ძარღვად, რომლითაც ადამიანი თავის ერს უკავშირდება. ადამიანი კი თავის ერთან კავშირს მაშინ წყვეტს, როცა იგი მის ენას ივინყებს, სწორედ აქედან იწყება ეროვნული გადაგვარება. ამიტომ იყო, რომ ენას დიდმა პედაგოგმა ეროვნების ბურჯი უწოდა.

უდედაენოდ არ არსებობს ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული კულტურა, ეროვნული აზროვნება და თვითშეგნება. მასში დაცულია „მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძობისა, ნამოქმედარისა“. ერისათვის დედაენა მარტო კომუნიკაციის, ადამიანთა ურთიერთობის საშუალება როდია. ენაშია ხალხის ხსოვნა, მისი ისტორია, მისი აწმყოცა და მომავალიც. „იგი როდი გავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა-და რბილში, მთელს მის ბუნებაში“ (გოგებაშვილი, 1990: 9). დედაენის დაკარგვა ერის გადაგვარებას, მის სიკვდილს ნიშნავს. ამიტომ, როცა იაკობი ქართული ენის უფლებებსა და მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის იპროდა, ამით იგი ეროვნულობის შენარჩუნებისა და ქართული ენის გადარჩენისათვის ილვწოდა. თავდადებულმა მამულიშვილმა და ქართული ენის მოჭირნახულემ შესანიშნავად იცოდა, რომ დამპყრობელს პირველ რიგში ენის წინააღმდეგ მიაქვს იერიში. სწორედ ეს პქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა წერდა: „არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული - ენაა.

ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეებისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა” (ჭავჭავაძე, 1987: 213).

მშობლიური ენა ი. გოგებაშვილს მიაჩნდა სწავლა-აღზრდის საფუძვლად. დედაენის გარეშე დიდ პედაგოგს ვერ წარმოედგინა ბავშვისა და საერთოდ, პიროვნების სრულყოფილი განვითარება, მისი ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების მთლიანად გამლა-გაფურჩქვნა. „სადაც-კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, - წერს იგი, - დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედა-ენა, სწავლება დედა-ენაზედ... რომელს ქვეყანაშიც კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონიერი მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ - დაბნელება და ზნეობის განწმენდის და ამაღლების მაგიერ - მისი დაცემა” (გოგებაშვილი, 1990: 50).

უცხო ენაზე სწავლა-განათლების მიღების მავნე შედეგების საილუსტრაციოდ ი. გოგებაშვილი იშველიებს კარლ ფოხტის სიტყვებს: „თუ ხალხი თავისს დედა-ენას სცვლის სხვა ენაზე და ამ უკანასკნელზე იღებს განათლებას, იგი ვერ აიცილებს თავიდგან გონიერის დაჩაგვრას, დამდაბლებას და მეტ-ნაკლებობით დაჰკარგავს შემოქმედებითს ნიჭას” (გოგებაშვილი, 1990: 15). ამის მაგალითად ფოხტი ასახელებს გერმანიის დასავლეთ ნაწილს, ელზასს, რომელმაც შუა საუკუნეებში მსოფლიოს მისცა არაერთი გამოჩენილი მოღვაწე, მაგრამ შემდეგ, როცა იგი ხელში ჩაიგდო საფრანგეთმა და თავისი ფრანგული ენა გაამეფა, ელზასმა ვერცერთი მსოფლიო ნიჭის კაცი ვერ აჩუქა კაცობრიობას, თუმცა ცხოვრების ისეთი პირობები შეუქმნა, რომელიც მათ ადრე არ გააჩნდათ (გოგებაშვილი, 1990: 15).

ი. გოგებაშვილის აზრით, სკოლა დედაენის გარეშე „საპყრობილეა ყმანვილის ნორჩის ბუნებისათვის... აქ სუფევს გულ-მოსაკულავი, უაზრო ზეპირობა გაუგებარი სიტყვებისა და მშრალი მექანიზმები” (გოგებაშვილი, ტ. IV, 1990: 162). ამიტომ ბავშვმა სასკოლო განათლება მშობლიურ სკოლაში, დედაენაზე უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სრულყოფილად ვერ განვითარდება, მისი ბუნებრივი ნიჭი ისე ვერ გაიშლება და გაიფურჩქნება, როგორც ეს მშობლიურ ენაზე სწავლების დროს მოხდებოდა, „....ის ვერასოდეს ვერ მიეწევა ჯეროვანს სილრმეს აზრისას და გრძნობისას და იქნება მეტნაკლებობით ფუქსავატი არსება, თუნდაც რომ მთელი დუუინი უცხო ენები იცოდეს” (გაფრინდაშვილი, 1959: 387). და კიდევ: დედაენას მოკლებული მოსწავლე „თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარს სიტუტუცეზედ ჩამოხტება” (გოგებაშვილი, 1990: 16-17). ასეთ ბავშვს „დედა ენისა” და „ბუნების კარის” ავტორი ადარებს „ხიდგან მოჭრილს ტოტსა, რომელიც, დღეს თუ ხვალ, უთუოდ გახმება. იგი შეიძლება ამყნონ სხვა ხეზედ, მაგრამ ჯეროვან სისრულეს იგი არას დროს არ ეღირსება და ვერას დროს ვერ შეედრება ხეს, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული თავისს შესაფერსს ნიადაგში და რომელიც ამის გამო სავსეა ღონით და სიცოცხლით” (გოგებაშვილი, 1990: 43). ასე სჯის ბუნება იმ ადამიანს, რომელიც მისი კანონების წინააღმდეგ წავა და შვილს წაართმევს იმ შესანიშნავიარაღს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ერს შეუქმნია და რომელთათვისაც ხალხს მშობლიური, ანუ დედაენა შეურქმევია.

თავისი აზრის ნათელსაყოფად ი. გოგებაშვილი იშველიებს ბ. ბელინსკის მაგალითს და აღნიშნავს, რომ იგი რუსულად წერდა ისე კარგად, რომ მისი ბადალი არავინ იყო და არც ახლა არის რუსეთში, მაგრამ სახელგანთქმული კრიტიკოსი ძალიან სუსტი იყო უცხოური ენების შესწავლაში. დიდი მონდომების მიუხედავად, მან „ვერ შეითვისა ვერც ნემცური და ვერც ფრანგული, თუმცა ამ ენებს რუსულს ენასთან ახლო ნათესაობა აქვს”. ბელინსკის რომ უკუღმართი მშობლები ჰყოლოდა, აღნიშნავს იაკობი, და ბავშვობიდან რუსული ენის ნაცვლად

მისთვის უცხო ენა ესწავლებინათ, სახელოვანი კრიტიკოსის ნაცვლად მივიღებდით უხეირო მნერალს, მოკლებულს ყოველგვარ ძალასა და გავლენას. ამიტომაც იყო, რომ რუსი პოეტი პლეშჩევი, რომელიც არისტოკრატიულ ოჯახში იზრდებოდა და პატარაობიდანვე დაეუფლა ფრანგულ ენას, შემდეგ კი რუსულს, მშვენიერ ლექსებს წერდა რუსულად, ფრანგულად კი პატარა ლექსის დაწერასაც ვერ ახერხებდა, თუმცა ფრანგულ ენას რუსულზე უკეთ ფლობდა. ეს იმიტომ, რომ „ფრანგული ენა იყო მისთვის მეხსიერების ენა, ლექსების წერა კი ითხოვს ენას გრძნობისას, ენას გულისას და სამეტყველო მუსიკისასაც“ (გოგებაშვილი, 1990: 24).

დიდი იაკობის ამ დებულების უტყუარობაზე მიუთითებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები. აქ იაპონელი ბავშვების ერთ ნაწილს პირველ-დანებითი და საშუალო განათლება მიაღებინეს ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორე ნაწილს - მშობლიურ, იაპონურ ენაზე. შედეგი კი ასეთი იყო: იმ ბავშვებმა, რომელებმაც განათლება მშობლიურ ენაზე მიიღეს, გაცილებით უკეთ განვითარეს თავიანთი ნიჭი, უნარი და უკეთესი სპეციალისტებიც დადგნენ, ვიდრე იმათ, ვინც არამშობლიურ ინგლისურ ენაზე მიიღო განათლება (გაზ. „საქართველო“, 1989: 31 დეკემბერი).

აქედან გამომდინარე, ბავშვის მიბარება უცხოური ენის სკოლაში მისი ბუნების საწინააღმდეგო მოქმედებაა, რაც დიდად ვნებს ბავშვის არა მარტო გონიერივ განვითარებას, არამედ მის ზნეობრივ სრულყოფასაც.

იაკობის აზრით, ასეთმა ბავშვმა, მოგვიანებით, რაგინდ საფუძვლიანად შეისწავლოს მშობლიური ენა, თავისი ერისათვის უცხო არსებად იქცევა, იგი ვერასოდეს გაუგებს თავის ხალხს და ხალხი მას; „ვერას დროს ვერ მიესაყვარლება თავისს მშობელთა და ნათესავთა სრულის გრძნობის გამომხატველ სიტყვებით... როგორიც არიან: „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, „თავ შემოგევლე“, „ნამლად დაგედე“ და მრავალნი სხვანი“ (გოგებაშვილი, 1990: 11). ამიტომ ‚ყველა სკოლა, განსაკუთრებით სახალხო, დედა-ენაზედ უნდა იყოს დაფუძნებული, დედა-ენით უნდა საზრდოობდეს, მით უნდა ვითარდებოდეს, მით უნდა ხარობდეს. დედა-ენა სულია სკოლისა. თვით ლატაკი სკოლა მძლავრია, როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედა-ენის შუამავლობით. თვით უმდიდრესი, ყოველი მხრით შემკული სკოლა უძლურია, როცა ამ ნიადაგს მოკლებულია“, - დაასკვნის იაკობი (გოგებაშვილი, 1990: 161).

ყველ ადამიანს აქვს თანდაყოლილი ნიჭი სხვა ენებთან შედარებით მშობლიური ენის ადვილად და ლრმად შესწავლისა. ეს იმიტომ, რომ ახალშობილი ბავშვი, როგორც ადრე იყო მიჩნეული, დაუწერელი, სუფთა დაფა არ არის. მას დაბადებიდანვე თან დაჰყვა ადამიანად გახდომის გარკვეული მონაცემები, მათ შორის მეტყველების ნიჭი, რომელიც შემდგომში ენად გარდაიქმნება იმის მიხედვით, თუ როგორ გარემოში გაიზრდება იგი. თუ ახალშობილი ქართველი ბავშვი იტალიაში გაიზარდა, მისი სამეტყველო ენა იტალიური იქნება, მაგრამ ეს ენა მისთვის ვერ იქცევა ისეთად, როგორიც იქნებოდა ქართული, ვინაიდან მისი საარტიკულაციო აპარატი სხვაა, ვიდრე იტალიელისა. გარდა ამისა, იგი, როგორც ქართველის შვილი, დაბადებამდე დაპროგრამებულია ძირითადად ქართულის შესასწავლად. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში კ. დ. უშინსკის, როცა წერდა: „თუ ის ენა, რომელზედაც იწყებს ლაპარაკს ბავშვი, ეწინააღმდეგება მის თანდაყოლილ ეროვნულ ხასიათს, მაშინ ეს ენა ვერასდროს ვერ მოახდენს ისეთ ძლიერ გავლენას მის სულიერ განვითარებაზე, როგორსაც მოახდენდა მისი მშობლიური ენა“ (უშინსკი, 1974: 155).

ამიტომ მშობლიური ენა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, ის ენა, რომელზედაც მისი მშობლები ლაპარაკობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვის აზროვნება სრულყოფილად ვერ განვითარდება.

სწავლა-განათლების მიღებას მხოლოდ დედაენაზე რომ ითხოვდა, ამით ი. გოგებაშვილი უცხოური ენების შესწავლის წინააღმდეგ როდი გამოდიოდა. ამ საკითხზე საუბრისას იგი ეყრდნობა უან-უაკ რუსოს მოსაზრებას, რომ ყოველი დედა, რომელსაც სურს, შვილი ჯანმრთელი ჰყავდეს, საკუთარი ძუძუთი უნდა ზრდიდეს მას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბავშვს დედის რძის მეტი ნურაფერს მიაკარებთო, არამედ იმას, რომ ბავშვი ჯერ დედის რძით უნდა საზრდოობდეს და როცა საკმაოდ მომაგრდება, სხვა საჭმელიც უნდა მივაწოდოთ. იაკობის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას დედაენის შესახებაც. „პირველს სულიერს საზრდოს, - წერს იგი, - დედა-ენა უნდა აძლევდეს ბავშვსა და როდესაც ეს საზრდო გაამაგრებს მის გონიერებასა, მაშინ დედა-ენა უნდა გახდეს საძირკულად, რომელზედაც აშენდება უცხო ენათა გონივრული შეთვისება... მხოლოდ მტერს შეუძლიან ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებსა და დარჩით მარტო დედა-ენის ამარაო" (გოგებაშვილი, 1990: 27).

ამ საკითხზე საუბრისას იაკობი ხშირად იშველიებდა დიდი გერმანელი პოეტის – გოეთეს სიტყვებს: „ვინც დედა-ენის გარდა არა ენა არ იცის, მან რიგიანად არც ეს დედა-ენა იცისო“ (გოგებაშვილი, 1990: 26). მაგრამ უცხო ენის შესწავლა ბავშვს უნდა დავაწყებინოთ მაშინ, როცა იგი საფუძვლიანად დაეუფლება მშობლიურ ენას.

დიდი იაკობის ეს მოსაზრება დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და მას ანგარიში უნდა გავუნიოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას არავინ ითვალისწინებს და მოსწავლეს, რომელმაც ჯერ კიდევ წესიერად მშობლიური ენაც არ იცის, პირველი კლასიდანვე ინგლისური ენის შესწავლას ვაძალებთ. ახლა რომ იაკობი ცოცხალი ყოფილიყო, ამის წინააღმდეგ იგი ხმალშემართული იბრძოლებდა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, იაკობის აზრით, „რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნობის ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყევრად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, ეტლი ჩვენის ეროვნებისა, ჯეროვანის სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზედ და მიაღწევს სამშვიდობო სადგურსა“ (გოგებაშვილი, 1990: 26).

საკვანძო სიტყვები: მშობლიურ ენაზე სწავლება, გამარუსებელი პოლიტიკა, გონიების გახსნის საფუძველი, სულიერი საზრდო, ყმაწვილის ნორჩი ბუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ნ., ქართული პედაგოგიკის ისტორია, ბათუმი, 2013.
2. ბასილაძე ნ., ნარკვევები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიიდან, ბათუმი, 2007.
3. ბასილაძე ნ., იაკობი და დედაენა, კრებულში: „ნარკვევები ქართული პედაგოგიკის ისტორიიდან“, ბათუმი, 1998.
4. გაზ. „საქართველო“, 1989 წლის 31 დეკემბერი.
5. გაფრინდაშვილი მ., ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., თბ., 1959.
6. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ. II, თბ., „განათლება“, 1990.
7. ზოიძე ა., დიდი პედაგოგი, შემოქმედი და განმანათლებელი (იაკობ გოგებაშვილი – 175), გაზ. „აჭარა“, 2015 წლის 21-25.
8. უშინსკი კ. დ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1974.
9. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწ. ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1987.

NODAR BASILADZE
Professor of St. Tbel Abuseridze
University of the Patriarchate of Georgia,
Doctor of Pedagogic Sciences

**I. GOGEBASHVILI ABOUT THE ROLE AND IMPORTANCE OF
TEACHING IN NATIVE LANGUAGE**

Summary

Iakob Gogebashvili's rich pedagogical heritage holds a great place for the role and importance of the native language in the formation of a person. The great teacher found the native language as the mother of the nation, the main means of existence. In his opinion, ``the language is a people's soul, taking away the language means taking away the soul``. Therefore, every child should be educated in his own language, in case he does not develop his innate talent in half.

All of the above does not mean that Gogebashvili was against the study of foreign languages. On the contrary, he often resided the words of the great German poet Goethe: `` Those who do not know a language other than native language, he knows no native language.

The above remarks were greatly excavated in his immortal work ``the pier of the nation``, that still has not lost his life-giving power and never loses.

Key words: learning/teaching in a native language, Russification policy, basis for comprehension, spiritual nourishment, freshness of adolescence

რელიგიური პედაგოგია

ავთანდილ ასათიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მოციქულობის პედაგოგია, როგორც ძრისფიანული პედაგოგიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი

საეკლესიო ისტორიის თანახმად, იოანე ღვთისმეტყველით მთავრდება ქრისტიანობის I საუკუნე, როცა უკვე ყველა წმინდა მოციქული აღსრულა, ვისაც თვალით ენახა და უშუალოდ მათგან მოესმინა ღვთის სიტყვა. მათი საქმე გააგრძელეს შემდეგი თაობის ეკლესიის მამებმა. მათ შორის არც თუ ცოტანი იყვნენ წმინდა მამანი, რომლებმაც წამების გვირგვინიც კი დაიდგეს. ის წმიდა მამანი, რომელთაც პირდაპირ მოციქულთაგან მიიღეს დარიგება, საეკლესიო ისტორიაში იხსენიებიან, როგორც წმიდა მოციქულთა სწორნი მამანი. მათ შორის ზოგი ცნობილი არის საეკლესიო მოღვაწეობით, ზოგი კი ეპისტოლეებით და საღვთის-მეტყველო საქმიანობით.. (2.19).

მაცხოვრის წამების, აღდგომისა და ზეცად ამაღლების შემდეგ ქრისტიანობაში იწყება ახალი ხანა - მოციქულობის ეტაპი, სწორედ მასთან ერთად უნდა მოვიაზროთ მოციქულობის პედაგოგიკის დასაწყისი. მოციქულთა საქმები აშკარად მოგვითხრობენ იმის თაობაზე, რომ მაცხოვრის მიერ დაწყებული მოღვაწეობა გრძელდება ახალი ძალით, რასაც საფუძველს უმაგრებდა თვით ღმერთკაცის ზეცად ამაღლება. როგორც პავლე მოციქულის ეპისტოლეშია: „ვინაიდან ქრისტეს გულისთვის მოგეცათ თქვენ არა მარტო რწმენა, არამედ მისთვის ტანჯვაც“ (ფილ. 1:29). სწორედ მოციქულთა წიგნებით მტკიცდება, რომ ბიბლიის იდეალი განხორციელებადია: „ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს“ (იოან. 14:23). იესოს მოწაფეები არ უშინდებიან არავითარ განსაცდელს და კვლავ აგრძელებენ ახალი მოძღვრების საყვეთაო ქადაგებას: „....აგერ ის კაცები, რომლებიც თქვენ საპყრობილეში ჩამწყვდიეთ, ტაძარში დგანან და ასწავლიან ხალხს“ (საქმ. 5:25). ისინი კატეგორიულ წინააღმდეგობასაც არ უშინდებიან: „....სასტიკად აგიკრძალეთ, რომ არ გესწავლებინათ ამ სახელით: და აპა, თქვენ აღავსეთ იერუსალიმი თქვენი მოძღვრებით.....“ (საქმ. 5:28). ასეთ თავდადებას უშედეგოდ არ ჩაუვლია: „იზრდებოდა ღვთის სიტყვა და ძალიან მრავლდებოდა მოწაფეთა რიცხვი იერუსალიმში და მღვდელთაგანიც ბევრი ემორჩილებოდა რწმენას“ (საქმ. 6:7). მოციქულებმა სამოძღვრო მოღვაწეობა გააჩაღეს რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. სავლემ, იგივე პავლე მოციქულმა, პირველად იქადაგა დამასკოში (სამ. 9:19-20), ხოლო მოწაფეებს პირველად ეწოდათ ქრისტიანები ანტიოქიაში, როცა ხალხს ასწავლიდნენ (საქმ. 11:26). მაგალითად, პავლე მოციქული მილეტში ამგვარად მიმართავდა ხალხს: „....გახსოვდეთ, რომ სამ წელიწადს დღე და ღამე განუწყვეტლივ ცრემლით ვასწავლიდი თითოეულ თქვენთაგანს“ (საქმ. 20:31). მოციქულთა მოღვაწეობა, პედაგოგიური თვალსაზრისით, ერთგვარი გარდამავალი საფეხურია ახალი აღთქმის პედაგოგიკასა და სამოციქულო პედაგოგიკას შორის. ფორმით იგი უფრო ახლოსაა ახალი აღთქმის პედაგოგიკასთან, ხოლო იდეურ - მეთოდიკური თვალსაზრისით სამოციქულო პედაგოგიკას.

განსაკუთრებული პედაგოგიური დანიშნულებით გამოირჩევა მოციქულ პავლეს შემოქმედება. მისი თეორიული მემკვიდრეობა საგანგებო შესწავლის საგანია. ხოლო ზოგადად იმის თქმა შეიძლება, რომ მოციქულს აღზრდა-განათლების საკითხებზე საკუთარი შეხედულებები აქვს ჩამოყალიბებული. მისი პედაგოგიური იდეების საფუძველს სიყვარულის ზოგადქრისტიანული დოგმატი წარმოადგენს, ამიტომაც საგანგებოდ მოუწოდებს ყველას, რომ

ღმერთის სიყვარულის გარეშე არავითარი ცოდნა არ არსებობს: „.... რადგან ყველას გვაქვს ცოდნა, მაგრამ ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს. ვინც ფიქრობს, რომ რაიმე იცის, მან ჯერაც არაფერი იცის ისე, როგორც უნდა იცოდეს. მაგრამ ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან” (I კორ. 8:1-3).

საზოგადოდ სიყვარულის ზოგადქრისტიანული დოგმატი ქრისტიანული პედაგოგიკის, კერძოდ კი ქრისტიანული ზნეობის აღზრდის, ძირითად პრინციპს წარმოადგენს, რომელიც ახალი აღთქმის პედაგოგიკამ უმაღლეს ნიშნულამდე აიყვანა. სწორედ მის განმარტება-ინტერპრეტაციებთან გვაქვს საქმე სამოციქულო პედაგოგიკაში, თუმცა წმ. მოციქულ პავლეს ეპისტოლეებში, როგორც ზემოთ ითქვა, პედაგოგიური პრობლემების გამორჩეულად ღრმა თეორიულ განსჯასთან გვაქვს საქმე, რაც სპეციალური კვლევის საგანია.

წმიდა მოციქულთა სწორი მამების შრომათაგან ზოგიერთი ყურადღებას იქცევს აგრეთვე პედაგოგიური თვალსაზრისით. სწორედ ამ მხრივ მეტნაკლებად გამორჩეულია: „თორმეტ მოციქულთა მოძღვრება” ანუ „დიდაქე”, ჰერმესის „მწყემსა”, მოციქულთა სწორი პარნაპას, წმ. კლიმენტი რომაელის, ეგნატე ღმერთშემოსილის, წმ. პოლიკარპე სმირნელის, წმ. იუსტინე ფილოსოფოსისა და მარტვილის მოღვაწეობა და თხზულებები.

ქართულ ენაზე არსებობს სამოციქულოს განმარტების სამი თარგმანი: ორი მათგანი ეფთიმე მთაწმინდელს ეკუთვნის, მესამე ეფრემ მცირეს. ორივე მთარგმნელს დედნად შეურჩევია კირილე ალექსანდრიელის სახელით წარწერილი კატენები, გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან. სამოციქულო პედაგოგიკის ერთგვარ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ უფლის მონამეთა ავტორობით ცნობილი შრომა „მოძღვრება თორმეტი მოციქულისა”, რომელიც „დიდაქეს” (მოძღვრება) სახელითაც მოიხსენიება, ეს სახელწოდება მან ბერძნული ტექსტის პირველი სიტყვისგან მიიღო. ძეგლი მოციქულთა ეპოქას ეკუთვნის და წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს „ახალი აღთქმიდან” აპოსტოლარულ მემკვიდრეობამდე.

„დიდაქე” შემოგვინახა ერთადერთმა ხელნაწერმა (Hierosolymitanus-54), რომელიც 1873 წელს აღმოაჩინა მიტროპოლიტმა ფილოთეოს ბრიენნიოსმა კონსტანტინეპოლში, ხელნაწერი 1887 წელს იერუსალიმში იქნა გადატანილი. იგი სპეციალურად შეისწავლა ა. პაპადოპულო-კერამეუსმა. ხელნაწერი გადანუსხულია 1056 წლის 11 ივნისს ლეონის მიერ, რომლის ავტობიოგრაფიაც დართულია თვით ხელნაწერის ბოლოს.” (8.31). როგორც კ.კეკელიძე და სხვა მეცნიერები ვარაუდობენ, აღნიშნული თხზულება ქართულ ენაზე გვიან საუკუნეებში უნდა ეთარგმნათ. „დიდაქეს” იცნობდა ეკლესიის მრავალი მამა, მას ეყრდნობოდა კლიმენტი ალექსანდრიელი, ხოლო ათანასე დიდი კი „თორმეტ მოციქულთა მოძღვრებას” თავის ღვთივსულიერ წიგნთა ჩამონათვალშიც ახსენებს.

თხზულების I-VI თავებში მსჯელობა არის ორ გზაზე:ერთი სიცოცხლისა და ერთი სიკვდილისა. ამ ორ გზას შორის დიდი სხვაობაა.” ასეთი მიდგომა ახასიათებდათ როგორც პირველი საუკუნის ქრისტიანებს, ისე იუდეველებს. სიცოცხლის და სიკვდილის გზების განმარტებისას „დიდაქეში” დამოწმებულია ძველი და ახალი აღთქმის მცნებები. ფაქტიურად ეს არის გარდამავალი ეპოქის აზროვნება, რაც სარწმუნოებრივთან ერთად ზნეობრივ-აღმზრდელობით ფუნქციასაც ასრულებს. წმინდა წერილში მითითებულია: „ნუ აიღებ ხელს შენი ვაჟისაგან და ქალიშვილისაგან, არამედ სიყრმითგან ჩაუნერგე ღვთის შიში.” უცნობი ავტორი ‘მოძღვრებაში’ გადმოგვცემს ფორმით ძველი აღთქმის ზნეობრივ სენტენციებს, ხოლო შინაარსობრივად საქმე გვაქვს სახარებისეულ სწავლებასთან, რაც თავის თავში მოიცავს სიყვარულს მოყვასისას და მტრისას. წინა პლანზეა ბრძნული იდეალი და გაფრთხილება სიკვდილის გზის შესახებ: „შვილო ჩემო, განეშორე ყოველგვარ სიავეს და ყოველივეს, რაც მისი მსგავსია. ნუ განრისხდები, რადგანაც რისხვა დალუბვისაკენ წაგიძლვება; ნუ იქნები შურიანი, ნურც მოკამათე, ნურც გულმწყრალი, ყველა მათგანი სიკვდილს შობს”. (3. უურნალი „ჯვარი

ვაზისა”, 1988, #3, გვ. 31, დიდაქე, 3, 1-2.). „მოძღვრების” ავტორი დიდ სიფრთხილეს იჩენს მასწავლებელთა მიმართ, რადგან ყველა სწავლებას არ შეიძლება ქრისტიანმა კარი გაულოს, მან კარგად იცის მავნე სწავლებათა შესახებ, ამიტომ აფრთხილებს მონაფეებს: „იქნებ მოძღვარი თვით მიიქცეს სხვა სწავლებისაკენ. თუ თქვენს წარწყმედას ცდილობს იგი, არაფერი არ ისმინოთ მისი, მაგრამ თუ სურს, კიდევ უფრო შეგემატოთ სიმართლე და ცოდნა უფლისა, შეიწყნარეთ, როგორც უფალი. “ (დიდაქე, 11, 2). ცხოვრებას მოწყვეტილი სწავლება მაშინაც მიუღებელი ყოფილა, ამასთან ერთად, ყურადღებას აქცევენ სწავლების კავშირს ცხოვრებასთან, მოძღვრის პირად მაგალითს ანუ სიტყვისა და საქმის ერთიანობას: „ყოველი წინასწარმეტყველი, რომელიც ჭეშმარიტებას ასწავლის, მაგრამ თავად არ მოქმედებს ისე, როგორც ასწავლის, ცრუწინასწარმეტყველია იგი.” (დიდაქე, 11, 10). ავტორის აზრით, მეტად მნიშვნელოვანია სისტემატური სწავლა და სულის მარგებელი სწავლება. სწავლებას და სულის სიწმინდეს მხოლოდ მაშინ დაეუფლება ადამიანი, როცა მასთან მუდამ ექნება კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში ადრე ნასწავლით ვერავინ მიაღწევს სრულყოფილებას, ამიტომ საჭიროა: „ხშირად და ხშირად შეიკრიბეთ; გამოეძიეთ უმჯობესი თქვენი რწმენის მთელი წინა დრო, თუ არ იქნებით სრულყოფილნი ბოლო უამისთვის.” (დიდაქე, XVI, 2).

ამრიგად, „დიდაქეს” ადამიანის აღზრდა სახარებისეულ სიმაღლეზე აჰყავს, რასაც პირველქრისტიანთა ყოველდღიურ ყოფას უკავშირებს. თხზულებაში წარმოჩენილია ქრისტიანული ზნეობის შედგენილობა და მასთან ზიარების საშუალებები, რომლის ძირითად საფუძვლად ძველ და ახალ აღთქმას მიიჩნევს. როგორც ვარაუდობენ, „დიდაქე” უნდა დაწერილიყო I საუკუნის ბოლოს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა წმიდა მამათა აპოსტოლარული თხულებანი, ამიტომ გარდამავალ საფეხურზე მას სახარებასთან ერთად უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა.

პირველქრისტიანთა სამოძღვრო-პედაგოგიურ თხზულებებს მიეკუთვნება წიგნი ჰერმესის „მწყემსი”, რომელიც დაწერილია II საუკუნის 40-იან წლებში. ავტორს ხშირად ურევენ პავლე მოციქულის მიერ ნახსენებ ჰერმესში (რომ. 16:14). ეს სახელწოდება წიგნს მიუღია სინანულის ანგელოზის მიერ: „მე ვარ ის ჰერმესი, რომელსაც შენ ეკუთვნი”. არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ სახელწოდებაში გადმოცემულია თხზულების ზნეობრივი შედგენილობა, მოციქულთა ეპისტოლების მსგავსად, სახარებაშიც მწყემსი მოძღვარად, წინამძღოლად და გამაერთიანებლად მოიაზრება, რომელთა სწავლებას ყურს უგდებენ და სწავლობენ: „მე ვარ მწყემსი კეთილი. მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე, როგორც მამა მიცნობს მე და მე ვიცნობ მამას. ჩემს სულს ვდებ ცხვართათვის. მე სხვა ცხვრებიცა მყავს, არა ამ ფარეხისა. მე უნდა მოვიყვანო და მოისმენენ ჩემს ხმას და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი.” (იოან. 10:14-16). წიგნი ჰერმესის „მწყემსი” პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: ხილვებად, მცნებებად და იგავებად.

ჰერმესი წყალზე კოშკების აგებით აღწერს ღვთის ეკლესის დაარსებას მორწმუნეთა გულებში. მშენებლებს მოჰქონდათ სხვადასხვა ზომის ქვები, ზოგი პირდაპირ ერგებოდა ეკლესის მშენებარე კედლებს, ზოგს დამუშავების შემდეგ იყენებდნენ, ხოლო ზოგი საერთოდ უსარგებლო აღმოჩნდებოდა. ამ ეპიზოდში კოშკი-გოდოლი-ეკლესია, წყალი სადაც ეკლესია შენდება, ნათლისლების წმიდა წყალია, მშენებლობისთვის ვარგისი ქვები-უცოდველი სულებია, ხოლო ის ქვები, რომელთა დამუშავება ხდება-ცოდვილი სულებია, თუმცა მათ აქვთ ხსნის შანსი. მშენებლობისათვის გამოუსადეგი ქვები - ცოდვას დამონებული და უფლის უარმყოფელი სულებია. ამის შემდეგ თხზულებაში მოცემულია ხილვები დედა ეკლესიაზე, რომელშიც გაისმის ყრმათა დარიგებები ერთმანეთის გაფრთხილების, ცოდნის მიღებაში ურთიერთ-დახმარების, ლოცვისა და მოწყალების შესახებ. წიგნში ასევე გვხვდება დარიგებები მშობელთა მიმართ. თვით ჰერმესი იმხილებოდა თავის ოჯახში შექმნილი არეულობის გამო: შვილები აუმხედრდენ მას და ამით უფლის წინაშეც შესცოდეს, მაგრამ ამაში დამნაშავედ მამაა

მიჩნეული, რადგან მან დაუშვა ასეთი რამ: „ამისათვის წყრება შენზე უფალი,- უუბნება ხილვისას ეკლესია ჰერმესის, როგორც მჭედელი თანდათან აძლევს სასურველ ფორმას რკინას, ასევე მშობელმაც არ უნდა შეწყვიტოს შვილთა ყოველდღიური შეგონება, რაც გაამარჯვებინებს ყოველგვარ ბოროტებაზე” (4. 200). მშობლების მიერ „მწყემსი” კატეგორიულად ითხოვს შვილების სისტემატურ დარიგებას და აღზრდას, ნინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ სიყვარული სათანადო აღზრდის გარეშე, არათუ დადებითი შედეგის მომცემია, არამედ იგი ცოდვად მიიჩნევა, ამიტომ პირველი დარიგება, რაც მშობლებმა შვილებს უნდა მისცენ, საკუთარი ცოდვების უკუგდებაა.

აზრთა სხვადასხვაობაა მოციქულ ბარნაბას ეპისტოლეს მიმართ: ზოგიერთი მოსაზრებით, იგი დაწერილია II საუკუნის 20-30-იან წლებში უცნობი ავტორის მიერ, თუმცა მის პედაგოგიურ დანიშნულებაზე ამას არსებითი გავლენა არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან II საუკუნეც იმ გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნება, როცა არსებითად იწერებოდა ანალოგიური, ქრისტიანული ზნეობის შემცველი თხზულებები. ეპისტოლეში ყურადღება გამახვილებულია მარხვაზე, როგორც ადამიანის შინაგანი განწმენდის საშუალებაზე, რომლის დროსაც ხდება ყოველი არაწმინდისაგან თავის დაცვა, თუმცა აქაც საჭიროა მშიერთა დაპურება, შიშველთა შემოსვა და სხვა კეთილი საქმეების კეთება. აქვე არის დამოწმებული ფსალმუნიდან: „ვასწავლი დამნაშავეებს შენს გზებს და ცოდვილნი დაბრუნდებიან შენთან.” (ფს. 50:15)

მეორე ნაწილში განხილულია მოძღვრება ორი გზის: ნათლის და ბნელის შესახებ, ერთ მხარეს ანგელოზნი არიან, მეორეზე კი დემონები. როდესაც ნათლის გზას განიხილავს, მოციქული მშობლებისაგან მოითხოვს ძველი აღთქმის პრინციპების დაცვას: `„არ მოკლა ჩვილი ნაადრევი შობით, არცა თუ ნაშობი მოაკვდინო; ნურაფერი გწადია შენი მოყვასისა” (გამოსლ. 20:17; II სჯ. 5:21).

ეპისტოლეს ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მისი თხზულების მთავარი დანიშნულება არის დარიგება სულის გადასარჩენად, რისთვისაც იყენებს ძველი და ახალი აღთქმის შეპირისპირებას. მოციქულ ბარნაბას აზრით, მთავარია ადამიანმა შეძლოს გარეგანი ქცევებისა და შინაგანი მდგომარეობის სიკეთისკენ ორიენტაცია და აქედან გამომდინარე სულიერად უნდა ჩამოყალიბდეს განსაზღვრული ცხოვრების სახე.

წმიდა კლიმენტი რომაელი თანამშრომლობდა პავლე მოციქულთან, ხოლო წმიდა პეტრე მოციქულის მიერ ხელდასხმულ იქნა რომის ეპისკოპოსად. იგი ყურადღებას ამახვილებდა ბავშვთა თავმდაბლურ აღზრდაზე. მისი აზრით, ქრისტიანი ბავშვები ყველასგან უნდა გამოირჩეოდნენ შინაგანი სინმინდით, ზომიერებით და თავშეკავებული ცხოვრებით. მათ ამ საქმეში გამოადგებათ ძველი აღთქმის შესწავლა, რადგან მასში ძალიან ბევრი ზნეობრივი მაგალითია. ამ მოსაზრებით, წმ. კლიმენტი აღიარებს მაგალითის და გარემოს ძალას აღზრდაში.

მოციქულთა სწორი მამების საეკლესიო დასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წმიდა იგნატი ანტიოქიელს, რომელიც იგნატი ღმერთშემოსილის სახელით არის ცნობილი. წმიდა იგნატის შესახებ წმიდა იერონიმე თავის სახელგანთქმულ შრომაში „ბრწყინვალე კაცთა შესახებ” გადმოგვცემს, რომ იგნატი იყო ანტიოქიის ეკლესიის მესამე ეპისკოპოსი პეტრე მოციქულის შემდეგ. როდესაც ტრაიანემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, იგი მხეცებთან შესაბრძოლებლად რომში გაგზავნეს. მისი მონამებრივი აღსრულება დაახლოებით 110 წელს უნდა მომხდარიყო. სწორედ რომში გადაყვანისას დაუწერია წმ. იგნატის შვიდი ეპისტოლე, რომლებიც შემდეგ შეუკრებია მის მონაფეს, წმიდა პოლიკარპე სმირნელს.

წმ. იგნატის ეპისტოლეების აღმზრდელობითი დანიშნულება დამოძღვრაში გამოიხატება. მათში გამოსჭვივის ადამიანის შინაგან სამყაროში წვდომის მცდელობა, წმიდა მამა ქრისტიანობას მიიჩნევს უმაღლესი ზნეობის საფუძვლად, ხოლო მასთან მიახლებას მხოლოდ ჭეშმარიტი მორწმუნენი თუ შეძლებენ, ამისათვის კი ქრისტიანული თავმდაბლობაა საჭირო:

„არასოდეს გშურდეს ვინმესი; სხვებს ასწავლიდით, მსურს მტკიცედ ეგოს ყოველივე, რაც თქვენ ასწავლეთ და განაჩინეთ, - წერდა წმიდა იგნატი, - ჩემთვის მარტოოდენ ის ითხოვეთ, ძალა მომეცეს შინაგანად და გარეგანად, რომ არა მხოლოდ სიტყვით ვამბობდე, მსურდეს კიდეც; არა მხოლოდ მერქვას ქრისტიანი - ვიყო კიდეც და ვიქენები, მეწოდება კიდეც ამგვარად, მორწმუნე კი მაშინ გავხდები, ქვეყნად რომ აღარ გამოვჩნდები. ჩენილთაგან რა არის კარგი? მამაში მყოფი ღმერთი ჩვენი იესუ ქრისტე უმეტესად არის ჩენილი. არათუ რწმუნების საქმეა ქრისტიანობა, არამედ - სილალის, როდესაც მოიძულებს მას სამყარო”. (5.14).

წმ. იგნატი ღმერთშემოსილი დაწვრილებით განიხილავს მოძღვრის დანიშნულებას და პრესვიტერებს მოუწოდებს ზუსტად შეასრულონ ეს მაღალი მოვალეობა, რომელიც, ერთის მხრივ, არის ღმერთის სამსახური და მისი ნების აღსრულება, ხოლო მეორეს მხრივ, მიმართულია ჩვეულებრივ მოკვდავთა სულების გასპეტაკებისა და ადამიანთა აღზრდისათვის. ამის შესახებ წმიდა მამა წერდა: „ეცადე ერთიანობისათვის, ისწრაფე ერთიანობისათვის, იყავი თავმდაბალი და ყველასადმი ყურადღებიანი, დაუღალავი ლოცვაში, ატარე ყველას უძლურებანი, რამეთუ, სადაც არის ბევრი შრომა, იქ ბევრი მოპოვებაც არის. იყავი ფხიზელი და მოღვაწე ღვთისა, იდექი მტკიცედ, როგორც გრდემლი წრთობის დროს, რომელსაც ურტყამენ და მაინც მტკიცედ დგას. კარგ მოჭიდავეს ყოველთვის ახასიათებს, მიიღოს დარტყმები, საბოლოო ჯამში კი მოიპოვოს გამარჯვება. განსაკუთრებით ჩვენ უნდა მოვითმინოთ ღვთის გულისათვის, რათა მან მოგვითმინოს და აგვიტანოს. ისწავლე იყო გონიერად ყველა სიტუაციაში და გაითვალისწინე დროის ფაქტორი. საღვთისმსახურო შეკრებებზე ხშირად დაესწარი”. ამდენად, წმ. იგნატი უპირველეს ადგილს სამოძღვრო ღვთისმეტყველებაში მღვდელს ანიჭებს, სწორედ მან უნდა წარმართოს მორწმუნეთა სულები სიკეთისაკენ, აზიაროს ღვთიურ განგებულებას, რისთვისაც საჭიროა მუხლჩაუხრელი შრომა და დღენიადაგ ადამიანთა აღზრდაზე ზრუნვა.

მართლმადიდებლური ეკლესის ისტორიაში წმ. ირინეოს ლიონელის სახით ახალი ეპოქა დაიწყო, რადგან მას მოღვაწეობა მოუხდა მოციქულთა სწორი მამების უკანასკნელ წარმომადგენლებთან. ამავე დროს მის კვალდაკვალ ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის წარმომადგენლები. წმ. ირინეოს ლიონელმა, როგორც გამორჩეულმა თეოლოგმა მკაცრად გაილაშქრა გნოსტიკური მწვალებლობის წინააღმდეგ და ამხილა მათი ცრუ სწავლება იმის შესახებ, თითქოს გნოსტიკოსთა მოძღვრება მარიამ მაგდანელისაგან იღებდა სათავეს, რადგან თვით გნოსტიკიზმის მიმდევართა მტკიცებით, აღმდგარმა უფალმა მას ბევრი საიდუმლო გაუმზილა და სწორედ მისგან მოდის ყველა ეზოთერული სწავლება, რომლებიც სამყაროს შესახებ დუალისტურ წარმოდგენებს ეყრდნობოდნენ, რასაც ისინი ძველი აღთქმის სრულ უარყოფამდე მიჰყავდა.

წმ. ირინეოსი ადამიანს ერთ მთლიანობად მიიჩნევდა, რომელშიც სულიერი და ფიზიკური საწყისები ერთმანეთისაგან განცალკევებულად არ იმყოფება, თუმცა ადამიანში განარჩევენ სულს, სამშვინველს და სხეულს. წმ. ირინეოსის ანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, სულს გააჩნია მეუფება სხეულზე, ხოლო სამშვინველი მათ შორის მოძრაობს; რამდენადაც ადამიანი უახლოვდება ღმერთს, იმდენად უახლოვდება სულს სამშვინველი, ხოლო, რაც უფრო „ეშვება” სხეულისაკენ და მიწიერებისაკენ, მით უფრო ცოდვილი ხდება ადამიანი. წმ. ირინეოსის თვალსაზრისით, ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიური განვითარებით შესაძლებელია სულიერი იდეალების მიღწევა, მას მიაჩნია: „უმჯობესი და სასარგებლოა დარჩეთ უბრალო და ნაკლებად განათლებულ ადამიანად, მაგრამ მიუახლოვდეთ სიყვარულის მეშვეობით უფალს, ვიდრე თავი წარმოიდგინოთ ღრმად განათლებულად და დიდი გამოცდილების მქონედ, თუმცა სინამდვილეში აღმოჩნდეთ ღმერთის მაძაგებელნი და შექმნათ სხვა „ღმერთი და მამა”. სწორედ ამიტომ, პავლე მოციქული წამოიძახებს: „...ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს.”

(I კორ. 8:1). ეს არა იმიტომ, რომ იგი კიცხავდა ჭეშმარიტ ცოდნას ღმერთზე, ვინაიდან სხვა შემთხვევაში პირველად საკუთარ თავს დაიდანამაულებდა.” (6.186).

წმიდა ირინეოს ლიონელი განსაკუთრებულ მოვალებებს უყენებს მოძღვრებს, რომლებიც მიაჩნია ადამიანთა ზნეობის მესაჭეებად. ის საგანგებოდ უსვამს ხაზს უღირსი პრესვიტერების მოქმედებას და მოუწოდებს განეშორონ იმათ, რომლებიც არიან ძალიან პატივცემული მოძღვრები, მაგრამ ემსახურებიან თავიანთ ვნებებს, თუმცა ჩანან, თითქოს გულებში აქვთ ღვთის შიში, სინამდვილეში სხვებს ამცირებენ და თავიანთი უპირატესობით ამპარტავნობენ და დაფარულად ბოროტებას სჩადიან. წმიდა ირინეოსი ასწავლის მათ, რათა ჰქონდეთ ურთიერთობა მხოლოდ იმათთან, ვისაც დაცული აქვთ მოციქულთა სწავლება, იცავენ პრესვიტერის მოვალეობებს, ჯანმრთელ მოვალეობებს აწვდიან სხვებს და შესაბამისად ცხოვრობენ სათნო ცხოვრებით სხვათა დამოძღვრისათვის. სწორედ სხვათა დამმოძღვრელს ევალებოდა, რომ თავად ყოფილიყო სანიმუშო. მოძღვარი ხომ მასწავლებლის ფუნქციასაც ასრულებდა, ამიტომ იგი სამაგალითოც უნდა ყოფილიყო.

ამავე პრობლემაზე, მოძღვარ-მასწავლებლის მოვალეობებზე, საუბრობს წმიდა პოლიკარპე სმირნელიც. იგი კატეგორიულად მოითხოვს, რომ პრესვიტერები იყვნენ გულკეთილნი, მოწყალენი ყველას მიმართ, მოაქცევდნენ დაბნეულებს, ესტუმრებოდნენ და ყურადღებას აქცევდნენ ავადმყოფებს, ზრუნავდნენ ქვრივებზე, დარიბებზე და ობლებზე, თავი შეიკავონ მრისხანებისაგან, სამაგიეროს გადახდისაგან, წუნუნისა და უსამართლობისაგან, განეშორონ ყოველგვარ ვერცხლისმოყვარეობას, არ იყვნენ სწრაფნი, მსუბუქი ქცევის და ჭორებს ადვილად არ აჰყვნენ.

ამდენად, სამოციქულო პედაგოგიკამ ქრისტიანულ აღზრდაში, ადამიანის ზნეობრივ ფორმირებაში განსაკუთრებული როლი მაგალითის ძალას მიანიჭა. სწორედ ქრისტიან მოძღვრებს ეკისრებათ მორწმუნის სულიერი წარმართვა, ამიტომ მოძღვარმა უნდა იზრუნოს მის ზნეობრივ თვისებებზე, რომ თითოეულმა ადამიანმა იმგვარად გაატაროს თავისი მიწიერი ცხოვრება, რომ უგუნურებით არ დაეხშოს სულიერი ნეტარების გზები. ამისთვის კი მიზანმიმართული სწავლება და აღზრდა საჭირო.

როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ქრისტიანულ პედაგოგიკა ორი ამოცანის გადაწყვეტას ისახავს მიზნად: პირველი ითვალისწინებს ბავშვის მომზადებას მარადიული ცხოვრებისათვის, ხოლო მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი - ესაა მომზადება ამ ცხოვრებისათვის. რადგან ეს ცხოვრება იძლევა როგორც მარადიული ცხოვრების მოპოვების, ისე მისი დაკარგვის შესაძლებლობას, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას ენიჭება, როგორ გავატარებთ მიწიერ ცხოვრებას.

აქედან გამომდინარე, უძველეს ქრისტიანულ სკოლებს საერთო მიზნები ამოძრავებდათ, რაც ქრისტიანული რწმენის და ზნეობრივი ნორმების ცხოვრებაში დამკვიდრებას ემსახურებოდა. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მათ შორის იყო განსხვავება მხოლოდ მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებში, ხოლო მოგვიანებით ქრისტიანული სკოლების მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში ეროვნულმა თავისებურებებმა განმასხვავებელი შტრიხები გამოკვეთა.

როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ეროვნულ-კულტურული გარემო, რომელშიც გავრცელდა ქრისტიანობა, წარმოადგენდა სამი მთავარი ელემენტის - ბერძნულის, სემიტურის (უმთავრესად სირიულის) და ლათინურის ერთობას. თითოეული მათგანი გამოირჩეოდა აშკარად გამოხატული ნაციონალური ხასიათით, კულტურული და საგანმანათლებლო ტრადიციებით. ამის შესაბამისად, უძველეს ქრისტიანულ სკოლებში შეიძლება განვასხვაოთ სამი ძირითადი ტიპი: ბერძნული, სირიული და ლათინური.

საკვანძო სიტყვები: მოციქულობის პედაგოგიკა, წმინდა მოციქულთა სწორნი მამანი, დიდაქე, აპოსტალარული თხზულებანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
2. პობედონოსცევი კ. პ., ისტორია მართლმადიდებელი ეკლესიისა ეკლესიათა განყოფამდე, მთარგმნელი მღვ. ი. ჯავაშვილი, თბ., 1995, იხ. წიგნში „საერო დღესასწაულები” თ. რაფ. ერისთავის იუბილის გამო, ექ. ხელაძის გამოცემა, თბ., 1899.
3. ჭელიძე ე., „დიდაქეს” შესახებ, უურნალი „ჯვარი ვაზისა”, 1988, #3, გვ. 31. (ტექსტის ანალიზისას მისივე თარგმანია მითითებული);
4. Писания мужей апостольских, Рига, 1992.
5. ნე. იგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლე რომაელთა მიმართ, თარგმნა და შენიშვნები ე. ჭელიძისა, „ჯვარი ვაზისა”, 1991, #1
6. Ириней Лионский, святитель. Творения. СПБ., 1900.
7. Misouni S.C. Le Sudeo christianisme ancien essais historique, Paris, 1998.

AVTANDIL ASATIANI
Professor at Georgian Technical University

APOSTASY PEDAGOGY AS AN ESSENTIAL STAGE OF CHRISTIAN PEDAGOGY

Abstract

Apostasy Pedagogy assigns a particular role to teaching the Word of God and the power of the priest's/teacher's example in the moral formation of a human being. The priest or a teacher is obliged to take care of morality of the learner so that each person/individual is able to go through earthly life without blocking the ways of spiritual bliss. Therefore, purposeful teaching and upbringing is of great necessity here.

Apostasy pedagogy ushered the formation of ancient confession schools united by common objectives notwithstanding different territorial location. The similar goals were expressed in the inculcation of Christian faith and moral norms in life. However, later, national peculiarities marked differentiating features in the forms and methods of Christian schools.

Key words: apostasy pedagogy, the Righteous Fathers of the Holy Apostles, Didache, apostolic stories.

ავთანდილ ასათიანი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

იუდაური აღზრდა და ანტიკურობა

შვილიერება და ბავშვთა აღზრდა ძველ ეპრაელებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეპრაელთა ყოფა-ცხოვრების აღწერისას ფლავიუსი ხაზს უსვამს ისრაელიანების მიერ ბავშვთა აღზრდის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას, გამოყოფს კანონების პატივისცემასა და, მათ შესაბამისად, მაღალზნეობრივი თვისებების აღზრდას [5,126].

დავით ფსალმუნთმგალობელი საგანგებოდ უმღერის შვილიერებას და იმ ძალას, რომელსაც ახალგაზრდები აძლევენ ქვეყანას: „აჲა, მემკვიდრეობა უფლისგან - შვილები, გასამრჯელო - მუცლის ნაყოფი. როგორც ისრები მეომრის ხელში, ისეა ახალგაზრდა თაობა“ (ფსალმ. 126, 3-4). ბავშვის დაბადება ღვთიურ მადლად მიაჩნდათ ისრაელიანებს, ხოლო

უშვილობა პირიქით, შემოქმედის სასჯელად: „კურთხეულ იქნები ყველა ხალხზე მეტად. არ იქნება არც შენში და არც შენს საქონელში უნაყოფო მამრი ან მდედრი“ (რჯლ. 7,14). ანტიკური სამყაროსგან განსხვავებული იყო ბავშვთა აღზრდის მთელი საზრისი ებრაელებში. ძველ საბერძნეთსა და რომში პედაგოგიკას ასაზრდოებდა ინტელექტუალურ-ესთეტიკური და სამოქალაქო მოტივები, რომელთა საფუძველზე ხდებოდა ბავშვის უნარების განვითარება, რაც შემდგომში განაპირობებდა მათ მიერ სოციალური მოვალეობების შესრულებას. ისრაელში აღზრდას ღრმა რელიგიური ხასიათი ჰქონდა და უმთავრეს ამოცანად მიჩნეული იყო ღვთიური განგებულების შესრულება.

უფროსები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გავლენა მოეხდინათ შვილებზე იმგვარად, რომ ისინი მამების სრული ასლი თუ არ იქნებოდნენ, დამსგავსებოდნენ მაინც თავიანთ წინაპრებს. მათთვის მნიშვნელოვანი იყო, შთამომავლობას წინაპრების დარად ეცხოვრა და გაეგრძელებინა მათი საქმე. ამიტომაც ასე მოიხსენიებს მომავალ თაობას იგავთა წიგნი: „შვილთაშვილი მოხუცთა გვირგვინია და შვილთა დიდება - მათი მამებისა“ (იგავ. 17, 6). იუდაისტური პედაგოგიკის საბაზო პრინციპი მისი კონსერვატიულობაა, რაც იდეალურ ვითარებაში მომდევნო თაობის წინა თაობის საქმეებზე ერთგვარ მიჯაჭვულობაში გამოიხატებოდა. მამას და დედას მთელი ძალისხმეული უნდა გაეერთიანებინათ იმისათვის, რომ თავიანთი შვილებისათვის გადაეცათ ყველაფერი, რაც მიიღეს წინაპრებისა და უზენაესი ღმერთისაგან. ამაში იგულისხმებოდა ფიზიკურიც და სულიერიც. შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო მამების სახელით მოხსენიება და საკუთარი სახელების მამებისაგან მომდინარეობა, მაგალითად, ბარნაბა, ბართლომე... („ბარ“ - სირიულად შვილს ნიშნავს).

ელადისა და რომისგან განსხვავებით, იუდაიზმის თანახმად, საზოგადოების კეთილდღეობა და სიჯანსაღე უფრო მეტად არის განპირობებული ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული წესების ერთგულებით და ღვთიური განგებულების განუხრელი შესრულებით, ვიდრე საზოგადოების ცალკეულ წევრთა მიღწევებით, ინდივიდუალური ტალანტით და სრულყოფილი კანონებით. რამდენადაც იუდაიზმში აღზრდა ტრადიციულად მშობლების მოვალეობაა, ამდენად, მათი პასუხისმგებლობა ბავშვთა აღზრდაში საზოგადოების სიმშვიდის განმაპირობებელ ფაქტორად იქცა. აქედან გამომდინარე, ძველ ებრაელებში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა ოჯახურმა აღზრდამ, რაც იუდაიზმის წმინდა წიგნებში მრავალგზის დასტურდება.

ძველი ებრაელების ოჯახური იერარქია განსხვავდებოდა მეზობელი წარმართების ყოფაში არსებული რეალობისაგან. ოჯახის სათავეში, სხვა ხალხების მსგავსად, მამა იდგა, რომელიც შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამასთან ერთად, მისი ძალაუფლება არ იყო თვითნებური, პირიქით, იგი მრავალრიცხოვან წესებს ექვემდებარებოდა. წარმართებში მამა (ქმარი) ოჯახში ერთპიროვნულ ძალაუფლებას ფლობდა. მის განკარგულებაში იყო არა მარტო სახლი, საოჯახო ქონება და მსახურები, არამედ ცოლიც და შვილებიც. ამისგან განსხვავებით, ისრაელიანებში ძალაუფლება ითვლებოდა მორალურ უპირატესობად ღმერთის წინაშე მსახურებაში, რაც მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა ოჯახის უფროსს მის წევრთა დაცვასა და მათ ზნეობრივ სრულყოფილებაზე. თუმცა, ეთიკური მოთხოვნები იმდენად მკაცრი იყო, რომ მამის ძალაუფლება ხშირად ყოველგვარ ზღვარს სცდებოდა – ძველი აღთქმის ადრინდელ ეპოქაში მამას უფლება ჰქონდა, დაუმორჩილებელი შვილისთვის განაჩენი გამოეტანა.

ძველებრაულ ოჯახებში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს. როგორც წარმართულ საზოგადოებაში, აქაც ქმარს უფლება ჰქონდა გამორებოდა ცოლს, ხოლო სურვილის შემთხვევაში ქალიშვილის მონად გაყიდვაც შეეძლო [3,1620].

ისრაელიანებში დაუქორნინებელი კაცი იშვიათად იყო. ძველებრაულ ენაში თვით ცნება „უცოლო“ არ არის. მოგვიანებით კი თალმუდის განმარტებებში აღნიშნულია, რომ „უცოლო კაცი არ იმსახურებს ადამიანის მაღალ წოდებას“. ბიბლიურ ნარატივებში ხშირად ხაზგასმულია ქალთა უფრო მართებული პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ვიდრე მამაკაცებისა. სამაგალითოდ შეიძლება გავიხსენოთ ქალების უარი ოქროს ხბოს თაყვანისცემაზე. უფლის რჩეული ერის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისეთმა ქალებმა, როგორებიც იყვნენ სარა, რებეკა და რუთი.

გამორჩეული იყო ქალის როლი პედაგოგიური თვალსაზრისითაც. ბავშვთა აღზრდის მთელი სიმძიმე ქალის მხრებზე გადადიოდა. მოზარდთა სულიერ ფორმირებაში დედა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სწორედ ამით აიხსნება დედის მხრიდან მემკვიდრეობის გადაცემის ებრაული ტრადიცია. ებრაელები მიიჩნევდნენ, რომ დედის დამრიგებლური ზემოქმედება გაცილებით ღრმა და მტკიცე იყო, ვიდრე მამების აღმზრდელობითი საქმიანობა, რომელიც ნაკლებ ეფექტური იყო, რადგან მამები ძირითადად საგარეო საქმეებზე იყვნენ ორიენტირებული და ბავშვების აღზრდისთვის ნაკლები დრო რჩებოდათ. ბავშვის აღზრდაზე დადებითად მოქმედებდა აქტიური მამაკაცური საწყისისა და ღრმა სულიერების გაერთიანება დედის ღვთისმოსაობასა და სინაზესთან. სწორედ ამგვარი სინთეზით არის შესაძლებელი სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება. ებრაელი ქალის ორგანული ერთობა აღზრდის ამოცანასთან იმდენად მჭიდროა, რომ „დაბადება“ და „აღზრდა“ ივრითზე ერთნაირად გადმოიცემა. ამით ეს ორი მოვლენა წარმოდგენილია, როგორც ერთიანი და მთლიანი პროცესი.

იუდეველთა სახლში 3-4 თაობა ერთად ცხოვრობდა და ოჯახებიც მრავალრიცხოვანი იყო. ასაკოვანი ადამიანები პატივით სარგებლობდნენ: „ჭალარის წინაშე წამოდექი და პატივი ეცი მოხუცებულის სახეს“, - გვასწავლის ბიბლია (ლევ. 19, 32). ოჯახებში უფროსი თაობის წარმომადენლები გარკვეული აღმზრდელობითი ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებოდნენ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აქ გამოკვეთილი იყო სოციალური მეურვეობის ონსტიტუტი.

საზოგადოების ერთ-ერთ მტკიცე საყრდენს წარმოადგენდა ამა თუ იმ ხელობის მიმართ ოჯახების დინასტიური დამოკიდებულება. ხელოსანთა ოჯახში აღზრდილი ბავშვი მეტნილად მამის კვალს მისდევდა, რადგან ბავშვობიდანვე უფროსებთან ერთად შრომას ეჩვეოდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ იუდეური პედაგოგიკა ეფუძნებოდა სწორედ შრომით აღზრდას. ეს არ იყო შრომითი მოქმედებების თამაშით იმიტაცია, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ძველ ბერძნებში (წამდვილის მსგავსად პატარა ინსტრუმენტებით თამაში); სახეზე იყო სრულფასოვანი შრომა ოჯახის წევრებთან ერთად. შრომა იმდენ ხანს და იმ დატვირთვით გრძელდებოდა, რა ფიზიკური შესაძლებლობაც მოზარდს ჰქონდა. ებრაელებში ერთი ასეთი ანდაზაც იყო გავრცელებული: „ვინც შვილს სასარგებლო ხელობას არ ასწავლის, ის ქურდობისათვის ამზადებს მას“. ამდენად, ოჯახი ბავშვთა პროფესიული აღზრდის ინსტიტუტიც იყო. სწორედ იქ უყალიბდებოდათ მამის გავლენით ბიჭებს შრომითი ჩვევები, ხოლო გოგონები დედის მიბაძვით სწავლობდნენ სახლის მოვლას და საოჯახო მეურნეობის გაძლოლას.

ბავშვი ყველგან ბავშვია და თავისუფალ დროს ებრაელი ბიჭები და გოგონებიც ისევე თამაშობდნენ, როგორც მათი თანატოლი წარმართი ბავშვები. არქეოლოგები დღესაც პოულობენ ბავშვების სათამაშოებს, რომელთა შორის ისეთი სათამაშოებიცაა (თარიღდება 900-600 წწ. ჩ.წ. წ-მდე), რომლებსაც აშკარად ემჩნევა უფროსების ხელი. მაგალითად, უღარუნას პატარა კოლოფის ფორმა ჰქონია, მომცრო წახვრეტებით გვერდებზე. ზოგიერთ თოჯინაზე მოსახსნელი ხელ-ფეხიც ფიქსირდება. ათასში ერთხელ თიხისა თუ მძივის მარცვლებისგან თმებიც კი უკეთებიათ. მხრებში გაკეთებულ წახვრეტებში გაყრილი იყო ძაფები, რომლებიც

მათი მართვის საშუალებას იძლეოდა. შესაძლოა, რომ ასეთი თოჯინები რელიგიურ ცერემონიებშიც გამოიყენებოდა. ისრაელიანთა ბავშვები, როგორც ყველა ბავშვი ქვეყანაზე, უფროსებს ბაძავდნენ [3.189].

თუკი ძველ საბერძნეთსა და რომში მთავარი საზოგადოებრივი აღზრდა იყო, იუდეველთა ტრადიციაში ამგვარ მისიას სინაგოგები ასრულებდნენ. მსხვეპლშენირვას და საკულტო რიტუალებს ებრაელები იერუსალიმის ტაძარსა და სხვა მრავალრიცხოვან სინაგოგებში აღავლენდნენ. სწორედ სინაგოგებში კითხულობდნენ მორწმუნე ებრაელები ლოცვებსა და წმინდა წიგნებს. პირველი საუკუნის დიდი ებრაელი მწერალი და მოაზროვნე ფილონი სინაგოგებს განიხილავს ელინისტური საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიად, თუმცა, მათ შორის განსხვავებასაც გამოყოფს: მისი აზრით, ელინისტური სკოლები მხოლოდ ინტელექტუალურ ცოდნას აძლევდა მოზარდებს, ხოლო იუდაისტური აღზრდის სისტემა ზრუნავდა „კეთილგონიერების, ვაჟების, სიბრძნის, ღვთისმოსაობისა და მორალური სიწმინდის“ აღზრდისათვის.

რაც შეეხება ტიპურ სასწავლო დაწესებულებებს, დიდი ხნის განმავლობაში ისრაელიანთა შორის საზოგადოებრივი განათლების ცნება, სკოლები და სასწავლებლები არ არსებობდა [4,42-43]. განათლება სავალდებულო იყო მხოლოდ მათთვის, ვისაც საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება დაეკისრებოდა. ასეთებად მიჩნეული იყვნენ ღვთისმსახურთა და ლევიანთა შვილები, მწიგნობრები და სამხედრო მეთაურები. მათი სწავლება საოჯახო და რელიგიურ სკოლებში მიმდინარეობდა. მოვინანებით საოჯახო აღზრდას ჩაენაცვლა სასკოლო სისტემა, რომელშიც მამის ფიგურა შეცვალა დამრიგებელმა. მას აღსაზრდელები ისევე პატივისცემით უნდა დამორჩილებოდნენ, როგორც ნამდვილ მშობელს. სინაგოგებთან ასწავლიდნენ ბავშვებს თორას, ანგარიშს და წერა-კითხვას, რასაც რაბინი წარმართავდა. მეცადინეობებზე მკაცრი დისციპლინა ბატონობდა. უფროსების მოვალეობა სწავლება იყო, ხოლო მოსწავლის - მოსმენა. დაუშვებელი იყო თავისუფალი აზრის გამოთქმა, კამათი და სწავლებაში თამაშის ელემენტების გამოყენება, რაც ასე გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთში. „ელოლიავე შვილს და გაგამნარებს, ეთამაშე და ურვად გექცევა. ნუ იცინებ მასთან, რათა მასთანვე არ იტანჯო და კბილები არ აღრჩიალო. თავის ნებაზე ნუ მიუშვებ სიჭაბუკეში. გვერდები დაუშეულე, ვიდრე ნორჩია, თორემ გაკერძება და ვეღარ დაიმორჩილებ. აღზარდე და წვრთნას ნუ მოაკლებ, რათა ბოლოს თავშისაცემი არ გაგიხდეს მისი უხამსობა“ (ზირ. 30,9-13). ასეთ სიმკაცრესთან ერთად, მეორე მხრივ, ბავშვთა ინიციატივის დათრგუნვა თვითმიზანი არ ყოფილა. ძველი აღთქმის წიგნებში წახალისებულია ცნობისმოყვარეობის გამოჩენა რწმენის, ისრაელიანთა ისტორიული ტრადიციების მიმართ (გამ. 13,14). ამისათვის ისეთ ადგილებში, სადაც თავისი რჩეული ხალხისთვის ღმერთმა საოცრებები მოახდინა, სპეციალურად ქვებით აგებდნენ დიდ წიგნებს. როცა ბავშვები მათი დანიშნულებით ინტერესდებოდნენ, უფროსები და აღმზრდელები დაწვრილებით უხსნიდნენ ყველაფერს (იესო, 4, 5-6).

სხვა მეცნიერებათა შესწავლა მკაცრად შეზღუდული იყო. ცოდნა, თავისთავად, არაფერია, - მიაჩნდათ ებრაელებს, - იგი კარგია მხოლოდ მაშინ, როცა გვეხმარება რჯულისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. ებრაელთათვის არსებობდა გარკვეული აკრძალვებიც ზოგიერთი ღვთიური წიგნის კითხვისა. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ნორჩი სულისთვის საღვთო წიგნების გაცნობა ზიანის მომტანი იქნებოდა. სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ფილოსოფიის შესწავლისა და ფიზიკური ვარჯიშისადმი, რადგან ისინი წარმართულ სიბრძნეს უკავშირდებოდნენ.

ამასთან ერთად, სიბრძნის არსი იუდეველთა ტრადიციაში კარგად იყო ცნობილი და დაფასებულიც. ძველი აღთქმის წიგნები: იგავები, ეკლესიასტე, სოლომონის სიბრძნე, ზირაქის

სიბრძნე ისრაელიანთა ცხოვრების თანამგზავრს და სიბრძნის წყაროს წარმოადგენდა. სწორედ მათი მეშვეობით იკვლევდნენ ძველი აღთქმის ეპოქის ეპრაელები ცხოვრების გზას და იმეცნებდნენ ღვთიურ ჭეშმარიტებას. ამ წიგნებში რთული აზრები გადმოცემულია მისაწვდომად და მარტივად. ამასთან ერთად, ნარატივის ტექსტებს ახასიათებს ღრმა ფსიქოლოგიზმი, რაც ამსუბუქებს მათ შესწავლას და, რჯულის კანონების მკაცრი სტილის მიუხედავად, მკითხველს აახლოებს წინასწარმეტყველთა ხილვებსა და სიმბოლურ წიაღსვლებთან.

ძველი აღთქმის აღნიშნული წიგნები თამამად შეიძლება დახასიათდეს, როგორც პედაგოგიკური; მაგრამ არა ბავშვებისათვის გამიზნული, არამედ მთლიანად ხალხისათვის დღენიადაგ სასწავლი და გასათვალისწინებელი. როგორც ბიბლიის მკვლევრები ამტკიცებენ, იუდაიზმის წმინდა წიგნებში, შესაძლებელია, შეგვხვდეს მეზობელი ხალხის კულტურიდან ბევრი რამ, კერძოდ, პარალელები და ციტატები ბაბილონური, ეგვიპტური, ბერძნული სიბრძნის წიგნებიდან. ეს გაუცნობიერებლად ხდებოდა, რადგან იუდაიზმი სხვა კულტურებთან კავშირს შეგნებულად გაურბოდა.

განსხვავებულ რელიგიებშიც, ძირითადად, მონათესავე აღმზრდელობითი პრინციპები ფიქსირდება, რაც ინტუიციურად ერთნაირი წარმოშობისაა. გულის სიღრმეში ყველა ხალხი ღმერთთან კავშირით სულდგმულობდა. პედაგოგიკა, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გარკვეული სფერო, რომელიც გარდაისახება მშობლებისა და შვილების მიწიერი ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ზნეობრივ ფერისცვალებასა და განღმრთობაში. ამიტომ მის კანონზომიერებებს მეტ-ნაკლებად ყველა ხალხი იზიარებდა. თუმცა, ძველი აღთქმის წიგნები სიბრძნეს და ჭეშმარიტებას განასხვავებს მისი ანტიკური გაგებისაგან. თუკი ბერძნისათვის ეს ცნება ითვლებოდა ინდივიდუალური ძიების ობიექტად და სიწმინდის სინონიმად, იუდაიზმში „სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა“ (ფს. 110,10). აქ იმდენად დიდია უზენაესი ღმერთის მონიჩება, რომ ნებისმიერი თვითნებური მცდელობა ღვთიური განგებულების სფეროში შეჭრისა, რომელიც განპირობებულია ფილოსოფიური გონით, იუდაიზმის თვალსაწიერიდან განიხილება, როგორც უკიდურესად არაგონივრული და თავხედური.

„უნინარეს ყოვლისა აღმოცენდა სიბრძნე და კეთილგონიერება უკუნისიდან. ვის გამოუჩნდა ფესვი სიბრძნისა და ცბიერება ვინ შეიცნო?“ – კითხულობს ისუ ზირაქის ძე (ზირ. 1, 24-25). თუმცა, ცნობილია, რომ ებრაულ რელიგიურ სკოლებში ასწავლიდნენ ხელოვნებისა და ფილოსოფიის საწყისებს, მაგრამ სწავლება მკაცრად შეზღუდული იყო, ხოლო წარმართულ კულტურასთან ნებისმიერი შეხება ლია კრიტიკის ობიექტი ხდებოდა.

ზოგადად, ხელოვნების, მეცნიერების და შემოქმედებითი სფეროების მიმართ იუდაიზმი გულგრილი იყო. ბიბლია მაღალ შეფასებას აძლევს მშენებლებს, მუსიკოსებს და მომღერლებს. სწორედ მშენებლები იყვნენ საჭირო უფლის ტაძრის ასაშენებლად. ღვთისმსახურებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მუსიკა და სიმღერა. მაგალითად, დავით მეფე თავისი ფსალმუნების აკომპანირებას გუნდის ლოტბართან ერთად არფაზე აკეთებდა (ფს. 4,5, 6,8,9). სოლომონის ტაძარი, განსაკუთრებით, მისი მთავარი ნაწილი, შემკული იყო ბრინჯაოს კოლონებით, რომელსაც „წმინდათა წმინდა“ ერქვა. იგი მდიდრულად იყო შემკული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებით, რომლებსაც ამშვენებდა ქერუბიმებისა და მიწის ნაყოფიერების მხატვრული ნიმუშები.

საყურადღებოა ისიც, რომ ხელოვნების ნიმუშებს და მეცნიერულ გამოგონებებს დიდი ხალისით არ ხვდებოდნენ იუდაიზმში. ფილოსოფიური ცოდნა, მეცნიერება და ხელოვნება ფასდებოდა არა მათი თავისთავადი ღირებულებით, არამედ იმით, თუ რამდენად ეხმარებოდა ადამიანებს ღმერთის შეცნობასა და რჯულის დაცვაში. იუდაიზმშა, ფაქტობრივად, აკრძალა

ღმერთის მხატვრული წარმოსახვა ხელოვნებაში. მთელ ბიბლიურ ეპოქაში ცნებები „ხელოვნება” და „მხატვარი” თითქმის ყოველთვის ნეგატიური მნიშვნელობით მოიხსენიება; ისინი ღვთიური გზიდან გადახვევასა და კერპების თაყვანისცემასთან ასოცირდება.

ზოგიერთები გვკიცხავენ იმისათვის, რომ ჩვენ შორის არ იყო ბევრი გამომგონებელი, ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ, რადგან ყველაზე დიდი კეთილგონიერებაა არაფერი არ შეცვალო, ვიდრე იფიქრო ღვთიური განგებულების საწინააღმდეგოდ, - წერდა იოსებ ფლავიუსი [5,175].

გაცილებით უფრო კეთილგანწყობილია საღვთო წერილი ხელობის მიმართ. ისუ ზირაქის ძე ჩამოთვლის სხვადასხვა ხელობის წარმომადგენლებს (დურგალი, მჭედელი, ოქრომჭედელი...) და მიუთითებს მათ სასარგებლო საქმიანობაზე: „მათ გარეშე ვერ აშენდება ქალაქი, ვერც ხალხი დასახლდება და იცხოვრებს იქ” (ზირ. 38, 27-32). მაგრამ ამ პროფესიის ადამიანების შექება უპირობო არაა, რადგან მათი ხელობის მნიშვნელობის კვალდაკვალ, იუდაიზმის თვალსაზრისით, შეინიშნება საეჭვო შემოქმედებითი და ესთეტიკური მოტივები: „ყველა მათგანს (ხელოსნებს) თავისი ხელების იმედი აქვს.... და მათი ლოცვა მიმართულია მათივე შემოქმედებითი წარმატებისკენ”. „მათ კრებებზე არ ინვევენ, მოსამართლის სავარძლებში არ სხდებიან.... არ კითხულობენ იგავებს”; აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანური ყოფა-ცხოვრების ნებისმიერ სფეროს, რომელიც ღვთიური განგებულების აღსრულებასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული, იუდაიზმი საეჭვოდ მიიჩნევს. ცხადია, რელიგიისაგან დაშორებული პროფესიული აღზრდა-განათლებაც მიუღებელია, რაც განპირობებულია ისრაელიანთა რელიგიური შთაგონებით. რელიგია ისრაელიანთა ცხოვრების საზრისი იყო. იგი განსაზღვრავდა ებრაელთა ყოფას, რასაკვირველია, აღზრდასაც.

ანტიკურობის საპირისპიროდ, იუდაიზმი სკეპტიკურად, მაგრამ ყურადღებით აკვირდებოდა ცოდვით დაცემული ადამიანის შინაგან ბუნებას: „აპა, უკანონოდ ჩავისახე და ცოდვით დაორსულდა ჩემზე დედაჩემი” (ფს. 50,7). ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ ძველი აღთქმის ეპოქის აღზრდა ხასიათდებოდა პედაგოგიკური პესიმიზმით, რომლისთვისაც დისციპლინური ამოცანების გადაჭრისას უფროსების ნების უპირობო აღსრულება პრიორიტეტული იყო. იობის წიგნი ვირის ჩოჩორსაც კი ადარებს თავხედ მოზარდს: „ცარიელი თავი განისწავლება? და ველური ვირის ჩოჩორი ადამიანად დაიბადა?” (იობ. 11,12). სწორედ აქედან იღებს სათავეს პესიმიზმი აღზრდაში და, შესაბამისად, იმპერატივიზმი პედაგოგიკაში.

იუდაისტური აღზრდაში გონებრივ განვითარებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ამის შესახებ ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი წერდა: „ცნობიერების გაღვიძების ადრეულ პერიოდში ჩვენ ვსწავლობთ მათ (კანონებს) და გვაქვს გარკვეული მონახაზი ჩვენს გულში” [5,175]. მიუხედავად ამისა, ცოდნა აქ მხოლოდ საქმის მცირე ნაწილია, რომელიც შემდგომი აღზრდის საწინდარია. იუდაისტური და ელინისტური აღზრდის სისტემების შედარებისას იოსებ ფლავიუსი გამოყოფს მთელ რიგ არსებით განსხვავებებს ბერძნული ინტელექტუალიზმისაგან: „თავისი შინაარსით საღვთო რჯულმა (მოსეს კანონებმა) ყველაფერს გადააჭარბა. მას შემდეგ, რაც ღმრთის თაყვანისცემა მიიჩნია არა სათნოების ნაწილად, არამედ ღმრთის აღიარებას დაუკავშირა ყველა სხვა სათნოება, იგულისხმება სამართლიანობა, ვაჟკაცობა, სიწმინდე, სიბრძნე და სამოქალაქო თანხმობა. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი მოქმედება, უბრალოდ დასვენება თუ ყოფითი საუბრები, წარმოუდგენელია ღვთის თაყვანის-ცემის გარეშე” [5,174], - წერდა იოსებ ფლავიუსი. აქედან გამომდინარე, გამოკვეთილია აღზრდის ორი გზა, რომლებიც განაპირობებს აღსაზრდელის ზნებრივ ქცევას. პირველი გამოიხატება სიტყვიერ ქადაგებაში, მეორე კი მიიღწევა პრაქტიკული მაგალითებით. ორთავე კი, მოქმედებს სულიერი ძალების სრულყოფაზე. ამისგან განსხვავებით, ათენელებმა და სხვა

პოლისების ბერძნებმაც, სახელმწიფო კანონების უზენაესობა აღიარეს და დაუდევრობა გამოიჩინეს ზნეობრივი მაგალითებით აღზრდისას.

იუდაიზმის კონტექსტში ადამიანის მთელი ცხოვრება უზენაესის წინაშე მუდმივი არსებობაა. ადამიანის სიტყვას და საქმეს მორალური და არა ესთეტიკური, თუნდაც ინტელექტუალური ღირებულება აქვს, ხოლო ცოდვა გაგებულია არა როგორც კერძო შეცდომა ან გაუგებრობა, არამედ შემოქმედის ნების უარყოფა. ამდენად, ღვთიური ნების შესატყვისი ეთიკური ნორმები აღარ წარმოადგენენ მხოლოდ საზოგადოებრივი აუცილებლობით განპირობებულ ან ცალკეული ადამიანების პირადი ღირსების გამომხატველ ზნეობრივ ღირებულებებს, არამედ მათ საყოველთაო ხასიათი შეიძინეს და ღვთიურ სრულყოფილებამდე ამაღლდნენ, რაც მიუღწეველი აღმოჩნდა წარმართული სამყაროსათვის.

იუდაიზმის პედაგოგიკის რელიგიური საფუძველი და მისი ეთიკური შეფერილობა დიდნილად ამსუბუქებდა მის მკაცრად რეგლამენტირებულ მეთოდებს. აღზრდა ძველ ებრაელებში არ იყო ავტოკრატიული და აბსოლუტური, არ დაკანონებულა ტირანული დამოკიდებულება (მამის ან სკოლის დამრიგებლის საშუალებით), არ შემოუღიათ ბავშვების წვრთნა, როგორც სპარტაში. აღზდა ემსახურებოდა მხოლოდ უზენაესის ნებას, რაც, ებრაელთა აზრით, ყველაზე ჭეშმარიტი და სასარგებლო გზა იყო.

სწორედ პირადი რელიგიური პასუხისმგებლობის პრინციპმა მოახდინა ზემოქმედება სამართლებრივ ნორმაზე, რომლის მიხედვითაც მშობლების ვალის ან დანაშაულის გამო პასუხისმგებლობას მის მემკვიდრეებს აკისრებდნენ, ხოლო ბავშვთა საქციელისათვის პასუხს მშობლებს მოჰკითხავდნენ. წარმართებისაგან განსხვავებით, ებრაელები არ ამკვიდრებდნენ მიწიერ სამართლიანობას. ეს მისია უზენაესის ნებას დაუქვემდებარეს. იოსებ ფლავიუსი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „მშობლების დანაშაულისათვის შვილები არ უნდა ისჯებოდნენ, თუ ეს ბავშვები სათნონი არ არიან, მაშინ მათ მიმართ სინანული გვმართებს, რადგან ისინი წარმოიშვნენ ბოროტი მშობლებისაგან” [6,171].

ანტიკურმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ უზრუნველყო გონებისა და სულის თავისუფლება, რამაც დიდი გასაქანი მისცა პლურალისტურ აზროვნებას. დასაშვები გახდა სამყაროს აღქმისა და ცხოვრების პრინციპების მიმართ განსხვავებული, ინდივიდუალური მიდგომა. თუმცა დისციპლინისა და ჭეშმარიტების გაგების ერთიანი სტანდარტის გარეშე ბავშვთა აღზრდა შეუძლებელი გახდა. ამიტომ ელინური პედაგოგიკა ორმაგი სტანდარტის წინაშე აღმოჩნდა: ერთი მორალი უფროსებისათვის, მეორე – ბავშვებისათვის. ამგვარი ზნეობრივი რელატივიზმი, რასაკვირველია, გავლენას ახდენდა აღსაზრდელებზე, ბავშვთა ზრდა პირდაპირ უკავშირდებოდა მათთვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭებას, რაც „ზრდასრულობის“ პრივილეგიად მიიჩნეოდა.

რაც შეეხება იუდაიზმს, როგორც აღმოჩნდა, ბავშვები სტაბილურ სულიერ და მსოფლმხედველობრივ გარემოში იზრდებოდნენ. ერთი ასაკობრივი საფეხურიდან მეორეში და ერთი სოციალური მდგომარეობიდან ახალში გადასვლის მიუხედავად, ებრაელი ბიჭი და გოგო, სასიძო და საპატარძლო, მამა და დედა ზნეობრივ პასუხისმგებლობას ამის გამო არ იცვლიდნენ. ამგვარი დამოკიდებულება იყო სანათესაოში და სინაგოგის კრებულში. ათასობით იუდეველი ადიდებდა ღმერთს იერუსალიმის წმინდა ტაძარში, რომელიც იუდეველთა აღზრდის სისტემის მთავარი ორიენტირი იყო.

იუდეველთა დოგმატური აზროვნება და ფუნდამენტალიზმი ცხოვრების წესში ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა აღსაზრდელებზე. სწორედ სოციალური მოცემულობა წარმართავდა ბავშვის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, აზრებს და გრძნობებს ღვთიური განგებულების შესრულებისა და ისრაელიანთა ტრადიციების შენარჩუნებისაკენ.

იუდაიზმის აღზრდის არსი და მშობლების მოვალეობა, რაც მკაცრ რელიგიურ ნორმებს ეფუძნებოდა, შეიძლება, უფრო ფორმალური და მიწიერი მოვალეობას, ვიდრე ელინური აღზრდა. მაგრამ, არსებითად, იუდეურ პედაგოგიკასა და ზნეობრიობას გაცილებით მყარი და გამოკვეთილი საფუძველი აქვს, ვიდრე ფრიად განვითარებულ, ფილოსოფიურად დასაბუთებულ, მაგრამ ურელიგიო პოზიციას.

აღზდის სფეროში პარალელური მიდგომა ფიქსირდება ანტიკურ საბერძნეთსა და იუდაიზმში; თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ელინისტურ ეპოქაში დამკვიდრებულმა პაიდეამ ბერძნის აღზრდა შეცვალა ბერძნად აღზრდის ამოცანით, ხოლო, ამის საპირისპიროდ, ეზრაულმა იუდაიზმმა ეთნიკური სახე მიიღო, რაც ეზრა ნინანარმეტყველის წიგნშიცაა დამოწმებული: „რადგან მოიყვანეს მათი ასულები თავიანთვის და თავიანთი ვაჟებისათვის, და შეერია წმიდა თესლი ამ ქვეყნების ხალხებს” (ეზრ. 9, 2). ამის შემდეგ ეზრაული იუდაიზმი ზურგს აქცევს ეპრაელად აღზრდას და უპირობოდ ბატონობს ეპრაელის აღზრდის იდეა.

იუდაიზმისთვის უმთავრესი იდეოლოგიური პოსტულატი კონსერვატიზმი გახდა, რაც მანამადე იყო სასარგებლო, სანამ იგი თვითმიზნად არ იქცა და მანკიერების დაფარვა ტრადიციების და თვითმყოფადობის შენარჩუნების მცდელობად არ იქნა მიჩნეული. თავის მხრივ, ეპრაელთა რელიგიური და პედაგოგიური შეხედულებები არსებობდა ანტიკური ფილოსოფიის თვალთახედვის მიღმა და არ დატოვა მასზე რაიმე სერიოზული კვალი. ეს იმ დროს, როცა ელინური კულტურა თავად საზროობდა სხვა ხალხების და რელიგიების იდეებითა და კონცეფციებით. ბერძნებისათვის დამახასიათებელი იყო კულტურათა ურთიერთგამდიდრება, რაც საოცარი სინკრეტიზმის უნარით გამოარჩევდა მათ იუდეველებისაგან. სწორედ ამიტომ, ანტიკურობისთვის უცხო აღმოჩნდა ძველი აღთქმა. ელინებმა და რომაელებმა უბრალოდ ვერ დაინახეს თავიანთი ადგილი ძველი აღთქმის იდეალებში.

განხილული საკითხის შესახებ ჩვენი მსჯელობა შემდეგი დასკვნის საფუძველს გვაძლევს: თუ ანტიკურ საბერძნეთსა და რომში აღზრდა სახელმწიფოებრივი იყო, იუდაისტური აღზრდის მიმართულებას რელიგია განსაზღვრავდა, ანუ აღზრდას თეოცენტრული ხასიათი ჰქონდა. ხოლო ანტიკურ სამყაროში აღმზრდელობით პროცესს ფილოსოფია კვებავდა. თუკი იუდაიზმში აღზრდას პრაქტიციზმი ასაზრდოებდა, ანტიკურ საბერძნეთში დიდი ყურადღება ეთმობოდა პიროვნების თავისუფლებას. იუდაიზმში ოჯახური ტრადიცია და უფროს-უმცროსობის იერარქია გადამწყვეტი იყო.

სწავლების შინაარსის ფორმირებისას მეტი თავისუფლებაა საბერძნეთში, წამყვანი აქ საერო განათლება; ხოლო იუდაიზმში სწავლება ძირითადად უფლის მცნებებზეა ორიენტირებული და ყველგან სწავლობენ თორას. მცნებების შესწავლა და დაცვა უფლის ნების გამოხატულებაა. საბერძნეთში კი პიროვნების ნებასა და უნარებზეა დამოკიდებული სწავლა, რომელიც სათნოების რანგშია აყვანილი. პროფესიონალი მასწავლებლები ანტიკურ სამყაროში ძირითადად პედაგონიმები და ფილოსოფოსები არიან, ხოლო იუდაიზმში ამ საქმიანობას ღვთისმსახურები, მწიგნობრები და რაბინები ეწევიან.

საკვანძო სიტყვები: აღზრდა იუდაიზმში, ანტიკურობა, ელინიზმი, თორა, ბიბლია, თეოცენტრიზმი აღზრდაში.

JUDAISM BASED UPBRINGING AND ANTIQUITY

Abstract

If upbringing in antique Greece and Rome were state, the trends of Judaism raising were defined by religion. In other words, upbringing would have the theocentric character. In the antique world the raising process was nourished by philosophy, while in Judaism it was fed by practicality. Antique Greece would pay enormous attention to the freedom of an individual, while in Judaism family based tradition and hierarchy were pivotal.

Greece provides more liberty in the formation of teaching content and the leading feature here is public education. In Judaism teaching is mainly stemmed on divine concepts and the Torah is instructed everywhere. Professional teachers in the antique world are basically philosophers, in Judaism the task is attributed to worshippers, scribes and rabbis.

Key words: upbringing in Judaism, antiquity, Hellenism, Torah, Bible, Theo-centrism in Upbringing

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, თბ., 2001;
2. თორა, ნაწილი I, თბილისი, საგანმანათლებლო ცენტრი „ორ ავნერი”, 2-14-2015;
3. ბიბლიის ენციკლოპედია, გ.ბ.ს. საქართველოს ნარმომადგენლობა, ერთტომეული, თბ., 1998;
4. свящ. Евгений Шестун, Православная педагогика, Самара, 1998;
5. Иосиф Флавий, Возражение против Апиона о древности еврейского народа, М., 1994;
6. Иосиф Флавий, Иудейские древности, Т. 1, М., 1996;
7. Jentsch W. Urchristliches Erziehungsdenken. Die Paideia Kyriu im Rahmen der hellenistisch-juedischen Umwelt. Gutersloh, 1951.

ვალეოლოგია

იგორ დოლიძე
თბილისის სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

სამყარო - ვალეოლოგიური განათლების ინტეგრირებული ცოდნის საფუძველი

ყოველ ადამიანს, მათ შორის სპორტსმენებსაც გააჩნია, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნების, ასევე დაავადების მიმდინარეობის მისეული სპეციფიურობა და თავისებურებები.

სამყარო ერთიანი სისტემაა, რომლის ნაწილები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ერთი მათგანის ცვლილებები მსგავს მოვლენებს იწვევს მეორის განვითარებაში. ადამიანი ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია და მისი ცხოვრება უშუალოდ დაკავშირებულია გარე სამყაროს განვითარებასთან და ცვლილებებთან კომპლექსში. ჩვენ ვიცით, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ღმერთმა (კოსმიურმა გონმა) შექმნა სამყარო (მიწა, წყალი, მნათობები, ცოცხალი არსებები და სხვა არაცოცხალი საგნები და მოვლენები) და მისი გამორჩეული უმაღლესი არსება - ადამიანი, მას წესები და კანონები დაუდგინა. ადამიანებმა აქედან ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ , როგორც დაუშვებელია პლანეტათა მოძრაობის შეცვლა, ან მზის სისტემის კანონზომიერებთა დარღვევა, ისე არ შეიძლება უფლის მიერ ადამიანებისთვის დადგენილი წესებიდან გადახვევა, რადგან ადამიანი მიწიერი სამყაროს გვირგვინია და მისი ყოველი გადაცდომა შემოქმედის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, ამიტომ ადამიანის მიერ ღვთიური წესრიგის დარღვევის თითეული მცდელობა ცოდვად მიიჩნევა.

ადამიანის ცხოვრება მეგაპოლისში, მის ორგანიზმზე დიდ გავლენას ახდენს, რომელიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაუარესებას. ასე მაგალითად, ავტომობილი (შესაბამისად, მისი გამონაბოლქვი), კომპიუტერი, ტელევიზორი, მობილური ტელეფონი, ვიდეო, ქსეროქსი, ფაქსი, პრინტერი, სკანერი, მტვერსასრუტი, მაცივარი (შესაბამისი გამოსხივებით), უამრავი საოჯახო ტექნიკა, ათასგვარი საღებავი, ლაქი და ა.შ. - ყოველივე ის, რითაც გარემოცულია თანამედროვე ადამიანი, გამოყოფს ქიმიურ ნივთიერებებს. ყოველი მათგანი, ცალკე აღებული, მავნეა, ხოლო ყველა ერთად- საშინელება. ეს კოქტეილი ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის დამღუპველია. სწორედ მისი ზემოქმედების შედეგია მუდმვი დაღლილობის შეგრძნება, მოთენთილობა, თავის ხშირი ტკივილი, გაღიზიანება.

ადამიანი მრავალი მეცნიერების შესწავლის საგანი გახდა, ისეთებისა, როგორიცაა ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ანთროპოლოგია, მედიცინა და ა.შ.), ისე საზოგადოებრივი (სოციოლოგია, , ფსიქოლოგია, ისტორია, ფილოსოფია და სხვა) დარგები. ფაქტობრივად კი- ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები უპირატესად მონოპოლიზებულია ერთი მეცნიერებით-მედიცინით, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს მეცნიერებას ადამიანის დაავადებათა შესახებ- „ადამიანოპათოლოგიას“ და არა ინდივიდუალური ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და მისი განმტკიცების მოძღვრებას. ჯანმრთელობა კი უნდა იყოს განხილული, როგორც ადამიანის სხეულის მედიცინისა და სულის მედიცინის დიალექტიკური ერთიანობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავისთავად წარმოადგენს, ერთის მხრივ- ფიზიკურ სხეულს, მეორეს მხრივ- გონებას, სულს, ანუ ჩვენ ემოციებს, გრძნობებს, უპირატესად კი ქვეცნობიერებას.

ადამიანისათვის, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნება, ასევე დაავადების განვითარება უშუალოდ დამოკიდებულია მის გენოტიპზე, რაც ფაქტიზო სხეულის ინფორმაციული ველით არის „კოდირებული“. თუ ინფორმაციული ენერგეტიკული ველი დასუსტებულია, მას შეუძლია გენეტიკური კოდის შეცვლა, რაც მიზეზი ხდება ქრონიკული დაავადების ჩამოყალიბების. ამ პირობებში ნებისმიერ ვირუსს (უპირატესად, ეს არის შიდსის, ონკო- და ჰეპატოვირუსები) ამა თუ, იმ ხარისხით შეუძლია შეცვალოს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას კოდი და უჯრედს

მიაყენოს მძლავრი „ენერგეტიკული დარტყმა“. აქ, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა ნორმალური ადამიანი „ჩუმად ატარებს“ რამოდენიმე პათოლოგიურ გენს და თუ სიცოცხლის მანძილზე ის გარკვეულ პირობებში დაწყვილდა ასეთივე სახეობის პათოლოგიურ გენთან, დაავადების სახით გამომვლინდება მომავალ თაობებში.

უძველესი დროიდანვე მიაჩნდათ, რომ ციური სხეულები, მათი ურთიერთგანლაგება ძლიერ გავლენას ახდენდა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. განვლილმა დრომ დაადასტურა, რომ ეს ნარმოდგენა არც თუ უსაფუძვლოა. განსაკუთრებით ძლიერად ზემოქმედებს ემოციურ და ინსტიქტურ სფეროზე მზისა და მთვარის სხივები. მათ შეუძლიათ აგრეთვე მოადუნონ კიდეც ადამიანი და ენერგიითაც აავსონ. მათ ადამიანის ქცევის მართვაც შეუძლიათ. მთვარე მართავს ოკეანეებსა და ზღვებს, მათ მოძრაობას. რადგან ადამიანის ორგანიზმი 80 %-ით წყლისაგან შედგება, არ არის გასაკვირი მთვარის გავლენა ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებზე.

კაცობრიობამ ადამიანის ორგანიზმზე და ფსიქიკაზე ზემოქმედებისა და მკურნალობის უდიდესი გამოცდილება დააგროვა. ამასთანავე, ადამიანის ორგანიზმს განიხილავს, როგორც ერთმლიან სისტემას, რომელიც უწყვეტ რეჟიმში დაკავშირებულია ბუნებასთან, დედამინასთან და კოსმოსთან. დაავადებების უმეტესი ნაწილი იკურნებოდა იმ სამკურნალო საშუალებებით, რაც მხოლოდ მზადდებოდა ბალახებითა და ბუნებრივი ნივთიერებებით. საქართველოს კი გააჩნია უმდიდრესი და უსამართლოდ მივიწყებული მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა ნიჭიერმა წინაპრებმა.

ადამიანის ბუნების არსი იდუმალებით მოცულია. ის მრავალი მეცნიერების შესწავლის საგანი გახდა, ისეთებისა, როგორიცაა ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ანთროპოლოგია, მედიცინა და ა.შ.), ისე საზოგადოებრივი (სოციოლოგია, , ფსიქოლოგია, ისტორია, ფილოსოფია და სხვა) დარგები. ფაქტობრივად კი-ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები უპირატესად მონოპოლიზებულია ერთი მეცნიერებით-მედიცინით, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს მეცნიერებას ადამიანის დაავადებათა შესახებ- „ადამიანობათოლოგიას“ და არა ინდივიდუალური ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და მისი განმტკიცების მოძღვრებას. ჯანმრთელობა კი უნდა უნდა იყოს განსხილული, როგორც ადამიანის სხეულის მედიცინისა და სულის მედიცინის დიალექტიკური ერთიანობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავისთავად წარმოადგენს, ერთის მხრივ- ფიზიკურ სხეულს, მეორეს მხრივ- გონებას, სულს, ანუ ჩვენ ემოციებს, გრძნობებს, უპირატესად კი ქვეცნობიერებას.

ავადმყოფ ადამიანს ხშირ შემთხვევაში აწუხებს ფიქრები: ნუთუ სასურველი არ არის სიკვდილი, ვიდრე სიცოცხლე, შემდგარი მხოლოდ სიკვდილის სანინაალმდეგო ღონისძიებების ჩატარებით? ნუთუ სიცოცხლისთვის აგრეთვე დამახასიათებელი არ არის თავისუფალი მოძრაობა? რა არის დაავადება, თუ არა შებოჭილი თავის თავისუფლებაში სიცოცხლე ? დაე სიცოცხლე კვდება, მაგრამ სიკვდილი არ უნდა ცოცხლობდეს“. აქედან გამომდინარეობს ჯანმრთელობის საინტერესო განსაზღვრა: ჯანმრთელობა— ეს არის თავისუფლებაში მყოფი ადამიანის შეუზღუდავი სიცოცხლე.

დაწყებული XX საუკუნის 40–იანი წლებიდან ძლიერდება მეცნიერთა ინტერესი ჯანმრთელობის პრობლემისადმი, კეთდება მცდელობები, რათა მას მიეცეს სათანადო განსაზღვრა, მაგრამ არცერთი მათგანი არ აღმოჩნდა წარმატებული. ჯანმრთელობა – ეს მოვლენაა, რომლის საწყისად მიჩნეულია ღრმა, დიალექტიკურად ურთიერთსაპირისპირო ადამიანის ორგანიზმის არსი, რომელშიც მორფოლოგიური სტრუქტურებისა და ფუნქციის ოპტიმალური თანაფარდობა უზრუნველყოფს ადამიანის ფსიქიკურ, ფიზიკურ და სოციალურ აქტივობას. ამგვარი არსი ვლინდება დაავადების დროსაც, ერთდროულად ან ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვეითდება ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული შესაძლებლობები. რასაც მიყავს მის სრულ დაკარგვამდე.

მედიცინა მნიშვნელოვანია არამარტო გნოსეოლოგიური გზავნილებით: მოვლენის შემეცნებიდან მის დედაარსამდე, არამედ მიღებული დასკვნით – მოვლენის შემეცნების მცდელობიდან ადამიანმა უნდა მოახდინოს ზემოქმედება გამომწვევ ფაქტორებზე და აქტიურად შეცვალოს ორგანიზმის გაჯანსალების მექანიზმები.

დაავადება არ უნდა იყოს განხილული ჯანმრთელობისაგან იზოლირებულ მდგომარეობად. ნებისმიერი დაავადება იწყება და მიმდინარეობს ორგანიზმში არამხოლოდ „რღვევითი“ პროცესებით (პათოგენეზი), არამედ ცალკეულ მოქმედებათა სანოგენეზური მექანიზმების შესუსტებითა და მათი კომპლექსების დეზორგანიზაციით, რაც განაპირობებს ეგრეთ წოდებულ დაავადებისწინა მდგომარეობას. ე.ი. „დაავადებისწინა მდგომარეობა“- გარკვეული სანოგენეზური მექანიზმების ფუნქციური აქტივობის დაქვეითებაა ან მათი კომპლექსების დეზორგანიზაციაა, რასაც მივყავართ თვითრეგულაციის დარღვევასთან და ორგანიზმის რეზისტენტობის შესუსტებასთან.

„ჯანმრთელობა“ - ეს ორგანიზმის სანოგენეზური მექანიზმების სისტემის საკმარისი ფუნქციური აქტიობაა, რომელიც გარეთა გარემოს კონკრეტულ პირობებში უზრუნველყოფს მის თპრიმალურ ცხოველმოქმედებას. მრავალი მკვლევარი ჯანმრთელობას განიხილავს, როგორც ორგანიზმის უნარს მუდმივად შეეგუოს გარეთა გარემოს ცვალებად პირობებს-ფიზიკურსა და სოციალურს. როგორც ტ.სპენსერი აღნიშნავდა: „ჩვენ, ყველაზე ნაკლები ვიცით საკუთარ ჯანმრთელობაზე. ჩვენი ცხოვრებისათვის კი- ყველაზე აუცილებელია ვიყოთ ჯანმრთელი“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრით ჯანმრთელობა არის ფიზიკური, სულიერი, სექსუალური და სოციალური კეთილდღეობის სრული მდგომარეობა და უნარი შეეგუოს მუდმივად ცვალებად გარე და შიდა გარემოს პირობებში. ამასთანავე, ბუნებრივად მიმდინარეობდეს დაბერების პროცესი და არ ჰქონდეს დაავადებები და ფიზიკური დეფექტები.

ადამიანის გაჯანსალებაზე ზრუნვა სანოლოგის (სამედიცინო ვალეოლოგიის) მიზანს წარმოადგენს, იმ მოძღვრების თეორიულ-პრაქტიკულ განვითარებას, რომელიც შეისწავლის ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორულ მექანიზმების ამოქმედებას გაჯანსალების აღდგენით პროცესში, დაავადების საწყისი პერიოდიდან გამოჯანმრთელებამდე. თანამედროვე შეხედულება ადამიანის ფუნქციურ მოწყობილობაზე უფლებას გვაძლევს ჯანმრთელობა განვიხილოთ, როგორც გარემომცველ გარემოსთან ადამიანის ჰარმონიული ზემოქმედების შედეგი, რაც პირობადებულია ინფორმაციული, ენერგეტიკული და ნივთიერებათა ცვლის ფუნქციური ურთიერთზემოქმედებით.

ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა უნდა იყოს სახელმწიფოს ზრუნვის საგანი. ჯანდაცვის სისტემა და მედიცინა უპირატესად დაკავებულია დაავადებულთა პრობლემებით. პრაქტიკულ მედიცინას სჭირდება ახალი მიმართულების ძიება— მართოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და ამით შეინარჩუნოს ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური ძლიერება. თანამედროვე ექიმის მოვალეობაა დაეხმაროს ავადმყოფს, მის ინტერესებში არ შედის ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება. მედიცინა მთლიანად დაკავებულია და ვითარდება დაავადებათა პრობლემებით. ჯანდაცვის სისტემამ უნდა შეიცვალოს თავისი სტრატეგიული მიღებმა, ქვეყანა დაინტერესდეს ადამიანთა ჯანმრთელობით, თავიდან აიცილოს მთელი რიგი დაავადებები. სახელმწიფოს დევიზი უნდა იყოს “ადამიანის ჯანმრთელობიდან ერთს აღორძინებამდე”. ექიმმა უნდა განსაზღვროს “ჯანმრთელობის უსაფრთხო ზონა”, შექმნას “ჯანმრთელი ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მოდელი”, თვალყური ადევნოს ადამიანთა ჯანმრთელობას, რისგან ირღვევა და რისგან უმჯობესდება მათი ჯანმრთელობა. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია იმ ფსიქო-ფიზიკურ მოდელზე, რომელიც დაფუძნებულია როგორც მეცნიერების მიღწევებთან, ასევე ღვთიური წესრიგის დამყარების ხარისხზე. როგორც მეცნიერებას, ისე რელიგიას თავისი მოქმედების დამოუკიდებელი ასპარეზი გააჩნია. ერთი მატერიალური სამყაროს კვლევი-

საკენ არის მიმართული, მეორე კი სულიერი სამყაროს ჭვრეტისაკენ არის ორიენტირებული. რელიგია-სიცოცხლის ხეა, მეცნიერება-შემეცნების ხე, რელიგია ღმერთთან კავშირია, მეცნიერება-ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროსთან. ჯანმრთელობის მეცნიერებას, როგორიც არის ვალეოლოგია, მრავალიმეცნიერი ისე უყურებს, როგორც XX საუკუნის რელიგიას, ანუ სულიერი აგრძესის მესამე ტალღას. გასაკვირი არც ის არის, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ XX საუკუნის ბოლოს წამოაყენა მედიცინის განვითარების ინტეგრალური კონცეფცია, რომლის მთავარი იდეა: „XXI საუკუნის მედიცინა დაცვით-მოგერიებითი პოზიციიდან უნდა გადავიდეს სოციალურ-კონსტრუქციულზე, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და აქტიურ დღეგრძელობას“. მაშ, პრინციპულად უნდა შეიცვალოს ექიმის როლიც: „დაავადების მკურნალისგან“ ის „ჯანმრთელობის კონსტრუქტორად“ უნდა იქცეს, ხოლო „დაავადებათა მედიცინა“ „ჯანმრთელობის მედიცინად“ გარდაიქმნეს. სამწუხაროდ, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ჯანმრთელობა არ განიხილებოდა სამედიცინო მეცნიერების პრეროგატივად. ორთოდოქსული (კლასიკური) მედიცინა ყოველთვის დაკავებული იყო ავადმყოფი ადამიანების მკურნალობით. ამასთანავე, დაავადების მძიმე მდგომარეობიდან ადამიანების გამოყვანა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას ჯანმრთელობა დაუბრუნდა, ე.ო. სიჯანსაღის თვალსაზრისით საუკეთესო მდგომარეობაშია და ნებაყოფლობით და ხალისიანად ასრულებს თავის მოვალეობებს, რაც, ცხოვრებამ(პირადულმა და საზოგადოებრივმა) დააკისრა. თანამედროვე მედიცინის პათოცენტრისტულ შეხედულებათა კვალზე პრაქტიკოსი ექიმი თავისი პროფესიული განათლებით დიაგნოსტირების პროცესში კონცენტრაციას ახდენს მხოლოდ დაავადებული ადამიანის ორგანულ პათოლოგიაზე. ასე ცალმხრივი ქმედებით მკურნალი კარგავს დაავადების სრული კლინიკური გამოვლინების რეალური სურათის აღქმას, რითაც შეუძლია დაადგინოს მოცემული დროის რეჟიმში იმ პაციენტების ჯანმრთელობის ხარისხი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ჯანმრთელები იყვნენ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ დაავადების კლინიკური ნიშნების გამოუვლინებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს აბსოლუტურ ჯანმრთელობას, რადგან ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის არსებობს მესამე (გარდამავალი) მდგომარეობა, როცა ადამიანი არც ჯანმრთელია და არც ავადმყოფი. ექიმები ჯანმრთელობის მესამე მდგომარეობით, როგორც წესი, არ ინტერესდებიან, რადგან ვერ ფლობენ იმ მიზანდასახულ სადიაგნოსტიკო ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც საჭიროა ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამას ისიც ემატება, რომ ექიმს საერთოდ არ აინტერესებს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებანი, ისევე, როგორც ჯანმრთელ ადამიანს - ექიმის პრაქტიკული შემოქმედებითი მოღვაწეობა. ადამიანისა და ექიმის ურთიერთდამოკიდებულებას საინტერესოდ განსაზღვრავს კარლ მარქსი: „ადამიანის სხეული ბუნებით მოკვდავია. ამიტომ დაავადებები გარდაუვალია. რატომ მაინცდა-მაინც, მხოლოდ მაშინ მიმართავს ექიმს ადამიანი, როცა ის დაავადებულია, და არა მაშინ, როცა ჯანმრთელია? იმიტომ, რომ არამარტო დაავადება, არამედ თვით ექიმიც არის ბოროტება. მუდმივი საექიმო მეურვეობა სიცოცხლეს ბოროტად აქცევს, ხოლო ადამიანის სხეულს - სავარჯიშო ობიექტად.“

ადამიანთა უმრავლესობა ჯანმრთელი იბადება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხშირად ჩვენი ორგანიზმის ბუნებრივ ძახილს არ ვუსმენთ, ყურადღებას არ ვაქცევთ მის პირველსავე განგაშს- კლინიკურ სიმპტომებს - არადა, ამგვარად მოქცევისას მოსალოდნელი დაავადება იოლად და დროულადაღიკეთებოდა.

კლასიკურმა სახელმწიფოებრივმა მედიცინამ და ჯანდაცვის სისტემამ, მიუხედავად იმისა, რომ მიაღწიეს უმაღლეს წარმატებებს მედიცინისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა სფეროში, ვერაფერი გააკეთეს ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით. სახელმწიფოებრივი მედიცინა ყოველთვის იყო და არის მხოლოდ სამკურნალო მედიცინა, „ჯანდაცვა“ კი არასდროს გამხდარა მოსახლეობის ჯანდაცვის ორგანიზატორად.

ჯანმრთელობის სისტემის დაწესებულებები დღესაც უპირატესად წარმოდგენილია კლინიკური მედიცინის ორგანიზატორებად. მთავრობამ დღემდე ვერ შეიგნო მოსახლეობის ჯანმრთელობის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკურ და სულიერ განვითარებაში. ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგნოზირება კი მეცნიერული კვლევის გაუშლელად შეუძლებელია. მაშ, მედიცინა გადაიქცა ვიწროსპეციალიზებულ სამკურნალო დარგად და თავისი არსით მოგვევლინა მეცნიერებად, რომელიც დაავადებაზეა ორიენტირებული და ყველაზე ნაკლებად კი - ჯანმრთელობაზე.

დღეს მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმჭკიცების მხრივ შეიქმნა მეტად საშიში და პარადოქსული მდგომარეობა: რაც უფრო მეტად განვითარდა მედიცინა, მით უფრო მეტად დაგრძელდა (თანამედროვე ნოზოლოგიური ნომერკლატურის შესაბამისად) პაციენტებისათვის დასმული დიაგნოზების სია. მან შეიძლება მიაღწიოს 23 ათასამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს საშუალოდ უნდა სჭირდეს 20-ზე მეტი დაავადება. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ვიწრო სპეციალისტები რეგულარულად იგონებენ ახალ სინდრომებს, პათოლოგიებსა და დაავადებებს. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასეთი სურათი იხსრება. ამიტომ ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს, დაიცვას ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ორგანიზმისდაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროულად ჩართვით შეინარჩუნოს და განიმტკიცოს ჯანმრთელობა.

ჯანდაცვის გაუთავებელი რეფორმები ადამიანის ჯანმრთელობას კი არ ემსახურება, არამედ ხელს უწყობს ავადმყოფთა რაოდენობის ზრდასა და დემოგრაფიული ვითარების გაუარესებას, ჯანდაცვის სისტემასა და სააფთიაქო ქსელში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას დაავადებულთა ხარჯზე. ამას ისიც ემატება, რომ იგი კერძო სტრუქტურებშია გადასული, სამინისტროს მხოლოდ სადამსჯელო ფუნქციალა დარჩა და საერთოდ ვერ აკონტროლებს ჯანდაცვას. შექმნილია ელიტარული კლინიკები, მათზე წამდაუწეუმ ლაპარაკობენ ტელევიზორში, და რეკლამას უკეთებენ ოპერაციებს, სხვადასხვა დაავადების მკურნალობას და არავინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს დაავადება არ გაჩნდეს. რატომ მიდის ავადმყოფი ოპერაციამდე? რატომ დაავადდა ამა თუ იმ დაავადებით? რატომაა მოშლილი პროფილაქტიკური მედიცინა, რაიონებში ხომ საერთოდ თითქმის ჩავარდნილია პრევენცია და იქ სპეციალისტების დიდი დეფიციტია. ... საყოველთაო დაზღვევის მოდელი ძირითადად გადმოღებულია გერმანიიდან. კი, მაგრამ ჩვენ გერმანიის დონეზე ვართ? ჯანდაცვა რას უნდა ცდილობდეს? უნდა იცავდეს სიცოცხლეს. მაშ, ესაა სიცოცხლის დაზღვევა, მაგრამ ეს დაზღვევა არის უეფექტო და მიუღებელი, თუმცა, ეს რომ არ დაენერგათ, სამკურნალო დაწესებულებები გაკოტრდებოდნენ. აქ საუბარია მოსახლეობის მომსახურებაზე, ეკონომიკურად განადგურებულ, ვალების მქონე საავადმყოფოებზე, მილიონობით უმუშევარზე. ექიმი დატოვეს გამომუშავებაზე და, თუ მას ავადმყოფი არ ეყოლა, ის ან მოიხსება, ან უხელფასოდ დარჩება. ექიმი რითად დაინტერესებული? ავადმყოფით და თუ, ავადმყოფი არ ეყოლა, ტოვებს საავადმყოფოს. რატომაა ამდენი სიკვდილიანობა? იმიტომ, რომ რეფორმა უვარგისია. ჯანდაცვის სამინისტრო არაფერზე პასუხს არ აგებს. ამ დროს სისტემა როგორი უნდა იყოს? ყოველი ავადმყოფის გადარჩენაზე უნდა ზრუნავდეს. საავადმყოფოები ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული, მართვა და კონტროლი ზემოდან ხდებოდეს. აქ კი რა ხდება? ჯანდაცვის სისტემა ისეთივე ბიზნესად აქციეს, როგორც კარტოფილისა და კომბოსტოს ბიზნესი. ისიც მოგებაზე მუშაობს და, რაც მეტი ადამიანი გახდება ავად, ბიზნესი მით უფრო მოიგებს. ადრე სამედიცინო ბიზნესი სახელმწიფოსი იყო და ფულსთავის მოსახლეობას ახმარდა, რადგან სახელმწიფო ხალხისა იყო. ამრიგად, ჯანდაცვის სისტემა რეალურად რეფორმის გარეშე დარჩა და მისი ინტერესი გახდა ავადმყოფების რაოდენობის პროგრესული მატება. ამას კი უზარმაზარი ფული შემოაქვს მედიცინაში. ეს თანხა კი აკლდება ხალხს და ილექტება კლინიკების მეპატრონეების ჯიბებში. ამათ წილში ჰყავთ ის ადამიანები, ვინც მათ მხარს უჭერს. ჯანდაცვა მოითხოვს რეალურ რეფორმას, უნდა გაიზარდოს პრევენცია და პროფილაქტიკური მედიცინა. თუ

ადამიანი დაავადდა და საავადმყოფოში მოხვდა, სწორედ ეს უნდა გახდეს „განგაშის“ მიზეზი. რეფორმა გასატარებელი პოლიკლინიკებსა და სასწრაფო დახმარების ცენტრებში და, რაც მთავარია, თავად სამინისტროში, რადგან სახელმწიფოებრივმა ჯანდაცვამ ამონურა თავისი სისტემური შესაძლებლობები, ვერ უზრუნველყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და პრინციპულად მოითხოვამ სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟიდამოუკიდებელი სამსახურების შექმნით ცალკე - ავადმყოფებისა და ცალკე ჯანმრთელი ადამიანებისათვის. აქედან გამომდინარე, ვალეოლოგია უნდა განვიხილოთ, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნებისა და ოჯახის კეთილდღეობას, გაზრდის ქვეყნის შრომით პოტენციალს, კულტურის დონეს და ა.შ.

ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა მიიყვანოს ნებისმიერი ადამიანი, ერი და კაცობრიობა ჯანმრთელობასთან – არის ადამიანის შეცვლილი დამოკიდებულება თავისი ჯანმრთელობის მიმართ. მან თვითონვე უნდა გააკეთოს არჩევანი: ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა. ადამიანს, თავისი ჯანმრთელობის მიმართ უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული დადებითი მოტივაციას, რადგან მხოლოდ ჯანმრთელ პიროვნებას შეუძლია მიაღწიოს მოთხოვნილებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურს – თვითრეალიზაციას.

საკვანძო სიტყვები: ვალეოლოგია, სამყარო, მეგაპოლისი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ.- ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, სოციალური, ეკოლიგიური და კლინიკური პედიატრია, თბილისი, 2013, № 15-10-9, 52-54;
- დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ. - მოზარდების ჯანმრთელობის მართვაში პედაგოგიური ვალეოლოგიისა და სანოლოგიის კრიტერიუმების მნიშვნელობა, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, № 9, 46-49;
- ასათიანი ა. სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია, როგორც ადამიანის განვითარების ფაქტორი ძველი აღთქმის პედაგოგიკაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2014, №13, 88 – 93;
- დოლიძე ი.- ჯანდაცვის სისტემაში ჰიპოკრატეს ფიცი სწამთ, მაგრამ ბოლო კი - გასაკვირია, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2019, № 21-16-15, 33-36;
- დოლიძე ი.- ვალეოფილოსოფია - XXI საუკუნის მედიცინის ახალი აზროვნება და მსოფლიერება, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2018, № 20-15-14, 29-35.

IGOR DOLIDZE
Professor of Tbilisi Sport Training University

THE UNIVERSE – THE BASIS OF INTEGRATED KNOWLEDGE OF VALEOLOGICAL EDUCATION

Abstract


Every person has his own peculiarities of both health and disease progression. The universe is a unified system that is closely intertwined. Changes in one of these causes similar developments in the development of the other.

Man is an integral part of this system, and his life is directly linked to the development and changes of the outside world that are taking place in the context of metabolism in his body.

The essence of human nature is enigmatic, which has been the subject of many science studies, though largely monopolized by one science (By sinology with Valeology) The purpose of valeologic education is to take care of one's well being and to begin at an early age and continue until old age.

ჩვენი იუბილარები

ნათელა იმადაძე



ძვირფასო ქალბატონო ნათელა!

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია დიდი სიყვარულით მოგესალმებათ, ამ აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, თვალსაჩინო მეცნიერს, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, საიუბილეო თარიღის - დაბადების 90 და სამეცნიერო მუშაობის 65 წლისთავთან დაკავშირებით.

თქვენ მიეკუთვნებით იმ გამორჩეულ მეცნიერ-მკვლევრებს, ვინც დიდი ამაგი დასდო ქართული განათლების საქმეს, როგორც ნიჭიერმა პედაგოგმა და მეცნიერების ორგანიზატორმა. თქვენ ნლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით ფსიქოლოგიის კათედრას თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად ილიას უნივერსიტეტში), აღზარდეთ კვალიფიციურ ფსიქოლოგთა არაერთი თაობა, ქვეყნის გარეთ გაიტანეთ ამ უმაღლესი სკოლის ფსიქოლოგიის კათედრის სამეცნიერო მიღწევები. თქვენი ხელმძღვანელობთ 20-ზე მეტმა დოქტორანტმა მოპოვა საძიებელი სამეცნიერო ხარისხი. ისინი დღეს წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ (ინგლისში, შვეიცარიაში, აშშ-ში, მექსიკაში).

თქვენ ბრძანდებით 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და არაერთი მონოგრაფიის ავტორი და თანაავტორი. თქვენი კვლევის სფეროს განეკუთვნება ბავშვთა ფსიქოლოგიის ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორებიცაა: მეტყველების ფსიქოლოგია (ბილინგვიზმი - ბავშვის მიერ მშობლიური ენისა და მეორე ენის სწავლების ფსიქოლოგიური საკითხები), აგრეთვე პიროვნების ემოციური განვითარება (შფოთვა, სტრესის დაძლევა, სტრატეგიების კვლევა საშუალო და უმაღლესი სკოლის ასაკში).

მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თქვენი თანაავტორობით შექმნილმა კოლექტიურმა მონოგრაფიამ - „მეტყველების კროსკულტურული კვლევა“, რომელიც გამოიცა აშშ-ში (რედ. დ. სლობინი, ბერკლი, კალიფორნია). ასეთივე რეზონანსი ჰქონდა 2017 წელს გამოცემულ მონოგრაფიას - „ქართველი ბავშვის მეტყველების თავისებურებანი“.

საქართველოში პირველად თქვენ დაამუშვეთ და წაკითხეთ სასწავლო კურსი „სტრესის ფსიქოლოგია“, ასევე პირველმა შემოიტანეთ ცნება „შფოთვა“ და შექმნით შფოთვის კვლევის ახალი პროექციული მეთოდება.

ცნობილია თქვენი მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან, რაშიც ხელს გინებობთ არაერთი უცხო ენის ცოდნა.

თქვენ ბრძანდებით მონაწილე საერთშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციებისა, რომელთა გეოგრაფიული არეალი ძალზე ფართოა: აშშ, რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, თურქეთი, ჩეხეთი, ლიტვა და სხვა; აგრეთვე საქართველოში ჩატარებული ყველა სამეცნიერო კონფერენციისა, რომელთა თემატიკაც უკავშირდებოდა განათლებისა და ფსიქოლოგიის პრობლემებს.

ამჟამად, როგორც თბილისის ილიას უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, კითხულობთ ლექციების კურსს ფსიქოლინგვისტიკაში, ხელმძღვანელობთ სამაგისტრო ნაშრომებს, ხართ განათლების მეცნიერებათა სამინისტროს კონსულტანტი, მონაწილეობთ სხვადასხვა

პროგრამის შემუშავებასა და მასწავლებელთა საატესტაციო გამოცდების სააპელაციო კომისიებში.

აღფრთოვანებას იწვევს თქვენი შემართება და მარად ახალგაზრდული ენერგია, აზროვნების სიღრმე და შრომისმოყვარეობა. ყოველი დღე თქვენთვის შემოქმედებითი პროცესია, სწრაფვა ახლის ძიებისკენ. ამიტომაც იმსახურებთ კოლეგების უდიდეს პატივისცემას, ხართ აღიარებული ავტორიტეტი და სტუდენტების საყვარელი ლექტორი.

ქალბატონო ნათელა, თქვენ პრძანდებით მაგალითი იმისა, თუ როგორ ვლინდება სულიერი არისტოკრატიზმი გარეგნობაში.

კვლავაც ნაყოფიერ შრომასა და მისი შედეგებით მოპოვებულ დიდ სიხარულს, ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებთ ღვაწლმოსილსა და ერის სამაყო მეცნიერს.

იათამზა კოტეტიშვილი-90



ცნობილ ქართველ მეცნიერს, თვალსაჩინო მკვლევარსა და პედაგოგს, ფსიქოლოგის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს იათამზე კოტეტიშვლს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ქალბატონმა იათამზე კოტეტიშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მომავალ სპეციალობად მან ფსიქოლოგია აირჩია. იმ დროისათვის უნივერსიტეტს დიდ ქართველ მეცნიერებათა კოპორტა ამშვენებდა: სავლე წერეთელი, რევაზ ნათაძე, შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, ვასო ფრანგიშვილი, პეტრე შარია და მრავალი სხვა.

პროფ. ი.კოტეტიშვილი უნივერსიტეტში სწავლის პერიოდს იხსენებს როგორც გარდამტებს მის ცხოვრებაში. შესანიშნავმა მეცნიერებმა გადამწყვეტი გავლენა მოხდინეს ნიჭიერ სტუდენტზე, რომლის უშრეტი ენერგია შემდგომში მეცნიერების მსახურებაში გარდაისახა.

ქალბატონმა იათომ სამეცნიერო მოღვაწეობა ჟან პიავეს შრომების შესწავლისას აღმოჩენილ, ექსპერიმენტულად დაუდასტურებელ საკითხთა კვლევით დაიწყო. ბავშვების განსაკუთრებულმა სიყვარულმა განაპირობა მისი არჩევანი ეკვლია მოზარდის კოგნიტური განვითრების თავისებურებები.

ქალბატონმა იათომ ექსპერიმენტული კვლევის შედეგები გამოიყენა მათემატიკის სწავლების ფსიქოლოგიური შინაარსის გაგებასა და სწავლების მეთოდიკაში. პროფ. იათამზე კოტეტიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს: ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლების ფსიქოლოგია, დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების ფსიქოლოგია. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა მისი მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში, რომელსაც ქალბატონი იათო 1975 წლიდან ხელმძღვანელობდა. 1977-2005 წლებში ის იყო პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე.

1961 წელს გამოდის მისი პირველი ნაშრომი „დაწყებითი სწავლების ფსიქოლოგია“, რომელშიც ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში ჩატარებული გამოკვლევებია გადმოცემული. მომდევნო მონოგრაფია „პირველი კლასის მოსწავლის აზროვნების თავისებურებები“ (1985). 1987 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ექსპერიმენტული სწავლების გამოცდილება, რომელიც ათწლეულების მანძილზე ხორციელდებოდა დ.უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის საბაზო ექსპერიმენტულ სკოლებში. 2001 წელს მომზადდა და გამოიცა „დაწყებითი სკოლის

მათემატიკის სახელმძღვანელო“ რომლის განახლებული ვერსია სულ ახლახანს აღმოჩნდა საჯარო სკოლების გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ნუსხაში.

პროფ. იათამზე კოტეტიშვილი 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, ის დღემდე უშურველად გადასცემს თავის მოსწავლეებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. იგი წლების მანძილზე იყო განათლების მეცნიერების სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს წევრი, მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე დისერტაცია.

პროფ.იათამზე კოტეტიშვილის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი აღიარებულია როგორც ქართული ისე უცხოური სამეცნიერო საზოგადოების მიერ.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და უურნალ “მოამბის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ლირსეულ მეცნიერს, გულისხმიერ პიროვნებას, პროფესორ იათამზე კოტეტიშვილს დაბადებიდან 90 წლისთვის და უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას.

გიგა ბათიაშვილი - 85



საქართველო განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს ხელმძღვანების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიკოსი, პროფესორი გიორგი (გიგა) ბათიაშვილი 85 წლის გახდა.

ბატონი გიგა ბათიაშვილის მოღვაწეობა არის ნიმუში სამშობლოს, საკუთარი ქალაქის სამსახურისა და მომავალი თაობის, პროფესიონალ-არქიტექტორთა თაობების აღზრდის იდეის ერთგულებისა.

გიგა ბათიაშვილმა 1958 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1967 წლიდან ენეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თავისივ მშობლიურ სამხატვრო აკადემიაში; 1973-1979 წწ. იყო ტექნიკის ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მთავარი მხატვარი და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში; 1978 წლიდან ხელმძღვანელობდა საპროექტო ინსტიტუტის "თბილქალაქპროექტის" თბილისის სახელმწიფო დაცვითი ზონის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სპეციალური არქიტექტურის სახელოსნოს. არის ისტორიული ქალაქების აღდგენა-განაშენიანების დარგში სამეცნიერო გამოკვლევების ავტორი. მის სახელს მრავალი საეტაპო ნამუშევარი უკავშირდება: თბილისის მეტროპოლიტენის სადგური "300 არაგველი"(1967), თბილისის ფუნიკულიორის ქვედა სადგური(1970-19711, (თანავტორები: არქიტექტორი ტ. ქუთათელაძე, მხატვარი ვ. ქოქიაშვილი), იტალიელთა წინააღმდეგობის მოძრაობის გმირთა მემორიალი პერეზაში (იტალია, 1972), თბილისის ისტორიული უბნების-შარდენის ქუჩის, ბამბის და რკინის რიგების, კ. აფხაზის (კ. ლესელიძის) და დუტუ მეგრელის ქუჩის, ღვინის აღმართის, ქარვასლის, სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიისა და ორბელიანთ უბნის განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია (1979-1989), ძველი თბილისის ცალკეული შენობების, მეიდნის, ქეთევან წამებულის პროსპექტისა და ბარათაშვილის აღმართის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის პროექტები.

ბატონი გიგა ბათიაშვილის ღვანლი აღიარებულია როგორ ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. 1982 წელს მას საქართველოს ხელმძღვანების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. 1983 წელს გადაეცა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ჯილდო "სამკერდე ჯვარი", ხოლო 1985 წელს თბილისის ისტორიული ნაწილის

ქალაქთმშენებლობითი გარემოს ორგანიზაციისათვის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. 1987 წელს სსრკ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა გიგა ბათიაშვილის დამსახურება (შ. ყავლაშვილთან ერთად) თბილისის ისტორიული ნაწილის ქალაქთმშენებლობითი გარემოს ორგანიზაციაში. 1996 წელს ღვაწლომოსილი არქიტექტორი - გიგა ბათიაშვილი თბილისის საპატიო მოქალაქე ხდება.

პროფესორი გიგა ბათიაშვილი რამდენიმე აკადემიის და პროფესიული ასოციაციის წევრია, მათ შორის: საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი და გამგეობის მდივანი (1980-1992), საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1994).

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და უურნალ „მოამბის“ რედაქცია გულწრფელად ვულოცავთ ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ ხუროთმოძღვარს და ქართველ არქიტექტორთა არაერთი თაობის აღმზრდელს, ღირსეულ პიროვნებას, პროფესორ გიგა ბათიაშვილს დაბადებიდან 85 წლისთვე და უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მოღვაწეობას მისი საფიცარი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლუბა ბიბილიშვილი – 80



დახვეწილი ინტელიგენტი, შინაგანი კულტურით გამორჩეული, თავმდაბალი, გულისხმიერი, კოლეგების ნიჭის დამფასებელი, კეთილ-სინდისიერი, მომავალი თაობისათვის ცხოვრების წესით მისაპაპი – ასეთია საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადე-მიკოს-მდივანი, პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი.

ქალბატონმა ლუბამ სოფლის სკოლის მასწავლებლობიდან აკა-დემიკოს-მდივნობამდე დიდი და საინტერესო გზა განვლო. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუ-ტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1962 წელს მუშაობა დაიწყო ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1964 წლიდან ის მუშაობას აგრძელებს თავის მშობლიურ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1981 წლამდე იყო რუსული ენისა და ლიტერატურის, პედაგოგიკის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის კათედრების ლექტორი, დაუსწრებელი სწავლების განყოფილების უფროსი მეთოდისტი და აბიტურიენტების მოსამზადებელი კურსების დირექტორი.

ქალბატონი ლუბა 1981 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებს თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკის კათედრის უფროს მასწავლებლად, სწავლულ მდივნად და აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების დირექტორად.

1986 წელს ქალბატონმა ლუბამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პედაგოგიკაში, რომელშიც აისახა მისი მდიდარი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ამავე წელს მუშაობას იწყებს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ საზოგადოებაში პასუხისმგებელ მდივნად.

1989 წლიდან პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი უბრუნდება პედაგოგიურ საქმიანობას. 1989-2008 წ. მუშაობდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში

დოცენტის, სრული პროფესორის, კათედრის გამგის თანამდებობებზე. 2008–2013წ.წ. მუშაობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული პროფესორის თანამდებობაზე. სადაც კი მუშაობდა ქალბატონი ლუბა, ყველგან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებსა და სტუდენტებში.

პროფესორ ლუბა ბიბილეიშვილის მეცნიერული კვლევის სფერო საკმაოდ ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პედაგოგიკის მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს. ის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის აღსანიშნავია: „სოციალური პედაგოგიკა“ (თანაავტორი პროფ. მამია ჭულუში, 2002); „ვალეოლოგია“, რომელიც აღინიშნა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრემიით (თანაავტორი პროფ. ჯუანშერ ზალდასტანიშვილი, 2005); „ფუნქციური წერა“ (თანაავტორი პროფ. მედეა როგავა, 2012); „ლვთის ტაძრის სულიერი ბინადარი – ნელი დუმბაძე“ (2019).

პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის 2015 წელს გამოცემული წიგნის „საქართველოს განათლების მატიანე“ თანაავტორი და ქართული ტექსტის რედაქტორი, ჟურნალ „მოამბის“ რედაკტორის წევრია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონი ლუბა აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში, ხშირად იყო დისერტაციების შემფასებელი (ოპონენტი).

პროფესორ ლუბა ბიბილეიშვილის ლვანლი პედაგოგიკის მეცნიერების განვითარებაში სათანადოდ დაფასდა. 2002 წელს არჩეულ იქნა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ის რამდენიმე წელია აკადემიკოს–მდივანია და მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

ქალბატონი ლუბა კვლავ აქტიურადაა ჩართული სამეცნირო მუშაობაში. ქართული საზოგადოება მალე იხილავს მის ვრცელ მონოგრაფიას ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ერთ–ერთი ფუძემდებლის, დიდი იაკობ გოგებაშვილის ლირსეული მემკვიდრის, უდიდესი პატრიოტის, ქართველი ერის წინაშე ვალმოხდილი პიროვნების, ლუარსაბ ბოცვაძისა და მისი ოჯახის ფასდაუდებელ ლვანლზე შთამომავლობის წინაშე.

ლია მენთეშაშვილი

პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

რედაქციისაგან: საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს ამავე აკადემიის აკადემიკოს–მდივანს, ზნემაღალ, გამორჩეულ ქალბატონ ლუბა ბიბილეიშვილს დაბადებიდან 80 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და აქტიურ სამეცნიერო მუშაობას.



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს იგორ დოლიძეს 80 წელი შეუსრულდა.

იგორ დოლიძე დაიბადა 1939 წლის 7 თებერვალს ქალაქ ბათუმში. 1965 წელს ექიმ-პედიატრის წოდებით დაამთავრა ქ. ლენინგრადის (ამჟამად სანქტ-პეტერბურგის) პედიატრიის სამედიცინო სახელმწიფო ინსტიტუტი. მან ერთი წელი იმუშავა ქ. გროზნოში და 1966 წელს დაბრუნდა სამშობლოში. იგორ დოლიძეს თბილისისა და ბათუმის სამედიცინო ცენტრებში მუშაობის ხანგძლივი სამედიცინო პრაქტიკა აქვს. მან რიგითი ექიმიდან დაწყებული საინტერესო გზა განვლო სხვადასხვა სამედიცინო კლინიკების სტრუქტურული დანაყოფების და ჯანდაცვის ორგანოების ხელმძღვანელამდე, რასაც კარგად უთავსებდა სამეცნიერო მუშაობას. 1972 წელს იგორ დოლიძე მოსკოვის ი. სეჩენოვის სახელმწიფის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1993 წელს ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ნაწლავისმიერი სეფსისი: ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა და მკურნალობა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით“. რომელიც შეფასდა, როგორც თანამედროვე სეფსისოლოგიის განვითარების ეპოქალურ მოვლენად და თერაპიულ პრაქტიკაში ახალ წოზოლოგიად.

1998 წლიდან ბატონი იგორ დოლიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტული მედიცინის, სამკურნალო ფიზკულტურისა და ადაპტური სპორტის კათედრაზე პროფესორად, კათედრის გამგედ, დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ხოლო 2007-2013 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის დეპარტამენტის პროფესორად. 2013 წლიდან - დღემდე პროფესორი იგორ დოლიძე სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას კვლავ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ეწევა.

იგორ დოლიძის დამსახურება აღიარებულია სხვადასხვა დარგობრივი აკადემიების წევრობით. იგი არჩეულია ენერგოინფორმაციულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად (1997 წ.), საქართველოს პუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (1999 წ.) და ამავე აკადემიის აკადემიკოს-მდივნად, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრად (2004 წ.).

ბატონი იგორის პროფესიონალიზმზე ისიც მეტყველებს, რომ მას განუსაზღვრელი ვადით მინიჭებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატები შემდეგ საექიმო სპეციალობებში: შინაგანი სნეულებები, ინფექციური სნეულებები, სპორტული მედიცინა, სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია. იგი არის უმაღლესი კატეგორიის ექიმი ინფექციონისტი, მინიჭებული აქვს ღვანწლმოსილი მკურნალის (თერაპევტის) საპატიო წოდება (2017).

პროფესორი იგორ დოლიძე ხელხვავიანი ხვდება საკუთარ იუბილეს, მისი მონაგარი 184 სამეცნიერო შრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიისგან შედგება.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და უურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ ბატონ იგორ დოლიძეს დაბადებიდან 80 წლისთავს და ვუსულვებთ მხერის და მრავალ წარმატებას ჩვენი ხალხის ჯანმრთელობისა და ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში.



თამაზ კარანაძე დაიბადა 1939 წელს. 1962 წელს დაამთავრა თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით და მყისიერად შეუდგა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. 1970 წლიდან თამაზ კარანაძე პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობის ასპარეზად ირჩევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრას, სადაც მთელი შეგნებული ცხოვრება გაატარა. ბატონმა თამაზმა ამ კათედრაზე თავდაპირველად ასისტენტად დაიწყო მუშაობა. გაიარა უფროსი მასწავლებლის, დოცენტის და პროფესორის საინტერესო გზა და ამ სახელმძღვანელობაში.

პროფესორ თამაზ კარანაძის მეცნიერული ინტერესები ფართო და მრავალმხრივია. მაგრამ განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობასთან. სწორედ ამ თემას ეძღვნება მისი სადისერტაციო ნაშრომი.

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობისადმი ბატონი თამაზის ინტერესი მხოლოდ სადისერტაციო გამოკვლევით არ შემოფარგლულა. 1991 წელს გამოიცა მისი მონოგრაფია „იაკობ გოგებაშვილის ჟუმანიზმი“, 1993 წელს - „იაკობ გოგებაშვილი და თანამედროვე სკოლა“, 2000 წელს - „ხალხურობის იდეა - ჟუმანიზმის აღზრდის საფუძველი ი.გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებაში“.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის კვლევა და დიდი მამულიშვილის პოპულარიზაციას სამეცნიერო სტატიებისა და პუბლიცისტური წერილების მთელი სერია უძღვნა პროფესორმა თამაზ კარანაძემ, რომელიც წლების განმავლობაში სისტემატურად ქვეყნდებოდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო ურნალ „მოამბის“ ფურცლებზე.

თამაზ კარანაძე არის „პედაგოგიკისა“ და „პედაგოგიკის ისტორიის“ სახელმძღვანელოების თანაავტორი. ბატონი თამაზის ხელმძღვანელობით მომზადდა ათი საკანდიდატო და ოთხი სადოქტორო დისერტაცია. იგი არაერთი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეა, როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში. მათ შორის პრალის, ვარშავის, მოსკოვის, ბარატისლავას და ერევნის კონფერენციებისა. მას დღესაც ხშირად იწვევენ სადისერტაციო საბჭოებში და სადოქტორო დისერტაციების შემფასებელ-ექსპერტად.

პროფესორი თამაზ კარანაძე არა მარტო წარმატებული მეცნიერია, არამედ განათლების და მეცნიერების კარგი ორგანიზაციონურიც. სწორედ ამის დასტურია ის წარმატებები, რასაც მისი ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრამ მიაღწია. განსაკუთრებულია თამაზ კარანაძის ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს კანათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს-მდივნის და ამავე აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო ურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიაში.

ბატონმა თამაზმა, როგორც თანაავტორმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კანათლების მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული მონოგრაფიის „საქართველოს განათლების მატიანეს“ მომზადებაში, რომელსაც ამშვენებს მისი ნარკვევი XIX საუკუნის ქართველი განმანათლებლების შესახებ.

განსაკუთრებულია ბატონი თამაზის დამოკიდებულება სტუდენტებისა და კოლეგების მიმართ. თამაზმა შეიძლება ითქვას, რომ იგი იმ შვიათ ადამიანთა შორისაა, რომელთა გარეშეც ძალიან ბევრს დაკარგავდა სტუდენტთა მრავალი თაობა, ჩვენი საზოგადოება და

ქვეყანაც. მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, მის პიროვნებაში აშკარად დომინირებს კაცთმოყვარეობა. იგი უზადო შინაგან კულტურას ასხივებს ყველგან, სტუდენტურ აუდიტორიებში, სამეცნიერო ფორუმებზე თუ ახლობელთა წრეში.

ღირსეული ადამიანები სხვათაგან იმითაც გამოირჩევიან, რომ ღირსეულადვე უმკლავდებიან ცხოვრების ქარიშხალს. არც ბატონი თამაზი დაინდო საწუთო, თუმცა აქაც ღირსეულად ატარა მძიმე ჯვარი. სააშკაროდ არ აქცია მამაშვილობის ტრაგედია და სხვას არ დაუმძიმა ყოფა.

დიდი პატივია თამაზ კარანაძის ნაცნობობაც კი, ხოლო მასთან მეგობრობა ცხოვრებისეული ჯილდოა. ამიტომაც, უდიდეს მადლიერებას გამოვთქვამთ ბედისწერისა და განგების მიმართ, რომელმაც ამ დიდებულ პიროვნებასთან, ჩვენს საერთო პედაგოგიურ ოჯახში ურთიერთობის საშუალება მოგვცა. მადლობა თქვენ ბატონო თამაზ! თქვენი არსებობით სიკეთის სხივებს რომ უწილადებდით ყველას.

ბატონო თამაზ! საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, უურნალ „მოამბის“ რედაქცია პატივისცემით და სიყვარულით გილოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს, გისურვებთ მხნეობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და პროფესიულ წარმატებებს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

მაღონა მაგრალიშვილი-80



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მადონა მეგრელიშვილი 80 წლის გახდა.

ქუთაისის პირველი საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, 1973-1975 წლებში მადონა მეგრელიშვილი სწავლობდა მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის უცხოურ ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1978 წელს პროფესიული მომზადების კურსი გაიარა ოქსფორდის უნივერსიტეტში. 1984 წელს მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

შრომითი საქმიანობა 1962 წელს დაიწყო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხოური ენების კათედრაზე, სადაც 1976 წლამდე მუშაობდა კათედრის ლაბორანტად, მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად. 1975 წლიდან მადონა მეგრელიშვილი მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტია. 1984 წლიდან იგი არის პროფესორი. 1975-1979 წლებში ეკავა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა. 1988-1989 წლებში არჩეული იყო ქ.ქუთაისის სახალხო განათლების საქალაქო საბჭოს თავჯდომარედ. 1994-1995 წლებში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა დასავლეთ ევროპული ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) კათედრას.

1995-2006 და 2011-2014 წლებში პროფესორი მადონა მეგრელიშვილი დიდი ენთუზიაზმით უძლვებოდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური

ენის კათედრას. მისი უდიდესი ძალისხმევის შედეგად კათედრამ უზარმაზარ წარმატებას მიაღწია.

პროფესორ მადონა მეგრელიშვილს ქვეყნის წამყვან ლინგვისტთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს, როგორც სერიოზულ მკვლევარს. საქართველოსა და უცხოურ ენებზე (რუსულად და ინგლისურად) გამოქვეყნებული აქვს 110 - ზე მეტი შრომა, მათ შორის 4 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო და ერთი ლექსიკონი. მისი, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელის სტატუსზე მეტყველებს წარმატებით დაცული დისერტაციები. იგი არის 27 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი (მათ შორის 3 საერთაშორისო); 37 დაცული სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური შემფასებელი (მათ შორის 7 საერთაშორისო); იგი ასევე 55 დაცული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელია. არის 27 სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის რედაქტორი, ხოლო - 21-ის რეცეზენტი.

მის საზოგადოებრივ საქმიანობას ქვეყნის ერთგულება და სიყვარული უდევს საფუძვლად. ქალბატონი მადონა 1991 წლიდან ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაციის უცვლელი თავმჯდომარეა. 2010 წლის 8 სექტემბერს მოხდა უპრეცედენტო მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში - ასოციაციის დაარსების 20 წლის თავზე ნიუპორტში ქუთაისის ქუჩა გაიხსნა. ქუთაისის სანაპირო - ასე ჰქვია ქუჩას, რომელიც ნიუპორტის ცენტრალურ ნაწილს ამშვენებს.

პროფესორი მადონა მეგრელიშვილი - ამ სახელს და გვარს ნებისმიერი თაობის ქუთაისელზე ყოველგვარი რეგალიის გარეშე შეუძლია შთაბეჭდილების მოხდენა. სწავლის მოყვარულთათვის ის სრულყოფილი განათლების მიღების გარანტია, სიმართლის მოყვარულთათვის - ობიექტურობის ნიმუში, რეფორმის მხარდამჭერებისათვის ყოველგვარი ახლის გაბედული დამმკვიდრებელი და ექსპერტი, კოლორიტული ქუთაისელებისათვის - კარგი დედისა და მამის შვილი. ყველაზე გამოცდილი, ყველაზე მასშტაბური, ყველაზე უკომპრომისო, ყველაზე ორგანიზებული მენეჯერი.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და უურნალ „მოამბის რედაქცია გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას დაბადებიდან 80 წლისთავს და ვუსურვებთ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

ჰაბლატ მელაძე 80 წლისაა



ცხოვრება ყოველ ადამიანს თავის უჩინარ დროთა აღმრიცხველს არგუნებს. ეს კი ადამიანში შინაგან, განსაკუთრებულ დროს ალვიდებს. სიცოცხლის სტარტი და ფინიში ძალზე ახლოა ერთმანეთთან და თუკი შინაგან სიჩუმეს და კაცურ კაცობას ფინიშადე მიიტან, მაშინ აღმოჩნდება, რომ ფინიში ახალი სტარტია - მარადიული სიცოცხლის, ახალი უფრო მაღალი შემოქმედების სტარტი, რომელიც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჰაბლატ მელაძის 80 წელს ითვლის, ეს იუბილე მისი მეცნიერული მოღვაწეობის რეზიუმეა დღემდე.

შესანიშნავმა პიროვნებამ, თითქმის ყველა სტუდენტისათვის საყვარელმა პედაგოგმა ეს წლები ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა აღზრდას, მათ ქომაგობას, მეგობრობასა და კაცურ კეთილშობილობას მიუძღვნა.

ბატონი პამლეტ მელაძე დაიბადა 1939 წლის 9 თებერვალს თბილისში, ყველა ჩვენგანის საამაყო „კომაროვის სკოლის“ ჩამოყალიბებლის, პირველი დირექტორის, დიდი პედაგოგისა და მასწავლებლის ბატონ ვარლამ მელაძის ოჯახში.

სწორედ ასეთ ოჯახში აღზრდილმა ბატონ პამლეტ მელაძემ განვლო გზა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების (1961 წელი) შემდეგ უფროსი ლაბორანტიდან სრულ პროფესორამდე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბატონი პამლეტი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. 1967 წლიდან 1970 წლამდე იყო ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტის ასპირანტი გამოთვლითი მათემატიკის სპეციალობით. მისი ხელმძღვანელი იყო აღიარებული მეცნიერი, აკადემიკოსი ა.ა.სამარსკი. პ.მელაძეს მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი 1971 წელს. 1971–1978 წლებში იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკა-გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის დოცენტი, ხოლო 1978-2006 წლებში ამავე კათედრის გამგე. აღსანიშნავია, რომ დაარსებიდან 1977 წლამდე ამავე კათედრის გამგე იყო აკადემიკოსი ილია ვეკუა.

1992 წელს მოსკოვის მ.კელდიშის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ბატონმა პამლეტმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1993-1999 წლებში ბატონი პამლეტი მოღვაწეობდა გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. 1999-2006 წლებში იგი იყო თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორი, ხოლო 2006-2009 წლებში - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი.

2006-2009 წლებში პროფესორი პ.მელაძე ნ.მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ინფორმატიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია, შემდეგ კი არჩეულ იქნა ინფორმატიკის განყოფილების გამგედ. 2018 წლიდან ბატონი პამლეტი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

2008 წლიდან ბატონი პამლეტი არის საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი.

პროფესორ პამლეტ მელაძეს გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. მის კალამს ეკუთვნის 12 სახელმძღვანელო.

ბატონი პამლეტის შრომა დააფასა სახელმწიფომ, დაჯილდოებულია ლირსების ორდენით (1998 წელი), მიღებული აქვს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია საუკეთესო სახელმძღვანელოსთვის 2002 წელს. 2009 წელს კი უკრაინის მათემატიკოსთა კონგრესზე მას გადაეცა მ.მ.ბოგოლიუბოვის სახელობის სამახსოვრო ოქროს მედალი სამეცნიერო მიღწევებისათვის. აღსანიშნავია, რომ პ.მელაძის ინიციატივით 2007 წელს საფუძველი ჩაეყარა პრესტიულ საერთაშორისო ოლიმპიადას პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის - აკად. ი. ვეკუას თასს, რომელიც დღემდე ტარდება. და მისი უიურის უცვლელი თავმჯდომარეა ბატონი პამლეტია.

ორიოდე სიტყვა ბატონი პამლეტისა და ჩემი მეგობრობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო, როდესაც ბატონი პამლეტი თსუ კიბერნეტი-

კისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე კათედრის გამგე იყო, ხოლო მე, თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი. შემდგომში ჩვენი ურთიერთობები უფრო განმტკიცდა, როდესაც ბატონი ჰამლეტი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დეკანი, ხოლო მე ვიყავი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სამმართველოს უფროსი. დღეს ჩვენი მეგობრობა გრძელდება ოჯახებით. დიდი მადლობა ამისთვის ბატონი ჰამლეტ!

ნინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ბატონი ჰამლეტ მელაძის ენერგია იმის საწინდარია, რომ იგი სახელოვან ბიოგრაფიას კიდევ უფრო გაამდიდრებს. მინდა მივესალმო დიდებულ მეცნიერს და კაცს თავისი ჭარმაგობის უამს და იმედი გამოვთქვა, რომ ცხოვრების დარჩენილ დიდ მონაცვეთს ისევ ღირსეულად გაივლის, როგორც განვლო წინა 80 წელი.

გელა ყიფიანი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რედაქციისაგან: საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, უურნალ „მოამბის“ რედაქცია დაბადების მე-80-ე წლისთავს ულოცავს თაობების აღმზრდელს, პედაგოგს, შესანიშნავ მეგობარს, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ბატონ ჰამლეტ მელაძეს და უსურვებს სიმხნევეს, უშრეტ ენერგიას, დღეგრძელ სიცოცხლეს, პროფესიულ და პირად წარმატებებს, ლამაზ ოჯახთან ერთად.

მარინა ფალავადიშვილი 80 წლისაა



პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მარინე ფალავან-დიშვილს 80 წელი შეუსრულდა.

ქალბატონი მარინე დაიბადა 1939 წლის 10 ივლისს ქ. თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ ის სწავლობდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (1959-1964), საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში (1969-1973), მოსკოვის სკოლამდელი აღზრდის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1968-1973), მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში (1985-1991).

მ. ფალავანდიშვილმა 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რიტმის შეგრძენების ჩამოყალიბება 5-7 წლის ასაკის ბავშვებში“; 1992 წელს კი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „საბავშვო ბალის აღმზრდელის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მომზადება პედაგოგიურ სასწავლებელში“.

ქალბატონი მარინე მთელი სიცოცხლის მანძილზე თავდადებით ემსახურება სკოლამ-დელთა აღზრდას. 1957-1968 წლებში იგი მუშაობდა მუსიკის მასწავლებლად, შემდეგ მასწავლებლად პედაგოგიურ სასწავლებელში, ლექტორად სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1974-2006 წლებში ქალბატონი მარინე მუშაობდა თბილის ა.პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო ამჟამად სამეცნიერო -პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პარალელურად კითხულობს ლექციებს ზოგად პედაგოგიკაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტსა (2002-2005) და აპოლონ ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (2006-2017).

პროფესორი ფალავანდიშვილი კვლავ ძველებური შემართებით ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში: იგი კითხულობს „სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის შესავალს“ და „ფიზიკური აღზრდის მეთოდების სკოლამდელ ასაკში“.

ზრუნავს არამხოლოდ სტუდენტთა განათლებაზე, არამედ მათ პროფესიულ დახელოვნებასა და კულტურაზე. იგი 80-ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომის ავტორია, მათ შორის განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს სახელმძღვანელო „სკოლამდელთა მუსიკალური აღზრდა“ (2000) და დამხმარე სახელმძღვანელოები:

- „სკოლამდელთა ფიზიკური აღზრდა“ (2010);
- „Подготовка воспитателя детского сада в педагогическом училище“ (М., 1990);
- „Педагогика и методика обучения в начальной школе“ (М., 1989);
- „Методика творческой деятельности в дошкольном образовании“ (1994);
- Справочник по воспитанию детей (1987);
- Газета «Методика воспитания детей» (1992, таңа ағылшын тәжірибелілік).

ქალბატონი მ. ფალავანდიშვილის ნაშრომებში ჩანს ავტორის ფართო განათლება. მათ იყენებენ სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტები, ამ დარგის სტუდენტები მოზარდებთან მუშობის პროცესში. თავისი დიდი გამოცდილების საფუძველზე ქალბატონმა მარინემ შეადგინა და გამოსცა ესსეების კრებული „ყველაფერი ბავშვობიდან ინყება“ (2010). წლების მანძილზე ქალბატონი მარინე იყო პროფესიონალური საბჭოს წევრი, პედაგოგიკის სადისერტაციო საბჭოს წევრი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის სკოლამდელთა აღზრდის სექციის თავმჯდომარე. მ.ფალავანდიშვილის ხელმძღვანელობით დაცულია ოთხი საკანდიდატო და ორი სადოქტორო დისერტაცია.

ქალბატონი მარინეს სამეცნიერო კვლევები ეფუძნება ფსიქოლოგიური მეცნიერების ახალ მიღწევებს დ. უზნაძის სკოლის მარად უკვდავ იდეებს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მის მოღვაწეობაში ტრადიციისადმი პატივისცემა და სიახლისადმი ინტერესი.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და უურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას მარინე ფალავანდიშვილს დაბადებიდან 80 წლისთვის და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში!

პროფესორი ზურაბ ჩაჩეიანი - 80



დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

პროფესორი ზურაბ ჩაჩეიანი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი მეცნიერი, თვალსაჩინო მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე. მან საინტერესო ფურცლები ჩაწერა ქართული ფიზიკის მეცნიერების ისტორიაში და გაამდიდრა ახალი, ინოვაციური ცოდნით, დიდი წვლილი შეიტანა თორიუმისა და ურანის ბაზაზე შექმნილი

მასალების (აქტინიდების) სტრუქტურული მაგნიტოქიმიის ფუნდამენტურ კვლევებში, ფიზიკის სამყაროს ისეთ უაღრესად რთულ სფეროში, როგორიც არის მაგნიტოქიმია. პროფესორი ზურაბ ჩაჩიანის მეცნიერულმა კვლევებმა, ამ დარგში შექმნილმა მონოგრაფიებმა და სახელმძღვანელოებმა შეადგინა სწორედ კლასიკური ფონდი.

შთამბედავია პროფ. ზ. ჩაჩიანის მეცნიერული მიღწევები. დარწმუნებული ვართ მათი საფუძვლიანი შეფასება საგანგებო კვლევა-ძიების საგანი გახდება მომავალში. ამჯერად მხოლოდ ზოგიერთი მათვანის დასახელებით შემოვითარებებით. უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ბატონ ზურაბ ჩაჩიანის მიერ მეტალური ურანის ალოტროპიული ფაზური გარდაქმნის ფენომენოლოგიური თეორიის დამუშავება, ჰალკოგენიდებში კრისტალური ველის სუპერპოლარული მოდელის საზღვრებში ურანის ძირითადი დონეების კლასის ფიზიკურ-ქიმიური მასალათმცოდნეობის საფუძვლების შექმნა და მრავალი სხვა.

პროფ. ზ. ჩაჩიანისა და მისი თანაავტორების აღნიშნულ მონოგრაფიებს ანალოგი არ გააჩნია და მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია, რასაც 1996 წელს მათთვის საქართველოს სახელმწიფო პრემიის მინიჭებაც ადასტურებს.

პროფ. ზ. ჩაჩიანი მეცნიერებისა და განათლების ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალებში (თბილისში, რუსთავის, ბათუმის, ჭიათურის, ტყვარჩელის, ტყიბულის ფილიალებში) ფიზიკის კათედრის ლაბორატორიების განახლება-რეორგანიზაცია, დაარსდა სასწავლო-ლაბორატორიები ზოგადი ფიზიკის სამსავე ნაწილში.

მაშტაბულ სამეცნიერო მუშაობას პროფ. ზ. ჩაჩიანი კარგად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან დანერგა და პირველმა წაიკითხა ახალი სასწავლო დისციპლინის „მაგნიტოქიმიის“ ლექციების კურსი და გამოსცა ორტომეული ნაშრომიც. ამას გარდა, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფიზიკის აქტუალური საკითხების შესწავლას, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა ბირთვული მასალების სექტორი, სამეცნიერო სკოლა, რომლის უაღრესად დიდი მიღწევები აღიარებულ იქნა 1989 წელს გრენობლში (საფრანგეთი) ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „პლუტონიუმ-89“. ეს სკოლა დარგის ლიდერად გამოცხადდა.

პროფ. ზ. ჩაჩიანი დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ათეულობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

პროფ. ზ. ჩაჩიანს ეკუთვნის 170-მდე სამეცნიერო ნაშორმი, მათ შორის 16 წიგნი და მონოგრაფია, 13 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. მათგან განსაკუთრებულია ორგომიანი სახელმძღვანელო „მაგნიტოქიმია“ (2009). მის მეცნიერულ ავტორიტეტზე ხშირად ლაპარაკობენ საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე.

პროფ. ზ. ჩაჩიანი ნაყოფიერ და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. არის სტუსამეცნიერო ჟურნალის „განათლების“ რედაქტორის მოადგილე, დარგობრივი სამეცნიერო აკადემიებისა და სამეცნიერო პერიოდულ გამოცემათა რედკოლეგიების წევრი.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის რედაქცია გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს ზურაბ ჩაჩიანს დაბადების 80 და საზოგადოებრივი, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს, ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს, წარმატებულ პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ინეზა იამანიძე -საიმუშო პატიოლოგი, მკვლევარი და მოქალაქე



აგერ უკვე 50 წელზე მეტია, რაც ქართულ განათლების სისტემას ამშვენებს უნიჭიერესი და უმშვენიერესი ქალბატონი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და უმაღლესი დონის პროფესიონალი, საინტერესო ინოვაციებისა და კვლევების ავტორი, ქალბატონი ინეზა იამანიძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ქალბატონმა ინეზამ მუშაობა დაიწყო 133-ე საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად და მაშინვე დაიმსახურა კოლეგების ყურადღება, მოსწავლეთა სიყვარული და პატივისცემა.

1979 წლიდან 1981 წლამდე ქალბატონი ინეზა მუშაობდა ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საელჩოსთან არსებულ სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1981 წლიდან ის ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. 1986 წელს იგი ამ სკოლის დირექტორი ხდება და ამ თანამდებობაზე მუშაობს 2005 წლამდე, თითქმის მთელი 20 წელი.

სწორედ ამ პერიოდში გამომჟღავნდა მისი განსაკუთრებული ნიჭიერება, ინოვაციური და კრიტიკული აზროვნების უნარი, სიახლეებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, გახდა საფუძველი იმისა, რომ მან შექმნა სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი “საავტორო სკოლის მოდელი”, რომელმაც განთლების სისტემის სხვადასხვა ინსტანციებში განხილვის შემდეგ დიდი ინტერესი გამოიწვია, დაინტერესდა საქართველოს განათლების სამინისტროც და მიიღეს გადაწყვეტილება 51-ე სკოლის ბაზაზე შექმნილიყო საავტორო სკოლა-კომპლექსი (20/03/2000 წელი), რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

შედეგმაც მოლოდინს გადააჭარბა, რაც შეუმჩნეველი არც საზოგადოებისთვის დარჩენილა, ამიტომაც, როგორც გამორჩეულ სკოლას, ჯერ ქეთევან ჩიჩუას სკოლად, ბოლოს კი ინეზა იამანიძის სკოლად მოიხსენიებენ, რაც თავისითავად დიდ სახალხო აღიარებას ნიშნავს. არსებითი ისიც იყო, რომ ქალბატონი ინეზა ნამდვილად ახერხებდა ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მის გარშემო იყო, განსაკუთრებული სითბო და სიყვარული გაეცა, ასეთ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა მოსწავლეებთანაც.

გარდა პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა, ქალბატონი ინეზა იამანიძე საინტერესო უურნალისტურ მოღვაწეობასაც ენეოდა. სისტემატურად ბეჭდავდა საინტერესო წერილებს უურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა რადიო-ტელევიზით. ამ პერიოდში იგი იყო უურნალის „სკოლის დირექტორი“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ხელმძღვანელობდა რუბრიკას - სკოლათმცოდნეობა.

1999 წელს ქალბატონ ინეზა იამანიძეს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება მათემატიკის სპეციალობით.

1994 წელს ქალბატონი ინეზა აფუძნებს ახალ კერძო სკოლას და ხდება მისი კონსულტანტი. სწორედ მისი სწორი კონსულტაციებისა და მართვის შედეგი იყო ის, რომ სკოლა ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო კერძო სკოლათა შორის მოსწავლეთა ცოდნის მაღლალი დონისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით, რის გამოც ხშირად იმსახურებდა მადლობებს, რომელთაგან ერთ-ერთია თავისუფალი უნივერსიტეტის დამფუძნებლის ბატონი კახა ბენდუქიძის მადლობა „ნარჩინებული აბიტურიენტის აღზრდისათვის“.

ქალბატონი ინეზა იამანიძის გამორჩეული ნიჭიერება, მკვლევრის ნიჭი და შემოქმედებითი ფანტაზია გამომჟღავნდა იმაში, რომ იგი ბევრი ახალი წამოწყებისა და ინიციატივის მოთავე გახდა, რისთვისაც მას მინიჭებული ჰქონდა ლაურეატი დირექტორის წოდება, ამასთან იგი იყო ბევრი საერთაშორისო პროგრამის მონაწილე. მომზადებული აქვს „სახელმწიფოს მართვისა და ზოგადი მენეჯმენტის“ კურსი, მიღებული აქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მადლობა საეკლესიო და საზოგადოებრივ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქალბატონი ინეზა იამანიძე არის არა მარტო უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი მათემატიკის დარგში, არამედ საინტერესო მკვლევარი პედაგოგიკაშიც. იგი დღემდე აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კონფერენციებსა და შეკრებებში. აქვს უაღრესად საინტერესო სამეცნიერო- მეთოდური ნაშრომები. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია, არის თანაავტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოლიდური სამეცნიერო ნაშრომისა „საქართველოს განათლების მატიანე“.

მინდა ჩემი საიუბილეო მილოცვა დავამთავრო იმის ხაზგასმით, რომ ქალბატონი ინეზა იამანიძე ჩემი მეგობარია და მე ვამაყობ ამ უნიჭიერეს და უკეთილშობილეს ადამიანთან მეგობრობით. იგი ის დიდებული ქალბატონია, რომელიც დიახაც ამშვენებს თბილისაც და სრულიად საქართველოსაც! ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ასეთი სასიქადულო და საამაყო შვილები!

რეზო ბალანჩივაძე
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
წევრი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და უურნალ „მოამბის“ რედაქცია უერთდება მილოცვის პათოსს და ჩვენს კოლეგას ინეზა იამანიძეს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში!

პროფესორი თემურ ჯაგოდიშვილი



დაბადებიდან 70 წელს შეუსრულდა ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს თემურ ჯაგოდიშვილს.

პროფ. თ. ჯაგოდიშვილმა 1973 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს თემურ ჯაგოდიშვილს. 1988 წლიდან თანამშრომლის (1988-1990), თსუ პროფესორის (1989-1992) თანამდებობებზე (შეთავსებით). თან 1988 წლიდან თანამშრომლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრასთან, 1991-1993 წწ. იყო ამ კათედრის გამგე. ამ ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარადქმნის შემდეგ დღემდე არის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი; იყო ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანის

მოადგილე (1993-1998). 2008 წლიდან არის უნივერსიტეტ სეუს ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი.

1996-2004 წწ. იგი იყო სტუ-ს გაზეთების - „აღმაშენებელი“, „საუნივერსიტეტო მაცნე“, უურნალ „განათლების“ რედაქტორი, ამ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი, იუნისკოს თანამედროვე ენების ასოციაციათა ფედერაციის (FIPLV) წევრი; უურნალების „Homo Loguens“, „ინტელექტი“, „სვეტიცხოველი“, „ქართული ფოლკლორი“ რედკოლეგიებისა და სარედაქციო საბჭოების წევრი; არჩეულთა საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის წევრად.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა მოცავს კომუნიკატივისტიკის, ლინგვისტიკის, ფოლკლორისტიკის, ქართული სალიტერატურო კრიტიკის, ლიტერატურის-მცოდნეობის, მეცნიერული ბიოგრაფიის, უურნალისტიკამცოდნეობის სფეროებს, არის 150-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, რომელთაგან 39 წიგნი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელოა.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა ქართული კულტურის აქტუალური პრობლემის გადაწყვეტაში – დიდი საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ხანძთის მონასტრის ადგილმდებარეობის დადგენაში. პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ხანძთის მონასტრის ადგილმდებარეობის გარკვევის მიზნით, უხელმძღვანელა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესიონალებისთვის სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციას. გიორგი მერჩულის აგიოგრაფიული თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის ანალიზის საფუძველზე პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა წამოაყენა მოსაზრება ორი – ძველი და ახალი – ხანძთის მონასტრის არსებობის შესახებ. პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის მოსაზრებით, გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებულმა ხანძთის მონასტრმა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო მეტროპოლიის სტატუსი შეიძინა. აღნიშნული გამოკვლევის შედეგები ავტორის მიერ 2014 წლის 4 ნოემბერს მოხსენდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს და მიიღო უმაღლესი ლოცვა-კურთხევა. ექსპედიციის მიხედვით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი (რეჟისორი კობა ცხაკაია), რომელიც იმავე წელს მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალზე საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2012), დაჯილდოებულია „ლირსების ორდენით“ (2014), მედლებით. 2019 წელს დაჯილდოვდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა და იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო ვერცხლის მედლით.

ამბობენ, ნამდვილმა მამაკაცმა ხე უნდა დარგოს, სახლი ააშენოს და ვაჟი აღზარდოსო. ბატონმა თემურმა აქაც არავის დაუდო ტოლი: მამაპაპისეული კერა არ გააცია, სახლიც ააგო, ხე კი არა, წალკოტი გააშენა და ორი ლირსეული მამულიშვილი აღზარდა.

მას სრბოლა ჯერ არ დაუსრულებია, მრავალი საინტერსო იდეა აქვს განსახორცილებელი, კვლავაც საოცარი ალლოთი საზღვრავს სიახლეების ლირსება-ნაკლოვანებებს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და უურნალ „მოამბის“ რედაქციია გულითადად ვულოცავთ ბატონ თემურ ჯაგოდნიშვილს იუბილეს - დაბადების 70 და მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავს - და ვუსურვებთ მხერისა და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში.

ზოგადი პედაგოგიკა

იმერი ბასილაძე, ეთერ ლვინერია - იან ამოს კომენსკის მათემატიკა და	
დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია	3
ლია მენთეშაშვილი - ურთიერთობა როგორც პედაგოგიური პრობლემა (სკოლების მაგალითზე)	9
ნატო ქობულაძე - სპეციალური განათლება საჯარო სკოლებში	15
კონსტანტინე რამიშვილი - სასწავლო ამოცანების გადაწყვეტის ტექნიკოლოგია	21
დავით მახაშვილი, გივი ეჭიშვილი - მასწავლებლის შემოქმედებითი საქმიანობა	
და მისი განვითარება	22
გელა ცაავა - ეროვნულ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვა	
ოკუპირებულ აფხაზეთში	26

სკოლამდელი აღზრდა

იმერი ბასილაძე, ნინო გელენიძე, მანონი ბერუჩიშვილი - ტე ვარიკი - ადრეული	
განათლების კურიკულუმი.....	31
იმერი ბასილაძე, ნინო გელენიძე, მანონი ბერუჩიშვილი - ადრეული ასაკის ბავშვთა	
მოვლა და განათლების საკითხისათვის ახალ ზელანდიაში	37

დაცვებითი სკოლა

თამარ დოგრაშვილი, გიორგი ბერძულიშვილი - საგანთაშორისი კავშირების	
გამოყენება განმავითარებელი სწავლებისას დაწყებით კლასებში	43
გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე, ბაკურ ბაკურაძე - შემთხვევათა	
გადარჩევის მეთოდი	50

საგანთა სრავლების მეთოდიკა

ნათელა მაღლაკელიძე - ენების სწავლების მეთოდთა უნიფიკაცია ქართულ სკოლაში	57
თამარ ძველაია - იმპროვიზაცია, როგორც მუსიკის ინტერაქტიული სწავლების მეთოდი	61

უგაღლესი სკოლის პედაგოგიკა

ნინო ყანჩელი, ნინო ჭოხონელიძე - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება	66
მამული ბუჭუხიშვილი, თეიმურაზ გიორგაძე - ზოგიერთი მოსაზრება	
მათემატიკური სტატისტიკის ელემენტების სწავლებისათვის	71
ეკატერინე უკლება - სახელმწიფოს როლი განათლების საკითხის	
სრულყოფისათვის გარდამავალი ეკონომიკის პირობებში	74

პედაგოგიკის და განათლების ისტორია

აკაკი ზოიძე - ბურჯი განათლებისა და კულტურის აღმავლობისა	
(წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 140 წლისაა)	77
ნოდარ ბასილაძე - ი. გოგებაშვილი მშობლიურ ენაზე სწავლების როლისა და	
მნიშვნელობის შესახებ	83

რელიგიური პედაგოგიკა

ავთანდილ ასათიანი - მოციქულობის პედაგოგიკა, როგორც ქრისტიანული პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი ეტაპი	90
ავთანდილ ასათიანი - იუდაური აღზრდა და ანტიკურობა	96

ვალეოლოგია

იგორ დოლიძე - სამყარო - ვალეოლოგიური განათლების ინტეგრირებული ცოდნის საფუძველი	105
---	-----

ჩვენი იურიდიკები

ნათელა იმედაძე	111
იათამზე კოტეტიშვილი	112
გიორგი ბათიაშვილი	113
ლუბა ბიბილეიშვილი	114
იგორ დოლიძე	116
თამაზ კარანაძე	117
მადონა მეგრელიშვილი	118
ჰამლეტ მელაძე	119
მარინე ფალავანდიშვილი	121
ზურაბ ჩაჩინაშვილი	122
ინეზა იამანიძე	124
თემურ ჯაგოდნიშვილი	125

C O N T E N T

GENERAL PEDAGOGY

Imeri basiladze, eter gvineria - John Amos Comenius' (1592-1670) Mathetics and Dimitri Uznadze's (1886-1950) Pedagogical Concept	3
Lia menteshashvili - interrelation as pedagogical problem	9
Nato Kobuladze - Special education in public schools.....	15
Konstantine Ramishvili - Technology of Decisions of Educational Tasks	21
Davit Makhashvili, Givi Ejishvili - Creative Work and Development of a Teacher of High School	22
Gela tsaava - Restricting Education Right in Native Language in Occupied Abkhazia	26

PRE-SCHOOL UPBRINGING

Imeri basiladze, nino gelenidze, manoni beruchashvili - Te Whariki - Early Education Curriculum	31
Imeri basiladze, nino gelenidze, manoni beruchashvili - Early Childhood Care and Education Issues in New Zealand -	37

ELEMENTARY SCHOOL

Tamar Dograshvili, Giorgi Berdzulishvili - The use of interdisciplinary connection in primary classes in developing learning process	43
Giorgi Berdzulishvili, Giorgi Bregadze, Bakur Bakuradze - The method of selection	50

METHODOLOGY OF TEACHING DISCIPLINES

Natela Maglakelidze - Unification of Language Teaching Methods at Georgian School	57
Tamar Dzvelaia - Improvisation as an interactive method of music teaching	61

HIGHER EDUCATION PEDAGOGY

Nino Kancheli, Nino Tchokonelidze - Student-oriented teaching	66
Mamuli Buchukhishvili, Temuraz Giorgadze – Some opinions on teaching elements of Mathematical Statistics	71
Ekaterine Ukleba - The role of the state in order to improve the education issue in the conditions of transitional economy	74

HISTORY OF PEDAGOGY ND EDUCATION

Akaki Zoidze - Writing-spreading society – 140	77
Nodar Basiladze - I. Gogebashvili about the role and importance of teaching in native language	83

RELIGIOUS PEDAGOGY

Avtandil Asatiani - Apostasy pedagogy as an essential stage of Christian pedagogy	90
Avtandil Asatiani - Judaism based upbringing and antiquity	96

VALEOLOGY

Igor Dolidze – The Universe – The basis of integrated Knowledge of Valeological Education	105
--	-----

JUBILEES

Natela Imedadze	111
Iatamze Kotetishvili	112
Giorgi Batiashvili	113
Liuba Bibileishvili	114
Igor Dolidze	116
Tamaz Karanadze	117
Madona Megrelishvili	118

Hamlet Meladze	119
Marine Palavandishvili	121
Zurab Chachkhiani	122
Ineza Iamanidze	124
Temur Jagodnishvili	125

С О Д Е Р Ж А Н И Е

ОБЩАЯ ПЕДАГОГИКА

Имери Басиладзе, Этер Гвинерия - Матетика Яна Амоса Коменского и педагогическая концепция Дмитрия Узнадзе	3
Лия Ментешашвили - Общение как педагогическая проблема (на примере школ)	9
Нато Кобуладзе - Специальное образование в публичных школах	15
Константин Рамишвили - Технология решения учебных задач	21
Давид Махашвили, Гиви Эджишвили - Творческая деятельность учителя и ее развитие	22
Гела Цаава – Ограничение права на образование на родном языке в оккупированной Абхазии	26

ДОШКОЛЬНОЕ ВОСПИТАНИЕ

Имери Басиладзе, Нино Геленидзе, Манони Беручашвили - Te Whariki - – учебная программа раннего образования	31
Имери Басиладзе, Нино Геленидзе, Манони Беручашвили – Уход за детьми младшего возраста и вопросы образования в Новой Зеландии	37

Начальная школа

Тамар Дограшвили, Гиорги Бердзулишвили – Использование межпредметных связей в развивающем обучении в младших классах	43
Гиорги Бердзулишвили, Гиорги Брегадзе, Бакур Бакурадзе – Метод случайного отбора	50

МЕТОДИКА ПРЕПОДАВАНИЯ

Натела Маглакелидзе – Унификация методов обучения языкам в грузинской школе	57
Тамар Дзвелаия - Импровизация, как интерактивный метод обучения музыке	61

ПЕДАГОГИКА ВЫСШЕЙ ШКОЛЫ

Нино Канчели, Нино Чохонелидзе – Личностно-ориентированное обучение студентов	66
Мамули Бучухишвили, Теймураз Гиоргадзе – Некоторые соображения по поводу обучения элементам математической статистики	71
Екатерина Уклеба – Роль государства в совершенствовании вопросов образования в условиях переходной экономики	74

ИСТОРИЯ ПЕДАГОГИКИ И ОБРАЗОВАНИЯ

Акакий Зойдзе – Оплот образования и подъема культуры (Обществу распространения грамотности - 140 лет)	77
Нодар Басиладзе - И. Гогебашвили о роли обучения на родном языке	83

РЕЛИГИОЗНАЯ ПЕДАГОГИКА

Автандил Асатиани - Педагогика апостолов, как важнейший этап христианской педагогики	90
Автандил Асатиани - Иудейское воспитание и античность	96

ВАЛЕОЛОГИЯ

Игорь Долидзе - Вселенная как основа интегрированных знаний в археологического образования	105
---	------------

НАШИ ЮБИЛЯРЫ

Натела Имададзе	111
Иятамзе Котетишвили	112
Георгий Батиашвили	113
Люба Бибилиешвили	114
Игорь Долидзе	116
Тамаз Карападзе	117
Мадона Мегрелишвили	118
Гамлет Меладзе	119
Марине Палавандишвили	121
Зураб Чачхиани	122
Инеза Ияманидзе	124
Темур Джагоднишвили	125

ავტორთა საყურადღებოდ!

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ არის რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.

რეფერირებულია საქართველოს ტექინფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში და სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ РАН) საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში.

შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საპჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მოეწოდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექინფორმს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;

• ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (8-10 სტრიქონი) და საკვანძო სიტყვები (4-8) სტატიის და რეზიუმეს ენებზე. ამავე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა და სამუშაო ადგილი.

• ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს ორიგინალის ენაზე საერთაშორისო APA-ს სტილის მიხედვით. ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით. თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ევროპულ და რუსულ ენებზე.

- ნაშრომი უნდა იყოს ანუბილი Microsoft Word -ში;
- ქართული ნაშრომი ინუბობა Sylfaen შრიფტით;
- რუსული და ინგლისური ნაშრომები ინუბობა Times New Roman შრიფტით;
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.

• ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;

• ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები:

მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა;

- ნაშრომი უნდა მოგვაწოდოთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად A 4 ზომის ქაღალდზე;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი;
- სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე 5 95 44 91 21

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
საქართველო, თბილისი, 0144, წინანდლის ქ. №9
ტელ: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
ელ-ფოსტა: ganatlebisakademia@gmail.com
ვებ-გვერდი: www.sgma.ge

ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
Tsinandali Str.9, 0144. Tbilisi, Georgia
Tel: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
E-mail: ganatlebisakademia@gmail.com
WEB-page: www.sgma.ge

АКАДЕМИЯ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ
Грузия, Тбилиси, 0144, ул. Цинандали №9
Тел.: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
Эл-почта: ganatlebisakademia@gmail.com
WEB-страница: www.sgma.ge

© საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
© ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
© Академия образовательных наук Грузии